

საზოგადოების კვლევის ცენტრი

კრებული გამოცემულია ჟან ჟორესის ფონდის  
ხელშეწყობით (საფრანგეთი)

ძალაუფლება და  
საზოგადოება  
საქართველოში

სტატიების კრებული

მთავარი რედაქტორი: მარინა მუსხელიშვილი



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2009

© საზოგადოების კვლევის ცენტრი

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, : 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-894-3

1. <b>გია ჟორჟოლიანი, მარინა მუსხელიშვილი, გელა ბანძელაძე</b> პოლიტიკური სისტემა საქართველოში.....	7
2. <b>მარინა მუსხელიშვილი</b> საზოგადოების დაბრუნება.....	27
3. <b>დავით მეღუა</b> ადგილობრივ ინტერესთა წარმომადგენლობა სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემებში.....	67
4. <b>ძალაუფლების დაყოფა, როგორც ეთნიკური</b> კონფლიქტების მოგვარების გზა (სტატია მომზადებულია <b>ხატია ნადარაიას მიერ)</b> .....	86
5. <b>მამუკა ბიჭაშვილი</b> სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში .....	99
6. <b>ელგუჯა მექვაბიშვილი</b> მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება როგორც საშუალო კლასის ფორმირების უმნიშვნელოვანესი პირობა.112	
7. <b>ზაზა შათირიშვილი</b> ნაციონალური იდენტობა და ნაციონალური ნარატივები .....	123
8. <b>ნანა სუმბაძე</b> ქალაქი და სოფელი: მოსახლეობის ღირებულებები და პოლიტიკური სიმპათიები.....	137
9. <b>იოსებ არჩვაძე</b> საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობისა და სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიკაციის ზოგიერთი ასპექტის შესახებ .....	155

2009 წლის გაზაფხულზე საზოგადოების კვლევის ცენტრმა ჟან ჟორჟის ფონდის დახმარებით მოაწყო რამდენიმე სემინარი საერთო სათაურით "პოლიტიკური სისტემა - რისკენ ვისწრაფვით? შესაძლოა თუ არა მივადწიოთ ეფექტურ დემოკრატიას ინსტიტუციონალური გარემოს განახლების გზით?". ამ სემინარებში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა და პოლიტიკოსებმა. მათ განიხილეს პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის მიმართულებები ფართო სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით. მოცემული კრებული ასახავს სემინარების მონაწილეთა ნააზრევს როგორც თავად სისტემის, ასევე იმ კონტექსტის შესახებ, რომელშიაც ის მოქმედებს, და რომელთანაც ის უშუალოდ თუ გაშუალებულად კავშირში იმყოფება.

პირველი ნარკვევი „**პოლიტიკური სისტემა საქართველოში**“ აღწერს ძალაუფლების იმ კონფიგურაციას, რომელიც საქართველოში დღეისთვის არის ჩამოყალიბებული. სახელმწიფო მმართველობა დღეს ხასიათდება ძალაუფლების ძლიერი ცენტრალიზაციითა და კონცენტრაციით, პარტია-სახელმწიფოს საბჭოური ტრადიციის მახინჯი შერწყმით მაჟორიტარულ ერთპარტიულ მმართველობასთან და პოლიტიკური პარტიების ზოგადი სისუსტით. მეორე ნარკვევი, "საზოგადოების დაბრუნება" (მარინა მუსხელიშვილი) ამ ცენტრალიზაციას უკავშირებს ტრანსფორმაციის განვლილი პერიოდისა და დემოკრატიზაციის ცალმხრივ, ნეოლიბერალურ ხასიათს. ნარკვევის მიზანია აღტერნატიული გზების ძიება - ასეთ აღტერნატივად ავტორის აზრით ევროპული გამოცდილების გაზიარება წარმოადგენს. შემდეგი ნარკვევი, "ადგილობრივ ინტერესთა წარმომადგენლობა სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემებში" (დავით მეღუა) ეხება კონკრეტულად ერთ პოლიტიკურ ინსტიტუტს, ადგილობრივ მმართველობას. ნარკვევში მოცემულია ადგილობრივი მმართველობის ევროპული გამოცდილების მიმოხილვა და ამ შუქზე გაანალიზებულია საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემები. პოლიტიკური სისტემისადმი მიძღვნილი ნარკვევებიდან მეოთხე "ძალაუფლების დაყოფა როგორც ეთნიკური კონფლიქტების მოგვარების გზა" (საპუბლიკაციოდ მომზადებულია ხატია ნადარაიას მიერ) ეძღვნება ეთნიკური კონფლიქტების დარეგულირების თემას. განსხვავებით წინა ნარკვევებისგან, ის განსხვავდება იმით, რომ ევროპულ გამოცდილებას, კერძოდ, ძალაუფ-

ლები გაზიარების პრინციპს კრიტიკულად უდგება, და კონფლიქტების დარეგულირების მექანიზმად ნაკლებად გამოსადეგად მიიჩნევა.

შემდეგი ორი ნარკვევი სამოქალაქო საზოგადოების, ანუ შუალედური დონის ინსტიტუტებს ეხება: არასამთავრობო ორგანიზაციებს, ("სამოქალაქო საზოგადოება", მამუკა ბიჭაშვილი) და მცირე და საშუალო მეწარმეობას როგორც საშუალო ფენის არსებობის ერთერთ წინაპირობას. (**"მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება როგორც საშუალო კლასის ფორმირების უმნიშვნელოვანესი პირობა"**, ელგუჯა მექვაბიშვილი). ერთიც და მეორეც ასახავენ იმ ინსტიტუტების სისუსტეს (ან, შესაძლოა, პრაქტიკულ განუვითარებლობას), რომლებიც სასიცოცხლოა დემოკრატიის ფუნქციონირებისთვის. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას როგორც ჩანს არ შეუძლია ღიბერადურ ყაიდაზე მოწყობილი არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა; ამის მაგალითია მეორე სტატიაში დასმული პრობლემა: საშუალო კლასის ინტერესების დაუცველობა, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის სავალალო მდგომარეობით გამოიხატება. ორივე ეს მოვლენა ურთიერთკავშირშია და ევროპული ტრადიციისგან მეტად შორსაა.

ნარკვევში **"ნაციონალური იდენტობა და ნაციონალური ნარატივები"** (ზაზა შათირიშვილი) ავტორი აანალიზებს ნაციონალური იდენტობის ფორმირების თავისებურებებს (არასეკულარული ნაციონალიზმი) და მიიჩნევს, რომ პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციას ნაციონალური ნარატივების ტრანსფორმაციაც სჭირდება.

ბოლო ორი ნარკვევი, "ქალაქი და სოფელი: მოსახლეობის ღირებულებები და პოლიტიკური სიმპათიები" (ნანა სუბაძე) და "საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობისა და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ზოგიერთი ასპექტის შესახებ" (იოსებ არჩვაძე) შესაძლოა ყველაზე არსებით საკითხს ეხება - თავად საზოგადოების მიმართებას პოლიტიკასთან. სტატიები სტატისტიკურ მანვენებლებზე დაყრდნობით, ობიექტური და სუბიექტური ინდიკატორების გამოყენებით, აანალიზებენ მოსახლეობაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ დაყოფებს. ვინაიდან პოლიტიკური მოწყობა დიდწილად დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად ერთგვაროვანია თუ მრავალფეროვანია მოსახლეობა. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკურად არსებითი დაყოფა, რომელიც პირველი ნარკვევის შედეგებიდან მომდინარეობს, არის დაყოფა ქალაქსა და სოფელს შორის. მოსალოდნელია, რომ თბილისის მოსახლეობის შეხედულებები იმაზე, თუ რომელი სისტემაა სასურველი, განსხვავდებოდეს რეგიონების შეხედულებისგან. თუმცა მოსახლეობის უდიდეს ნაწილს აქვს საერთო მახასიათებელიც - ეს არის სიღარიბე. სიღარიბეს კი შესაძლოა მოყვებოდეს წინააღმდეგობრივი შედეგები - ან გამძაფრებული ბრძოლა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების მოსაპოვებლად, ან პირიქით, ავტორიტარული მმართველობა. ერთადერთი, რასაც ის ნამდვილად ვერ უწყობს ხელს არის სტაბილურად მოქმედი დემოკრატიული ინსტიტუტები.

გია ჟორჟოლიანი  
მარინა მუსხელიშვილი  
გელა ბანიქლაძე

**საქართველო: ძალაუფლების  
სტრუქტურული მახასიათებლები**

მარქსი თავის დროზე ამტკიცებდა, რომ საზოგადოებაში არსებული მწარმოებლური ურთიერთობების ბაზისი განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკურ ზედნაშენს და რომ ეკონომიკური ურთიერთობები განაპირობებენ პოლიტიკურ შეხედულებებსაც. მაქს ვებერი კი საპირისპიროდ, თვლიდა, რომ კულტურული ღირებულებები აყალიბებენ ეკონომიკური ურთიერთობების ლოგიკას. თანამედროვე მკვლევარი, რონალდ ინგლესპარტი, ეყრდნობა რა ფართო სოციოლოგიურ მონაცემებს, ამტკიცებს, რომ მარქსი და ვებერიც ერთდროულად მართლებიც არიან და, ამავე დროს, კიდევაც სცდებიან. პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური განზომილებები ზემოქმედებას ახდენენ ერთმანეთზე, ვითარდებიან პარალელურად და აყალიბებენ გარკვეულ ურთიერთდაკავშირებულ მოდელებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებსა და ცივილიზაციებში სხვადასხვანაირია.

საქართველოს პოლიტიკური სისტემა შედგება მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული მახასიათებლებისაგან, როლებიც განისაზღვრებიან და, ამავე დროს, განსაზღვრავენ საზოგადოების სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პარამეტრების ბუნებას. ეს ურთიერთდაკავშირებული მახასიათებლები ისტორიულად ჩამოყალიბდნენ და ყალიბდებიან, დამოკიდებულნი არიან განვილილ გზაზე და იმ შემთხვევაშიც კი ძალზედ ნელა იცვლებიან, თუკი ერთ-ერთი პარამეტრი მკვეთრად შეიცვლება. არსობრივი ცვლილებები თანდათანობით ხდება თაობათა ცვლასა და სისტემის ყველა მახასიათებლის ურთიერთდაკავშირებულ ტრანსფორმაციასთან ერთად.

მიუხედავად ამისა ცვლილებები მაინც ხდება და ყველა პარამეტრი ამა თუ იმ მიმართულებით განიცდის ევოლუციას. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა თუ რა მიმართულებით იცვლებიან ისინი და რა ფაქტორები განსაზღვრავს ამ ცვლილებებს.

საქართველომ ბოლო 15-20 წლის მანძილზე რამოდენიმე პოლიტიკური რეჟიმი გამოიცვალა, შეიცვალა კონსტიტუციური მოწყობაც, ქვეყანამ გადაიტანა სამოქალაქო ომები და დაკარგა კონტროლი ტერიტორიის ნაწილზე. მიუხედავად ამისა, საქარ-

თველოს პოლიტიკური სისტემა ხასიათდება ისეთი თვისებებით, რომლებიც ამ დროის მანძილზე უცვლელად რჩებოდნენ და თვითგანახლების ძალას ავლენდნენ. საქართველოში ძალაუფლება კონცენტრირებული, ცენტრალიზებული და პერსონიფიცირებულია. ქვეყნის პრეზიდენტს აკისრია სრული და პრაქტიკულად ერთპიროვნული პასუხისმგებლობა ყველა მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებასა და სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირებაზე. კომპეტენციათა ტერიტორიული დანაწილება თითქმის სრულიად არ არსებობს, ადგილობრივი თვითმმართველობა განუვითარებელია, რეგიონები სუსტია და ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული. პრეზიდენტი სრულად აკონტროლებს ხელისუფლებას. პრეზიდენტს, მთავრობასა და პარლამენტს შორის ძალაუფლების დანაწილება სუსტადაა გამოკვეთილი და პირველი პირის მიერ პარლამენტზე ან მთავრობაზე კონტროლის დაკარგვის შემთხვევაში სისტემური კრიზისი იწყება. სასამართლო ხელისუფლებას არ გააჩნია დამოუკიდებლობა და ვერ ახერხებს ცენტრალური ხელისუფლების შეკავებასა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფას. პოლიტიკაში მონაწილეობას მნიშვნელოვანი ეკონომიკური დივიდენდები მოაქვს. ეკონომიკური საქმიანობაც ძლიერ არის დამოკიდებული ხელისუფლებასთან კლიენტელისტურ კავშირებზე და მნიშვნელოვანწილად კორუფციული მექანიზმებით ფუნქციონირებს. ამგვარ კონფიგურაციაში ძალაუფლება დიდწილად ხელისუფლების პარტიის მეშვეობით ხორციელდება, რომელიც მკაცრად ცენტრალიზებულია და ადმინისტრაციულ რესურსს ყვრდნობა. ამავე დროს, ხელისუფლების პარტია იშლება ხელისუფლებიდან წასვლის შემთხვევაში. პარტიები და პრეზიდენტები ხელისუფლებიდან ოპოზიციაში არ გადადიან, არამედ საერთოდ ტოვებენ პოლიტიკურ არენას და კარგავენ ლეგიტიმაციას. თავად ხელისუფლების ცვლილებაც რადიკალური-რევოლუციური გზით ხდება. ამავე დროს, ძალაუფლების ერთ ცენტრში კონცენტრირების მიუხედავად საზოგადოება ინარჩუნებს შესაძლებლობას ოპოზიციური განწყობებისა და მოძრაობების ავტონომიურად შემუშავებისა, რომლებიც საპროტესტო აქციებსა და, დროდადრო, არაპოპულარული რეჟიმების ცვლილებას იწვევს. არსებობს მრავალი ოპოზიციური პარტია და პოლიტიკური აქტორი, რომლებიც ხელისუფლების რევოლუციური (სისტემური, რადიკალური) ოპონენტები არიან. პოლარიზებული პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში ოპოზიციური პარტიები პრაქტიკულად არ მონაწილეობენ პოლიტიკური გადაწყვეტილე-

ბების მიღებაში, არამედ საკუთარ ძალისხმევას არსებული რეჟიმის შეცვლისკენ მიმართავენ. კომპრომეტირებული პოლიტიკური აქტორების მარგინალიზაციის პარალელურად ჩნდებიან ახალი პოლიტიკოსები და პარტიები, რომელთა დღევანდელი მთლიანად და მოკიდებული მათ ოპოზიციაში ყოფნაზე ოპოზიციური პარტიების გარდა, ამგვარივე როლს თამაშობენ მასობრივი საინფორმაციო საშუალებები და არასამთავრობო ორგანიზაციებიც. ამ ორგანიზაციათა დაფინანსების წყაროები ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელია (ბიზნესი, საერთაშორისო საზოგადოება, თუმცა კი ინარჩუნებს არაპოპულარული ხელისუფლების შეცვლის პოტენციალს, პრაქტიკულად არ მონაწილეობს პოლიტიკის, სტრატეგიების ფორმირებაში, უფლებებისა და ინტერესების დაცვაში და ა.შ. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები (პარტიები, არასამთავრობოები) აქტივისტთა მცირე წრეს მოიცავენ. საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაზე პასუხისმგებლობა თითქმის მთლიანად ცენტრალურ ხელისუფლებას ეკისრება. პოლიტიკური დისკურსი ვერტიკალურია. ამ დისკურსის პორიზონტალური შემადგენელი გამოუკვეთავია. ქვეყნის განვითარების კურსი დიდწილად საგარეო ფაქტორებზეა დამოკიდებული. იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკური რეფორმები იგეგმება და ხორციელდება ამ გარე ფაქტორების გათვალისწინებით, ისინი ნაკლებად ასახავენ საზოგადოების მდგომარეობას, რაც პოლიტიკური განვითარების სხვადასხვაგვარ სტრატეგიებს შორის კონკურენციის წარმოქმნის საშუალებას არ იძლევა. ძალაუფლებისათვის ბრძოლა წარმოადგენს „თავისთავად ღირებულებას“ და არ ასახავს ინტერესების, შეხედულებებისა და პროგრამული პრიორიტეტების განსხვავებულობას, რაც საზოგადოების ბაზისურ პრობლემებს გადაუწყვეტელს ტოვებს.

### ძალაუფლების ცენტრალიზაცია

საქართველოში ძალაუფლების ტერიტორიული დანაწილება სუსტია. ქვეყნის პრეზიდენტი ძალაუფლების პირამიდის სათავეში დგას, რომელიც მმართველობის ყველაზე დაბალ დონეებამდე ეშვება.

1995 წლის კონსტიტუცია, გადაუწყვეტელი ტერიტორიული კონფლიქტების გამო, ღიად ტოვებდა ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხებს, და მხოლოდ ზო-

გადი დებულებებით შემოიფარგლებოდა, რამდენადაც მიიჩნეოდა, რომ ეს საკითხები აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის და აჭარის სტატუსის განსაზღვრასთან იყო დაკავშირებული. სამომავლოდ იგეგმებოდა ორპალატიანი პარლამენტის შექმნა და საქართველოს რაიონების ნაცვლად (დაახლოებით 80) რეგიონებად დაყოფა (დაახლოებით 10 ერთეული). რეგიონების მართვის უზრუნველსაყოფად დროებით საშუალებად პრეზიდენტის რწმუნებულები იქცნენ. ვარდების რევოლუციისა და აჭარის მოვლენების შემდეგ პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტი შენარჩუნდა, ტერიტორიული მოწყობისა და ქვეყნის დეცენტრალიზაციის საკითხი კი კვლავ გადადებულია.

უფრო დინამიურად მიმდინარეობდა თვითმმართველობითი და წარმომადგენლობითი ინსტიტუტების ტრანსფორმირება და განვითარება. ადგილობრივი თვითმმართველობა 1998 წელს დაინერგა, რამაც გარკვეულწილად ადგილებზე საზოგადოებრივი ცხოვრების გააქტიურება უფრო გამოიწვია და ადგილობრივ დემოკრატიისათვის შექმნა საფუძველი. თუმცა, მთლიანობაში, მან, რამოდენიმე მიზეზის გამო, ეფექტურად ვერ იმუშავა. ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ეკონომიკური ფუნდამენტი იმ პერიოდში არ შექმნილა. კომპეტენციათა დეცენტრალიზაციას უკიდურესად სუსტი იყო და მას თან არ ახლდა რეალიზაციისა და კონტროლის საჭირო მექანიზმები. კანონი ადგილობრივი არჩევნების შესახებ, რომელიც პარტიულ წარმომადგენლობას ეფუძნებოდა, ადგილებზე არსებულ სიღარიბესთან ერთად, მმართველობის ორგანოთა ძლიერ პოლიტიზირებასა და, შესაბამისად მათ ხელისუფლების პარტიისადმი დაქვემდებარება-დამოკიდებულებას უწყობდა ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ, 1998 და 2002 წლების ადგილობრივმა არჩევნებმა აჩვენა, რომ ოპოზიციურ პარტიები ადგილობრივ დონეზე უფრო ადვილად ახერხებენ წარმომადგენლობის მიღწევას ვიდრე ცენტრალურ დონეზე, ადგილობრივი მმართველობითი ორგანოები მაინც მუდამ ადვილად კონტროლდებოდნენ და იმართებოდნენ ცენტრალური ხელისუფლების მიერ, მითუმეტეს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობები დანიშნებითი რჩებოდა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ადგილობრივი მმართველობის ახალი სისტემა იქნა შემოღებული (2005 წლის რეფორმით), რომელმაც წინა პერიოდის მცირე მონაპოვრებიც კი შეასუსტა. მრავალრიცხოვანი, მცირეზომიანი და უფრო ძნელად

კონტროლირებადი ორგანოების ნაცვლად შეიქმნა მსხვილი ერთეულები რაიონების დონეზე. ამ ერთეულებს ფორმალურად თვითმმართველობითი პქვია, თუმცა რეალურად დამოუკიდებელი ფუნქციონირების საშუალება არა აქვთ. პრეზიდენტის რეგიონული რწმუნებულები, რომლებსაც კანონით არა აქვთ რაიონების მმართველობის უფლება, რეალურად ფლობენ გადაწყვეტილებათა სრულ ძალაუფლებას ე.წ. თვითმმართველ ორგანოებთან მიმართებაში.

პოლიტიკური სისტემის ცენტრალიზაციის ტენდენციას შემდეგი ფაქტორიც აძლიერებს:

**დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი**, რომელიც ჯერ კიდევ ლენინმა მენშევიკებთან გამართული დისკუსიის დროს ჩამოაყალიბა, ადგილობრივ საკითხებზე გადაწყვეტილებათა პარტიის ცენტრალური ორგანოს მიერ მიღებას გულისხმობს (მაგალითად საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატურის წამოყენება). ადგილობრივ ორგანოებს მხოლოდ ინიციატივისა და წინადადების წამოყენების უფლება რჩებათ. ეს პრინციპი, რომელიც პარტია-სახელმწიფოს საბჭოთა პოლიტიკურ სისტემაში მტკიცედ იყო გამჯდარი, პოსტსაბჭოთა საქართველოშიც ძალაუფლებისა და მმართველობის განხორციელების ძირითად პრინციპად გვევლინება. ეს თანდაყოლილი ინერცია ვლინდება როგორც ცენტრსა და ადგილებზე მმართველთა და მართულთა მოლოდინებისა და მოტივაციების ზოგად მენტალობაში, ასევე ორივე დონეზე ხელისუფლების ჩამოყალიბებისა და ურთიერთმიმართების ინსტიტუციურ რეგულირებაშიც. ძალაუფლების კონცენტრაციის ტენდენციის გათვალისწინებით, რაც აღმასრულებელი ხელისუფლების უდაო პრიორიტეტს წარმოადგენს, ადგილობრივ ხელისუფლებას არა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანო ახორციელებს (რომლის კომპეტენციებიც ბუნდოვანია და ფინანსური რესურსებიც უაღრესად მოკრძალებულია), არამედ მისი ზემდგომი ორგანო. რეგიონული მმართველობის რეფორმის დაბლოკვა ხელისუფლების მხრიდან სწორედ ამ მიზეზის გამო მოხდა - ვინაიდან კონსტიტუციით პრეზიდენტს უშუალოდ არა აქვს აღმასრულებელი ფუნქცია, მას ურჩევნია არაფორმალურად უხელმძღვანელოს თავისივე დანიშნულ რწმუნებულებს რეგიონებში, ვიდრე დაუქვემდებაროს ისინი მინისტრთა კაბინეტს, როგორც უზენაეს აღმასრულებელ ორგანოს.

**სუსტი ეკონომიკა** რეგიონების ცენტრზე დამოკიდებულებას განაპირობებს. საბჭოთა ინდუსტრიული ეკონომიკის დეგრა-

დაციამ მკვეთრად შეამცირა ეკონომიკური აქტივობა და, შესაბამისად, ეკონომიკის მოცულობაც. ტრადიციულად ინდუსტრიული ქალაქები: რუსთავი, ქუთაისი, ზესტაფონი, ჭიათურა, აგრეთვე მსუბუქი მრეწველობისა და აგრარული გადამამუშავებელი ცენტრები, კარგავენ რა ჩვეულ თვისებას, ვერ ახერხებენ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. აგრარულ რეგიონებში გავრცელდა ნატურალური მეურნეობების თანამედროვე ტიპი, რომელიც არა პროდუქციის წარმოებაზეა ორიენტირებული, არამედ თვითმოსმარებაზე.

სუსტი ეკონომიკა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ადგილობრივი ელიტების შექმნის საშუალებას არ იძლევა, რომლებიც ადგილობრივი საზოგადოების რეპრეზენტაციას შეძლებდნენ და ცენტრიდან მოსულ პოლიტიკურ თუ ბიზნეს-ფიგურებს კონკურენციას გაუწევდნენ. მაჟორიტარ ოლქებში არჩეულ დეპუტატთა უმრავლესობა ცხოვრობს და მუშაობს თბილისში და არა შესაბამის ოლქებში. ადგილობრივ ელიტებს განსაკუთრებით ძლიერი დარტყმა მიაყენა დეინდუსტრიალიზაციამ, რომელმაც ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენცია ფუნქციისა და სტატუსის გარეშე დატოვა და მათი თანამედროვე „თეთრ საყელო-იანებად“ ტრანსფორმაციის შანსი თითქმის მოსპო.

არსებული ეკონომიკური (რომელიც უმუშევრობის ძალზედ მაღალ დონეს იწვევს) და პოლიტიკური (ადგილობრივი მმართველობითი და სახელმწიფო ორგანოების უმნიშვნელობა) სიტუაცია შრომისუნარიან მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას, **მიგრაციისკენ** უბიძგებს. მათი ნაწილი საზღვარგარეთ მიდის, სხვები კი დედაქალაქ თბილისის უმუშევართა რიგებს ავსებენ (ან ნაკლებად პრესტიჟული პროფესიით მუშაობენ). ეკონომიკის განუვითარებულობისა და სოციალურ – პოლიტიკური ცხოვრების მარგინალიზაციისგან გამოწვეული მიგრაცია ცენტრისკენ (თბილისისკენ) კიდევ უფრო აძლიერებს ადგილობრივი თემების სისუსტეს და ადგილობრივი ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური პოტენციალის ზრდას თითქმის გამოორიცხავს. ყოველივე ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ისევეა ძლიერ ტენდენციას ცენტრალიზაციისაკენ.

**გლობალიზაციის პროცესი** ცენტრალიზაციის პროცესს უწყობს ხელს. მისი გამოწვევები (ენობრივი, ინფორმაციული, ტექნოლოგიური, ეკონომიკური, კომუნიკაციური და ა.შ.) შესაბამისი რესურსებისა და ქსელების ხელმისაწვდომობას მოითხოვს. ეს ხელმისაწვდომობა კი გაცილებით ადვილად რეალიზდება ცენტრში ვიდრე რეგიონებში (უმეტესობა შემთხვევებში

რაიონებში ყოველივე ეს აბსოლუტურად მიუწვდომელია). ამავე დროს, გლობალიზაციის გამოწვევებთან გასამკლავებლად რესურსებისა და ძალისხმევის გაერთიანებაა საჭირო რაც ასევე პოზიტიურად მიესადაგება ცენტრალიზაციის ტენდენციას.

**სახელმწიფოს დაშლის შიში** – ტერიტორიათა ეთნიკური არაერთგვაროვნება ასევე აძლიერებს ძალაუფლების ცენტრალიზაციის ტენდენციას. დეცენტრალიზაცია, გაცნობიერებულად ან გაუცნობიერებლად, ასოცირდება ავტონომიზმისა და სეპარატიზმის ტენდენციებთან. როგორც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, ასევე ამჟამად არააქტიური მაგრამ პოტენციურად სეპარატისტულ რეგიონებად მოსაზრებული სომხებითა და აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონების არსებობა, ხელს უწყობს ამგვარ შეხედულებებს. ითვლება, რომ, ტერიტორიების ავტონომიურობის გაზრდა და ადგილობრივი ხელისუფლებებისა და ინსტიტუტების კომპეტენციათა შესაბამისი გაფართოვება აუცილებლად გააძლიერებს სეპარატისტულ განწყობებს, იმდენად რამდენადაც მრავალეთნიკურ მოსახლეობაში პოლიტიკური ერთობის არასაკმარისი კონსოლიდირებულობის პირობებში ეთნიკური იდენტობის მნიშვნელობა მოქალაქეობრივს აღემატება. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა რეგიონთან მიმართებაში დამოკიდებულება მსგავსი უნდა იყოს, ინსტიტუციონალური მოწყობისადმი უნივერსალისტური მიდგომა ეთნიკურად მხოლოდ ქართველებით დასახლებული რეგიონებისადმიც მსგავს მიდგომას განაპირობებს.

**სახელმწიფოებრიობის გარე საფრთხეების** წინააღმდეგ არსებული განწყობებიც აგრეთვე აძლიერებს ცენტრალიზაციას. საზოგადოებრივი აზრი მიიჩნევს, რომ ეს მოდელი გაცილებით უფრო ეფექტურია გარე საფრთხეთა ასაცილებლად ვიდრე დეცენტრალიზებული მმართველობითი სისტემა. ითვლება, რომ დეცენტრალიზაციის შემთხვევაში არაკეთილმოსურნე გარე ძალები უფრო ადვილად შეძლებენ ცალკეული რეგიონების მიმართ საკუთარი ინტერესებისა და გეგმების განხორციელებას. ამის მაგალითად არა მარტო აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი განიხილება, არამედ ასლან აბაშიძის რეჟიმის დროინდელი აჭარაც. საზოგადოებრივ მენტალობაში მუდმივი და პერმანენტული საგარეო მტრის ხატის დაფუძნება, აყალიბებს ნაციონალისტური ერთობის იდეას. ამ ხედვით ახალი და სუსტი სახელმწიფო მხოლოდ ერთიანი, საყოველთაო ძალისხმევით შეძლებს მტრის მოგერიებას, რომელსაც ცენტრალიზებული პო-

ლიტიკური ნება მართავს. საგარეო საფრთხეების მოგერიებას ერთიანობა ესაჭიროება.

**იდეოლოგია**, რომლითაც ხელისუფლება საკუთარი ძალაუფლების ლეგიტიმაციას ახდენს აგრეთვე ხელს უწყობს ცენტრალიზაციას. დემოკრატია გაგებულია არა როგორც ორიენტირებისა და ნორმების სისტემა, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებას განაპირობებენ და საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისკურსისა და ქცევების მიმართულებას განსაზღვრავენ. იგი საზოგადოებისაგან „გარე“ ფენომენად რჩება და ხელისუფლების ლეგიტიმაციას არა ამ საზოგადოების მეშვეობით ახდენს, არამედ სხვა წყაროებით, როგორებიც შესაძლოა იყოს „პროგრესული საერთაშორისო საზოგადოება“, „დემოკრატიული ძალები“ ან „ჭეშმარიტი მეცნიერული თეორიები“ (ისევე როგორც საბჭოთა დროს მეცნიერულ კომუნიზმის თეორია), „მოწინავე დასავლეთი“ და ა.შ. აშკარაა, რომ დემოკრატიის ამგვარი ფორმა მხოლოდ ცენტრალიზებულ პოლიტიკურ სისტემაში შეიძლება ეფექტურად ფუნქციონირებდეს და მხოლოდ ვერტიკალურად – ზემოდან ქვემოთ.

რას შეუძლია შეასუსტოს ცენტრალიზაციის ტენდენცია?

მნიშვნელოვანი (მაგრამ არა გადამწყვეტი) როლი შეიძლება შეასრულოს ევროპული სტრუქტურების მიერ შესაბამისმა დაწოლამ. ასევე უადრესად მნიშვნელოვანია დეცენტრალიზაციის მიმართ საზოგადოებრივი განწყობებიც. პოსტსაბჭოთა გამოცდილების 20 წელი გვიჩვენებს, რომ არსებული ცენტრალიზებული პოლიტიკური სისტემა არაეფექტურია და ადგილებზე არსებული პრობლემების გადაწყვეტა არ შეუძლია. დეცენტრალიზებული მოდელი კი (თუ მაღალგანვითარებული დემოკრატიული ქვეყნების ჭეშმარიტი გამოცდილება მის სასარგებლოდ საკმარისი არგუმენტი არაა), საქართველოში ჯერ გამოუცდელია და არც მისი არაეფექტურობის მტკიცების საფუძველი არსებობს.

### ძალაუფლების კონცენტრაცია

დემოკრატიული ცენტრალიზმის საბჭოთა ტრადიცია არა მარტო ძალაუფლების ცენტრალიზაციის ტენდენციას განაპირობებს, არამედ მის კონცენტრაციასაც. ორივე ეს ტენდენცია ერთმანეთს ასაზრდოებს.

ძალაუფლების კონცენტრაციაში მის მთლიანობას და განუყოფლობას ვგულისხმობთ. ესაა ხელისუფლების ტრადიციულად დანაწილებული შტოების (სამართლებრივ სახელმწიფოებში) ერთიანობა (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო), რომელშიც აღმასრულებელ ხელისუფლებას წამყვანი ადგილი უჭირავს. ხელისუფლების მსგავს მოწყობას შეიძლება არაკონსტიტუციურიც ვუწოდოთ რამდენადაც კონსტიტუციურად სწორედ ძალაუფლების დანაწილების და ძალაუფლების გაზიარების ტრადიციული პრინციპები ითვლება. ამ პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია ცენტრალური ხელისუფლების სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის პორიზონტალური ურთიერთდამოკიდებულების უზრუნველყოფა. ძალაუფლება ერთიანია როგორც ვერტიკალურ (ცენტრალიზაცია) ასევე პორიზონტალურ (კონცენტრაცია) განზომილებებში.

ძალაუფლების კონცენტრაციას ახალი პოსტსაბჭოთა არაკონსტიტუციონალიზმიც უწყობს ხელს, რომელიც, არა მარტო ზემოთ აღნიშნული არაფორმალური წესების ხარჯზე არსებობს, არამედ რიგი ფორმალური წესების ხელშეწყობითაც.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს **საპრეზიდენტო მმართველობა**. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, მართალია შეზღუდვისა და წონასწორობის პრინციპებზე იყო აგებული, ქვეყნის პრეზიდენტს მაინც ზედმეტად დიდ უფლებამოსილებას ანიჭებდა. პრეზიდენტი ერთდროულად ითვლებოდა სახელმწიფოს მეთაურადაც და მთავრობის ხელმძღვანელადაც. ვარდების რევოლუციის შემდეგ კონსტიტუციაში შეტანილმა შესწორებებმა კიდევ უფრო გააძლიერა (და დააკანონა) ისედაც ძლიერი პრეზიდენტის ძალაუფლება. პრემიერმინისტრის თანამდებობის შემოღებამ მთავრობის სასარგებლოდ პრეზიდენტის ძალაუფლების შემცირება არ გამოიწვია, არამედ პრეზიდენტის ინსტიტუტი კიდევ უფრო მტკიცე გახადა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების წინაშე, რადგან შესაძლებლობა მისცა პრეზიდენტს წარუმატებელი პოლიტიკის შემთხვევაში პასუხისმგებლობა თავიდან აეცილებინა. პარლამენტის დათხოვნის უფლების პრეზიდენტისთვის მინიჭებით, პარლამენტის როლი კიდევ უფრო შემცირდა და პრეზიდენტის ხელში ძალაუფლების კონცენტრაციას შეეწყო ხელი.

**პარლამენტის სისუსტე**, რომელსაც დიდწილად საპრეზიდენტო მმართველობის ხასიათი განაპირობებს. პრეზიდენტის პარტიის არჩევნებში გამარჯვებისა და უმრავლესობის შექმნის შემთხვევაში, რასაც დიდწილად ადმინისტრაციული რესურსი

და დამკვიდრებული საარჩევნო პრაქტიკა განაპირობებს, პარლამენტი სრულად ითქვიფება ერთიან, კონცენტრირებულ საპრეზიდენტო მმართველობით ვერტიკალში. საქართველოს სამივე პრეზიდენტს (გამსახურდია, შვეარდნაძე, სააკაშვილი) პარლამენტში უმრავლესობა გააჩნდა, რომლებსაც, ქვეყნის ზემოთ აღწერილი მოდელის გამო, “მორჩილებს” უწოდებდნენ.

ნაწილობრივ საბჭოთა მოდელზე დამოკიდებულების, ნაწილობრივ კი ახლადშექმნილი ფორმალური და არაფორმალური წესების გამო, საქართველოში ხელისუფლებას, პრაქტიკულად, მხოლოდ პრეზიდენტი განასახიერებს. პარლამენტი აღიქმება როგორც დამორჩილებული, არაწარმომადგენლობითი და არაავტონომიური სუბიექტი, სასამართლო ხელისუფლება კი როგორც ადმინისტრაციის ნაწილი (როგორც მაგალითად სამინისტრო და ა.შ.).

ძალაუფლების **ლეგიტიმაცია** ხდება არა წარმომადგენლობისა და მონაწილეობის (დემოკრატიული ლეგიტიმაცია), არამედ მისი ფუნქციონირების ეფექტურობის ნიადაგზე. ლეგიტიმაციის მსგავსი საშუალება ხელისუფლების პასუხისმგებლობის კონცენტრაციას იწვევს, რომლის ერთადერთი ამოცანაც, ფორმალური ინსტიტუციური წესებისა და პროცედურების იგნორირებით, ეფექტური შედეგების მიღწევაა. პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება ერთმანეთს ემთხვევა და პრეზიდენტის ფიგურაში გამოვლინდება. ეს უკანასკნელი, შესაბამისად, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების საკუთარ ხელში კონცენტრირებას ახდენს, რომელთა ნაწილიც ფორმალურად არ შედის მის კომპეტენციაში. მსგავსი სიტუაცია ახასიათებდა სამივე პრეზიდენტს.

თუკი მსგავს პოლიტიკურ სისტემაში ძალაუფლების კონცენტრაცია სუსტდება, მცირდება გადაწყვეტილებათა მიღების (ან მიღებული გადაწყვეტილებების) ეფექტურობაც და, შესაბამისად, მცირდება ძალაუფლების ლეგიტიმურობაც. როდესაც არაეფექტურობა კრიტიკულ ზღვარს აღწევს, ლეგიტიმურობა უაღრესად სუსტდება და არალეგიტიმური ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა საზოგადოების დიდი ნაწილისათვის მისაღები ხდება: თუკი ხელისუფლება არალეგიტიმურია, მის წინააღმდეგ არალეგიტიმური წესებით ბრძოლაც დაშვებულია.

პოსტსაბჭოთა საქართველოში ძალაუფლების კონცენტრაციას ის ფაქტორიც უწყობს ხელს, რომ არ არსებობს ავტონომიური და პროფესიონალური სახელმწიფო ბიუროკრატია. ამას, თავის მხრივ, ხელს უწყობს როგორც ისტორიული ტრადიცია,



ასევე პოსტსაბჭოთა არაფორმალური წესრიგი და სახელმწიფო აპარატის პოლიტიზირებულობა. პრინციპი „გამარჯვებული იღებს ყველაფერს“ გულისხმობს, რომ ხელისუფლებაში მოსული პარტია ძირეულად ცვლის სახელმწიფო აპარატს და თავისი ერთგული პოლიტიკური აქტივის რეკრუტირებას ახდენს. კლიენტელიზმი კიდევ უფრო ამცირებს ბიუროკრატის ავტონომიურობას. არავტონომიური ბიუროკრატია კი უპასუხისმგებლოა, მთლიანადაა დამოკიდებული პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე და არაა მოტივირებული დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისთვის. შედეგად იქმნება ვითარება, რომ სხვადასხვა დონის გადაწყვეტილებები პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეუსაბამოდ მაღალ დონეზე მიიღება. ეს ხდება არა მარტო ვერტიკალურ, არამედ ჰორიზონტალურ განზომილებებშიც. ვერტიკალური დერბის გათვალისწინებით კი იქმნება არადემოკრატიული სისტემებისთვის დამახასიათებელი პირამიდა.

ძალაუფლების კონცენტრაციის შერბილება შემდეგ ტენდენციებს ხელეწიფებათ:

ხელისუფლებაში მყოფ სხვადასხვა ჯგუფებს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლას კონცენტრაციის შესუსტება შეუძლია. სხვადასხვა ჯგუფებს შორის დაპირისპირება ყველა შემთხვევაში ამცირებს ხელისუფლების ფუნქციონირების ეფექტურობას და გარკვეულ ეტაპზე შესაძლოა მთლიანად რეჟიმის შესუსტება გამოიწვიოს. თუმცა ბოლო წლების საქართველოს გამოცდილებამ აჩვენა, რომ დაპირისპირების შემთხვევაში ფრაქციონერები ტოვებენ ხელისუფლებას და გადადიან გარე ოპოზიციური დაპირისპირების რეჟიმში, ხოლო ხელისუფლების შიგნით დარჩენის შემთხვევაში, მათ მაინც არ გააჩნიათ ბერკეტები რათა თავისი ინტერესები განახორციელონ. ეს მიუთითებს იმაზე, რომ დემოკრატიზაციის ისტორიულად გამოცდილი გზა - ელიტების პაქტი თამაშის წესების დაცვის თაობაზე საქართველოში ვერ ხორციელდება.

ოპოზიციის გაძლიერება და გააქტიურება უზრუნველყოფს პლურალისტური პოზიციების გაძლიერებას და ოფიციალური იდეოლოგიის დელეგიტიმაციას. თუმცა არსებულ დელეგიტიმაციას შეიძლება მოყვებოდეს არა რეჟიმის შესუსტება, არამედ მისი გადასვლა მმართველობის უფრო ძალისმიერ მეთოდებზე.

კონცენტრაციის ტენდენციის შესუსტებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია **ვეროსტრუქტურების მხრიდან დაწოლას** (რეალური თვითმმართველობის შემოღება, თავისუ-

ფალი სასამართლო და ა.შ.). თუმცა ამ დაწოლას რეალური შედეგების მოტანა მხოლოდ შესაბამისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მხარდაჭერის პირობებში შეუძლია. წინააღმდეგ შემთხვევაში ფორმალურ წესებში გარკვეული ცვლილებები შესაძლოა ადვილად ადაპტირდნენ დომინირებად არაფორმალურ წესრიგთან.

### ერთპიროვნული მმართველობა

საქართველოს პრეზიდენტი ქვეყნის განვითარების ძირითადი კურსის სიმბოლოდ და გარანტად მიიჩნევა. მისი პირადი და პოლიტიკური თვისებები ამ კურსთან იდენტიფიცირდება. ამას უზრუნველყოფს გაბატონებული იდეოლოგიაც. სხვადასხვა რეჟიმებისას ეს იდეოლოგია სხვადასხვაა. საბჭოთა კავშირის დროს, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პიროვნების მსგავსი იდენტიფიცირება ქვეყნის კომუნისტური განვითარების პერსპექტივასთან განპირობებული იყო იმ დროისთვის, რომ მან ყველაზე უკეთ იცოდა მეცნიერული კომუნიზმის თეორია და ამიტომ შეუძლებელი იყო არასწორი პოლიტიკა გაეტარებინა. შემდგომ, ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ ეროვნული იდენტობისა და დამოუკიდებლობის იდეოლოგია აღადგინა; ზვიად გამსახურდია დღემდე ბევრისთვის ჭეშმარიტად ქართულ იდენტობასა და პატრიოტიზმთან ასოცირდება. ითვლება რომ მისმა გარემოცვამ ითამაშა უარყოფითი როლი, აძლევდნენ რა მას ცუდ რჩევებს. შევარდნაძე განასახიერებდა პრაგმატულობასა და რაციონალურობას, სტაბილურობის შენარჩუნებას, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას. მას რამოდენიმე წელი დასჭირდა, რომ ერთპიროვნული მმართველი გამხდარიყო. როდესაც მისი პარტია ორად გაიყო და ზურაბ ჟვანიას ჯგუფმაც გარკვეულ წილ ძალაუფლებაზე გამოთქვა პრეტენზია (პარლამენტის კონტროლის პარალელურად), ამას მმართველობის ერთპიროვნული ხასიათი არ შეუცვლია, მაგრამ გაართულა ყოველგვარი გადაწყვეტილებების მიღება. ვარდების რევოლუციის შემდგომ ხელისუფლებაში ტრუმპეტირება მოვიდა, რომლებიც რეფორმების, დემოკრატიისა და დასავლეთთან დაახლოების მიმართულებას განასახიერებდნენ. თუმცა მმართველობის პირველივე თვეებში ძალაუფლება პრეზიდენტის ხელში აღმოჩნდა კონცენტრირებული.

ერთი გაბატონებული იდეოლოგიის ლეგიტიმაცია მოითხოვს, რომ **სწორი გადაწყვეტილებები ერთ ცენტრში მიიღებოდეს**. პოლიტიკური გადაწყვეტილებები აუცილებლად უნდა იყოს „სწორი“ მაგრამ არა ორი ან უფრო მეტი პოლიტიკურად განსხვავებული შეხედულების კომპრომისის შედეგი. ეს პრეზიდენტს ათავისუფლებს მისი ოპონენტების შეხედულებების გათვალისწინების აუცილებლობისაგან. პრეზიდენტი, გარკვეულ წილად, ითვლება იმ კურსის განხორციელების ექსპერტად, რაშიც მთელი საზოგადოება თანაბრად დაინტერესებული. ამ კურსის განვითარებისა და მისი პრიორიტეტების შესახებ შეხედულებების შესაძლო კონფლიქტი არალეგიტიმურია, რადგანაც სუბიექტურ საწყისებს ეფუძნება და არა „ტექნოკრატიულად“ მიღებული გადაწყვეტილებას. ამიტომაც, ოპოზიციასთან კონსულტაციები მხოლოდ სისუსტედ შეიძლება ჩაითვალოს და არა გონიერებად. ოპონენტები საუკეთესო შემთხვევაში უმნიშვნელონი არიან, უარეს შემთხვევაში კი უბრალოდ ხელს უშლიან წინსვლას.

ხელისუფლების პარტია ლიდერის ავტორიტეტს ემორჩილება. წამყვანი ფიგურები პირადი პოლიტიკური ერთეულების პრინციპით განისაზღვრებიან. **დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი** საბჭოთა დროიდან მოყოლებული ნარჩუნდება. ფინანსები, რომელთა გენერირებაც ფორმალურთან ერთად მნიშვნელოვანწილად არაფორმალური გზებითაც ხდება, ცენტრალიზებულია და მათზე კონტროლი ერთპიროვნული მმართველობის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. პარტიასა და სახელმწიფო აპარატში თანამდებობების, ისევე როგორც საარჩევნო სიაში ადგილების განაწილება უმაღლესი ხელისუფლების დონეზე წყდება.

სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესებსა და განსხვავებულობაზე საზოგადოების განვითარების ერთიანი სტრატეგიის უპირატესობის აღიარება ერთპიროვნულ მმართველობას უწყობს ხელს. სისტემის მკაცრი მაჟორიტარული ხასიათი, რომელშიც კონკრეტული ცალკეული ინტერესები პოლიტიკურად არალეგიტიმურია, ასევე დაკავშირებული კანონშემოქმედებითი საქმიანობის თავისებურებებთანაც. კანონის არის გულისხმობს განვითარების იმგვარ გზას, რომელიც საზოგადოებისთვის გარეგანია. მოქალაქე კანონის ობიექტია და არა სუბიექტი. კანონის ამგვარი გაგება მთლიანობაში ტრადიციული კია, მაგრამ დღესდღეობით, ზოგიერთ შემთხვევაში, პროტესტებს წარმოშობს.

მმართველობის უფრო კოლექციური და კონსენსუალური სტილი შესაძლოა წარმოიშვას სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებს შორის **კონკურენციის ინსტიტუციონალიზაციისა** და გადაწყვეტილებების მიღებისას უფრო მეტი **პლურალიზმის შექმნის** შემთხვევაში. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ არ იგულისხმება განხეთქილება მმართველ პარტიაში. ამგვარი განხეთქილების შემთხვევაში არ არსებობს კონფლიქტის გადაწყვეტის ინსტიტუციური მექანიზმი. უკიდურეს შემთხვევაში პრეზიდენტს შეუძლია დაშალოს პარლამენტი. მოლაპარაკებებისა და კომპრომისების მექანიზმები უადრესად სუსტია. კონფლიქტის გადაწყვეტის ინსტიტუციონალიზებული მექანიზმების შექმნის ერთ-ერთ გზად შეიძლება მივიჩნიოთ საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლა. მმართველობის ერთპიროვნულობის შემცირებას ასევე შესაძლოა ხელი შეუწყოს **სახელმწიფო აპარატის** განვითარებამ და პროფესიონალიზაციამ. სახელმწიფო აპარატმა, მისი პოლიტიზირებულობისა და პოლიტიკურ მმართველობასთან მიბმულობის შესუსტების შემთხვევაში, შესაძლოა საზოგადოებრივ ძალებთან კორპორატივისტული კავშირები შექმნას, რომლებით მანიპულირებაც უფრო ძნელი იქნება.

ოპოზიციური პარტიებიც, მიუხედავად მათი იდეოლოგიური მიმართულებებისა, ძირითადად ერთპიროვნული მმართველობის იგივე პრინციპზე არიან აგებული. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ერთპიროვნული მმართველობა არც პრეზიდენტის გადარჩევის შემთხვევაში შესუსტდება. ოპოზიციურ პარტიათა მკაცრად ცენტრალიზებული კოალიციის მოსვლა ხელისუფლებაში მმართველობას მხოლოდ არაეფექტურს გახდის - ნაცვლად ამისა, უნდა შენარჩუნდეს პარტიების მრავალფეროვნება და იმავდროულად ეს მრავალფეროვნება დაეყრდნოს კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებთან მიბმას.

### **ხელისუფლების პარტია, რომელიც ძალაუფლების დაკარგვისთანავე იშლება**

ცენტრალიზებული, კონცენტრირებული და ერთპიროვნული მმართველობის ერთ-ერთი მთავარი უზრუნველყოფელი ფაქტორია ხელისუფლების პარტია. მმართველი პარტიის მეშვეობით ხორციელდება სახელისუფლებო რესურსების კონტროლი. ისევე როგორც საბჭოთა მმართველობის დროს, პარტია განასახიერებს მთლიანად სახელმწიფოს. ამავე დროს, ვერც

ერთმა ასეთმა პარტიამ (რომლებიც ოდესმე ყოფილან ხელი-სუფლებში) ვერ შეძლო ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ განეგრძო არსებობა. ისინი ან საერთოდ ქრებოდნენ, ან მარგინალურ გაერთიანებებად იქცეოდნენ, რომლებსაც საზოგადოების მხრიდან სუსტი ლეგიტიმაციაც კი არ რჩებოდათ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კომუნისტები საქართველოს უმაღლესი საბჭოდან განდევნეს. მათ საზოგადოების თვალში მარგინალური, ძველმოდური და ანტიეროვნული პოლიტიკური ძალის იმიჯი შეიძინეს, რომელიც ახალ რეალობებს არ შეესაბამებოდა და საფრთხეს უქმნიდა “ყველაზე ძვირფას” რაღაც მაშინ დამოუკიდებლობა ითვლებოდა. კომუნისტური პარტიის ნანგრევებზე სხვა წარმონაქმნები ჩამოყალიბდნენ, რომლებიც ასევე ვერ გასცილდნენ მარგინალურ დონეს.

თითქმის იგივე დაემართა მოგვიანებით პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეთა გაერთიანებას. ისინი, ვინც ვერასოდეს ვერ შეეგუენ ახალ მმართველობას საერთოდ პოლიტიკის მიღმა დარჩნენ. ისინი ვინც ასე თუ ისე დათანხმდა პოლიტიკაში მონაწილეობაზე 1995 წლის არჩევნების შემდეგ პარლამენტში ვერ მოხვდნენ. ამ ძალების ნაწილმა ვარდების რევოლუციის დროს გარკვეული რეანიმირება მოახდინა, რაც 1991 წლის სახელმწიფო გადატრიალებისთვის რევანშს უკავშირდებოდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზვიად გამსახურდიას მმართველობის დღემოკლეობა ნაწილობრივ იმითაც იყო განპირობებული, რომ „მრგვალმა მაგიდამ“ ვერ მოასწრო სრულფასოვან ხელისუფლების პარტიად გარდაქმნა.

„მრგვალი მაგიდისაგან“ განსხვავებით, პრეზიდენტ შევარდნაძის პარტია „მოქალაქეთა კავშირი“ შეიქმნა თავიდანვე როგორც ხელისუფლების პარტია. ამ პარტიის წარმომადგენლები მრავალი წლის განმავლობაში ფლობდნენ სახელმწიფო ძალაუფლების ყველა მექანიზმს და შესაბამისად ყველა რესურსს აკონტროლებდნენ, რათა გაემყარებინათ პარტია. მისი დაშლა დაიწყო მაშინ, როდესაც დადგა დრო შევარდნაძის შემდეგ ხელისუფლებაში დარჩენისთვის ბრძოლისა. ბევრმა მისგან დროებით გამოყოფილმა ნაწილმა შეძლო და კვლავ მოექცა რევოლუციური ტალღის სათავეებში. შევარდნაძის პოლიტიკური სცენიდან წასვლის შემდეგ „მოქალაქეთა კავშირის“ ნარჩენები უკვე ვეღარ შეძლებდა არსებობის რაიმე სახით გაგრძელებას, თუმცა დაცემის რევოლუციურმა ფორმამ კიდევ უფრო გაამძაფრა ვითარება. პარტია უბრალოდ პოლიტიკური სცენიდან კი არ

წავიდა, არამედ იქნა განდევნილი, როგორც ყველაფერი იმ ცუდის განსახიერება, რომელიც „არასოდეს არ უნდა განმეორდეს“.

„ნაციონალური მოძრაობა“ ფუნქციონალურად ასევე ხელისუფლების პარტიას წარმოადგენს და ამ თვალსაზრისით არაფრით არ განსხვავდება წინამორბედებისაგან. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, უმოკლეს დროში სახელმწიფო აპარატის მოხელენი ახალი, პარტიული კადრებით იქნენ ჩანაცვლებულნი. ამგვარად, ქართული პოლიტიკური სისტემის გარკვეული სტაბილურობის გათვალისწინებით (ჩამოყალიბებული ტრადიციების განმეორებადობა, რაოდენ დეფექტურებიც არ უნდა იყვნენ ისინი), არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გადარჩევის ან ძალაუფლების რაიმე სხვა გზით დაკარგვის შემთხვევაში, ასეთივე ფატალურ ბედს ვერ გაექცევა.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ყველა რეჟიმის პირობებში ხელისუფლების პარტიების წარმოშობისა და მათი ძალაუფლების გარეშე არასიცოცხლისუნარიანობის მიზეზი არის თავად ამ პოლიტიკური ძალების, ისევე როგორც მთლიანად პოლიტიკური სისტემის ბუნება. ამგვარად, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ მათი არსისა და მახასიათებლების ანალიზით, ასევე მათი ფუნქციონირების მოდელის გათვალისწინებით, ჩვენ იმ მიზეზთა გაანალიზებასაც შევძლებთ, რომელთა გამოც ისინი ჯერ იქმნებიან, შემდეგ კი ძალაუფლების დაკარგვისთანავე წყვეტენ არსებობას.

**„პარტია სახელმწიფო“** საბჭოთა ტრადიციაა. საბჭოთა კონსტიტუციის მექანის მუხლი პარტიის წამყვან და განმსაზღვრელ ფუნქციას ამყარებდა. პარტია აუცილებელი იყო სახელმწიფოს სამართავად ყველა დონეზე (და არა მარტო გადაწყვეტილებათა მიღების მხოლოდ პოლიტიკური კურსის განსაზღვრის დონეზე, როგორც ეს კონსტიტუციურ დემოკრატიებშია). სახელმწიფო აპარატთან მისი სტაბილური თანაარსებობა განაპირობებდა სახელმწიფოს სტაბილურობასაც. ამგვარ პარტიას არ გააჩნდა ფუნქცია, რომლის განხორციელებაც შესაძლებელი იქნებოდა ხელისუფლებაში არ ყოფნის (მაგალითად ოპოზიციამი ყოფნის) შემთხვევაში.

გასაგებია, რომ მრავალპარტიულობაზე გადასვლასა და სახელმწიფოს პარტიისაგან გამოქვანას ამგვარი ინსტიტუციური მოწყობა უნდა შეეცვალა (გარკვეულწილად შეცვალა კიდევ). თუმცა, როგორც შემორჩენილი, ასევე ახლად შექმნილი მთელი

რივი ფაქტორები განსაზღვრავენ ხელისუფლების პარტიისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების იმ თავისებურებებს, რომლებზეც ზემოთ ვსაუბრობდით.

სახელმწიფოზე გადაჯაჭვული პარტია ლეგიტიმაციის რაიმე წყაროს უნდა ფლობდეს რომელიც მის სუბიექტურობასა და დროებითობას გამორიცხავდა. **ხელისუფლების პარტიას არ აქვს პოლიტიკური იდეოლოგია.** ის გამოხატავს ხალხის ნებას და წარმოადგენს მის აქანგარდს. ხოლო ისინი კი ვინც მის წინააღმდეგ არიან, შესაბამისად, ხალხის მტრებია და არა პოლიტიკურად ლეგიტიმური მეტოქეები. ის, რომ ყოველი ახალი რეჟიმი საქართველოში ახერხებს და საკუთარ თავს სწორედ ამგვარად წარმოაჩენს, მჭიდროდაა დაკავშირებული სისტემის სხვა თვისებებთანაც. მაგალითად ესაა ხელისუფლების არჩევნების ნაცვლად გადატრიალების გზით შეცვლა, საერთო-საყოველთაო ინტერესების კერძო ეკონომიკურ ინტერესებზე მადლა დაყენება, ეკონომიკის სისუსტე და ა.შ. ხალხის ნება კი ამავე დროს უცვლელი არაა, იგი იცვლება რეჟიმიდან რეჟიმამდე და ზოგჯერ ერთი რეჟიმის დროსაც.

თავის მხრივ, პარტიასთან გადაჯაჭვული სახელმწიფო ასევე ფლობს ლეგიტიმაციის სპეციფიურ ფორმას, რითაც მნიშვნელოვანწილად „უმრავლესობის ნებაზე“ დაფუძნებული სახელმწიფოს საბჭოთა ტრადიციას იმეორებს და არ ეფუძნება კონსტიტუციონალიზმის პრინციპებს. მიმდინარე პოლიტიკისაგან გამიჯნულად რომ იფუნქციონიროს, სამართლებრივ სახელმწიფოს რესპუბლიკური ლეგიტიმაცია უნდა გააჩნდეს (ყველას ნება და არა მხოლოდ უმრავლესობისა) და არა დემოკრატიული (ლეგიტიმაცია ხმათა უმრავლესობით). ლეგიტიმაციის ეს პრინციპი ჯერ კიდევ გამსახურდიას დროს იქნა დარღვეული, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის ლეგიტიმიზირება რეფერენდუმის (მოსახლეობის უმეტესობის ხმების) მეშვეობით მოხდა და არა საყოველთაო თანხმობით, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყო ტერიტორიის ნაწილზე ჯერ კონტროლის შესუსტებას, ხოლო შემდეგ კონფლიქტების საფუძვლის გაძლიერებას. „ვარდების რევოლუციამ“ და მის შემდგომ განხორციელებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა კიდევ უფრო გააძლიერა მავორიტარიზმის პრინციპი კონსტიტუციონალიზმის კიდევ უფრო შესუსტებით.

ეჭვს არ იწვევს, რომ პარტია სახელმწიფოს (ხელისუფლების პარტიის) ფუნქციონირება ფორმალურად დემოკრატიული მოწყობის პირობებში არაფორმალური ინსტიტუტების გაბ-

ლიერებას, გარკვეულ კორუფციასა და კანონთა დარღვევას მოითხოვს, როგორცაა, მაგალითად არჩევნების სასურველი შედეგების უზრუნველყოფა და ხელისუფლებაში მისი ფუნქციონალურობის უზრუნველყოფა (პარტიული დისციპლინის მეშვეობით მმართველობის ყველა დონეზე ზეგავლენა). **პოლიტიკური კორუფცია** ხელისუფლების პარტიის არსებობის განუყოფელი ნაწილია. ეს მოიცავს პარტიული ხაზინის შესავსებ ფინანსურ კორუფციასაც. „დემოკრატიული ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაშორება ხელისუფლების პარტიასა და სახელმწიფოს შორის კიდევ უფრო შემცირდა.

ამგვარად ხელისუფლების პარტიას დაშლისა და გაქრობის ტენდენცია აქვს და საუკეთესო შემთხვევაში მისგან მხოლოდ ცალკეული გამოყოფილი ფრაქციები რჩება (მმართველი პარტიისგან დროულად გამოყოფა გარკვეული რესურსების შენარჩუნებისა და შეცდომებზე პასუხისმგებლობათა მოხსნის ეფექტური საშუალებაა). საინტერესოა თუ როგორია ოპოზიციური პარტიის ის თვისებები, რაც განაპირობებს ან ხელს უშლის მათ ხელისუფლების პარტიად გარდაქმნას.

საქართველოში პარტიებს სოციალური ფუნდამენტი პრაქტიკულად არ გააჩნიათ. შესაბამისად ფართოდაა გავრცელებული სოციალური და ეკონომიკური **პოპულიზმი და ოპორტუნიზმი**. მათი პლატფორმები, რომლებთან შესაბამისობაშიც განსაზღვრავდნენ კონკრეტულ პოლიტიკასა და ყოველდღიურ მოქმედებებს, არ თამაშობს როლს ძალაუფლებისთვის ვერტიკალურ ბრძოლაში. სწორედ ამიტომაც პარტიების იდეოლოგიური პრიორიტეტები არამკაფიოა, პრაქტიკულად განუსაზღვრელია და ძალიან ადვილია მათი ერთმანეთში არევა. წინასწარჩვენო კამპანიის ან სხვა პოლიტიკური დებატების დროს, იმგვარი პარტიები, რომლებიც მნიშვნელოვან წილად ძალაუფლების მოპოვების მიზნით გარკვეულ პირთა გაერთიანებებს წარმოადგენენ და არა საზოგადოების უფრო ფართო ფენების ინტერესების გამომხატველებს, საკუთარი პრიორიტეტების განსაზღვრისას პრობლემის გადაწყვეტის ამა თუ იმ მექანიზმის პოპულარულობის მანევრებელს ეყრდნობიან. ამავე დროს ისინი არ განმარტავენ თუ როგორ უნდა მოხდეს ამ მიზნების მიღწევა, არამედ უბრალოდ ამბობენ იმას რაც ყველას სურს. შედეგად, ყველანი საუბრობენ ერთი და იგივეს, ამომრჩეველს კი იმის სჯერა, ვინც სხვაზე უკეთ მოახდენს ოპონენტების დისკრედიტირებას. მემარჯვენე და მემარცხენე იდეოლოგიებად დაყოფა უადრესად სუსტია ან აბსოლუტურად მნიშვნელობას მოკლებულია. საკმა-

ოდ ხშირად პარტიები, რომლებიც საკუთარ თავს მემარჯვენეებს ან ლიბერალებს უწოდებენ, მკვეთრად მემარცხენე და სოციალური იდეებით მანიპულირებენ. ხშირად ერთი პარტიის სხვადასხვა ღოზუნგები ერთმანეთთან მოდის წინააღმდეგობაში.

ამგვარი ვითარების განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს თავად საზოგადოებაც. თუმცა მხოლოდ საზოგადოების დადანიშნულება პასიურობასა და პომოგენურობაში, რომლის გამოცდაა, რომ პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიურობის დონე ძალიან დაბალია და შესაბამისად წარმომადგენლობითი და სტაბილური პოლიტიკური პარტიები არ იქმნება, არ იქნებოდა მართალი. თავის მხრივ, საზოგადოების ამგვარი **პომოგენური ხასიათიც** გარკვეული ობიექტური ფაქტორებით განისაზღვრება. ასეთებია მაგალითად: ეკონომიკური პრობლემები და ცხოვრების დაბალი დონე, რომლის გამოც საზოგადოებას პოლიტიკაზე აქტიური ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია. მიზანშეწონილი იქნება ამ პრობლემას უფრო მასშტაბურად თუ შევხედავთ და განვიხილავთ მას როგორც სოციალურ, ასევე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კრიზისს (საზოგადოებაში პოტენციურად არსებული დაყოფების თაობაზე იხ. ამავე კრებულის სტატიები).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პარტიებსა და საზოგადოებას შორის ინტერესებზე და ღირებულებებზე დაყრდნობილი რეპრეზენტაციული ურთიერთკავშირის არარსებობა ქართული პრაქტიკის დეფექტური ხასიათის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ სუბიექტებს შორის ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავება გარკვეულწილად გამოასწორებს ვითარებას და ჭეშმარიტად **რეპრეზენტაციული პოლიტიკური პარტიების** შექმნას შეუწყობს ხელს, რომლებიც, თავის მხრივ, დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი ინსტიტუტებია. ეს აგრეთვე დამოკიდებულია, რაიმე სახის პოლიტიკისადმი მკვეთრად გამოხატული და სტაბილური მიკუთვნებულობების გარეშე, პროტესტულ და ოპტიმისტურ დიაპაზონში საზოგადოებრივი განწყობების მერყეობის შემცირებაზეც.

საქართველოში ჯერ არ ყოფილა პრეცედენტი, რომ ხელისუფლებაში მოსულიყო პარტია, რომელსაც **პოლიტიკური ცხოვრების მრავალწლიანი ტრადიცია** ექნებოდა. არც ერთი ზემოთ აღწერილი პარტია არ მოსულა ხელისუფლებაში მეორე ან მესამე ცლით (მაგალითად არჩევნების მეშვეობით). ძალაუფ-

ლება ყოველთვის ისეთი პარტიის ხელთ აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომელიც ან სულ მცირე ხნით ადრე შეიქმნა („მრგვალი მაგიდა“ და „ნაციონალური მოძრაობა“), ან საერთოდაც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჩამოყალიბდა („მოქალაქეთა კავშირი“). ამგვარად, ხელისუფლების პარტიებს საქართველოში არასოდეს არ დასჭირვებიათ თავიანთი რეპრეზენტაციული ხასიათისა და საზოგადოებასთან კავშირების გაძლიერება. როდესაც კი ისინი ამგვარ აუცილებლობას აწყდებოდნენ (ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ), აღმოჩნდებოდა რომ მათთვის ამის გაკეთება უკვე ძალიან გვიანია და შეუძლებელი იყო (ზემოთ აღწერილ მიზეზთა გამო).

შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პარტიების მიერ ხელისუფლების მიღმა ყოფნის გამოცდილების დაგროვებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს საზოგადოებასთან მათ ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებას. ეს ხელს შეუწყობს მათ მოახდინონ პარტიის მტკიცედ სტრუქტურირება და დაიჭირონ მკვეთრად გამოკვეთილი ადგილი იდეოლოგიურ სპექტრში. ამგვარი პერსპექტივა ძირითადად ოპოზიციურ პარტიებს ეხება, ვინაიდან ხელისუფლების პარტიისათვის ამგვარი მოქმედების სტიმული კვლავ არ არსებობს.

### საზოგადოების დაბრუნება

#### შესავალი

საქართველომ გამოიარა პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციის 20-წლიანი პერიოდი. იმედები და ჩანაფიქრები დიადი იყო, მაგრამ მათი აღსრულება შორსაა საწყისი მოლოდინისგან. თუმცა კი ცხოვრება რადიკალურად გადასხვაფერდა, საბოლოო ჯამში ამ პერიოდმა არ მოიტანა ის, რაც მის სულისკვეთებას ამოძრავებდა - არც დემოკრატია, არც სუვერენიტეტი, არც ტერიტორიული მთლიანობა და არც მასობრივი კეთილდღეობა. დარჩა მხოლოდ იმედი, რომ ვითარების შეცვლა მაინც შესაძლებელია, და ამ ცვლილებაზე სამსჯელოდ იწერება ეს სტატია.

მიუხედავად იმისა, რომ შედეგები სრულად მიღწეული არ არის, განვლილი პერიოდი დამთავრებულია, ხოლო ახალი ტენდენციები სხვა მიმართულებით განვითარებაზე მიუთითებენ. დაწყებული ეტაპის თვისობრივი განსხვავებულობა განპირობებულია არა მარტო საკუთრივ საქართველოს შიდა ვითარებითა და აგვისტოს ომის შედეგებით, არამედ გლობალური ცვლილებებითაც. დემოკრატიზაციის მესამე ტალღა, რომლის ლოგიკას მიყვებოდა საქართველოს ბოლო ათწლეულების პოლიტიკური ტრანსფორმაცია, დასრულებულია<sup>1</sup>. ამაში იგულისხმება არა მარტო ის, რომ მსოფლიოში დემოკრატიზაციის წინსვლას უკუსვლის ტენდენცია ჭარბობს; პირველ რიგში აქ იგულისხმება ის, რომ საკუთარი პოტენციალი ამოწურა იმ იდეოლოგიურმა მუხტმა, რომელიც ამ ტალღის სტრატეგიულ მამოძრავებელს წარმოადგენდა. დღეს საკმაოდ ნათელია, რომ იმ მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, რაც ბოლო 20 წლის განმავლობაში დომინირებდა - არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში - შექმნილი რეალობის გამოსწორება ვერ მოხერხდება. საჭიროა ინოვაცია, განვლილი გამოცდილების გადაზრება, პრიორიტეტების გადახალისება. ამაზე არა მარტო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მეტყველებს, სწორედ ამგვარი გზავნილები ჯერ კიდევ კრიზისის დაწყებამდე იყო ბარაკ

<sup>1</sup> Carothers. 2007.

ობამას ლექსიკონში, რამაც მას ესოდენ დიდი პოპულარობა მოუტანა მსოფლიოში.

რისი ბრალია ის უსასრულო და დამღლევი პოლიტიკური ბრძოლები, რომლებიც ქვეყანაში უკვე 20 წელია გრძელდება, და რომლებიც ეფექტური და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის აგებით ვერა და ვერ დამთავრდა? ამ კითხვაზე ორი განსხვავებული პასუხი გაიცემა ხოლმე - ერთნი მიიჩნევენ, რომ ეს პოლიტიკური კულტურის ბრალია, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, არ ვვარგოვართ, ხალხიან-პრეზიდენტებიანად, იმ კარგი ინსტიტუტების ასამუშავებლად, რომლებსაც დემოკრატია ჰქვია. სხვებს მიაჩნია, რომ დიდი ნაწილი ჩვენი წარუმატებლობისა განპირობებულია სწორედ რომ შეუსაბამო ინსტიტუტების აგების მცდელობებით, და რომ სწორი ინსტიტუციონალური ინჟინერიით ვითარების გამოსწორება შესაძლებელია. ამ სტატიაში ჩვენ ვეცდებით მეორე ლოგიკას მივყვეთ. პირველ რიგში ვაჩვენებთ, რომ იმ კონტექსტში, რასაც საქართველო ჰქვია, იმ ინსტიტუციონალურ მოდელს, რომლის აგებასაც ვცდილობთ, არა აქვს წონასწორობის წერტილი. ანუ თუკი ძველებურად გავაგრძელებთ, გვაქვს ორი არასახარბიელო პერსპექტივა - ერთი არის დემოკრატიისგან საბოლოოდ დაშორება და მეზობელ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებთან მიმსგავსება, ხოლო მეორე - მეტი თავისუფლება და უფლებები, ვიდრე გვაქვს ამჟამად, მაგრამ ეფექტური და სტაბილური მმართველობის მიღწევის გარეშე. იმისათვის, რომ განვითარების ახალი ინსტიტუციონალური მიმართულება ავირჩიოთ, რაც სავსებით შესაძლებელია, საჭიროა ახლიდან ვიფიქროთ და ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა გვჭირდება და საით მივდივართ, ვინაიდან თუკი დავაკვირდებით, განვლილი პერიოდის მოვლენები თითქმის მათემატიკური სიზუსტით მომდინარეობს იმ თავისებურებებიდან, რომლებიც ინსტიტუციონალურ გარემოს ახასიათებს.

საბჭოთა წყობამ ჩამოაყალიბა სახელმწიფო, რომელსაც წარმართავდა არა მოქალაქეთა ნება, არამედ მმართველთა გარკვეული წრის გონი. დემოკრატიული გარდაქმნების განვლილმა პერიოდმა ადამიანთა ნებას ლეგიტიმაცია შესძინა, და მმართველობაში მისი მონაწილეობის თეორიული შესაძლებლობა დააკანონა. განსხვავებით ამ ორისგან, შემდგომი პერიოდი უნდა მიედგინეს მმართველობისთვის აუცილებელი მესამე კომპონენტის - სინდისის და მორალის პოლიტიკურ ამოქმედებას. ამ მესამე კომპონენტის ინსტიტუციონალური ლეგიტიმაციით შეიკვრება ქვეყნის პოლიტიკური ტრანსფორმაციის სრული წრე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მესამე პერიოდის ბოლოს სა-

ქართველო გახდება აუცილებლობით სრულიად დემოკრატიული ქვეყანა, არამედ მხოლოდ იმას, რომ ქვეყანა გახდება პოლიტიკური ერთობა, რომელსაც ძალუძს საკუთარი მომავალი თავად წარმართოს, რომელიც იყენებს პოლიტიკური ცხოვრებისთვის აუცილებელ ყველა მთავარ კომპონენტს - ცოდნას, ნებას და მორალს.

მოცემული სტატია შედგება რამდენიმე ქვეთავისგან. პირველ ქვეთავში მოკლედ მოხაზულია განვლილი პერიოდის მთავარი პრობლემა - ნეოლიბერალური პარადიგმის დომინანტით წარმართულ გარდაქმნებში კოლექტიური ღირებულებების სისუსტის პრობლემა. მეორე ქვეთავი ახდენს მოცემული პრობლემის მოდელირებას თამაშთა თეორიის ტერმინებში, და ერთმანეთს უპირისპირებს ნულოვანჯამოვან და არანულოვანჯამოვან პოლიტიკურ ურთიერთქმედებას, როგორც პოლიტიკური სისტემის მაფორმირებელ კონკურენტულ და კოოპერირებაზე აგებულ სტრუქტურულ ელემენტებს. მესამე თავი პარალელს ავლებს ამ სტრუქტურულ ელემენტებსა და არსებული დასავლური დემოკრატიების ორ ტიპს შორის -მაჟორიტარულ (ანგლო-საქსური) და კონსენსურ (ზოგჯერ პროპორციულად წოდებული, კონტინენტური ევროპა) დემოკრატიებთან. მეოთხე თავი უბრუნდება ვარდების რევოლუციის შემდგომი საქართველოს განვლილი გამოცდილების ანალიზს და ხსნის ამ პერიოდის ლოგიკას რაციონალური თვალსაწიერიდან. და ბოლოს, მეხუთე თავში გაანალიზებულია პოლიტიკური სისტემის შემდგომი კონსენსუალური განვითარების შესაძლებლობა.

## 1. გარდაქმნების პირველი ფაზა, ლიბერალური პროექტი

ძირითადი დებულება, რომელსაც ეყრდნობა მოცემული სტატია, არის ის, რომ დემოკრატიზაციის განვლილი ციკლის ცალმხრივობა და ნაკლებობა განპირობებულია იმ ნეოლიბერალური პარადიგმალური ხედვით და იმ წარმოდგენების ხასიათით, რომელიც ჯერ კიდევ ცივი ომის პერიოდში ჩამოყალიბდა. ამ წარმოდგენების თანახმად, საბჭოთა სისტემა ეყრდნობოდა კოლექტივისტურ იდეოლოგიას, რაც მკვეთრად განასხვავებდა მას დასავლური ლიბერალური დემოკრატიებისგან. კოლექტივიზმის ჩანაცვლება ინდივიდუალიზმით და ინდივიდუალიზმის მიერ ლეგიტიმირებული პოლიტიკური და ეკონომიკური ინ-

სტიტუტებით ამდენად წარმოადგენდა ყოფილი ტოტალიტარული სახელმწიფოს დემოკრატიზაციის "ლიბერალურ პროექტს".<sup>2</sup> ამ პროექტის განხორციელება პოლიტიკის სფეროში ინსტიტუციონალურად გამოიხატებოდა პირადი უფლებებისა და თავისუფლებების დამკვიდრებაში, პოლიტიკური პლურალიზმის დაშვებაში, მრავალპარტიულობაში და კონკურენტული პოლიტიკური შეჯიბრის შემოღებაში, რომელიც თავისუფალ არჩევნებს სისტემის ქვაკუთხედად აქცევდა. მოკლედ, ინდივიდუალიზმი და შეჯიბრებითობა იყო ის ღირებულებები, რომლებსაც წამყვანი როლი უნდა შეესრულებინა ტრანსფორმაციის პრაქტიკულად ყველა მიმართულების - დემოკრატიზაციის, საბაზრო ეკონომიკის, ვესტერნიზაციისა და სხვა მხრივ. რაც შეეხება კოლექტიურ ღირებულებებს, მათ ან განიხილავდნენ როგორც ინდივიდუალური ღირებულებების მარტივ ნაკრებს (აგრეგატს), ან როგორც უკვე (ჭარბად) არსებულს, და, ამგვარად, ხელისშემშლელს განვითარების ახალი გეზის წარმატებისთვის.

დღემდე ბევრი ავტორის თვალში, დემოკრატიის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს საზოგადოების კოლექტივიზმი, რომელიც განაპირობებს პოლიტიკურ უპასუხისმგებლობას, კონფორმიზმს, და, თანაც მომდინარეობს ტრადიციული ღირებულებების სიძლიერისგან. ". . . ინდივიდუალიზმიცა და „მრევლური კოლექტივიზმიც“ შეიძლება განვიხილოთ ერთი მხრივ დემოკრატიულ-ლიბერალური, ხოლო მეორე მხრივ – ფუნდამენტალისტურ-ნაციონალისტური პარადიგმების ჭრილში" -ეს ციტატა ფართოდ გავრცელებულ აზრს გამოხატავს<sup>3</sup>. დემოკრატიულ-ლიბერალური გარდაქმნა, ამ ხედვის თანახმად, უკავშირდება ინდივიდუალიზმს, ინდივიდუალიზმი დასავლურობას, და ორივე ერთად უპირისპირდება კოლექტივიზმს, რომელიც ძირს უთხრის დემოკრატიის განვითარებას.

<sup>2</sup> საჭიროა განვასხვაოთ "კოლექტივიზმი" და "ინდივიდუალიზმი" კოლექტიური და ინდივიდუალური ღირებულებებისგან ზოგადად. კოლექტივიზმი არის პოლიტიკური ტრადიცია, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ამა თუ იმ ჯგუფის მიზნებს პირად მიზნებთან შედარებით, ხოლო ინდივიდუალიზმი, პირიქით, პირად მიზნებს უფრო მაღლა აყენებს კოლექტიურებზე. ამდენად ის, რომ ლიბერალური პოლიტიკური ტრადიცია ინდივიდუალისტურია, არ ნიშნავს ამ ტრადიციის მიერ კოლექტიური ღირებულებების უარყოფას. რესპუბლიკანიზმი, საპირისპიროდ, კოლექტიურ მიზნებს ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ ამასთანავე ინდივიდუალურ ინტერესებსაც აღიარებს.

<sup>3</sup> გაგა ნიჟარაძე, <http://itv.ge/?p=20301>.

მოცემული ხედვა არასრულფასოვანია როგორც თეორიული, ასევე ემპირიული თვალსაწიერიდან. ჯერ ერთი, ლიბერალური დემოკრატიები უბრალოდ ვერ არსებობენ კოლექტივიზმის გარეშე. თავად პოლიტიკა ხომ კოლექტიური ღირებულებებისა და მიზნების მიღწევის ხელოვნებაა. და სწორედ მაშინ ხდება სასიცოცხლო, როდესაც ეს კოლექტიური მიზნები ვერ მიიღწევა ინდივიდუალური სწრაფვების უბრალო შეჯამებით (აგრეგირებით)<sup>4</sup>. თუკი კოლექტიური მიზნების გულისთვის არ ხდება ზოგჯერ მაინც პირადი მიზნების უკან გადაწევა, პოლიტიკური საზოგადოება ვერ იქმნება. შესაძლებელია, ამგვარი ხედვების ავტორებს უფრო ზუსტი ტერმინოლოგია რომ გამოეყენებინათ, ისინი რეალობასთან უფრო ახლოს აღმოჩნდნენ. სავარაუდოდ, ტალკოტ პარსონსის ისეთი მოდელური ცვლადები (pattern variables),<sup>5</sup> როგორებიცაა პარტიკულარიზმი და უნივერსალიზმი, უფრო კარგ შესაბამისობაშია იმ იდეებთან, რომელთა გადმოცემა ამ ავტორებს სურთ, ვიდრე ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი.

როდესაც ამგვარ ტერმინოლოგიას საბჭოთა დისიდენტები იყენებდნენ, ის იყო ადეკვატური, ვინაიდან მაშინ მათ არ შეეძლოთ პოლიტიკური მიზნების დასახვა. ეს ტერმინოლოგია შეესაბამებოდა მათ სწრაფვას არ ყოფილიყვნენ ვალდებული გაეზიარებინათ სახელმწიფოს მიერ თავსმოსხვეული იდეოლოგია და ცხოვრების წესი, ანუ სახელმწიფო კოლექტივიზმის ნორმები. დემოკრატიის მშენებლობის გზაზე დამდგარ დამოუკიდებელ საქართველოში კოლექტივიზმის დაგმობამ სულ სხვა ხასიათი შეიძინა. კოლექტივიზმი აწი არა სახელმწიფოსთან, არამედ საზოგადოებასთან გახდა ასოცირებული. ამგვარი ასოცირება კი აძლევს "პროდასავლურ ინდივიდუალისტებს" მორალურ გამართლებას მაშინ, როდესაც ისინი არადემოკრატიულად იქცევიან და საზოგადოებას არა დემოკრატიის საყრდენად, არამედ მის ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევენ.

ემპირიულად მოცემული ხედვის მცდარობა მდგომარეობს იმაში, რომ 80-იანი წლების საბჭოთა საზოგადოებები პრაქტიკულად არ ხასიათდებოდა რაიმე კოლექტიური ნორმების არსებობით, რაც დღემდე სათანადოდ არ არის გააზრებული. საბჭოთა ოფიციალური იდეოლოგია კი იყო კოლექტივისტური, მაგრამ მას არანაირად არ შეუქმნია კოლექტივისტური საზოგა-

<sup>4</sup> Elster, 2007.

<sup>5</sup> Parsons, 2001.

დობა, რომელიც საჯარო კოლექტიური ნორმებით იქნებოდა შეკრული. პირიქით, ტოტალიტარულ რეჟიმს გამოვლილი საბჭოთა საზოგადოებები ხასიათდებოდა ძლიერი ატომიზებითა და ანომიით. ამ საზოგადოებას აკლდა არა მარტო ინდივიდუალიზმი, არამედ კოლექტივიზმიც, ხოლო ორივეს ერთად ძლიერი კონფორმიზმი და სტატიზმი (state-ზე, სახელმწიფოზე მიეწერილი პასუხისმგებლობის გადაბარება) ანაცვლებდა. კონფორმიზმი არადემოკრატიული და არათავისუფალი სახელმწიფოს მიმართ არამც და არამც არ შეიძლება შეგვეშალოს კოლექტივიზმში, რომელიც საზოგადოების, და არა სახელმწიფოს სიძლიერის მახასიათებელია. კორუფციის მაღალი დონე, რომელიც პოსტ-საბჭოთა საზოგადოებებს მოსდევს, უკავშირდება სწორედ რომ კოლექტივიზმის ნაკლებობას, და არა მის სიძლიერეს.

ნაწილი მაინც გაუგებრობისა, რომელიც ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის შესახებ დისკურსებს ახასიათებს, მომდინარეობს ტერმინოლოგიური აღრევებისგან. კოლექტივიზმი როგორც ჩანს, ხშირად ასოცირებულია მის არადემოკრატიულ (პარტიკულარისტულ) ფორმებთან, როდესაც უმრავლესობის ნების აღსრულება ხდება პიროვნების/უმცირესობის განადგურების ხარჯზე. ამგვარი კოლექტივიზმის უარყოფა პრაქტიკაში ხშირად გადადის საპირისპირო უბედურების დამკვიდრებაში - უმრავლესობის უფლებების შეზღუდვაში და უმცირესობის დიქტატურის დამყარებაში. ამის თავიდან აცილება შესაძლებელია, თუკი გავისხენებთ, რომ კოლექტივიზმისა და ინდივიდუალიზმის განმარტებები მათ არარეველუციურ ინტერპრეტირებებში გულისხმობენ მხოლოდ უპირატესობების მინიჭებას ერთ-ერთი ღირებულებისადმი, და არა მეორის სრულ უარყოფას და უკუგდებას. პოსტსაბჭოთა საზოგადოებების პრობლემა მდგომარეობს არა იმაში, რომ კოლექტიური მიზნები და ღირებულებები დომინირებენ პიროვნულზე, ან პირიქით, არამედ იმაში, რომ კოლექტიურ და ინდივიდუალურ ღირებულებებს შორის არსებობს ღრმა უფსკრული, რომელიც მათ პოლარიზებას წარმოქმნის. პირადი მიზნების მიღწევისკენ სწრაფვა ანგრევს კოლექტიურ ინტერესებს, ხოლო კოლექტიური მიზნების წინ წამოწევა ეწინააღმდეგება ინდივიდების ინტერესებს. ინდივიდუალიზმის გაიგივებამ დემოკრატიასთან ხოლო კოლექტივიზმის საბჭოურ მემკვიდრეობასთან ამ პრობლემის შესუსტებას კი არ შეუწყო ხელი, არამედ მის გაღრმავებას. დემოკრატიას სჭირდება როგორც ერთი, ასევე მეორე. რაც უფრო მეტად ებრძვის ინდივი-



დუალიზმი კოლექტივიზმს, მით უფრო მეტად უწყობს ხელს ინდივიდების ატომიზებას და საზოგადოების დასუსტებას.

შემდგომში ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ჩვენ თავს ავარიდებთ ინდივიდუალიზმზე და კოლექტივიზმზე საუბარს, სანაცვლოდ ვილაპარაკებთ ინდივიდუალურ (პიროვნულ) და კოლექტიურ მიზნებზე და ღირებულებებზე და მათი მიღწევის სტრატეგიებზე. კონკურენცია, შეჯიბრი იქნება განხილული იმ ვითარების აღწერად, როდესაც პიროვნება ისწრაფვის მიაღწიოს პირველ რიგში საკუთარ მიზანს, ხოლო სხვები მას აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ამ მიზნის მიღწევას ხელს უწყობენ თუ ეწინააღმდეგებიან. კოოპერაცია, ერთობლივი ქმედება აღწერს იმ ვითარებას, როდესაც ადამიანთა ჯგუფი ცდილობს მიაღწიოს საერთო მიზანს, რომელიც ყველასთვის (თითოეულისათვის) მისაღები და სასურველი იქნება. პირველი ვითარების ნაირსახეობას წარმოადგენს ვაჭრობის შედეგად მიღწეული კომპრომისი, როდესაც თითოეული მხარე აღწევს სასურველის ნაწილს, იმ წინააღმდეგობის გათვალისწინებით, რომელსაც მას მეორე მხარე უწევს. მეორე ვითარების ნაირსახეობას წარმოადგენს ნაწილობრივი კონსენსუსი, როდესაც საერთო მიზანი ვერ მოიცავს ყველა პიროვნულ მიზანს და პიროვნულ მიზნებზე ორიენტირებული ქმედებების ნაწილი იზღუდება. როგორც პირველი, ასევე მეორე მოდელი, ამდენად, ზღუდავს პიროვნების არჩევანის თავისუფლებას იმით, რომ მას სხვა ადამიანების საზოგადოებაში უწევს მოქმედება და ამდენად მათთვის ანგარიშის გაწევა, მაგრამ ეს სხვადასხვა ღირებულებების საფუძველზე ხდება. პირველ შემთხვევაში მეტია ეგოისტური სწრაფვები, ხოლო მეორეში ჭარბობს ალტრუისტული განწყობები.

თუკი ამ კუთხით შევხედავთ, დავინახავთ, რომ გარკვეული გაგებით ის პოლიტიკური და ეკონომიკური კონკურენცია, რომლებსაც ამკვიდრებს ლიბერალური პროექტი, კი არ ეწინააღმდეგება იმ წარმოდგენებს პოლიტიკაზე, რომელიც საბჭოურობიდან მომდინარეობს, არამედ მათ განამტკიცებს. ერთი და მეორეც კონფლიქტს და დაპირისპირებას იხილავს (დიალექტიკური) განვითარების მამოძრავებელ ძალად. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ პირველ შემთხვევაში მიზანი მიღწეულია როდესაც ოპონენტი განადგურებულია, ხოლო მეორეში განადგურება მიზნად არ ისახება, საკმარისია უბრალო უპირატესობის მიღწევა. ამდენად განსხვავება კონკურენციის სამართლიანი წესების დაცვაშია, რასაც ლიბერალიზმი გარკვეულწილად იხილავს ექსტერნალიად, ანუ არაპოლიტიკურ და

არაეკონომიკურ სარჩულად, რომელშიაც მოთავსებულია კონკურენცია. ეს პროექტი ვერაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორ უნდა წარმოიქმნას ეს ნორმები, თუკი არ არსებობს მათი დამკვიდრების არანაირი რაციონალური პოლიტიკური ლოგიკა. სინამდვილეში ისინი კონკურენციის გზით არც წარმოიქმნება, როგორც ამას განვლილი გამოცდილება აჩვენებს, ხოლო შეჯიბრის ის მონაწილე, რომელსაც ამის შესაძლებლობა ეძლევა, წარმატებით ირგებს როგორც მოთამაშის, ასევე მსაჯულის ფუნქციებს, რაც საბჭოთა წარსულის განმეორებასა და რეინკარნაციას უფრო წააგავს, ვიდრე ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრებას.

ასევე უნდა ითქვას, რომ ლიბერალიზმი დასავლურ ტრადიციაში არასდროს ყოფილა მხოლოდ და მხოლოდ ეგოისტური კერძო სფეროს ტრიუმფი საერთო, კოლექტიური ღირებულებების საპირისპიროდ. ლიბერალიზმი, სხვა დასავლურ ტრადიციებთან ერთად, როგორებიცაა ჰუმანიზმი, რომანტიზმი თუ რესპუბლიკანიზმი, ყოველთვის ქმნიდა და ქმნის საერთო ღირებულებებსაც, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებისა და ეკონომიკური ინსტიტუციონალური წესრიგის დეგენერაციას. მაგრამ დასავლეთის ისტორიული განვითარების ეს ასპექტი საკმაოდ დაჩრდილა ბოლო ათწლეულების დომინანტურმა ნეოლიბერალურმა პარადიგმამ, რომლის ერთ-ერთი წამყვანი ადვოკატის, მარგარეტ ტეტჩერის განთქმული გამონათქვამი, "არ არსებობს ისეთი ცნება როგორცაა საზოგადოება, არსებობენ მხოლოდ ინდივიდები"<sup>7</sup> ზუსტად გამოხატავს ამ პერიოდის მეინსტრიმს. გულუბრყვილო წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ თავისუფალი ინდივიდები ავტომატურად წარმოქმნიან საერთო ღირებულებებს ინდივიდუალური ღირებულებების უბრალო აგრეგირებით არ შეესაბამება არც ლოგიკასა და არც ისტორიულ გამოცდილებას, მაგრამ ეს ფაქტი უყურადღებოდ იქნა დარჩენილი დიდი ხნის განმავლობაში.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ საქართველო კოლექტიური ნორმების არსებობის თვალსაზრისით შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა ვიდრე რუსეთი, ვინაიდან აქ მეტი იყო არაფორმალური (მეტწილად ჩრდილოვანი) სოციალური კაპიტალი და სოლიდარობის ნორმები. მაგრამ ეს სუსტი სოცია-

<sup>6</sup> O'Donnell, 1998.

<sup>7</sup> იხ. "ტეტჩერიზმი" ნიგნში Tansey, 1995

ღური კაპიტალი კი არ გაძლიერდა, არამედ შესუსტდა შემდგომ პერიოდში, როდესაც სახელმწიფო დამოუკიდებლობამ და მოზავავებულმა აქცენტმა ინდივიდუალიზაციაზე ადრე არსებული ერთობლივი ქცევის ნორმები შეარყია. არაფორმალური სოციალური ქსელები შესუსტდა, სამაგიეროდ მძლავრად იფეთქა ნაციონალიზმმა, ფაშიზმმა, სახელმწიფო იდეოლოგიის ნაირნაირი ფორმების ძიებამ, რამაც საბოლოო ჯამში თვით "დასაგლეითი" და "ნატო" აქცია სახელმწიფო იდეოლოგიის მსგავს სლოგანებად, ყოველ შემთხვევაში, სტატიზმის გარკვეულ ნაირსახეობად.

ურთიერთხელშემწყობი ინდივიდუალური და კოლექტიური ღირებულებების დამკვიდრება არც ისე ადვილია. პოსტ-საბჭოთა თავისუფლებების უცაბედად და მოულოდნელად მიღებამ მოიტანა ის, რომ კოლექტიური ღირებულებების დამკვიდრება უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ინდივიდუალურების. "ნაჩუქარი" თავისუფლების ნეოლიბერალური პროექტი პირველ ხანებში უფრო ადვილად კი ხორციელდებოდა ატომიზირებულ საზოგადოებაში. ერთმანეთთან სუსტად შეკავშირებული ინდივიდები, რომლებსაც წყურიათ თავისუფლება და წარმატება, სწრაფად ირგებენ მის რაციონალისტურ ლოგიკას, რომელიც მათ ეგოისტურ მოქმედებას ამართლებს და გასაქანს აძლევს. გაცილებით უფრო ძნელია ამგვარ საზოგადოებაში დაამკვიდრო კოლექტიური ღირებულებები, ისეთები, როგორებიცაა მორალი, ეთიკა, წესიერება, ნდობა, სოლიდარობა და სხვა, რაც პიროვნებისგან გარკვეულ პასუხისმგებლობასა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას მოითხოვს.

ლიბერალური პროექტი თავისთავად ვერ ამკვიდრებს კოლექტიურ ღირებულებებს, ხოლო მის გარეშე ვერ განვითარდება კერძო სფეროს ავტონომია. ამ პროექტის წარმატებლობის აღიარება, ამდენად, არ ნიშნავს ლიბერალიზმის უარყოფას, არამედ უარის თქმას მისი ნეოლიბერალური ვერსიის დეტერმინისტულ ერთგანზომილებიან ხასიათზე. ორგანოზომილებიან სისტემებში განვითარების ვექტორის გადატანა არ აყენებს არც კოლექტიური და არც ინდივიდუალური ღირებულებების დომინაციისთვის ბრძოლის საჭიროებას, არამედ მათ შორის მიმართებების გზების ძიებას.

შესაძლოა ეს ყოველივე სხვა, უფრო გასაგები ტერმინოლოგიითაც აღწერილიყო, ვინაიდან ქართულ საჯარო დისკურსში ლიბერალური პროექტი აღმოჩნდა ტრანსლირებული სხვა ტერმინოლოგიაში, ის ხშირად არასწორად გაგებულია საგა-

რეო ურთიერთობების ჭრილში. იყო ლიბერალი ნიშნავს იყო პროდასავლური და პირიქით. გარკვეულწილად ამ ადრევის მიზეზი ისიც არის, რომ ის სწორედ ის პროექტია, რომელიც, განსხვავებით ტრანსფორმაციის სხვა, უფრო ენდოგენური კომპონენტებისგან, შესაძლოა გარე აქტორების მხარდაჭერით და/ან გლობალიზაციის გავლენით ვითარდებოდეს. მისგან განსხვავებით კოლექტიური ღირებულებების დამკვიდრება საზოგადოებას მხოლოდ შიგნიდან და თავისთავად შეუძლია, და ამაში ის საკუთარ თავთან გარკვეულ განმარტობას საჭიროებს.

## 2. პოლიტიკა და საზოგადოება: ვინც წესებს არღვევს, არ ვეთამაშებით

ინდივიდუალურ და კოლექტიურ მიზნებსა და ღირებულებებს შორის არსებული ინსტიტუციონალური მიმართებები პოლიტიკური საზოგადოების სტრუქტურულ საწყისებს აყალიბებენ. ამ თავში ჩვენ ვეცდებით მოვახდინოთ ამ სტრუქტურული ელემენტების მარტივი მოდელირება, რათა თავი ავაცილოთ პოლიტიკის თეორიის სიღრმეებში წასვლას. მსჯელობას თამაშთა თეორიის ჭრილში გადავიყვანთ. საკვანძო ცნებებად კონკურენტულ და კოოპერაციულ თამაშებს გამოვიყენებთ. ეს მოდელი მკითხველს შეუძლია თამამად გააიგიოს ინდივიდუალური ან კოლექტიური მიზნების მიღწევაზე მიმართულ სტრატეგიებად, ან, უფრო მარტივად, იფიქროს მათზე როგორც კონკურენციაზე და კოოპერაციაზე პოლიტიკაში. უფრო სიღრმისეულად შეიძლებოდა ლაპარაკი იმაზე, რომ დასავლურ დემოკრატიას ქმნის რამდენიმე პოლიტიკური ტრადიციის ერთობლიობა, მათ შორის ისტორიულად ლიბერალიზმი და რესპუბლიკანიზმი წამყვან როლს თამაშობდა. ორივე თამაშთა თეორიის მოდელებით შეიძლება წარმოვაჩინოთ, თუმცა ჩვენ ამ თემას მოცემული სტატიის ფარგლებში შემდგომ არ განვაგრძობთ. ამის სანაცვლოდ მოგვიანებით უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობთ ამ მოდელების მისადაგებას სხვადასხვა ტიპის დემოკრატიების საკონსტიტუციო მოდელების თავისებურებებს.

პირველ მოდელში წამყვან როლს კონკურენცია თამაშობს. წარმოიდგინეთ საფეხბურთო მოედანი, რომელზედაც ორი გუნდი ეჯიბრება ერთმანეთს გამარჯვების მოსაპოვებლად. ჯამურად ორივე გუნდის მოგება-წაგებების ჯამი ნოლია, ის რაც ერთმა გუნდმა მოიგო, მეორემ უნდა წააგოს. თამაშის წე-

სები თამაშის დაწყებამდე დადგენილია, და გუნდები ამ დადგენილ წესებს უნდა ასრულებდნენ, თამაშის პროცესში წესების შეცვლა მათ კომპეტენციაში არ შედის. წესების საკონტროლებლად არსებობენ მსაჯები, რომლებსაც მიუკერძოებლობა და ნეიტრალობა მოეთხოვებათ, და გარდა ამისა თამაშს აკვირდება მაყურებელთა სტადიონი, რომელიც უშუალოდ თამაშში არ მონაწილეობს. გარე დამკვირვებლის (დამკვირვებლების) არსებობა ამ მოდელში აუცილებელია, და არსებითი. გამარჯვება მოთამაშეთა მთავარ რაციონალურ მიზანს წარმოადგენს, ხოლო სიამოვნება, რომელსაც დებულებები მაყურებლები თამაშის ყურებისგან, ანუ სარგებელი ამ სპორტისგან, მათთვის მხოლოდ გვერდითი პროდუქტია, და არა თავისთავადი ღირებულება.

პოლიტიკის ეს ნულოვანჯამოვანი მოდელი კონკურენციას ათავსებს პოლიტიკური ქმედების შუაგულში და მკაფიოდ ასხვავებს ერთმანეთისგან მოთამაშეებს (პოლიტიკურ პარტიებს, პოლიტიკურ ელიტას, ფეხბურთელების ექვივალენტი) და სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც მაყურებელია და თამაშის შემფასებელია უფრო, ვიდრე მონაწილე. ამ მოდელში პოლიტიკური პარტია მოთამაშეა, ხოლო მოქალაქე - მაყურებელი, და პოლიტიკა უფრო ელიტების საქმეა, ვიდრე საზოგადოებისა. პოლიტიკა, რომელსაც გამარჯვებული პარტია გაატარებს, უფრო ამ შეჯიბრის გვერდითი პროდუქტია, ვიდრე თვითმიზანი შეჯიბრში მონაწილე მოთამაშეთათვის.

ამგვარი ელიტისტური სანახაობრივი პოლიტიკა საკმაოდ მისაღებია პოსტ-საბჭოთა ინდივიდუებისთვის, რომლებიც ტრადიციულად ნაკლებად იღებენ პასუხისმგებლობას პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე და უფრო გარედან ურჩევნიათ მას დააკვირდნენ, ვიდრე მასში ჩაერთონ. ამდენად ამ მოდელის დანერგვა თავიდან რთულად არ გამოიყურებოდა. მთავარი პრობლემა, რომელიც წარმოიქმნა, იყო ის, რომ "თამაშში ფეხბურთის მოედანზე" ვერ შევლის იმის გარდაქმნას, რაც ამ თამაშის ირგვლივ ხდება. ანუ პოლიტიკის ცნების დავიწროება და საზოგადოების ფაქტობრივად ამ ცნების მიღმა დატოვება ვერ უზრუნველყოფს თამაშის წესების დამცველი ინსტიტუტების წარმოქმნას. გარე სამყაროც (ამერიკა უმთავრესად) რომელსაც ამგვარი მსაჯულის როლი მუდმივად მიეწერებოდა თუ ეკუთვნოდა სხვა, უკეთესი ალტერნატივების არარსებობის ფონზე, ვერ აღმოჩნდა ამ როლის შემსრულებელი. წლების განმავლობაში ის ადამიანები/ინსტიტუტები, რომლებიც პოლიტიკურ მიუკერძოებ-

ლობაზე და ნეიტრალობაზე დებდნენ თავს, სინამდვილეში იმავდროულად პოლიტიკური თამაშის მონაწილეები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე.

მეორე არის მოგება-მოგებაზე ორიენტირებული მოდელი. ეს თამაში ნაკლებად მკაცრია და რეგლამენტირებული წესებისა და მოლოდინების თვალსაზრისით. წარმოიდგინეთ ეზო და ბავშვები, რომლებიც ამ ეზოში გამოვიდნენ სათამაშოდ. ამ შემთხვევაში ბავშვების მთავარი მიზანია არა მოგება, და არა მაყურებლობა, არამედ თანამონაწილეობა, დროის ერთად ტარება. ყველას უნდა თამაში, და ამდენად არავინ რჩება მსაჯად, მაყურებლად და ნეიტრალურ, გარე დამკვირვებლად. მონაწილე მხარეც, როგორც წესი მეტია, ვიდრე ორი. ამიტომ თამაში სხვანაირად წარიმართება. თამაშის წესები დგინდება მის დაწყებამდე, ხოლო მათი დაცვის მეთვალყურეობა თავად მონაწილეთა ფუნქციაა. თუკი ვინმე მათ არღვევს, დანარჩენებს შეუძლიათ უთხრან მას - შენ ჩვენს წესებს არ იცავ, წადი დეიკოსთან, ჩვენ აღარ გეთამაშებით. შეიძლება სხვანაირადაც მოხდეს, თამაში დროებით შეწყდეს, და ის წესები, რომლებიც მანამდე არსებობდა, მონაწილეთა ურთიერთშეთანხმებით შეიცვალოს. შეჯიბრი და კონკურენცია, ამდენად, ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს სწორედ რომ ის შემთხვევაა, როდესაც იმარჯვებს მეგობრობა პირველ რიგში.

ამ ვითარებას აქვს ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა წინასთან შედარებით. ის პოლიტიკას სხვა ხასიათს ანიჭებს. ამგვარი პოლიტიკა შეიძლება განხორციელდეს მაშინაც, როდესაც ნეიტრალური და მიუკერძოებელი მსაჯულის როლის შემსრულებელი არ არსებობს. მასში პოლიტიკა აღარ არის საზოგადოებისგან მოწყვეტილი საქმიანობა, რომელიც შესაბამის კვალიფიკაციას და "წვრთნას" მოითხოვს, მისი არსი ცხოვრებისეულია და ყველასათვის გასაგები. ის ცხოვრების ნაწილია, და ამდენად აღარავინ არის ნეიტრალური და მიუკერძოებელი, ვინაიდან ყველა მონაწილეა -პოლიტიკისგან განდგომა ნიშნავს საზოგადოებიდან განდგომას. მთელი საზოგადოება დაყოფილია ავტონომიურ ქვეჯგუფებად (მოთამაშეებად), რომლებიც ისწრაფვიან ერთად მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის მშენებლობაში. მთავარი ღირებულება ამ თამაშისა მისი მონაწილეებისთვის ამ შემთხვევაში არის პროცესი, მონაწილეობა, ცხოვრება. თავად პოლიტიკა ამ შემთხვევაში იცვლება - ის აღარ არის აბსტრაქტული მსჯელობა "ნატოს წევრობაზე", არამედ პოლი-

ტიკა ხდება ის, რასაც ქმნის საზოგადოება, მისი შინაგანი სტრუქტურა.

ამ მეორე მოდელის აუცილებლობა ჩვენი რეალობისთვის რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. პირველი არის ის, რომ მხოლოდ მეორე თამაშის პირობებში შესაძლებელია თავად თამაშის წესები გახდეს მსჯელობისა და გარდაქმნის საგანი. განსხვავებით პირველისგან, როდესაც თამაშის წესები გარე ფაქტორს წარმოადგენს, თამაშის ექსტერნალიაა, და არ რჩება მათზე პოლიტიკური ზემოქმედების მექანიზმები. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი უპირატესობა ამ წესისა არის ის, რომ ის ამცირებს პოლარიზებას საზოგადოებაში. ნაცვლად გამოკვეთილი დაპირისპირებისა, სადაც ორი მხარე იბრძვის ერთმანეთზე გამარჯვების მოსაპოვებლად, ამ შემთხვევაში არსებობს ბევრი მოთამაშე, რომლებსაც უწევთ ერთმანეთთან საჯარო შეთანხმებების მიღწევა, ერთმანეთისთვის ანგარიშის გაწევა იმისთვის, რომ თამაში საერთოდ შედგეს.

ნაკლოვანება მეორე თამაშისა მდგომარეობს იმაში, რომ ის მოითხოვს დროს და განწყობას. საქართველოში ამას ხელს უშლის საზოგადოების ნარჩენი მენტალობა - ფატალიზმი, კონფორმიზმი და პასიურობა - ანუ საზოგადოებრივი ღირებულებების სისუსტე, რომელიც წარსულიდან არის მოყოლებული. მათი დაძლევის აუცილებლობა ისევ და ისევ გვაბრუნებს ადრე დასმულ საკითხთან - ჯერ პოლიტიკური კულტურა თუ ჯერ ინსტიტუტები. ამ კითხვას რომ გავცეთ სათანადო პასუხი, უნდა კარგად წარმოვიდგინოთ, თუ რა ინსტიტუტებზეა ლაპარაკი. ბოლოს ჩვენ დაუბრუნდებით აქ დასმულ კითხვას.

თუკი კარგად დაგაკვირდებით, დავინახავთ, რომ როგორც ერთი ასევე მეორე მოდელი - ფეხბურთს და ეზოში თამაშს ვგულისხმობ - მოიცავს კონკურენციისა და კოოპერირების ელემენტებს. ფეხბურთის დაწყებამდე წესების დადგენა, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ შედეგების აღიარება ამ თამაშის კოოპერაციული ელემენტებია. ასეთივე მიმდევრობა არსებობს ბავშვების თამაშში - წესების დადგენა, კონკურენცია და შედეგების აღიარება. ნებისმიერი კოლექტიური, ანუ სოციალური ქმედება ყოველთვის შედგება ამ ელემენტების გარკვეული მიმდევრობისგან. და ორივე, კონკურენცია და კოოპერირებაც, მხოლოდ მაშინ შეესაბამება დემოკრატიის სტანდარტებს, თუკი ყველა იზონომიის მდგომარეობაში იმყოფება - ანუ თანაბრად ლეგიტიმურია როგორც პროცესის მონაწილე. ამის ინდიკატორია თამაშის განმეორებადობა - რამდენად მოყვება კონკურენ-

ციის ეტაპს კოოპერირების ეტაპი განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად შედეგება იმავე მოთამაშეებს შორის შეჯიბრი/ურთიერთობა მომავალში. სწორედ რომ განმეორებითობა წარმოადგენს მთავარ პრობლემას მაშინ, როდესაც ხელისუფლება ავტორიტარულია, ან ხელისუფლების ცვლილება კი ხდება, მაგრამ რევოლუციური გზით. ამის წყაროს პოსტ-საბჭოთა სივრცეში წარსულიც განაპირობებს, და სიახლეც.

პოლიტიკურ საზოგადოებად ცხოვრება 20 წლის წინ იყო ის სიახლე, რომელიც მისდამი დამოკიდებულების ფორმირებას მოითხოვდა, და ეს დამოკიდებულება შესაძლოა განვითარებულიყო ხსენებული ორი მოდელის, კონკურენციისა და კოოპერირების მიმართულებით - მიმართულებებით, რომლებიც იდეალური ტიპების სახით მეტ-ნაკლებობით მონაწილეობენ ნებისმიერი დასავლური დემოკრატიის ფორმირებაში. მაგრამ დემოკრატიის მშენებლობა დაიწყო საზოგადოებით, რომელსაც საერთოდ არგაანდა პოლიტიკური ცხოვრების არანაირი გამოცდილება და პრაქტიკა. ტოტალიტარული სახელმწიფო იცნობს ოპონენტებთან ურთიერთობის მხოლოდ ერთ ტიპს - უარყოფას, რომელიც ლოგიკურად გულისხმობს უარყოფილი სოციალური ჯგუფების/იდეოლოგიების განდევნას ძალაუფლების სფეროდან, მათ დელეგიტიმაციას და, საბოლოოდ მათ განადგურებას/ფიზიკურ მოსპობას, რაც ხდებოდა კიდევ სტალინის პერიოდში. სტალინი ეფექტური იყო სწორედ იმიტომ, რომ ბოლომდე შეეძლო განადგურების ლოგიკის მიყვანა. პოსტსაბჭოთა ვითარებაში განადგურება გახდა ძნელი, თუ არა შეუძლებელი, და მისი ადგილი დაიკავა იგნორირებამ. პერესტროიკის შემდეგ საქართველოში ამ ლოგიკით ძალაუფლების განხორციელების გაგრძელების მცდელობები მუდმივად მეორდება, მაგრამ ეფექტურ მმართველობას ვეღარ უკავშირდება, ვინაიდან უკვე ვერ მიდის ბოლომდე, თავის ლოგიკურ დასასრულამდე. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ რამე ალტერნატივები დამკვიდრდა.

კონკურენციისა და კოოპერირების ტრადიციის არარსებობის ვითარებაში ან პოლიტიკური ველი იკეტება არადემოკრატიული და არათავისუფალი მმართველობით, ან პოლიტიკის პოლარიზება ხდება ერთადერთი შესაძლებლობა. ატომიზირებულ საზოგადოებას წარმატებით შეუძლია ითამაშოს მაქორინტარული კონკურენციული თამაში, მაგრამ მხოლოდ ერთჯერადად, როდესაც დამარცხებული იდევნება პოლიტიკური ველიდან ზემოაღნიშნული ლოგიკის შესაბამისად. სწორედ ამგვარად მოხდა თავის დროზე საქართველოს ტერიტორიული გახ-

ლენვა, თუმცა აქ უნდა დავუბრუნდეთ კონკურენტული თამაშების ნაირსახეობას - კომპრომისს.

ურთიერთმისაღები კომპრომისი - ეს არის ის ცნება, რომელიც უშუალოდ უკავშირდება კოლექტიური ქმედების შესაძლებლობას მაშინ როდესაც ჭარბობს ინდივიდუალური მიზნები კოლექტიურზე. თუკი ამგვარი კომპრომისი არ არსებობს, მაშინ კოლექტიური ქმედება განსხვავებული ინტერესების მქონე აქტორთა შორის არის შეუძლებელი. ურთიერთმისაღები კომპრომისის არსებობა თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ აქტორები აირჩევენ კოოპერირებას, როგორც სტრატეგიას, კონკურენციის სანაცვლოდ. მაგრამ როგორც მინიმუმ, მათ ამგვარი სტრატეგიის არჩევის თეორიული შესაძლებლობა ექნებათ. თუკი ამგვარი კომპრომისი არ ჩანს, მაგრამ აქტორები განწყობილები არიან რომ ითანამშრომლონ, ის შესაძლოა შეიქმნას, ან გამოიკვეთოს, პოლიტიკური პროცესის შედეგად, და ეს არის პოლიტიკის ხელშეწყობის ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომელიც პოლიტიკას ხდის საზოგადოების ცხოვრების აუცილებელ ელემენტად. იმ შემთხვევაში, თუკი საზოგადოების ორ ან მეტ ჯგუფს არ ან ვერ ეკვეთებათ საერთო კომპრომისული ინტერესები, მაშინ ისინი ერთ დემოკრატიულ და თანასწორ პოლიტიკურ საზოგადოებად ვერ იცხოვრებენ, ვინაიდან მათ შორის მუდმივი ომი იქნება. მათი თანაცხოვრება ერთ სახელმწიფოში შესაძლებელია მხოლოდ ერთი ნაწილის მიერ მეორის "დაპყრობისა" და დამორჩილების შედეგად, ავტორიტარული მმართველობის პირობებში.

კოოპერირების ეტაპი პოლიტიკაში, ამდენად, შეიძლება ნიშნავდეს არა მარტო საერთო მიზნის არსებობას, არამედ ურთიერთმისაღები კომპრომისების მოძებნას, ხოლო კონკურენციის ეტაპი საჭიროებს მსგავსი ინტერესების მქონე მოქალაქეთა ერთობლივ ქმედებას მოწინააღმდეგეთა მიმართ წარმატებისთვის საბრძოლად. "ჯერ კარგად გავიმიჯნოთ, რომ მერე ვითანამშრომლოთ" - ამბობდა დიადი ლენინი, თუმცა მერე აღარ ითანამშრომლა, არამედ უბრალოდ "დაჩმორა" "ბურჟუაზიული ოპორტუნისტები". ჯერ კოოპერირება, ხოლო მერე კონკურენცია თუ პირიქით - ეს კითხვა ზოგადად უპასუხოა, ვინაიდან ამ ეტაპების მონაცვლეობა აუცილებელია ნებისმიერი პოლიტიკური პროცესის ჩარჩოებში. დაბლა ჩვენ ვნახავთ, რომ ამ ეტაპების მონაცვლეობის საკითხი სხვადასხვანაირად არის გადაწყვეტილი ფორმალური ინსტიტუციონალური მოწყობით განსხვავებული ტიპის დემოკრატიებში. უან უაკ რუსო მიიჩნევდა,

რომ ჯერ კონკურენცია მერე კოოპერირება ხელის უშლის საზოგადოებრივი ხელშეკრულების, ანუ მთელი საზოგადოების მიერ საერთო მიზნის ჩამოყალიბებას. ჰობსი კი, პირიქით, ხედავდა კონკურენციას "ყველას ომს ყველას წინააღმდეგ" საერთო კომპრომისის საჭიროების წინაპირობად. შეიძლება ითქვას, რომ ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი განსხვავდებიან არა იმაში, რომ უარყოფენ კონკურენციიდან ან კოოპერირებიდან ერთ-ერთს, არამედ იმაში, რომ სხვადასხვანაირად ხედავენ მათ ბუნებრივ მიმდევრობას პოლიტიკურ პროცესში.

რადგანაც საქართველოს განვითარება წინა ტრანსფორმაციის პერიოდში კონკურენციის სქემით წარიმართა, ამ ეტაპზე კითხვის დასმა იმის თაობაზე, თუ რომელი უნდა უსწრებდეს წინ მეორეს, ცოტა დაგვიანებული იქნებოდა. ატომიზირებული საზოგადოებიდან ჩვენ უკვე გადავიქვეით ძლიერად პოლარიზებულ საზოგადოებად, რაც გარკვეულ ანალიზს მოითხოვს.

სტადიონზე მჯდომ მაყურებლებს არ მოეთხოვებათ დიდ აქტივობა მაღალი ემოციური მუხტის არსებობის შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი ამა თუ იმ გუნდს გულშემატკივრობენ. მათ შეუძლიათ შექმნან ფანების კლუბები, და შეუძლიათ არ შექმნან - სულ ერთია, ეს აქტივობა საკმაოდ პასიურ ხასიათს ატარებს, და არანაირ კოოპერირებას არ მოითხოვს. პოლიტიკური სიმპატიები და შეხედულებები ამ მოდელით მოწყობილ პოლიტიკურ საზოგადოებაში შეიძლება იყოს საკმაოდ ხისტი, მტკიცე და ინდივიდუალისტური. წესით და რიგით, თუკი დაირღვა თამაშის წესები, სტადიონი უნდა გაერთიანდეს დამნაშავეს დასასჯელად და წესრიგის აღსადგენად. მაგრამ დემოკრატიზაციის პროცესში მყოფ ქვეყანაში ასე არ ხდება, ვინაიდან თამაშის წესები თავად წარმოადგენენ თამაშის ნაწილს, და უსამართლოდ მოგებული გუნდის გულშემატკივრები არ თმობენ პოზიციებს. კოოპერირების სისუსტის ფონზე ხდება პოლარიზება. იგივე ხდება თუკი ორი მხარის პოზიციები იმდენად არის დაშორებული ერთიმეორეს, რომ მათ შორის კომპრომისული ველი არ არის დარჩენილი, ანუ არ არსებობს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც მისაღები თუ არა, აღიარებადი მაინც ყოფილიყო წაგებული მხარისთვის. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი თამაში ორ გუნდს შორის არის ერთჯერადი, ვინაიდან დამარცხებული სამუდამოდ ტოვებს ასპარეზს - რაც არაერთხელ მომხდარა უკვე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და სავარაუდოდ კიდევ მოხდება მომავალში.

პოლიტიკური პოლარიზება, ამდენად, შესაძლებელია დროებით ჩამოყალიბდეს ატომიზირებულ საზოგადოებაში, რაც ქმნის პოლიტიკური ცხოვრების ილუზიას. ზოგიერთი ავტორის აზრით, თუკი სახელმწიფოში ხელისუფლება შეიცვალა ერთ-ორჯერ არჩევნების გზით, შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ამ ქვეყანაში არის კონსოლიდირებული დემოკრატია. ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარე, დემოკრატიის კონსოლიდაციის ამ კრიტერიუმის სანაცვლოდ სხვა კრიტერიუმი შეიძლება შემოგვეთავაზებია - ქვეყანა მაშინ არის კონსოლიდირებული დემოკრატია, როდესაც ხელისუფლებიდან არჩევნებით წასული პოლიტიკური ძალა ახერხებს ხელისუფლებაში დაბრუნებას ასევე არჩევნების გზით, ან, ყოველ შემთხვევაში რჩება პოლიტიკაში. ეს კრიტერიუმი იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ კონკურენციის და კოოპერირების ეტაპები ერთმანეთთან მონაცვლეობენ. შემდეგი პარაგრაფი ეძღვნება კონკურენციისა და კოოპერირების ინსტიტუციონალიზაციის სხვადასხვა ფორმებს განსხვავებულ საკონსტიტუციო მოდელებში.

### 3. მაჟორიტარული და კონსესური დემოკრატები

პოლიტიკური სისტემა იწყება არა კონსტიტუციით, არამედ საზოგადოებით. ეს მტკიცებულება არ არის საპირწონე იმ რწმენისა, რომელიც სტატიის დასაწყისში იყო გამოთქმული - რწმენისა, რომ ინსტიტუტების გონივრული შეცვლით შესაძლოა პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესება. ცალკე აღებული საკონსტიტუციო ცვლილებები არაფრის შემცველი იქნებოდა საზოგადოებაში, თუკი ამ ტრანსფორმაციას არა ექნებოდა კომპლექსური, ყოვლისმომცველი ხასიათი, გამჭოლი ქვეყნის ცხოვრების მთელ სხეულში. შესაძლოა მიმდევრობას ცვლილებებისა არ ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა - მაგრამ გარკვეული დროითი მიბმულობა არსებითია. ასე რომ როდესაც ვამბობ რომ პოლიტიკური სისტემა "იწყება" საზოგადოებით, ეს არ უნდა გავიგოთ როგორც საკონსტიტუციო ცვლილებების სამომავლოდ გადაღება. უბრალოდ საკონსტიტუციო ცვლილებები ვერ იქნება გაგებელი და დამკვიდრებული შესაბამისი კონტექსტუალური იდეოლოგიური გარდაქმნის გარეშე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მმართველობა იწყება იმით, თუ როგორ ხედავენ მას ქვეყნის მოქალაქეები. ახალ საკონსტიტუციო მოწყობაზე საუბარი გვაბრუნებს იმასთან, თუ

როგორ არის გაგებული საქართველოში დემოკრატიული მმართველობა. თუკი არ იარსებებს ახლებური ხედვა, გაზიარებული საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ მაინც, აზრი არა აქვს საკონსტიტუციო ცვლილებებზე ლაპარაკს, ვინაიდან გამოცდილება ბევრჯერ გვიჩვენა, რომ ის კანონები, რომლებიც არ არის გამაგრებული რეალური პრაქტიკით და საზოგადოებრივი ღირებულებებით, უბრალოდ ან ვერ მოქმედებენ, ან მოითხოვენ სწორედ რომ უკანონობასა და არაკონსტიტუციურობას მათ ცხოვრებაში გასატარებლად.

განწყობა, რომელიც სასიკეთო უნდა იყოს პოლიტიკური კლიმატის შესაცვლელად, საზოგადოებაში ნამდვილად არსებობს - ეს არის დადლილობა უსასრულო 20-წლიანი პოლიტიკური კონკურენციით, რომელსაც შედეგი ვერ მოყვება. როგორც ჩანს, "ზაზუნას დღე" საქართველოში არასდროს არ დათავრდება მანამ, სანამ კონკურენციას გარკვეული კოოპერირება არ დაემატება. საზოგადოებაში არსებობს მძაფრი მოთხოვნილება უფრო მეტ კოოპერირებაზე პოლიტიკაში - რაც არ გამოიციხავს, არამედ შესაძლოა გულისხმობს კიდევ მძაფრი გადაწყვეტილებების საჭიროებას მანამ, სანამ ეს განწყობა ახალ საკონსტიტუციო და მმართველობით ფორმებში გადავა. ამდენად, შემობრუნება დემოკრატიის იმ გაგებისკენ, რომელიც მეტად ეყრდნობა კოლექტიურ, და არა კონკურენტულ მიდგომებს, პრინციპში შესაძლებელია. ამ განსხვავებულ დემოკრატიას შესაძლებელია უფრო რესპუბლიკის სახელი უდგებოდეს, ხოლო თავად დემოკრატიზაციის პროცესი შესაძლოა "რესპუბლიკანიზაციის" სახით წარმოგვეჩინა, თუმცა ეს ტერმინოლოგია არ არის მიღებული ამ ფორმით დღევანდელ პოლიტიკურ დისკურსში. ამ დისკურსის უფრო შესაფერისი ტერმინოლოგიით შესაძლოა ევროპულ და ამერიკულ, ან უფრო სწორედ, ანგლო-საქსურ და კონტინენტურ დემოკრატიებზე ვილაპარაკოთ. კონკურენციისა და კოოპერირების ინსტიტუციონალიზაციის განსხვავებული ფორმები საკვანძო როლს თამაშობენ დემოკრატიის იმ ორი ტიპის ერთმანეთისგან განსხვავებულად, რომლებზედაც ჩვენ გვექნება ლაპარაკი.

დემოკრატიის მარტივი გაგებით, მმართველობა ეკუთვნის უმრავლესობას. არჩევნების გზით ირკვევა, თუ ვინ არის ეს უმრავლესობა, მის მიერ წარდგენილი ლიდერები აყალიბებენ მმართველობას და დებულობენ ქვეყანაში მთელ ძალაუფლებას, რომელიც ეკუთვნით მათ მანამ, სანამ ისევ და ისევ არჩევნების გზით არ გამოვლინდება, რომ უმრავლესობის სიმპატიებ-

მა აწი უკვე სხვა ლიდერების მხარეს გადაინაცვლა. უმცირესობა არ მონაწილეობს გადაწყვეტილებათა მიღებაში. ერთადერთი, რაც უმრავლესობის ტირანიას ამ შემთხვევაში ზღუდავს არის ძალაუფლების დიფერენცირება, მისი განაწილება, რაც უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობას, ადამიანის უფლებების დაცვას და თამაშის სხვა წესებს, რომლებზედაც უმრავლესობა გავლენას ვერ ახდენს. სამართლიანი კონკურენცია მეტნაკლებად აიძულებს უმრავლესობას იმოქმედოს გახსნილად საპარლამენტო გზით და დაასაბუთოს საკუთარი პოლიტიკა მთელი მოსახლეობის თვალში. მარტივად რომ ვთქვათ, ამგვარი დემოკრატიის მთავარი ფორმალური მახასიათებლები ესადაგება კონკურენციას გარკვეული წესების მიხედვით, რომელშიაც "მოგებულს მიაქვს ყველაფერი" მანამ, სანამ თამაშის რომელიმე მომდევნო რაუნდში მას ვინმე სხვა არ მოუგებს. კლასიკური მოდელი ამგვარი დემოკრატიისა არის ბრიტანეთი, რომლის კონსტიტუცია ვესტმისტერის მოდელის სახელით არის ცნობილი. გარკვეულწილად, ეს მოდელი ჩვენი საფეხბურთო შეჯიბრის შესატყვისია, როგორც ჩანს, ბრიტანული პოლიტიკური კულტურის მახასიათებელია სპორტული თამაშის სამართლიანი წესების დაცვის მტკიცე პატივისცემა.

კონსესური<sup>8</sup>, ან, როგორც მას უწოდებენ, "მოლაპარაკებების" დემოკრატია, არა იმდენად უმრავლესობის მმართველობის მომხრეა, რამდენადაც "რაც შეიძლება მეტის" მონაწილეობისა მმართველობაში.<sup>9</sup> უმრავლესობა და უმცირესობა აქ ნაკლებად მნიშვნელოვანი ტერმინებია, არჩევნების გზით უმრავლესობის ნება კი არ ფორმირდება, არჩევნები მხოლოდ აყალიბებენ "რეიტინგულ განაწილებას" საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებსა და სექტორებს შორის. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება რეალურად ფორმირება იმ მთავრობისა და პოლიტიკისა, რომელიც უმრავლესობის მხარდაჭერას მოიპოვებს. მოლაპარაკებები, ანუ კოოპერირება ასეთი ქვეყნების ფორმალურ პოლიტიკურ სისტემაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობენ, მათ გარეშე ეფექტური მმართველობის ჩამოყალიბება ხშირად მეტად ძნელი ხდება. პოლიტიკური გადაწყვეტილების ლეგიტიმაცია აქ ეყრდნობა არა იმდენად უმრავლესობის პრინციპს (ამირჩიეს და ვაკეთებ რასაც მივიჩნევ სწორად, ვერავინ ხელს ვერ შემოშლის), რამდენა-

<sup>8</sup> ზოგიერთი ავტორის ტერმინოლოგიით, პროპორციული დემოკრატია. იხ. Powell, 2000

<sup>9</sup> Lijphart, 1999

დაც ყველა პოლიტიკური ძალის პასუხისმგებლურ თანამონაწილეობას და ამ გადაწყვეტილების დაბალანსებულობას განსხვავებული აზრების მხედველობაში მიღებასთან ერთად. კონსტიტუციური ევროპის საპარლამენტო დემოკრატიების დიდ ნაწილი სწორედ კონსესური წესითაა ფორმირებული. ეს მოდელი ჩვენი მეორე მოდელის შესატყვისია, და მომდინარეობს ისტორიული გამოცდილებიდან, რომელშიაც პოლიტიკურად დანაწევრებულ საზოგადოებებს ერთიანი პოლიტიკური ცხოვრების აწყობაზე უწევდათ შეთანხმება.

ამგვარი პრინციპულად განსხვავებული ხედვები იმის თაობაზე, თუ რა არის დემოკრატია და როგორ ყალიბდება კარგი მმართველობა, შესაბამისად აისახება განსხვავებულ კონსტიტუციურ მოწყობებში. მართალია, ამგვარი მოწყობის ერთიანი რეცეპტი არ არსებობს, ვინაიდან ყველა კონსტიტუცია დიდწილად ისტორიისა და სპეციფიური ვითარებების პროდუქტია, მაგრამ ზოგადი ტენდენციები მაინც არსებობს.

სანამ მაჟორიტარული და კონსესური დემოკრატიების განმასხვავებელ მახასიათებლებს განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ დემოკრატიების ამ ორი ტიპით არ ამოიწურება დასავლური დემოკრატიების ყველა ნაირსახეობა. არსებობს მესამე კატეგორიაც, კონსოციაციური დემოკრატიები, სადაც უმრავლესობის ბატონობა უმცირესობაზე შეზღუდულია გაცილებით უფრო რადიკალურად - უმცირესობებს მინიჭებული აქვთ ისეთი მმართველობითი უფლებები, რომლებიც უმრავლესობის ერთპიროვნულ მმართველობას საერთოდ გამორიცხავს. ამგვარი მოწყობები გამოიყენება როგორც წესი იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოება ღრმად არის დანაწევრებული თავისი გრძელვადიანი იდენტობებით (ეთნიკური), ისე რომ უმცირესობა სხვანაირად საერთოდ ვერასდროს ვერ მიიღებდა პოლიტიკურ უფლებებს. ამ მოწყობას აქვს მნიშვნელობა საქართველოს რეალობაში, როდესაც საუბარი წავა კონფლიქტური რეგიონების სტატუსის განსაზღვრაზე, მაგრამ ამ სტატიაში ჩვენ არ ვეხებით ამ რთულ საკითხს, რათა მსჯელობამ ძალიან შორს არ წაგვიყვანოს. მიუხედავად იმისა, რომ კონსესურ დემოკრატიებში უმცირესობებს მეტი გავლენა აქვთ მმართველობაზე ვიდრე მაჟორიტარულ დემოკრატიებში, კონსესური დემოკრატიები მაჟორიტარულზე უკეთესადაც კი უზრუნველყოფენ უმრავლესობის მმართველობის პრინციპს, მაშინ როცა კონსოციაციურ დემოკრატიებში უმცირესობას ხშირად აქვს ვეტოს უფლება უმ-

რავლესობის გარკვეულ გადაწყვეტილებებზე, რაც დემოკრატიის კლასიკურ გაგებას გარკვეულწილად ეწინააღმდეგება.

ლეიპპარტი აღნიშნავს 10 მახასიათებელს (როგორც კონსტიტუციით ასევე სისტემის სხვა ელემენტებით განსაზღვრულს), რომლებიც მეტ-ნაკლებად განასხვავებენ მაჟორიტარულ და კონსესურ დემოკრატიებს.

სუთი მათგანი ქმნის ძალაუფლების ფორმირების ჰორიზონტალურ პრინციპებს. პირველი მაჟორიტარულ მმართველობას შეესაბამება, ხოლო საპირისპირო - კონსესურს:

1. აღმასრულებელი ძალაუფლების კონცენტრირება ერთპარტიულ უმრავლესობის ხელისუფლებაში საპირისპიროდ ძალაუფლების გაზიარებისა მრავალპარტიულ კოალიციურ კაბინეტში;

2. ძალაუფლების აღმასრულებელი შტოს დომინირება საპირისპიროდ ბალანსისა აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებს შორის;

3. ორპარტიულობა მრავალპარტიულობის საპირისპიროდ;

4. მაჟორიტარული და დისპროპორციული საარჩევნო სისტემა პროპორციული წარმომადგენლობის საპირისპიროდ;

5. ინტერესთა ჯგუფების პლურალისტული სისტემა, რომელიც ამ ჯგუფთა თავისუფალ კონკურენციას ეფუძნება საპირისპიროდ ინტერესთა ჯგუფების კოორდინირებული და "კორპორატივისტულ" სისტემისა, რომლის მიზანია კომპრომისი და კოორდინირება.

მეორე განხომილება ძალაუფლების ვერტიკალურ პრინციპებს ეხება, ამ შემთხვევაშიც პირველად მაჟორიტარული დემოკრატიის მახასიათებლებს ვასახელებთ:

1. უნიტარული და ცენტრალიზებული მმართველობა ფედერალურისა და დეცენტრალიზებულის საპირისპიროდ;

2. საკანონმდებლო ძალაუფლების კონცენტრირება ერთპალატიან პარლამენტში საპირისპიროდ ამ ძალაუფლების გადანაწილებისა ორ, თანაბრად ძლიერ, მაგრამ კონსტიტუციურად განსხვავებულ პალატას

3. შორის;

4. მოქნილი კონსტიტუცია, რომლის შეცვლა შეიძლება უბრალო უმრავლესობით საპირისპიროდ ხისტი კონსტიტუციისა, რომელიც მხოლოდ დიდი უმრავლესობით იცვლება;

5. პარლამენტის მიერ მიღებული კანონების კონსტიტუციურობის საკითხი პარლამენტისვე გადასაწყვეტია. საპირისპი-

როდ, უზენაეს ან საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს კანონების კონსტიტუციურობის დადგენის პრეროგატივა.

6. აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დამოკიდებული ცენტრალური ბანკი დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის საპირისპიროდ.

როგორც ამ მახასიათებლების ჩამონათვალი აჩვენებს, მკაცრად მაჟორიტარული ხასიათი თითქმის არც ერთ მსოფლიოში არსებულ დემოკრატიას არა აქვს - ვესტმინსტერის მოდელი (დიდი ბრიტანეთი და მისი ყოფილი კოლონიები) ამგვარი მოწყობის ყველაზე გამოკვეთილი მაგალითია. ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც მაჟორიტარული დემოკრატიების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ<sup>10</sup>, კონსესუალურობის ძლიერი ელემენტი შემოაქვს ფედერალურ მოწყობას - სწორედ იმ ასპექტს, რომელიც საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში არ გაიწერა. თუმცა ზოგიერთი ავტორის აზრით, აშშ-ს ფედერალიზმი უფრო მრავლობითი (ორდონიანი) მაჟორიტარიზმის ფორმაა, ვიდრე კონსესუალური მმართველობაა. მრავლობით მაჟორიტარიზმებს აშშ-ში ასევე ქმნის ძალაუფლების დანაწილება, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავთ.

ამ სურათიდან ჩანს, რომ ტიპიური მაჟორიტარული დემოკრატია უნდა წარმოვიდგინოთ როგორც კონსტიტუციური მონარქია, რომელშიაც დომინირებს ორი დიდი პარტია, არჩევნები ტარდება ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული წესით, ცენტრალურ ხელისუფლებაში კონცენტრირებულია დიდი ძალაუფლება რეგიონებთან მიმართებაში, და პოლიტიკის ძირითადი აქცენტი მიმართულია იმაზე, რომ აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი ძალაუფლების მაღალი დონის მინიჭება ამ ძალაუფლებას იმავდროულად დიდ პასუხისმგებლობასაც ანიჭებს, პასუხისმგებლობას, რომელიც იწვევს მის პერიოდულ შეცვლას არჩევნების გზით,

ტიპიური კონსესური დემოკრატია საპარლამენტოა, მრავალპარტიული, კოალიციური კაბინეტით. მასში როგორც ქვეყნის რეგიონები, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო მმართველობითი ინსტიტუტები, როგორცაა ცენტრალური ბანკი, აღჭურვილი არიან საკმაოდ დიდი ავტონომიით, რაც კიდევ უფრო აუცილებელს ხდის მოლაპარაკებებსა და კონსულტაციებს მმართველობის პროცესში. საარჩევნო სისტემა პროპორციულია, ის

<sup>10</sup> ზოგიერთი კვლევის მიხედვით, აშშ უფრო შერეული სისტემაა, ვიდრე მაჟორიტარული



მეტნაკლებად უზრუნველყოფს პარლამენტში ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინტერესის წარმომადგენლობას. კონსულტაციები და მოლაპარაკებები ამგვარი პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების საკმაოდ მნიშვნელოვანი ელემენტია. საზოგადოების ხელისუფლებაზე ზეგავლენა აქ ეყრდნობა არა იმდენად არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობას, რამდენადაც არჩევნებს შორის პოლიტიკის შემუშავების პროცესში საზოგადოების ვრცელი ფენების თანამონაწილეობას.<sup>11</sup>

დემოკრატიის იდეალისტური ხედვები, რომლებიც საზოგადოებაში ვრცელდებოდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში, გულისხმობს, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქეებს აქვთ ხელისუფლებაზე ზემოქმედების ორივე შესაძლებლობა - პასუხისმგებლობის დაკისრება და შემდგომში გადარჩევის მუქარით აღებული ვალდებულებების შესრულებაზე ზემოქმედება, და ამასთან მათ შეუძლიათ არჩევნებს შორის საკუთარი ხედვებისა და მიდგომების ლობირება მოახდინონ და მონაწილეობით პროცესში ჩაერთონ. სამწუხაროდ, ეს ხედვები შინაგანად წინააღმდეგობრივია და სინამდვილეს სრულად ვერ ასახავს. როგორც არსებული დასავლური დემოკრატიების პრაქტიკა აჩვენებს, ზოგიერთი დემოკრატიები უფრო მეტად მოწყობილია პირველი პრინციპის უზრუნველსაყოფად, ხოლო სხვები - მეორესი.<sup>12</sup> ცხადია, მათ შორის განლაგებულია შუალედური ვარიანტებიც, მაგრამ ამ ორი პრინციპს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულება არსებობს - რაც უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება არჩეულ ხელისუფლებას, მით უფრო ნაკლებია არჩევნებს შორის პოლიტიკაში თანამონაწილეობის შესაძლებლობა. და პირიქით, თუკი პოლიტიკა ღიაა საზოგადოების ჩარევისთვის, მაშინ პასუხისმგებლობები გაურკვეველია და არჩევნები ნაკლებ როლს თამაშობს.

ცხადია, როდესაც ვლაპარაკობთ საქართველოს პოლიტიკურ სისტემაზე, ჩვენ მას პირდაპირ ვერ მივამსგავსებთ ვერც ერთ ამ მოდელს, იმიტომ რომ არა მარტო კონსესური, არამედ მაჟორიტარული დემოკრატია აქ ჯერ არ განხორციელებულა არასდროს. როგორც ერთი, ასევე მეორე მოდელი ფუნქციონირებს კანონის უზენაესობის უპირობო აღიარების ფონზე, ანუ თამაშის წესების სრული დაცვით, რაც გულისხმობს არჩევნე-

<sup>11</sup> Powell 2000

<sup>12</sup> ibid

ბის არგაყალბებას, მედიის თავისუფლებასა და ადმინისტრაციული რესურსის არგამოყენებას. ამდენად, თუკი ვლაპარაკობთ იმაზე, თუ რომელი სისტემაა მათ შორის საქართველოსთვის სასურველი, უნდა გავაკეთოთ გარკვეული არჩევანი, რომელიც დაეყრდნობა არა მარტო მოდელის მიმზიდველობას, არამედ ასევე უნდა გავაანალიზოთ ერთისა და მეორის უპირატესობები და სისუსტეები საქართველოს კონტექსტში მათი განხორციელებადობის თვალსაწიერიდან.

ძალაუფლების უკიდურესი კონცენტრირება, რომელიც საბჭოთა სისტემას ახასიათებდა, დემოკრატიისკენ გადასვლის გზაზე უმრავლესობის ტირანიის შეზღუდვას მოითხოვდა. ცხადია, რომ უმრავლესობის ბატონობის ტრადიციული პრინციპი საზოგადოების დიდ ნაწილში პირველ, მაჟორიტარულ მოდელს უფრო მისაღებ ვარიანტად სახავდა. ძლიერი აღმასრულებელი მმართველობა და უნიტარიზმი საპარლამენტო მოწყობის საპირისპიროდ - ეს იყო პოლიტიკური დაგების ის ვექტორი, რომელიც 1995 წლის კონსტიტუციის დამკვიდრებას წინ უსწრებდა. 1995 წლის კონსტიტუცია ამ მხრივ წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. ერთის მხრივ, საარჩევნო სისტემა და პარლამენტის შიდა მოწყობა კონსესუალურობის ძლიერ ელემენტებს შეიცავდა. ამას ემატებოდა საკონსტიტუციო სასამართლო, დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი და სხვა. მეორე მხრივ, შევარდნაძის პიროვნულმა ფაქტორმა გამოიწვია აღმასრულებელი ხელისუფლების ამ კონსესური ველის გარეთ გამოყვანა და ძალაუფლების ისევ და ისევ მაჟორიტარულ პრინციპებზე აგება. ამასთან, უნიტარიზმის პრინციპის შესუსტებას ხელი შეუშალა ტერიტორიული პრობლემების მოუგვარებლობამ. მთლიანობაში, შეიქმნა გარკვეული დუალიზმი, როდესაც პრეზიდენტი თან ცდილობდა ლავირებას და მოქიშპე პოლიტიკური ძალების დაბალანსებას, თან ფლობდა სრულ ძალაუფლებას და პასუხისმგებლობას, რომელსაც ვერ ახორციელებდა დაბალანსების პოლიტიკისადმი მიდრეკილების გამო. ყველაფერმა ამან გამოიწვია მმართველობის სრული კოლაფსი, რომელიც 2003 წლის მოვლენებით დასრულდა.

2004 წლიდან კონსესუალურობის ელემენტები პოლიტიკური სისტემიდან თანდათანობით გაქრა. დაწყებული პრეზიდენტის ხელში ძალაუფლების კონცენტრირებით, შემდგომში თვითმმართველობის შესუსტებით, საარჩევნო რეფორმებით და სამოქალაქო საზოგადოების განდევნით პოლიტიკური პროცესი-

დან, დამკვიდრდა მკაცრი მაჟორიტარიზმი, რომელიც გადადის ხელისუფლების ტირანიაში.

მოვლენების სხვა მიმართულებით განვითარების პირობებში არსებობდა თეორიული შესაძლებლობა იმისა, რომ შევარდნადის პრეზიდენტობის დამთავრებასთან ერთად ჩატარებულიყო საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც პრეზიდენტის თანამდებობას ნაკლებ დატვირთვას შესძენდა და ამდენად პოლიტიკურ სისტემას უფრო "გააფეროპულებდა". მაგრამ ხელისუფლების შეცვლის რევოლუციურმა ხასიათმა ეს შესაძლებლობა მოსპო.

თუმცა, ეს რევოლუციური განვითარება და ის, რომ დემოკრატია განვლილ პერიოდში იყო გაგებულნი მკაცრად მაჟორიტარულად, მხოლოდ ნაწილობრივ თუ აიხსნება საბჭოთა სტერეოტიპებით. მეორე ნაწილი სიმართლისა მდგომარეობს იმაში, რომ პროდემოკრატიული დისკურსი საქართველოში ამერიკულ, და არა ევროპულ ხედვას ასახავდა. ამ ხედვის შესაბამისად, მემკვიდრეობით მიღებული სისტემის "გადემოკრატიულება" მოიაზრებოდა როგორც სისტემის ცენტრში კონცენტრირებული ძალაუფლების შეზღუდვა ძალაუფლების სხვა, დამოუკიდებელი და მისგან დიფერენცირებული სფეროების შექმნით, როგორებიცაა ეკონომიკა, სამოქალაქო საზოგადოება, სასამართლო, ბალანსი პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის. მასში თითქმის საერთოდ არ იჯდა კონსესუალურობის ისეთი მექანიზმები როგორიცაა ძალაუფლების გაზიარება, საზოგადოებისა და პოლიტიკის დაახლოება და სხვა. საბჭოთა წარსულისა და ამერიკული მაჟორიტარული მოდელების ამ მოულოდნელმა შერწყმამ გამოიწვია ის, რომ ვარდების რევოლუციის დროს არასამთავრობოები და ხალხი ერთად აღმოჩნდნენ სააკაშვილის გაპრეზიდენტების ავტორები.

შემდგომში, უმრავლესობის ტირანიის შეზღუდვის ცალმხრივმა, ამერიკულმა რეცეპტმა გამოიტანა მხოლოდ ერთი შედეგი - მან გამოიწვია იდეოლოგიური დაპირისპირება ძლიერი სახელმწიფოს მომხრეებსა და დემოკრატიის მომხრეებს შორის. ისინი, ვინც ეფექტური და სწრაფად მოქმედი ხელისუფლების მოდელს ემხრობოდნენ, მზად იყვნენ დემოკრატია ცოტა ხნით გვერდზე გადაედოთ, ვინაიდან ამგვარად გაგებულნი დემოკრატია ნიშნავდა უმრავლესობის მიერ ლეგიტიმირებული ხელისუფლების შესუსტებას. ხოლო დემოკრატიის მომხრეები მათ არგუმენტებს ვერაფერს ვერ უპირისპირებდნენ მიმზიდველი აბსტრაქტული მორალური არგუმენტების გარდა. ისეთი ღირებუ-

ლებები, როგორებიცაა ეფექტურობა და სამართლიანობა ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდა, რაც ქმნის თითქმის გადაუჭრელ დილემას, ვინაიდან ეს ღირებულებები ობიექტურ რანჟირებას ვერ ექვემდებარება. გაჩნდა მკაფიო შეხედულება, რომ დემოკრატია და ავტორიტარიზმი ის ალტერნატივებია, რომლებიც შეიძლება ითარგმნოს სუსტი და ძლიერი სახელმწიფოს ტერმინებში.

ძლიერი და იმავდროულად დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ ხედვაში გაერთიანება შეუძლებელია კონსესური დემოკრატიის ბაზისური საფუძვლების გაზიარების გარეშე. უმრავლესობის ტირანიის შეზღუდვას აქ აყალიბებს არა იმდენად ძალაუფლების დანაწილება, რამდენადაც ძალაუფლების გაზიარება. ძალაუფლების გაზიარება ნიშნავს იმას, რომ ძალაუფლება იმთავითვე მიხნეულია რომ ეკუთვნის საზოგადოების სხვადასხვა ავტონომიურ ნაწილებს/ინდივიდებს, რომლებიც შემდგომში მოლაპარაკების მეშვეობით აყალიბებენ ისეთ მმართველობას, რომელიც რაც შეიძლება მეტი ამგვარი ჯგუფისთვის იქნება მისაღები.

სახელმწიფოს ძლიერება მეორე შემთხვევაში განპირობებულია არა იმით, რომ უმრავლესობის/მმართველობის მოქმედების თავისუფლება იზღუდება გარე ექსტერნალიების მეშვეობით და მრავლობითი უმრავლესობების შექმნით, რასაც ძალაუფლების დაყოფის პრინციპი უზრუნველყოფს, არამედ, პირიქით, იმით, რომ ბევრი ჯგუფი/ინდივიდი მონაწილეობს მმართველობის პროცესში, და რაც უფრო მეტია მასში ჩართულთა რიცხვი, მით უფრო ძლიერია სახელმწიფო. სახელმწიფოს სიძლიერე, ამდენად, მომდინარეობს მონაწილეობითი დემოკრატიის სიძლიერისგან, და არა პირიქით. ხელისუფლების "ოდენობა", მისი სიძლიერე, ამ შემთხვევაში აღარ არის კონსტანტა, რომელიც იყოფა რამდენიმე ნაწილად ნულოვანჯამოვანი წესით, არამედ ის არის ზრდადი, და ის იზრდება მონაწილეობის ზრდასთან ერთად.

დემოკრატია, რომელიც ისწრაფვის რაც შეიძლება მეტი სუბიექტის ჩართვას მმართველობაში და მათთვის გარკვეული გავლენების მინიჭებას, გარკვეულწილად აფრთხობს მოსახლეობის ნაწილს. მათ მიანიათ, რომ ძლიერი ლიდერი საჭიროა საზოგადოების გამთლიანებისთვის, სწრაფი ეკონომიკური რეფორმებისთვის და გარე საფრთხეების დასაძლევად. საპარლამენტო მმართველობა კოალიციური კაბინეტით, პარტიების სი-

სუსტის ფონზე, ძალზედ არასტაბილურ და არაეფექტურ მმართველობად ესახებათ.

საპირისპირო არგუმენტები, ცხადია, ნათელია. არსებული დემოკრატიების გამოცდილება აჩვენებს, რომ კონსერვული დემოკრატიები მაჟორიტარულზე არანაკლებ ეფექტურად უმკლავდებიან ეკონომიკის მართვას, უზრუნველყოფენ მეტ ეკონომიკურ თანასწორობასა და მეტ დემოკრაციას.<sup>13</sup> ისინი ასევე ამთლიანებენ საზოგადოებას, ამცირებენ რა პოლარიზების ნაირნაირ არსებულ თუ შესაძლო ფორმებს. ამ მხრივ სწორედ რომ საპრეზიდენტო მაჟორიტარულმა მმართველობამ საქართველოს არ მოუტანა სტაბილურობა და ერთიანობა, მან პირიქით გააღრმავა პოლარიზება და დააქცია ქვეყნის ეკონომიკა. მთავრობის სტაბილურობის ნაცვლად სახეზეა პრემიერმინისტრების, მინისტრებისა და პოლიტიკური პრიორიტეტების კალეიდოსკოპური და ხშირი მონაცვლეობა. პარტიების სისუსტე ნაწილობრივ მაინც აიხსნება მათი მუდმივი ორიენტირებით საარჩევნო კონკურენციაზე, რომელშიაც უმრავლესობა არის მოსაპოვებელი, და არა სპეციფიურ საზოგადოებრივ ჯგუფებთან მიბმაზე და შემდგომ ამ ჯგუფების ეფექტურ რეპრეზენტაციაზე. ამდენად, მაჟორიტარული მოდელი საქართველოსთვის სტაბილურობის მომტან სისტემად არ გამოიყურება.

და თუკი მაინც დავეთანხმებით იმას, რომ კონსერვატორული დემოკრატია საქართველოში უფრო გაამართლებდა ვიდრე მაჟორიტარული, რჩება მთავარი საკითხი - რამდენად დაგვიანებულია ამ თემაზე საუბარი. ხომ არ არის პოლარიზება საქართველოში იმ დონემდე მისული, რომ ეს გამორიცხავს რაიმე სხვა ვარიანტებს, გარდა ბრძოლის ბოლომდე მიყვანისა და ამ პოლარიზების ერთ-ერთი მხარის საბოლოო გამარჯვებისა მეორეზე, რაც ისევ და ისევ ავტორიტარულ მმართველობასთან გვაბრუნებს. საპარლამენტო კონსერვატორული სისტემაში მოქცეული პოლიტიკური ელიტები ხომ არ ივლიან ისევ და ისევ პოლარიზებისა და დაპირისპირების გზით, რაც სისტემას მაჟორიტარულ წარსულში დააბრუნებს. პოლარიზების და მისგან თავის დარწმუნების საკითხს შემდეგ პარაგრაფებში განვიხილავთ.

#### 4. რაციონალური ლოგიკა, რომელსაც ირაციონალური შედეგი მოყვება

<sup>13</sup> Lijphart, 1999

კოოპერირება, თანამშრომლობა შესაძლოა ყველასთვის იყოს სასიკეთო, მაგრამ მაინც ვერ ხერხდებოდა. ეს მოვლენა კარგადაა ცნობილი პოლიტიკურ მეცნიერებაში.<sup>14</sup> ერთმანეთის მიმართ დაბალი ნდობის მქონე, პირადი ინტერესებით მოტივირებული ინდივიდების დიდი რაოდენობა შესაძლოა გრძნობდეს საერთო საქმის გაკეთების საჭიროებას, მაგრამ თითოეული თანამონაწილისთვის უფრო ნაკლებად სარისკო ჩანდეს საკუთარი საქმის თავად მიხედვა ვიდრე იმაზე დამოკიდებულება, რომ სხვები კეთილსინდისიერად შეასრულებენ თავის მოვალეობებს მის წინაშე. ამიტომ კოოპერირების აუცილებლობაზე აგებული სისტემა შესაძლოა არაეფექტური აღმოჩნდეს უბრალოდ იმის გამო, რომ რეალური ქცევა არ დაემთხვეს მოლოდინებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკური სისტემა არ იქმნება იმაზე გათვლით, რომ მასში მოქმედებენ იდეალური ადამიანები/პარტიები/პოლიტიკოსები. სისტემა უნდა იყოს რეალისტური, რათა მან ეფექტურად იფუნქციონიროს.

ვარდების რევოლუციის შემდგომი პერიოდი, როდესაც დემოკრატია სტაბილურად უკან-უკან მიდიოდა რაც საბოლოო ჯამში 2008 წლის აგვისტოს კატასტროფით დამთავრდა, პირველი შეხედვით ირაციონალურობისა და უაზრობის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ ამ თითქოსდა ირაციონალური ქცევის მიღმა იკითხება ლოგიკა, რომელიც ძალაუფლების შენარჩუნების სურვილითაა ნაკარნახევი ისეთ პოლიტიკურ ვითარებაში, სადაც ადგილი არა აქვს არანაირ კოოპერირებას.

ამ ლოგიკას კარნახობდა არ მარტო და არა იმდენად 2003 წლისთვის არსებული პოლიტიკური სისტემა - ამ სისტემის შემდგომი ტრანსფორმაციის სხვადასხვა ვარიანტები არსებობდა, მათ შორის დემოკრაციასთან ახლოს მდგომიც - არამედ რევოლუციაში გამარჯვებული გუნდის რაციონალური ლოგიკაც, რომელსაც საკუთარი ლეგიტიმურობა ოპონენტების სრულ დელეგიტიმაციაზე უნდა დაემყარებინა. ზემოთ ნახსენები მოდელიდან ორი - საბჭოთა წარსულიდან მომდინარე იგნორირება და ახალი რეალობით მოტანილი კონკურენცია - შეზავდა სტრატეგიაში, რომელმაც განაპირობა ხელისუფლების შეურიგებლობა და სრულად გამორიცხა პოლიტიკური ქცევისგან რაიმე სახის დათმობების, მოლაპარაკებებისა და პოზიციების დაახლოების შესაძლებლობები. ამავე დროს არ მოხდა ის,

<sup>14</sup> იხ. მაგ. ტუსაღის დილემა, Heywood 2007.

რასაც საჭიროებს იგნორირების ლოგიკა, და რასაც დელეგირების სტრატეგიის გულისხმობს - ბრძოლის დამთავრება ერთ-ერთი მხარის სრული დამარცხებით. სრულ მოგებაზე მიმართული კონკურენცია წაგებულის მოსპობის შესაძლებლობის გარეშე განაპირობებდა იმ პროცესებს, რაც საქართველოში წარმართა.

პირველი, რაც თვალში საცემია ამ პერიოდის ანალიზისას ეს არის პოლიტიკის დღის წესრიგის წამყვანი პრობლემების მუდმივი კალეიდოსკოპი. ვარდების რევოლუცია დემოკრატიის დაპირებითა და საზოგადოების მხრიდან სწორედ ამ მოთხოვნით იყო მოტივირებული. მაგრამ ჯერ კიდევ პრეზიდენტის ინაუგურაციამდე ამ დღის წესრიგმა უკან დაიხია, თანაც მწვავე და უპასუხო კრიტიკის ფონზე, და ადგილი ტერიტორიული მთლიანობის თემას დაუთმო. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არც ისე ადვილი აღმოჩნდა, და ვერ დარჩა პოლიტიკის დღის წესრიგის მთავარ და საყოველღეო პრობლემად, მას წარუმატებლად შეეჯიბრა ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხი, ხოლო შემდგომ ეს საკითხი სრულიად გაქრა ყურადღების არეალიდან და მისი ადგილი ნატოში გაწევრიანებამ დაიკავა. 2007 წლის შემოდგომაზე პოლიტიკის დღის წესრიგის ფორმირებაში ხელისუფლებამ დაკარგა ინიციატივა და ნოემბრის მოვლენების შემდეგ სიღარიბესთან ბრძოლის ღოზუნგით სცადა მისი დაბრუნება, თუმცა მალევე ისევე ტერიტორიული მთლიანობის საკითხს დაუბრუნდა (ამ დროისთვის ნატოს საკითხი უკვე ვეღარ იქნებოდა წამყვანი ბუქარესტის სამიტის გამო). ყოველივე ამან აგვისტოში ახალი რეალობა შექმნა, რომლის შემდეგ რუსეთის აგრესიის თემის დომინირებას ალტერნატივა აღარ ჰქონდა. არც ერთ ზემოაღნიშნულ თემაზე არ წარმართულა შინაარსობრივი დისკუსია მიღწევის კონკრეტულ გზებთან დაკავშირებით, და არცერთი კრიტიკული შეფასება არ იქნა გათვალისწინებული.

კონტროლი დღის წესრიგის ფორმირებაზე იმავდროულად წარმოადგენდა პოლიტიკური ბრძოლის მთავარ იარაღს, რაც მითითხვის პირველ რიგში სატელევიზიო პროპაგანდას და ამ პროპაგანდაზე უშუალო კონტროლს. სწორედ ამიტომ ტელევიზიების საკითხი გახდა უმთავრესი პოლიტიკური საკითხი, ხოლო ტელეკომპანია „იმედის“ პოლიტიკურმა გავლენამ გაცილებით მეტი წონა შეიძინა, ვიდრე ყველა ოპოზიციურ პარტიას ერთად აღებულს გააჩნდა, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა 2007 წლის ნოემბერში მისი მოსპობა.

მეორე თვალში საცემი თავისებურება, რომელიც ამ პერიოდს ახასიათებდა იყო ოპოზიციის ჯიუტი მიდრეკილება ჩაბლაუჭებულიყო მხოლოდ ერთ თემას - დემოკრატია, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებს, და მისი ინდეფერენტულობა რაიმე საპროგრამო პოზიტიური განვითარების გზების შემოთავაზებისადმი. ეს სტრატეგია განიხილება როგორც ოპოზიციის სისუსტე, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან უფრო ლოგიკურად და გამართლებულად გამოიყურება. ეს ერთადერთი ლოგიკაა, რომელიც ოპოზიციას ხელს აძლევს იმ პირობებში, როდესაც არ ხდება არანაირი კოოპერირება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, ხოლო დღის წესრიგის ფორმირებაზე ოპოზიციას თითქმის არანაირი გავლენა არა აქვს. გარკვეულწილად, მედიამ ოპოზიცია იძულებული გახადა ამ გზით წასულიყო, ვინაიდან დღის წესრიგის ფორმირება სწორედ მედიის, და არა ოპოზიციის ხელში იყო. შინაარსობრივ დისკუსიაში შესვლა ოპოზიციისთვის ნიშნავდა ხელისუფლების მიერ შედგენილ დღის წესრიგზე ლატენტურ თანხმობას, რაც იმავედროულად ავტომატურად ნიშნავდა წინა, გადაადგებულ თემაზე უკან დახევას და ხელისუფლების მიერ შექმნილ ვითარებაზე დათანხმებას.

მთლიანობაში, დახატული სურათი ჯდება ე.წ. ქაოსის თეორემის ლოგიკაში.<sup>15</sup> როდესაც პოლიტიკა მხოლოდ კონკურენტულია (ანუ პრობლემები წყდება მხოლოდ მაქორითარულად, ურთიერთმოლაპარაკების გარეშე), ხოლო პოლიტიკური განხეთქილებები მრავალრიცხოვანი, და არ ჯდება ერთი განზომილების, მაგ. მემარჯვენე-მემარცხენე დაპირისპირების ლოგიკაში, პოლიტიკურ პროცესს არა აქვს წონასწორობის წერტილი (ე.წ. ნეშის წონასწორობის წერტილი). ეს ნიშნავს იმას, რომ სტაბილური პოლიტიკური თანხმობის მიღწევა, რაც სახელმწიფოში სტაბილური გრძელვადიანი პოლიტიკის განხორციელების საწინდარი იქნებოდა, ვერასდროს ვერ ხერხდება, რაც გინდათ დიდხანს გაგრძელდეს თუნდაც თავისუფალი პოლიტიკური ბრძოლა. ამ ვითარებაში პოლიტიკის დღის წესრიგის კონტროლი და მისით ოპორტუნისტული მანიპულირება ხდება პოლიტიკური ბრძოლის მთავარი იარაღი. ქაოსის თეორემის თანახმად იმას, ვინც ამგვარი კონტროლის შესაძლებლობას ფლობს, აქვს შესაძლებლობა პრაქტიკულად ნებისმიერი პოლიტიკური შედეგის მიღწევისა, და მოწინააღმდეგეთა დამარცხებით.

<sup>15</sup> იხ. მაგალითად Morrow 1994.

სა. ეს მარტივად კეთდება. ჯერ ყოფ ელექტორატს დემოკრატიის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. როდესაც გრძნობ რომ კარგავ ერთი მხარის მხარდაჭერას, ცვლი დღის წესრიგს და აყენებ ტერიტორიული მთლიანობის საკითხს, რომელიც უკვე სხვა ჯგუფებად ყოფს საზოგადოებას. როდესაც აქაც კარგავ პოზიციებს, გადადიხარ დაყოფის სხვა განზომილების აქცენტორებაზე, და ა.შ. სანამ არ გამოიღევა ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები. სამწუხაროდ ქვეყნისთვის, ასეთი მანიპულირებისას მანიპულატორი იძულებულია სულ უფრო მაღალი მოლოდინები შექმნას და დაპირებების სკალას აუწიოს. სწორედ ამიტომ გახდა იძულებული ხელისუფლება 2008 წლის აგვისტოში ჩაბმულიყო სამხედრო ავანტიურაში, რომელმაც ქვეყანას ყველასათვის არასასურველი შედეგი მოუტანა. ამის შემდეგ მანიპულირება საჭირო აღარ არის - რუსეთის აგრესიის პირობებში საზოგადოებას ექმნება შთაბეჭდილება რომ მას აქვს არჩევანი ორ ბოროტებას შორის - რუსეთი და სააკაშვილი, რომლებიდანაც რუსეთი უფრო აფრთხობს.

ამდენად, თუკი მოცემულობა მდგომარეობს ხელისუფლების მხრიდან დათმობების, მოლაპარაკებებისა და თანხმობის მიღწევის უარყოფაში, მისთვის ლოგიკურია სწორედ ის ქცევა, რომელიც მან გამოავლინა. ასევე ლოგიკურია ოპოზიციისთვის უარის თქმა რაიმე სახის პოზიციების დაფიქსირებაზე, ვინაიდან ეს იწვევს მის დანაწევრებასა და ამცირებს მისი ელექტორატის კონსოლიდირების შესაძლებლობას, რასაც განაპირობებს ამ ელექტორატის სიჭრელე არსებულ პრობლემებთან მიმართებაში.

განვლილი წლების გამოცდილება ამდენად მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ხდებოდეს, რომ რაციონალური აქტორების ბრძოლა წარმატებისთვის მთავრდება იმ შედეგით, რომელიც არავის არ უნდოდა. ყოველი ეტაპი ამ ბრძოლისა იყო ნულოვანჯამოვანი, და მიმართული გამარჯვებაზე, მაგრამ საერთო ჯამში, ყველა ეტაპის გავლის შემდეგ თამაში აღმოჩნდა უარყოფითჯამოვანი, როდესაც ყველა მასში ჩართულმა აქტორმა წააგო, და საბოლოო წერტილი, რომელშიაც ყველა აღმოჩნდა, მდებარეობს იმ ველის მიღმა, რომელშიაც ვიღაცა მაინც იქნებოდა წარმატებული.

## 5. ურთიერთმომგებიანი დათმობა

როგორც განვლილი პერიოდის მაგალითი გვიჩვენებს, მაქორიტარული ლოგიკა კანონის უზენაესობის არარსებობის პირობებში მონაწილეებს არაკოოპერაციულ ქცევას კარნახობს, რაც მათთვის რაციონალური, და არა უგუნური მიდგომაა. კოოპერირებისკენ ცალმხრივად გადადგმული ნაბიჯები ამ ვითარებაში წაგების ტოლფასია, რაც დაადასტურა კიდევ ოპოზიციის წარუმატებლობამ იმ შემთხვევებში, როდესაც ამგვარი ნაბიჯები იქნა გადადგმული. კოოპერირების სტიმული, ამდენად, უნდა იყოს რაციონალურად მომგებიანი იმისთვის, ვინც მასში ერთეუბა. დათმობა არ უნდა ნიშნავდეს დამორჩილებას, თუკი გვინდა რომ ის გახდეს პოლიტიკის წესი.

უნდა ითქვას, რომ მაქორიტარიზმი არ არის განწირული მარცხისთვის, თუკი ის ხორციელდება ძალაუფლების შეზღუდვის პრინციპით ფორმირებულ კონტექსტში. ასე მაგალითად, მედია რომ ყოფილიყო თავისუფალი და სააკაშვილს არ ჰქონოდა დღის წესრიგით მანიპულირების შესაძლებლობა, წინა პარაგრაფში აღწერილი ვითარება შეუძლებელი იქნებოდა. ნულოვანჯამოვანი კონკურენციული თამაშები სრულიად არ გამოირიცხავენ მოლაპარაკებების და დათმობების შესაძლებლობას. როგორც აღრე ითქვა, ურთიერთმისაღები კომპრომისი შესაძლოა ვაჭრობის შედეგად წარმოიქმნას, თუკი ამის საჭიროებას ორივე მხარე აღიარებს. ამ აღიარების არარსებობა გამოიხატება პოლიტიკური ცენტრის გამორეცხვაში და ურთიერთმისაღები კომპრომისის არარსებობაში - ყოველ შემთხვევაში, იმ განზომილების გასწვრივ, რომლის გასწვრივაც მიმდინარეობს შეჯიბრი. თუკი არც ერთი ურთიერთშეხების წერტილი არ ან ვერ მოიძებნა, არსებობს ორი გამოსავალი. ერთია, როდესაც ყველა მომდევნო გადაწყვეტილება მისაღებია ერთი მხარისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მიუღებლები არიან მეორისთვის. ყალიბდება ვითარება, როდესაც ერთი მხარე ვერასდროს ვერ არის მოგებული, ანუ დიქტატურა დემოკრატიის ნაცვლად. მეორე ვარიანტია, როდესაც ხან მოგებულია ერთი მხარე, ხან მეორე, და ამასთან არც ერთი არ ეგუება დროებით მაინც წაგებას, რადგანაც ეს წაგება მისთვის გადაწყვეტილებათა მიუღებელ ველში მდებარეობს. თუკი ხელისუფლება ახერხებს დიქტატურის დამყარებას, საქმე დამთავრებულია, და შემდგომ ლაპარაკს აზრი არა აქვს. მაგრამ ვეცადოთ წარმოვიდგინოთ რომ

დემოკრატიისთვის ბრძოლა გრძელდება და ხელისუფლებას არ გააჩნია დიქტატურის დასამყარებლად საჭირო რესურსი. მაშინ მყარდება ქაოსი, რომელიც შესაძლოა კატასტროფით დამთავრდეს, როგორც განვლილი გამოცდილება ადასტურებს.

მაჟორიტარიზმის წარმატებას სხვა ფაქტორებიც უშლის ხელს. როგორც ადრე ითქვა, ძალაუფლების გაზიარების პრინციპის ამოქმედების გარეშე ვერ იხსნება პოლარიზება ძლიერი სახელმწიფოსა და დემოკრატიის მომხრეებს შორის. მაჟორიტარული დემოკრატიისთვის აუცილებელია ნეიტრალური და მიუკერძოებელი "გარე დამკვირვებელი", გამორიცხულია მისი გამართული ფუნქციონირება იქ, სადაც არ არის არაფერი, რასაც ყველა ენდობა. ამ ვითარებას შვედის მხოლოდ საჯაროდ და პირისპირ ურთიერთობების გარკვევა, რომელიც მეორე მოდელისთვისაა დამახასიათებელი. ასევე, განვლილ წლებში კომპრომენტირებული პოლიტიკური ელიტები ვერ უზრუნველყოფენ მაჟორიტარული პოლიტიკის წარმატებას, რომელსაც ძლიერი აქცენტი აქვს პიროვნებებზე, მაშინ როცა კონსესური დემოკრატია აქცენტირებულია უფრო პროგრამებზე და ღირებულებებზე, ვიდრე პიროვნებებზე.

ჩიხიდან გამოსავალზე ოცნება რომ რეალობად გადაიქცეს, პოლიტიკაში მონაწილეებს პოლარიზების სტიმული უნდა შეუსუსტდეს და კოოპერირების ფასი ამაღლდეს. ერთ-ერთი ცხადი და უკვე ბევრჯერ გაუღერებული ნაბიჯი ამ მიმართულებით იქნებოდა საპრეზიდენტო პოსტის ან ფაქტობრივი, ან ფუნქციონალური გაუქმება. ეს, რასაკვირველია მაჟორიტარიზმის შესუსტებისკენ გადასადგამი აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი ნაბიჯია. არჩევნების "ფასის" შემცირებას ასევე უწყობს ხელს კონსესური მოდელის ამოქმედება. კონსესური დემოკრატიის წარმატებისთვის აუცილებელი რამდენიმე სხვა ფაქტორის ჩამონათვალს, რომელიც ამასთან შესაძლოა არასრული აღმოჩნდეს, დაბლა გთავაზობთ. ზოგიერთი ფაქტორი გარეგანია, და ამდენად უშუალოდ სისტემის ტრანსფორმაციის ნაწილს არ წარმოადგენს. ისინი უნდა განვიხილოთ როგორც წინაპირობები ჩიხიდან გამოსვლის შესაძლებლობის შექმნისა.

როდესაც საზოგადოება ძალიან ღარიბია, ხოლო ეკონომიკური უთანასწორობა მაღალი, დემოკრატია შენარჩუნება ხდება პრობლემატური ნებისმიერი საკონსტიტუციო მოწყობის პირობებში. თუკი საზოგადოებაში ჩამოყალიბებულია მდიდართა ფენა, რომელიც ავტორიტარიზმის გზით ცდილობს თავისი ინტერესების დაცვას, ამ საკითხის გადაჭრა პოლიტიკური სის-

ტემის მოდელის შემუშავებით ცოტა არ იყოს, მიაბიტური მცდელობა იქნებოდა. მაგრამ თუკი სისტემის შეცვლა უკვე მოხერხდა, და საკითხი დგას მიღწეულის შენარჩუნებაზე, მაშინ არსებითია დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა გავლენას ახდენენ ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტები ერთმანეთზე.

ეკონომიკური პრობლემებიდან ყველაზე მწვავე პოლიტიკურ საკითხებად საქართველოში დგას საკუთრების უფლება, კორუფცია და უმუშევრობა. რაც შეეხება შემოსავლების უთანასწორობას, მას ამაჟამად აქვს სუსტი პოლიტიკური განზომილება, და როგორც სოციოლოგიური გამოკითხვები აჩვენებს, ის პრაქტიკულად არ ახდენს (ან სხვა ფაქტორებზე ნაკლებად ახდენს) ზეგავლენას პოლიტიკურ შეხედულებებზე.

პარადოქსულად, თუკი საკუთრების უფლების შელახვას უფრო კარგად კონსესური მოდელი შეებრძობება, ვინაიდან მასში არ იარსებებს ექსპროპრიაციისთვის ხელსაყრელი ერთიანი პოლიტიკური ნება, კორუფციას პირველი შეხედვით, მაჟორიტარული დემოკრატია უკეთ გადალახავს. მაჟორიტარიზმის პირობებში ხელისუფლება კონცენტრირებულია, და მისი პასუხისმგებლობა კორუფციის ყველა სახეობაზე აშკარაა. კონსესური მოდელის სისუსტე მდგომარეობს პასუხისმგებლობების გაურკვეველობაში, მასში ძნელია კორუფციის ფაქტების მიბმა კონკრეტული პოლიტიკური ძალების პასუხისმგებლობასთან. ამდენად, თუკი მაჟორიტარული მოდელი მოიცავს ავტორიტარული გადაგვარების რისკს ელიტარული კორუფციის ამოქმედებით, კონსესური დემოკრატია უფრო მეტი რისკის შემცველია მასობრივი კორუფციის თვალსაზრისით, რომელშიაც ფარული გარიგებების მეშვეობით შეიძლება ყველა ან უმეტესობა პოლიტიკური ძალებისა ჩაებას. ამის მაგალითები საქართველოში მრავლად დაფიქსირებულა იმ არჩევნების დროს, როდესაც საარჩევნო ადგილობრივი კომისიები, შედგენილი მრავალპარტიული პრინციპით, გარიგებების გზით აყალბებდნენ არჩევნების შედეგებს.

კონსესური დემოკრატიის გადაგვარება კორუფციულ სისტემად ამდენად არის მთავარი საშიშროება, რომელიც ხშირად არაცნობიერად გააზრებულია იმ მოქალაქეების მიერ, რომლებიც "ძლიერი ხელის" და "სტალინის" გარდა მისი შეხედულების ვერანაირ შესაძლებლობას ვერ ხედავენ. მოსალოდნელია, რომ მართლაც კორუფციის პრობლემა გახდეს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა კონსესური მოდელის პირობებში. მაგრამ თავად მოდელი გრძელვადიანი ფუნქციონირების შემთხვევაში წარმოად-

გენს ამ პრობლემის დაძლევის მექანიზმს. ამის საწინდარია ის ღიაობა, რომელშიაც მოთავსებულია პოლიტიკური შეჯიბრი საქართველოში, და რომელშიაც მითუმეტეს ვერ გაქრება და ვერ დაიძლევა მაშინ, როდესაც არ იარსებებს ძალაუფლების მაჟორიტარული კონცენტრირების ცენტრი (პრეზიდენტი). საპრეზიდენტო სისტემაშიც კი, რომელიც ამჟამად არსებობს, შედარებით შეკრული სახელისუფლებო გუნდის შიგნით არსებული კორუფციული გარიგებები ცნობილი ხდება საზოგადოებისთვის. მითუმეტეს სარისკო გახდება ჩრდილოვან არაკანონიერ გარიგებებზე წასვლა მრავალპარტიულ ვითარებაში, სადაც ყოველი ფაქტი შესაძლოა წინასწარჩევნო პროპაგანდისთვის იქნას გამოყენებული ოპონენტების მიერ. ამდენად, კორუფციის დაძლევა კონსესურ დემოკრატიაზე შეუძლია, მაგრამ მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტაციით.

მაღალი უმუშევრობა ასევე პოლიტიკური განზომილების მომცველია, ვინაიდან დასაქმების და პოლიტიკური ორიენტაციის ფაქტორები მჭიდროდ კორელირებენ ერთმანეთთან (სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებით). განვიხილოთ წლებში განხორციელებული პოლიტიზირებული საკადრო პოლიტიკის ფონზე ეს არც არის გასაკვირი. მოსალოდნელია, რომ თუკი სისტემა შეიცვალა, სხვადასხვა პარტიების აქტივისტები არჩევნების შემდეგ თავისი ლიდერებისგან სწორედ რომ დასაქმებას მოითხოვენ, ხოლო ლიდერები პირველ რიგში მათთვის სამუშაო ადგილებისთვის ბრძოლაში ჩაერთვებიან. ეს პრობლემაც გარკვეულწილად კორუფციის სახეობას წარმოადგენს, და იმავე რიგში უნდა იყოს განხილული, როგორც წინა პრობლემა. ამ შემთხვევაში, განსხვავებით კორუფციის შემთხვევისა, არა მედიის, არამედ საზოგადოების მობილიზების მაღალი დონის შენარჩუნების იმედით უნდა ვიყოთ, მაგრამ პრობლემის გადაჭრა ისევ და ისევ გრძელვადიან პერსპექტივას უკავშირდება.

საგარეო ორიენტაციების პოლარიზება და საქართველოს სასაზღვრო მდგომარეობა სამი ცივილიზაციის მიჯნაზე ძაბავს შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებებს. ოპორტუნისტ ლიდერებს ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა ამ დაძაბულობაზე ითამაშონ, ის უკიდურესობამდე მიიყვანონ და ამ ფაქტორს აშკარა ნულთანჯამოვანი ხასიათი შესძინონ. თუკი საქართველოს დღევანდელი ყოფნა-არყოფნის საკითხი კვლავაც დღის წესრიგში დარჩება დიდ ხნის განმავლობაში, ეს გამორიცხავს არა მარტო კონსესუალური მიდგომების შესაძლებლობას, არამედ რაიმე სახის დემოკრატის დამკვიდრების შესაძლებლობასაც. მხო-

ლოდ მრავალპოლუსიანი საგარეო კლიმატის შექმნა გადაიყვანს საგარეო ვექტორებს არანულთანჯამოვანი სტრატეგიების სიბრტყეში. ევროპული გავლენის ზრდა ამ მხრივ ერთადერთ გამოსავლად ისახება. გარე უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და რუსეთთან სტაბილური, თუ არა კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების გარეშე ცხადია, პოლიტიკური სისტემის სტაბილიზებაზე ლაპარაკი შეუძლებელია. სამაგიეროდ, თუკი ეს მიღწეულია, კონსესური მოდელი უფრო სტაბილური იქნება, ვინაიდან მომავალში შეზღუდავს პოლარიზების სიმძაფრეს საგარეო პოლიტიკაში და გამორიცხავს "კრემლის აგენტების" ძიებას ოპოზიციაში.

უკიდურესი პოლარიზება დღესდღეობით ახასიათებს არა მარტო პოლიტიკურ ელიტებს, არამედ საზოგადოებასაც. ეს დიდწილად განპირობებულია იმ პოლარიზებული საინფორმაციო სივრცით, რომელიც ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ 2007 წელს. ნაწილობრივ პოლარიზების მიზეზი დევს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების იმ მოდელში, რომელიც ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში ამუშავდა და რომელიც უფრო მაჟორიტარულ, და არა კონსესურ დემოკრატიაზე შეესაბამება (ამ თემას აქ ჩვენ ფართოდ ვერ გავშლით). ხელისუფლებიდან სააკაშვილის წასვლა თავისთავად არ მოხსნის ამ პოლარიზების არსებობის ფაქტს. პოლარიზებიდან დემოკრატიულ პლურალიზმზე გადასვლა საჭიროებს რამდენიმე პრობლემის გადაჭრას.

ძალიან უხეშად რომ ვთქვათ, დღეს ქართულ საზოგადოებაში არიან ადამიანები, რომლებიც ემხრობიან მაჟორიტარულ მმართველობას, რომელიც უპირობო ძალაუფლებას აქცევს ერთი ადამიანის ხელში; ადამიანები, რომლებიც ითხოვენ დემოკრატიაზე როგორც საზოგადოების შესაძლებლობას თავად მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკაში და ოპორტუნისტები, რომლებს მიაღწიონ იმდენად, რამდენადაც ვითარება აძლევს ხელს. ეს დაყოფა არ ასახავს დაყოფას ხელისუფლება-ოპოზიციად, ვინაიდან ორივე მხარეს არიან სამივე ტიპის ადამიანები, თუმცა სტატისტიკურად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლებაში უფრო მეტია "მაჟორიტარი", ხოლო ოპოზიციაში "კონსესუალისტი".

"მაჟორიტარისტებისა" და "კონსესუალისტების" გადანაწილება საზოგადოებაში გეოგრაფიულ და სოციალურ განზომილებებსაც შეიცავს. რეგიონების მოსახლეობისთვის დღესდღეო-

ბით უფრო რაციონალურია მაჟორიტარული მოდელისთვის მიმხრობა, ვინაიდან პოლიტიკაში თანამონაწილეობის შესაძლებლობა მათ ისედაც მეტად შეზღუდული აქვთ. თანამონაწილეობის მოთხოვნა უფრო მაღალია საშუალო ფენაში, ვიდრე დაბალ კლასებში, ვინაიდან ეს მოთხოვნა იზრდება პოსტ-მატერიალისტური ღირებულებების ზრდასთან ერთად, რაც გარკვეულ სოციალურ განზომილებებსაც მოიცავს (მაგალითად, განათლების დონეს). ამდენად, სოციალურად არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ფენების ზეგავლენა შემდგომი დემოკრატიზაციის ხასიათზე უფრო მაჟორიტარიზმისკენ უნდა უბიძგებდეს ქვეყანას.

იმისთვის, რომ პოლიტიკაში თანამონაწილეობის პროცესმა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მოიცვას, რეგიონების მოსახლეობას უნდა მიეცეს თანამონაწილეობის გაცილებით მეტი შესაძლებლობა, ვიდრე მათ აქვთ ამჟამად. მაჟორიტარიზმისკენ სწრაფვის შესუსტება რეგიონებში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გაიხსნება რეგიონების პოლიტიკაში თანამონაწილეობის პირდაპირი არხები. ეს არ გულისხმობს მხოლოდ ტერიტორიულ დეცენტრალიზაციას და რეალური თვითმმართველობის შექმნას. ძალაუფლების გაზიარების პრინციპის ამოქმედებაში ძალაუფლების ძირითადი მატარებლები, რომლებმაც უნდა გააძლიერონ სახელმწიფო თავისი აქტიური ჩართვით, სწორედ რეგიონები და ტერიტორიული ერთეულები უნდა გახდნენ. ცენტრალური ხელისუფლება უნდა გახდეს რეპრეზენტატული ამ კუთხით, რაც შეიძლება გულისხმობდეს საარჩევნო სისტემის ტრანსფორმაციასაც და ორპალატიანი პარლამენტის შექმნასაც. რეგიონები უნდა თამაშობდნენ როლს ცენტრალურ ხელისუფლებაში, და არა იყვნენ მოქცეულები ადგილობრივ გეტოებში თავისი ლოკალური პრობლემებით.

მთავარი, რაც ალბათ პოზიტიურ როლს შეასრულებს თანამონაწილეობითი კონსესუსური დემოკრატიის დამკვიდრებაზე, არის ის, რომ საზოგადოებამ დაიწყო "დაბრუნება" პოლიტიკური ქმედებების არეალში, რაც ხელს უწყობს ახალ ყიადაზე მოწყობილი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას და საბოლოო ჯამში გავლენას მოახდენს პოლიტიკის თამაშის წესების "დაღვინებაზე". ამ პროცესში პირველ რიგში თამაშობს როლს ის საჯაროობა, რომელშიაც ბოლო წლებში მონაწილეობენ არა მარტო პოლიტიკოსები, არამედ პოლიტიკისგან სრულიად შორს მდგომი ადამიანები. პოლიტიკური საჯარო სივრცე "გა-

იხსნა" საზოგადოებისთვის, რაც არ შეიძლება არ დამთავრდეს პოლიტიკური ძალაუფლების სივრცის ტრანსფორმაციით.

ცალკე პრობლემას წარმოადგენენ პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკოსები. მრავალპარტიულობა თავისთავად არ არის კონსესუსალური ქცევის წინაპირობა. თუმცა ის წარმოშობს ამგვარი ქცევის გარკვეულ საჭიროებას როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე არჩევნების შემდეგაც, საპარლამენტო უმრავლესობის ფორმირების პროცესში. მაგრამ საჭიროება იმთავითვე ქრება, როგორც კი მოიკრიბება საკმარისი ძალა, რომ ძალაუფლების კონტროლი განახორციელოს, და ამ ძალის მიღმა დარჩენილი პარტიები უმცირესობაში დატოვოს.

ამდენად, საკითხი დგას პირველ რიგში იმაზე, თუ როგორ მართავს უმრავლესობა კონსესუსური დემოკრატიის პირობებში, და რამდენად აქვს შესაძლებლობა თავისი მმართველობა ისევ და ისევ ტირანიად გადააქციოს. არის თუ არა ეს შესაძლებლობები უფრო ფართო, თუ უფრო შეზღუდული როდესაც ვადარებთ ერთმანეთს თუნდაც ვესტმინსტერის მოდელს (სრული პასუხისმგებლობა ერთ მმართველ პარტიაზე) ევროპულ მოწყობებთან (ოპოზიციას და საზოგადოებას აქვს თანამონაწილეობის გარკვეული შესაძლებლობა).

მაჟორიტარულ მოდელში მჭიდროდ შეკრული საპარლამენტო უმრავლესობა შესაძლოა ისევ და ისევ არ უწევდეს ანგარიშს უმცირესობას, თვითნებურად ცვლიდეს თამაშის წესებს და საბოლოო ჯამში მომდევნო არჩევნების ჩატარებას აზრს უკარგავდეს. ამის საპირისპიროდ, თუკი უმცირესობას აქვს სათანადო ბერკეტები (ვეტოს უფლება) რათა უმრავლესობის არასასურველი გადაწყვეტილებები დაბლოკოს, მან შეიძლება ეს უფლება ბოროტად გამოიყენოს და ვითარება პოლიტიკურ ჩიხში შეიყვანოს. როდესაც პარტიებს არა აქვთ საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირები, ამგვარი პოლარიზება პოლიტიკურ ელიტებში კვლავაც სისტემის დესტაბილიზაციის და დემოკრატიის შესუსტების საწინდარი შეიძლება გახდეს.

ამის საპირისპიროდ, კონსესუსურ დემოკრატიაში, თუკი უმრავლესობა არადემოკრატიული გზით წავიდა, მას ამ გზით სიარულის შედარებით შეზღუდული შესაძლებლობა ექნება. გარკვეულ დონემდე ის იქნება დაბალანსებული ოპოზიციის მიერ, რომელსაც ამისთვის შესაბამისი ბერკეტები მიეცემა. ესენია საკომიტეტო მოწყობის წესები, ოპოზიციის როლი პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობაში, ოპოზიციის გავლენა ამა თუ იმ გადაწყვეტილებებზე. ამგვარი



ბერკეტები არსებობდა საქართველოს პარლამენტში 2004 წლამდე, და დღემდე ნაწილობრივ შემორჩენილია. წინა პარლამენტში ამ ბერკეტების არაეფექტურობას განაპირობებდა არა მისი შიდა მოწყობის ნაკლოვანებები, არამედ ის, რომ არსებობდა პრეზიდენტის პოსტი, რომელიც საპარლამენტო ზემოქმედებას არ ექვემდებარებოდა. ამ პოსტის გაუქმების ან შესუსტების შემთხვევაში კონსესუალური მოდელის ბოროტად გამოყენება უმრავლესობის მიერ შედარებით უფრო ძნელია.

ამასთან, მთავარი, რასაც იძლევა კონსესუალური მოდელი, ეს არის ის, რომ ის აძლევს პარტიებს წარმომადგენლობითი განვითარების შესაძლებლობას. პარტიებს აღარ აქვთ უმრავლესობის მოზიდვის საჭიროება, მათ შეუძლიათ გამოკვეთონ სპეციფიური სოციალური ჯგუფები (რეგიონები), სადაც მძლავრი დასაყრდენი ექნებათ. ამ მუშაობაში მათ რეალური პოლიტიკური სტრატეგიების გამომუშავება მოუწევთ, და ამ სტრატეგიების განხორციელებისთვის ზრუნვა პარლამენტში. ეს ყოველივე გააჯანსაღებს საპარლამენტო ვითარებას და გადაიყვანს პოლიტიკურ დისკურსს უფრო შინაარსობრივი დებატების ფორმატში.

### დასკვნა

მოცემული ნარკვევი არ წარმოადგენს საქართველოში დემოკრატიის გადარჩენის რეცეპტს. მისი დანიშნულებაა იმის ჩვენება, რომ დიქტატურასა და ქაოსს შორის ჯერ კიდევ არის დარჩენილი მესამე გზა, რომელიც უფრო ჩვენი შესაძლებლობაა, ვიდრე გარდაუვალი ბედი. ამ გზით სიარული კოლექტიური ქმედების, სოლიდარობისა და კოოპერირების უფრო მაღალ საფეხურებზე აყვანას მოითხოვს. წავა თუ არა განვითარება ამ გზით, დამოკიდებულია არა აკადემიურ სტატიებზე, არამედ საზოგადოების აქტივობაზე. საზოგადოების დაბრუნება ისტორიაში ამ ისტორიის დამწერთა ვინაობას შეცვლის. ან არა.

### ბიბლიოგრაფია

- Carothers, Thomas. 2007. *A Quarter-Century of Promoting Democracy*. Journal of Democracy. Volume 18, Number 4 October
- Carothers, Thomas. 2002. *The End of Transitional Paradigm*, Journal of Democracy, v13, N 1, January
- Elster, John. 1997. *The Market and the Forum: Three Varieties of Political Theory*. in: *Deliberative Democracy: Essays on Reason and Politics*. ed. James Bohman and Willam Rehn. Cambridge, Mass. : MIT Press
- Heywood, Andrew 2007. *Politics*. Palgrave Macmillan
- Lijphart, Arend. 1999. *Patterns of Democracy: Government Forms and Performance in Thirty-Six Countries*. Yale University Press
- Morrow, JD (1994) *Game Theory for Political Scientists*, Princeton, NJ: Princeton University Press
- O'Donnell, Guillermo (1998). *Horizontal Accountability in New Democracies*. Journal of Democracy 9.3 112-126
- Parsons, Talcott. Edward Shils, Neil J. Smelser 2001. *Toward a general theory of action: theoretical foundations for the social sciences*. Transaction Publishers
- Powell, G. Bingham. 2000. *Elections as Instruments of Democracy. Majoritarian and Proportional Visions*. Yale University Press
- Tansey, Stephen. 1995. *Politics, The Basics*. Routledge

დავით მელუა

**ადგილობრივ ინტერესთა წარმომადგენლობა  
სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემებში**

**შესავალი**

სახელმწიფო რთული სოციალური ფენომენია და რეალობაში იგი სრულადაც არ გახლავთ ადამიანთა მონოლითური ერთობა. ისტორიული განვითარების ყოველ ეტაპზე სახელმწიფო მრავალგვარ ინტერესთა არტიკულაციისა და მართვის მექანიზმს წარმოადგენდა. იცვლებოდნენ ინტერესთა ჯგუფები, თავად ინტერესებიც მაგრამ სახელმწიფოს ეს ფუნქცია დღესაც უცვლელია.

რაც უფრო კომპლექსური ხდებოდა სოციუმი მით უფრო კომპლექსური იყო ინტერესები და შესაბამისად მით უფრო იხვეწებოდა სახელმწიფო ინსტიტუტები. თავად ინტერესთა მრავალმხრივობა ითხოვდა იმას, რომ სახელმწიფო საქმეები (ან შეიძლება ვიხმაროთ “საჯარო საქმეები”, ვინაიდან ქართულ ენაში ტერმინოლოგიური სიცხადე ჯერ კიდევ არ გვაქვს) სულ უფრო კომპლექსური შექმნილიყო. თუ ადრე ხელისუფლის ფუნქცია ძირითადად ტერიტორიის დაცვა და მართლწესრიგის უზრუნველყოფა იყო, ვაჭრობის განვითარებამ და ინდუსტრიალიზაციამ გააჩინა მოთხოვნა ისეთ ფუნქციებზე როგორცაა კომუნიკაცია, ფოსტა, ფულად-საკრედიტო ურთიერთობა, საქონლის მიმოქცევა. მიგრაციამ და მუშახელის მოძრაობამ ბიძგი მისცა ისეთ საჯარო საქმეთა წარმოშობას როგორცაა კომუნალური სფერო და ბინათმშენებლობა. კვალიფიციური მუშახელის მოთხოვნამ საყოველთაო განათლების მიწოდების კომპეტენცია წარმოშვა და ა.შ.

ყოველი ამ საჯარო კომპეტენციის გაჩენა საკუთარი ინტერესის დასაკმაყოფილებლად, კონკრეტული სოციალური ფენის ხანგრძლივი ბრძოლის შედეგია. სწორედ ამ ბრძოლის შედეგად იცვლებოდა სახელმწიფოს სახე, იქმნებოდა ახალი ინსტიტუტები, ყალიბდებოდა ახალი სოციალური ფენები და საზოგადოებრივი ძალები. ანუ მიმდინარეობდა ის პროცესი, რასაც ისტორიკოსები უწოდებენ აბსოლუტიზმის ტრანსფორმაციას საარჩევნო დემოკრატიაში.

ამ ტრანსფორმაციის დროს აშკარად გამოიკვეთა საჯარო ინტერესთა ორი სახე – სოციალური ინტერესი (კლასები, სოციალური ფენები) და ტერიტორიული ინტერესები (ერთ არეალზე დასახლებულ ადამიანთა ინტერესები). ტერიტორიული ინტერესები გაცილებით კომპლექსურია ვიდრე ცალკეულ ჯგუფთა ინტერესები. რადგან, ჯერ ერთი, ტერიტორიულ ინტერესებში იკვეთება ყველა სოციალური ჯგუფის ინტერესი და მეორეც, ტერიტორიული ინტერესი მრავალდონიანია. გამარტივებული მიდგომით ტერიტორიული ინტერესი მხოლოდ ერთ მიკროსისტემასთან (ხეობა, სოფელი, ქალაქი) იდენტიფიცირებული ადამიანების ინტერესს უნდა მოიცავდეს. მაგრამ სოციალ-კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით ადამიანთა სუბნაციონალური თვითიდენტიფიკაციის არეალი გაცილებით ვრცელი შეიძლება იყოს ვიდრე ერთი მიკროსისტემა. იგი რამდენიმე ასეთ ასეთ მიკროსისტემასაც შეიძლება მოიცავდეს. ასეთ დიდ ტერიტორიულ წარმონაქმნებს რეგიონები, მხარეები ან მიწები ეწოდება. ასეთი მსხვილი ტერიტორიული ერთობის ჩამოყალიბებაში ორი ფაქტორი თამაშობს განსაკუთრებულ როლს: ა) სოციალ-კულტურული ერთგვარობა (ენა, რელიგია, ტრადიციები და მენტალობა) და ბ) ისტორიული ტრადიცია (ისტორიულად არსებობდა როგორც ცალკეული საგრაფო ერთიანი სუზერენის მფარველობის ქვეშ). ყოველივე ზემოთქმული ქმნის ტერიტორიულ ინტერესთა ერთგვარ კასკადს სადაც მიკროსისტემური ინტერესი (ეუწოდოთ მას “ადგილობრივი ინტერესი”) თანაარსებობს უფრო დიდ სუბნაციონალურ ინტერესთან (ეუწოდოთ მას “ტერიტორიული ინტერესი”). და ორივე მათგანი თანაარსებობს საერთო ეროვნულ ინტერესებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ ინტერესთა ჯამი არ უდრის ტერიტორიულ ინტერესს და არც ეროვნული ინტერესებია მხოლოდ ტერიტორიულ ინტერესთა მექანიკური ჯამი. ყველა ეს ინტერესი თვითმყოფადია (კომპლიმენტარულია) და მათი ურთიერთხანაცვლების (ან რომელიმე მათგანის იგნორირების) შემთხვევაში კონფლიქტი გარდაუვალია.

იმისდა მიხედვით თუ როგორ არის რეალიზებული ტერიტორიული ინტერესები ჩვენ სახელმწიფოს მოწყობის სხვადასხვა მოდელში გვაქვს (უნიტარული, რეგიონული, ფედერალური). საერთო რაც ყველა მოდელს ახასიათებს არის ის, რომ ყველგან გვაქვს მინიმუმ ორი - ადგილობრივი და ეროვნული ინტერესი. ინტერესთა კვალდაკვალ იყოფა საჯარო საქმეების პაკეტიც, ადგილობრივი საქმეები (local affairs) ადგილობრივ ინ-

ტერესთა რეალიზაციას ემსახურება, შესაბამისად გვაქვს რეგიონალური საქმეები (regional affairs) და ეროვნული საქმეები (national affairs). იმაზე თუ რამდენად ეფექტურადაა რეალიზებული ტერიტორიული ინტერესები, რამდენად პარმონიულად თანაარსებობენ სხვადასხვა დონის საქმეები ერთმანეთთან, დამოკიდებულია დემოკრატიული სტაბილურობა თითოეულ ქვეყანაში.

ამ სტატიაში ჩვენ ვერ შევხვებით სუბნაციონალურ (ტერიტორიულ) ინტერესებს და მათ წარმომადგენლობას. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობისა და კონსტიტუციონალიზმის ეს ვრცელი საკითხი ჩვენი სტატიის ფარგლებს სცილდება. ჩვენი ამოცანაა განვიხილოთ თუ როგორია ადგილობრივი ინტერესთა რეალიზაციის ფორმები სხვადასხვა პოლიტიკური სისტემებში და ამ ინფორმაციის შუქზე გავაანალიზოთ საქართველოს რეალობა.

## 1. ადგილობრივ ინტერესთა წარმომადგენლობა ევროპაში

### 2.1 ადგილობრივ საქმეთა გაგება ევროპაში

ისტორიულად, ევროპელის ცნობიერებაში მიკროსისტემა (თემი, კომუნა) დაკავშირებული იყო საერთო წყლის რესურსთან, საერთო ტყის რესურსთან, საერთო საძოვართან. მოგვიანებით ამ ერთობას დაემატა საერთო რელიგიური/საკულტო ობიექტი (ეკლესია). ზოგადად, ევროპაში ეკლესიამ უდიდესი როლი ითამაშა „ადგილობრივი საქმეების“ ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში. ეკლესია ახდენდა თემის წევრების რეგისტრაციას, ხოლო ჩრდილო ევროპაში ასრულებდა თემის მათრახიანობის ძალის როლს. დღესაც ევროპის ბევრ ქვეყანაში ტერმინები „თემი“ და „მრევლი“ ერთმანეთის სინონიმებია.

შესაბამისად ადგილობრივი ინტერესი ეფუძნება მიკროსისტემას და მასში მცხოვრებ ადამიანთა სურვილს ჰქონდეთ უკეთესი გარემო და შესაბამისი ყოფითი პირობები. აქედან გამომდინარე, დღეს ევროპაში ადგილობრივ საქმეთა პორტფელს განეკუთვნება ის ამოცანები რომელიც უზრუნველყოფს საცხოვრებელი გარემოსა და საარსებო პირობების გაუმჯობესებას. როგორც წესი ასეთ საქმეების განეკუთვნება შემდეგი სფეროები:

- *კომუნალური მომსახურება* – მოიცავს ყველა იმ კომპეტენციას რაც აუცილებელია დასახლებათა სიცოცხლისუნარი-

ონობისა და კომფორტულობის ასამაღლებლად, ადამიანის ბინადრობის მავნე ზემოქმედების შესამცირებლად. (სასმელი წყლის მიწოდება, ნარჩენების გატანა და გადამუშავება, კანალიზაცია და სანიაღვრე სისტემები, გათბობა, ელქტროენერჯით მომარაგება, ტრანსპორტი, გამწვანება, სკვერებისა და ბაღების მოვლა, სასაფლაოები).

- *ტერიტორიათა განვითარება* – მოიცავს შემდეგ კომპეტენციებს: ტერიტორიული გეგმარება და ურბანული დაგეგმვა; ბინათმშენებლობა, გზები და კომუნიკაციები, ტყის საფარისა და წყლის რესურსების მართვა, ტერიტორიათა ზონირება და სოციალ-ეკონომიკური განვითარების მართვა, მიწათსარგებლობისა და უძრავი ქონების რეგლამენტირება და სხვა.

- *ადამიანური ფაქტორის განვითარება* – მოიცავს შემდეგ კომპეტენციებს: ბავშვთა მოვლა და დაწყებითი განათლება, დასვენებისა და გართობის ობიექტები, მიუსაფართა განთავსება, მოხუცებულთა მოვლა, კულტურა და სპორტი, სარიტუალო მომსახურება, საშუალო და პროფესიული განათლება.

ჩამოთვლილ კომპეტენციათა აღსრულებისთვის ადგილებზე უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილებანი, კერძოდ:

- *მარეგულირებელი უფლებამოსილება* – რაც ნიშნავს რომ ადგილობრივი საქმეების მართვის ფუნქციის მქონე ინსტიტუტს უნდა შეეძლოს პოლიტიკის შემუშავება და თითოეული კომპეტენციის განხორციელებისთვის აუცილებელი ნორმატიული ბაზის მიღება;

- *ადმინისტრაციული უფლებამოსილება* – რაც ნიშნავს რომ ადგილობრივი საქმეების მართვის ფუნქციის მქონე ინსტიტუტს უნდა შეეძლოს აუცილებელი საჯარო დაწესებულებებისა და ადმინისტრაციული ორგანოების შექმნა

- *საფინანსო უფლებამოსილება* - რაც ნიშნავს რომ ადგილობრივი საქმეების მართვის ფუნქციის მქონე ინსტიტუტს უნდა შეეძლოს საჭირო საჯარო ფინანსების მობილიზება და მართვა, ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცება, შესრულება და კონტროლი;

- *ქონებრივი უფლებამოსილება* - რაც ნიშნავს რომ ადგილობრივი საქმეების მართვის ფუნქციის მქონე ინსტიტუტს უნდა შეეძლოს საჭირო ქონების ფლობა და განკარგვა.

ერთადერთი დოკუმენტი რომელიც საერთო ევროპულ სტანდარტს ადგენს არის ევროპის საბჭოს „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია“. იგი ევროპის საბჭოს წევრ თითოეულ სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას რომ

მოახდინოს ადგილობრივ საქმეთა მართვის ფუნქციის გადაცემა ადგილებზე. ეს ქარტია ამბობს, რომ იმ ორგანოს რომელიც ადგილობრივ საქმეებს მართავს უნდა ჰქონდეს სრული (ოთხივე სახის) უფლებამოსილება რათა ადგილობრივი საქმეები მართოს „დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ“ (ანუ ავტონომიურად).

ამრიგად, ევროპის ქარტია მკაფიოდ გამიჯნავს ადგილობრივი საქმეების მართვას ეროვნული საქმეების მართვისგან. სწორედ ამიტომ, ინსტიტუციას რომელიც ადგილობრივი ინტერესების რეალიზებას ახდენს და განკარგავს ადგილობრივ საქმეებს, ეწოდება „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო“ ან „ადგილობრივი ხელისუფლება“.

ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას ადგილობრივ საქმეებთან მიმართებაში როლი არა აქვს. პირიქით, ცენტრალური ხელისუფლების როლი უმნიშვნელოვანესია. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ცენტრალური ხელისუფლება ადგენს, თუ რა კომპეტენციები უნდა შედიოდეს ადგილობრივ საქმეთა პორტფელში, რადგან ეს უმეტესწილად დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაზე, კულტურასა და ისტორიულ განვითარებაზე. შესაბამისად, ზოგ ქვეყანაში ეს პორტფელი დიდია, ზოგში კი პატარა (იხ. ცხრილი 1). ასევე, ცენტრალური ხელისუფლება ხედამხედველობას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რათა მათ დაიცვან კანონმდებლობა, ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპები. ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება უზრუნველყოფს საერთო ეროვნულ სოლიდარობას და შესაძლებლად თანაბარ პირობებს ქმნის ყველა თვითმმართველი ერთეულისთვის. ასეთი ურთიერთმიმართება ეროვნულ და ადგილობრივ დონეებს შორის აუცილებელია ქვეყნისა და საზოგადოების ერთიანობის შესანარჩუნებლად.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას რომ ევროპაში ადგილობრივი თვითმმართველობის არსებობა ემყარება 4 ძირითად პრინციპს

1. ადგილობრივი ინტერესების ლეგიტიმურობის აღიარებას და მათ განსხვავებას საერთო ეროვნული ინტერესებისგან;
2. ადგილობრივ საქმეთა მკვეთრ გამიჯვნას საერთო ეროვნული საქმეებიდან;
3. ადგილობრივ საქმეთა დამოუკიდებლად მართვის უფლების აღიარებას;

4. საერთო ეროვნული სოლიდარობის და კანონის უზენაესობის პრინციპის აღიარებას როგორც ეროვნული ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

ზემოხაზოვლილი ოთხივე კომპონენტი უმნიშვნელოვანესია და ერთი მათგანის ამოვარდნის შემთხვევაში მთელი სისტემა დგება კრახის წინაშე. სწორედ ადგილობრივ საქმეთა ამგვარი გაგება არის ევროპული დემოკრატიის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, როგორც ტოტალიტარული (ან ავტორიტარული) სახელმწიფოებიდან ასევე აზიური ტიპის პოლიტიკური რეჟიმებიდან. რადგან აქ ადგილობრივი თვითმმართველობა უწინარესად ფასეულობათა სისტემას ემყარება და შემდეგ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მოტივაციას.

## 2.2 ადგილობრივ ინტერესთა ინსტიტუციონალიზაცია

თავისთავად ცხადია, რომ ადგილობრივი საქმეების მართვას შესაბამისი ხელისუფლება ესაჭიროება. ეს ხელისუფლება საჯარო ადმინისტრირების დამოუკიდებელი რეოლია, რადგან იგი ექსკლუზიურად ადგილობრივ საქმეთა მართვისთვის უნდა იქნეს შექმნილი. ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია ადგენს ზოგად სტანდარტს რომ „ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა ხორციელდებოდეს ხალხის მიერ საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით არჩეული წარმომადგენლების მიერ, რომელთაც ექვემდებარება და ანგარიშს აბარებს ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლება“.

ამ სტანდარტით თვითმმართველობის ევროპული ქარტია განმარტავს რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება საარჩევნო დემოკრატიის მეშვეობით, ხოლო თუ როგორი იქნება თვითმმართველობის შიდა სტრუქტურა ეს არის ეროვნული კანონმდებლობის გადასაწყვეტი, რადგან თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობა დიდად არის დამოკიდებული ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სისტემაზე, კულტურასა და ტრადიციებზე. მთავარი მოთხოვნა რასაც ქარტია აყენებს გახლავთ ის რომ ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა ემორჩილებოდეს და ანგარიშს აბარებდეს ადგილობრივად არჩეულ პირებს, რაც აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ერთიანობის შესანარჩუნებლად.

თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობა სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემაში სხვადასხვაგვარია, რაც ძირითადად დამოკიდებულია იმაზე თუ საჯარო საქმეთა მართვის და გადაწყვეტილების მიღების როგორი კულტურაა დამკვიდრებული

კონკრეტულ ქვეყანაში. ზოგადად შეიძლება ორი ტიპი გამოიყოს: პირველი – როდესაც მართვა ემყარება ძლიერ ლიდერობას და უმრავლესობის ნების უპირობო გატარებას და მეორე – როდესაც მართვა ემყარება კონსენსუსს და მრავალგვარი ინტერესის მონაწილეობას. პირველ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ძლიერი, პირდაპირი წესით არჩეული მერის ინსტიტუტი, რომელიც არის ადგილობრივი თვითმმართველობის უმაღლესი პირი და რომელიც ხელმძღვანელობს ადგილობრივი თვითმმართველობის როგორც წარმომადგენლობით ასევე აღმასრულებელ ორგანოს. მეორე შემთხვევაში გვაქვს არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო რომელიც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თვითმმართველობის პირველ პირს, რაც შეეხება ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებას ზოგან იგი იმართება დანიშნული მენეჯერის მიერ, ზოგან კი არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო საკუთარი წევრებით აკომპლექტებს აღმასრულებელ კომიტეტებს, რომელიც ახდენს შესაბამის ადგილობრივი სამსახურების მართვას. ევროპაში ორივე მოდელი აქტიურად გამოიყენება, ისეთი ქვეყნები როგორცაა: გერმანია (ზოგიერთი მიწა), იტალია, რუმინეთი, სლოვაკეთი იყენებს მერების არჩევის პირდაპირ წესს. ისეთი ქვეყნები როგორცაა ესპანეთი (დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის ზომაზე), ირლანდია, ნორვეგია, შვედეთი, დანია, ჩეხეთი იყენებენ ადგილობრივი საბჭოს მიერ არჩეული მერების ინსტიტუტს. აღსანიშნავია, რომ მერი ევროპაში არჩეული პირის სინონიმია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბელგიაში მერები მონარქის მიერ ინიშნებიან. (იხილეთ ცხრილი 2)

ძალზე ძნელია იმის თქმა თუ თვითმმართველობის ინსტიტუციონალური მოწყობის რომელი გზა სჯობია. ამ საკითხზე დიდი ხანია მიმდინარეობს მსჯელობა, მაგრამ რაც დრო გადის ცხადი ხდება, რომ კონკრეტული ქვეყნისთვის ყველაზე უკეთესია ის მოდელი რომელიც ყველაზე უფრო მეტად მიესადაგება მის პოლიტიკურ სისტემას და ტრადიციებს, რომელიც ყველაზე უფრო მეტად იძლევა ადგილობრივი ინტერესების რეალიზების საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის ნიდერლანდების მოდელი ევროპის საბჭოს მხრიდან მკაცრი კრიტიკის საგანია, თავად ამ ქვეყნის პოლიტიკური სპექტრის მიერ არასდროს დასმულა რეაღიარად ამ სისტემის რეფორმირების საკითხი, რადგან იგი ფართო პოლიტიკური კონსენსუსის საგანი იყო და ასეთად რჩება დღესაც.

არის მთელი რიგი ქვეყნებისა, რომლებიც გაშუალებულ ვარიანტს იყენებენ, სადაც მერი პირდაპირაა არჩეული მაგრამ წარმომადგენლობით ორგანოს აქვს მერის გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების უფლება და მუნიციპალური სამსახურების უშუალო მართვას ახორციელებს მუნიციპალური კაბინეტი, რომელიც წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მტკიცდება (თურქეთი, უკრაინა, პოლონეთი). არის მაგალითები სადაც საკანონმდებლო ორგანო ძალზე ძლიერია და მუნიციპალური კაბინეტის წევრები იმავდროულად არიან ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები, აქ ხშირად მუნიციპალური მთავრობა კოალიციურია (ე.წ. ნორვეგიული „მინიპარლამენტარიზმის“ მოდელი).

ამ მრავალფეროვნებიდან მხოლოდ ერთი კანონზომიერების დადგენა შეიძლება, ძლიერი და პირდაპირ არჩეული მერის შემთხვევაში მაღალია პიროვნული ლეგიტიმაცია, რაც იმპერატიული პოლიტიკის გატარების საშუალებას იძლევა. დაბალანსებული მოდელის შემთხვევაში (საკრებულო ვეტოს უფლებით) სისტემა ეფექტურად მუშაობს თუ მერს აქვს მყარი უმრავლესობა საკრებულოში, თუ მერი ასეთი მხარდაჭერით ვერ სარგებლობს მაშინ მუნიციპალიტეტის საქმიანობა ტორპედირებულია (ქიკევის მაგალითი), რადგან თავს იჩენს პოლიტიკური კრიზისი რომლის გადაჭრის ერთადერთი გზა ხშირ შემთხვევაში პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა და ადგილობრივი არჩევნებია.

რაც შეეხება არაპირდაპირ არჩეული მერის ინსტიტუტს (სუსტი მერი ძლიერი საკრებულო) აქ პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების პროცესი ერთობ რთული და ხანგრძლივია, რადგან იგი გულისხმობს კონსენსუსს მრავალ ინტერესს შორის, თუმცა როგორც წესი ასეთ სისტემაში აღმასრულებელი ხელისუფლება და პოლიტიკა უფრო დაბალანსებულია. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს სისტემა წარმატებით მუშაობს მხოლოდ პოლიტიკური პლურალიზმის ტრადიციების მქონე ქვეყნებში. თუ ამ სისტემას მოვარგებთ ერთპარტიულ გარემოს (პარტია-სახელმწიფოს მოდელს) მაშინ ადგილობრივი თვითმმართველობა სრულად დაკარგავს დამოუკიდებლობას, რადგან ძალზე დიდი იქნება მმართველი პარტიის ზეგავლენა ადგილობრივ საქმეებზე და ასეთ პირობებში როგორც წესი „ცენტრალური საქმეები“ „ადგილობრივ საქმეებზე“ ბატონობენ. მონოპარტიულ სისტემაში, პირდაპირ არჩეული მერის ინსტიტუტი უფრო ამართლებს, რადგან მაღალი ლეგიტიმაციის მქონე

ადამიანები უფრო ახერხებენ პარტიული კონტროლის მიმართ მოქნილობის შენარჩუნებას ვიდრე კოლექტიური ორგანოები, სადაც ყოველთვის შეიძლება „დაჰყავი და იბატონე“ პრინციპის გამოყენება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ, პოლიტიკური სისტემები მკაფიო გავლენას ახდენენ თვითმმართველობის ინსტიტუციურ მოწყობაზე. საპარლამენტო რესპუბლიკები უფრო იყენებენ „არაპირდაპირ არჩეული მერის“ ან „შუალედურ მოდელს, მაშინ როდესაც საპრეზიდენტო სისტემებში უფრო „ძლიერი მერის“ მოდელია გავრცელებული. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ საქმეთა მართვის ინსტიტუციური მოწყობის დახვეწა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. განსაკუთრებით მრავალმხრივი გახდა ეს პროცესი საბჭოთა სისტემის კრახის შემდეგ, როდესაც აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში დაიწყო ევროპული სტილის ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრება. რამდენიმე ქვეყანამ (პოლონეთი, ლიტვა, ბულგარეთი) რამდენჯერმე შეცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის მოდელი და ბევრგან ეს პროცესი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

### **2.3 ადგილობრივი საარჩევნო სისტემები**

ადგილობრივი საარჩევნო სისტემა დამოკიდებულია ორ მთავარ ფაქტორზე მუნიციპალიტეტების ზომაზე და პოლიტიკურ კულტურაზე. მუნიციპალიტეტის ზომა ძირითადად განაპირობებს იმას თუ ვინ არიან საარჩევნო სუბიექტები - პოლიტიკური პარტიები თუ ინდივიდები.

რაც უფრო პატარა ზომისაა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, მით უფრო ნაკლებად მიმზიდველია იგი პოლიტიკური პარტიებისთვის და აქ ძირითადად პიროვნებები (რომლებიც შეიძლება პარტიების წარმომადგენლებიც იყვნენ) იბრძვიან მანდატებისთვის. რიგი ქვეყნების პატარა ერთეულებში (100-ზე ნაკლები ამომრჩეველი) საერთოდ არ აირჩევა წარმომადგენლობითი ორგანო და მის ფუნქციას მოქალაქეთა საერთო კრება ასრულებს ( მაგ. ესპანეთში). მსხვილი ერთეულები (10 000 მეტი ამომრჩეველი) პოლიტიკური პარტიებისთვის ერთობ მიმზიდველია, რადგან აქ უფრო მეტი მმართველობითი ფუნქცია და ფინანსური რესურსებია თავმოყრილი. როგორც წესი მსხვილი თვითმმართველი ერთეულები ევროპაში ნაკლებად არიან ფინანსურად დამოკიდებული ცენტრალურ ხელისუფლებაზე, რაც პარტიებს ადგილობრივ საქმეებთან მიმართე-

ბაში დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების საშუალებას აძლევს. შესაბამისად, მსხვილ ერთეულებში ადგილობრივი არჩევნების ძირითადი სუბიექტები პოლიტიკური პარტიები არიან.

მსჯელობა იმის შესახებ, თუ რეალური თვითმმართველობის პირობებში ვინ უფრო უკეთ წარმოადგენს ადგილობრივ ინტერესს - პარტიის სახელით გასული საკრებულოს წევრი თუ დამოუკიდებელი დეპუტატი - ფუჭი მსჯელობაა, რადგან არჩეული პოლიტიკოსის ერთადერთი ფუნქცია ადგილობრივი ინტერესების წარმოდგენაა და ხელისუფლებაში მოსული ინდივიდი თუ პოლიტიკური ძალა ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს თუ ამ მოთხოვნას არ უპასუხებს.

ზოგადად, ითვლება რომ დამოუკიდებელი დეპუტატი თავისუფალია პარტიული ვალდებულებებისგან და იგი მთელ ძალისხმევას ელექტორატს ახმარს, მაგრამ ეს სისუსტეც შეიძლება იყოს, რადგან პარტიის წარმომადგენელს აქვს პოლიტიკური მხარდაჭერა და მას უფრო გაუიოლდება იმ საკითხების მოგვარება რომელიც ცენტრალური ხელისუფლების ან სხვა პოლიტიკური ძალთა მხარდაჭერას საჭიროებს. პრაქტიკა ასევე მოწმობს, რომ დამოუკიდებელი დეპუტატები უფრო იოლად ექცევიან ცენტრალური ხელისუფლების გავლენის ქვეშ, ვიდრე ის დეპუტატები ვისაც პარტიული კუთვნილება და პასუხისმგებლობა აქვთ. ასე რომ „დამოუკიდებლობას“ პლიუსებთან ერთად მრავალი მინუსიც შეიძლება ჰქონდეს.

მეორე ფაქტორი რაც გავლენას ახდენს წარმომადგენლობაზე არის საარჩევნო სისტემა. ასეთი სისტემა ორია: პროპორციული წარმომადგენლობა - სადაც მანდატები წარმომადგენლობით ორგანოში ნაწილდება ამომრჩეველების მიერ საარჩევნო სუბიექტებისთვის მიცემული ხმების პროპორციულად (ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი და სხვა) და მაჟორიტარული - სადაც ადგილები წარმომადგენლობით ორგანოში მიაქვს იმ საარჩევნო სუბიექტს ვინც მეტი ხმა მოაგროვა არჩევნებში (ბრიტანეთი, საფრანგეთი, სერბია და სხვა). ხშირად გვხვდება შერეული ვარიანტიც, სადაც ორივე სახის წარმომადგენლობაა. დღეისათვის ევროპაში ყველა ზემოჩამოთვლილი ვარიანტი გამოიყენება (ის ცხრილი 3). ითვლება, რომ პროპორციული წარმომადგენლობა უფრო უკეთ ასახავს ადგილობრივ ინტერესებს და პოლიტიკურ ძალთა ბალანსს ვიდრე სისტემა როცა „გამარჯვებულს მიაქვს ყველაფერი“. თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში პოლიტიკის შემუშავება და გატარება უფრო იოლია.

პარტიული სიებით არჩევნების დროს ბიულეტენში ხმის მიცემის სამი წესი მოქმედებს. პირველია ე.წ. „ღია სიები“ როდესაც ამომრჩეველს შეუძლია ხმა მისცეს სხვადასხვა კანდიდატებს სხვადასხვა პარტიულ სიაში, მეორე ე.წ. „ნახევრად დახურული სია“ – სადაც ამომრჩეველს შეუძლია შემოსახოს რამდენიმე კანდიდატი მხოლოდ ერთ პარტიულ სიაში, და მესამე ე.წ. „დახურული სია“ – სადაც ამომრჩეველი ხმას აძლევს მთლიანად პარტიულ სიას.

იმ შემთხვევაში თუ საარჩევნო სუბიექტები არიან პოლიტიკური პარტიების ან საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი ინდივიდები (როგორც ჩვენთან უწოდებენ – „მაჟორიტარული არჩევნები“), მაშინ მოქმედებს ორი პრინციპი: პირველი – „ღია ბიულეტენი“, სადაც ჩამოთვლილია ყველა კანდიდატი და ამომრჩეველი შემოსახავს იმდენს, რამდენი ადგილიცაა წარმომადგენლობით ორგანოში (ერთი მრავალმანდატიანი ოლქი), ან მეორე – თვითმმართველობის ტერიტორია იყოფა იმდენ საარჩევნო ოლქად რამდენი ადგილიცაა საკრებულოში და თითოეული ოლქი უბრალო უმრავლესობით (50%+1 ხმა) ირჩევს საკრებულოს ერთ წევრს (მრავალი ერთმანდატიანი ოლქი).

ევროპის ქვეყნები ორივე წესს აქტიურად იყენებენ, ხშირია შემთხვევები როდესაც ერთი ქვეყანა მცირე ზომის ერთეულებისთვის იყენებს ე.წ. „მაჟორიტარულ არჩევნებს“ ხოლო დიდი ზომის თვითმმართველობის ერთეულებისთვის – პროპორციულ არჩევნებს. (იხ. ცხრილი ). რაც შეეხება პოლიტიკურ სისტემებს, ცნობილია რომ საპარლამენტო რესპუბლიკები ადგილობრივი საბჭოების ასარჩევად უმეტესად შერეულ და პროპორციულ წარმომადგენლობას იყენებენ. ხოლო მერის პირდაპირი წესით არჩევის დროს კი უმთავრესად მაჟორიტარული წარმომადგენლობა გამოიყენება.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი რომელიც გავლენას ახდენს წარმომადგენლობაზე არის „წარმომადგენლობის დონე“ (ანუ მანდატების კორელაცია ამომრჩეველის რაოდენობასთან). ევროპაში წარმომადგენლობის კარგ დონედ ითვლება როცა ერთი ადგილობრივი დეპუტატის უკან 2 500 - 5 000 ამომრჩეველია, თუმცა რეალობაში არიან ერთეულები სადაც ეს ციფრი 1 000 ამომრჩეველზე ნაკლებია (საფრანგეთი) ან ზოგან 500 000 ამომრჩეველზე მეტია (დიდი ბრიტანეთი). ასე რომ ერთიანი სტანდარტი აქ არ არსებობს და „წარმომადგენლობის დონე“ დამოკიდებულია არა იმდენად პოლიტიკურ სისტემაზე, რამდენადაც ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობაზე.

როგორც წესი ადგილობრივ არჩევნებში მოქმედებს იგივე უფლებრივი რეჟიმი რაც ცენტრალური პარლამენტის არჩევნების დროს. განსხვავება მინიმალურია. კერძოდ, ევროპის უმეტეს ქვეყნებში ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში აქტიური საარჩევნო უფლება მინიჭებულია 18 წლიდან, მაშინ როცა ცენტრალურ პარლამენტებში არჩევისთვის ბევრ ქვეყანაში მინიმალური ასაკობრივი ზღვარი 25 წელია. კიდევ ერთი სპეციფიკა რაც ადგილობრივ არჩევნებს ახასიათებს ის გახლავთ, რომ ნებადართულია არა მარტო მოქალაქეობის მქონე, არამედ ბინადრობის მქონე პირების მონაწილეობაც. ეს განპირობებულია „ადგილობრივი საქმეების“ ბუნებით, რადგან ეს საქმეები ძირითადად საცხოვრებელ გარემოსთანაა დაკავშირებული, შესაბამისად პასიური საარჩევნო უფლება ენიჭება ყველას ვინც ამ არეალზე ცხოვრობს. თუმცა ზოგიერთი ქვეყანა მაინც იყენებს დათქმებს, მაგალითად დიდ ბრიტანეთში ეს უფლება აქვთ მხოლოდ თანამეგობრობის სახელმწიფოთა მოქალაქეებს, ესპანეთში მხოლოდ ნორვეგიის მოქალაქეებს, სხვა ევროპული ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში კი ყველას ვისაც ბინადრობის უფლება აქვს.

### **პირდაპირი დემოკრატია როგორც ადგილობრივი წარმომადგენლობის ინსტრუმენტი**

ადგილობრივი ინტერესების წარმომადგენლობაზე დიდი გავლენა აქვს აგრეთვე იმას თუ როგორაა ორგანიზებული ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესი. რადგან გადაწყვეტილებების მიღების დროს ადგილობრივი ინტერესები შეიძლება წარმოდგენილი იქნენ არა მარტო საარჩევნო დემოკრატიის მეშვეობით (როგორც ამას თვითმმართველობის ევროპული ქარტია ითხოვს) არამედ პირდაპირი დემოკრატიის ინსტრუმენტების გამოყენებითაც.

პირდაპირი დემოკრატიის ინსტრუმენტებია მოქალაქეთა კომიტეტები, საჯარო შეხვედრები, საკონსულტაციო ჯგუფები, რაც კარგად შეიძლება იქნეს გამოყენებული ადგილობრივი ინტერესების დასაცავად. თუმცა საარჩევნო დემოკრატიისგან განსხვავებით პირდაპირი დემოკრატია არ არის გარანტირებული კანონმდებლობით და იგი ძირითადად ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული.

დაკვირვება აჩვენებს, რომ პირდაპირი დემოკრატიის გამოყენება ძირითადად ხდება იმ ქვეყნებში სადაც პოლიტიკური პასუხისმგებლობა გადანაწილებულია მრავალ სუბიექტს შორის, ხოლო იქ სადაც მოქმედებს მოდელი „გამარჯვებულს მიაკვს ყველაფერი“, პირდაპირ დემოკრატიის იმიტაცია ხდება და ძირითადი გადაწყვეტილებანი მაინც უმრავლესობის ნებით წყდება.

ზოგადად ძლიერი საკრებულოს არსებობის პირობებში უფრო იოლია პირდაპირი დემოკრატიის ამუშავება და იგივე ჩრდილო ევროპის გამოცდილება მოწმობს რომ სამოქალაქო ჯგუფებს აქ უფრო მეტი გავლენა აქვთ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ვიდრე იგივე დიდ ბრიტანეთსა თუ იტალიაში.

## 2. დასკვნა და შედარება საქართველოსთან

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი ინტერესების წარმოდგენის ეფექტური ინსტიტუტი არის ადგილობრივი თვითმმართველობა, რომლის წარმომადგენლობითი ორგანო ვაღივებულია ამომრჩევლის ინტერესების შესაბამისად მართოს ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეები. მიუხედავად იმისა რომ მრავალ ევროპულ ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ადგილობრივი საქმეების მართვის პარალელურად, ცენტრალური ხელისუფლების მიერ დედეგირებულ ამოცანებსაც ასრულებენ, ადგილობრივი თვითმმართველობა უწინარესად მაინც ადგილობრივი ინტერესების რეალიზაციის ინსტრუმენტი.

ევროპის გამოცდილება გვიჩვენებს რომ თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობა და ადგილობრივი წარმომადგენლობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაზე, პოლიტიკურ კულტურასა და საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე. მრავალმხრივ ინტერესთა წარმომადგენლობით გამოირჩევიან კონსენსუსის მიღწევაზე დამყარებული პოლიტიკური სისტემები და საპარლამენტო რესპუბლიკები, თუმცა მაჟორიტარიზმის პრინციპებზე დამყარებული წარმომადგენლობა უფრო მეტ ოპერატიულობასა და სიმარტივეს ავლენს. გამოცდილება ცხადყოფს, რომ შეუძლებელია საუბარი რომელიმე კონკრეტული მოდელის ოპტიმალურობაზე, რადგან ყოველი მოდელი მორგებულია საკუთარ გარემოსა და საზოგადოებაზე.

თუმცა, იმავდროულად, სახეზეა პროცესები ახალ დემოკრატიებში, სადაც ჯერ კიდევ არ არის მყარად ფორმირებული პოლიტიკური სისტემა და ინსტიტუტები. შესაბამისად, ამ დემოკრატიებში კვლავ მიმდინარეობს წარმომადგენლობის სრულყოფა და რეალური ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირება.

ერთერთი ასეთი ქვეყანაა საქართველოც. იგი ისტორიული განვითარების შედეგად მეტად მრავალფეროვან ადგილობრივ თუ ტერიტორიულ ინტერესებს შეიცავს, რასაც თან ერთვის სეპარატისტული რეგიონების პრობლემაც. ლოგიკურად, ადგილობრივი ინტერესების რეალიზაციის ეფექტური ინსტიტუტების შექმნა ქვეყნის პოლიტიკური ელიტის უმთავრესი საზრუნავი უნდა იყოს, მაგრამ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 18-ე წლისთავზე ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული. ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაში რჩება.

ამგვარ რეალობას მრავალი გამომწვევი მიზეზი აქვს. მაგრამ უმთავრესი მაინც რამდენიმეა, კერძოდ:

- ქართული მენტალობა ჯერ კიდევ ვერ ასხვავებს ადგილობრივ ინტერესებს ნაციონალური ინტერესებიდან. უფრო მეტიც, ადგილობრივი ინტერესების წინა პლანზე წამოწევას ხშირად სეპარატიზმთან იგივედება. ეს მენტალური ხარვეზი თანაბრად ახასიათებს როგორც უბრალო მოქალაქეს ასევე პოლიტიკური სპექტრის აბსოლუტურ უმრავლესობას;

- არ არის აღიარებული ადგილობრივ საქმეთა ინსტიტუტი და ადგილობრივი ხელისუფლება ცენტრალურის მექანიკურ გაგრძელებად მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭოს ზეწოლით 2005 წლის “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში ნათლად ჩაიწერა ადგილობრივ საქმეთა ავტონომიურობის პრინციპი და განისაზღვრა მისი იურიდიული ჩარჩოები, ცენტრალური ხელისუფლება მაინც ეწევა ინტერვენციონისტულ პოლიტიკას ძალზე ბევრი ადგილობრივი კომპეტენციის მიმართ. ეს გამოიხატება როგორც ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებებით, ასევე მმართველობითი პრაქტიკით, როცა ქვეყნის პრეზიდენტი წყვეტს რომელ ქალაქში რა იერსახის შენობები უნდა აშენდეს და ამაში საზოგადოება ვერაფერ უცნაურს ვერ ხედავს.

ცალკე თემაა პოლიტიკური სისტემის და დემოკრატიული ინსტიტუტების საკითხი საქართველოში. დღეს არსებული სისტემა უფრო მორგებულია პიროვნულ გადაწყვეტილებებზე ვიდ-



რე ინსტიტუციებსა და ხანგრძლივადიან პოლიტიკაზე. თავად სახელმწიფო მოწყობის საკითხიც ჯერ არ არის ჯეროვნად განხილული, ამიტომაც ძალზე მწიკი მსჯელობა იმაზე, თუ რა სახის ადგილობრივი თვითმმართველობა იქნებოდა ეფექტური საქართველოში. 2006 წელს განხორციელებულმა თვითმმართველობის კონსოლიდაციის რეფორმამ რეალური ძვრები ვერ მოახდინა რადგან მას არ მოელოდა რეალური ძალაუფლების გადაცემა ადგილებზე. შესაბამისად ახალი მსხვილი მუნიციპალიტეტები, მანამდე არსებული წვრილი მუნიციპალიტეტების დარად, კვლავ ვერ უზრუნველყოფენ ადგილობრივი ინტერესების რეალიზაციას.

ის რომ საქართველოში ვერ მოხერხდა ევროპული გამოცდილების გაზიარების საფუძველზე ადგილობრივი ინტერესების წარმოდგენისა და რეალიზაციისთვის აუცილებელი ინსტიტუტების შექმნა, არ ნიშნავს რომ ეს ინტერესები სადმე დაიკარგა. ისინი არსებობენ და თანდათან ტრანსფორმირდებიან კონფლიქტში ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. ჯერჯერობით ცენტრალური ხელისუფლება პარტიული, ადმინისტრაციული, საპოლიციო და პროპაგანდისტული საშუალებებით ახერხებს ამ კონფლიქტის მართულ საზღვრებში მოქცევას. მაგრამ დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ქართული პოლიტიკური სისტემის თავზე რისკი იმისა, რომ კონკრეტულ მომენტში ეს კონფლიქტი ახალი ძალით იფეთქებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Local and regional authorities in Europe N60. Council of Europe Publishing 1998
2. Local authority competences in Europe, Study of the European Committee on Local and Regional Democracy (CDLR) Prepared with the collaboration of Gérard Marcou, Professor at Paris I Pantheon-Sorbonne University, 2007
3. Local government in the New Europe. Ed. Bennett R.C. Landon 1999

### დანართები

**ცხრილი 1.** კომპეტენციების განაწილება ადგილობრივ დონეზე ქვეყნების მიხედვით

ადგილობრივი კომპეტენციები	გერმანია	ესპანეთი	საფრანგეთი	უნგრეთი	იტალია	ნიდერლანდები	პორტუგალია	გაერთიანებული სამეფო	შვედეთი
ადმინისტრაციული პოლიცია/საზოგადოებრივი უსაფრთხოება	X	X	X			X			
ურბანული გეგმარება	X	X	X	X	X	X	X	X	X
მშენებლობის ლიცენზირება		X	X	X	X	X	X	X	X
გარემოს დაცვა									
ბინათმშენებლობა	X	X	X	X	X		X	X	X
საბინაო ფონდის მართვა	X	X	X	X	X	X	X	X	X
უსახლკაროთა განსახლება	X	X	X		X		X	X	X
სოციალური დაცვა და სოციალური პროგრამები		X	X	X	X	X	X	X	X
განათლების დაწესებულებათა კაპიტალური ხარჯები	X	X	X	X	X	X	X		X
სკოლამდელი განათლება	X	X	X	X	X	X	X	X	X
საშუალო განათლების სისტემის მართვა									
ადგილობრივი საავადმყოფოები	X	X	X		X	X	X		X
პოლიკლინიკები	X	X	X	X	X	X	X		X
გზები და ტრანსპორტი	X	X	X	X	X	X	X	X	X
სასმელი წყლის მიწოდება	X	X	X	X	X	X	X	X	X
ელექტროენერჯია	X	X	X		X	X	X		X
ბუნებრივი გაზი	X	X	X		X	X			X
სოციალ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა	X	X	X	X	X	X	X	X	X
ადგილობრივი ქონების მართვა	X	X	X	X	X	X	X	X	X
კანალიზაცია	X	X	X	X	X	X	X	X	X
ნაგვის გატანა	X	X	X	X	X	X	X	X	X
სასაფლაოები და სარიტუალო მომსახურება	X	X	X	X	X	X	X		X
გარე-განათება, პარკები და გამწვანება	X	X	X	X	X	X	X	X	X
სამისამართო მეურნეობა	X	X	X	X	X	X	X	X	X
კულტურა და სპორტი	X	X	X		X	X			X

**ცხრილი 2** მერების არჩევის სისტემა ევროპის ქვეყნებში

ქვეყანა	უფლებამოსილების ვადა (წელი)	პირდაპირი/არაპირდაპირი არჩევნები	საჭირო უმრავლესობა
ავსტრია	5-6	პირდაპირი/არაპირდაპირი*	-
ბელგია	6	ინიშნება მონარქის მიერ	-
ბულგარეთი	4	პირდაპირი	ამომრჩეველთა 50%+1
კვიპროსი	5	პირდაპირი	უბრალო
ესტონეთი	3	არაპირდაპირი	საბჭოს წევრთა უმრავლესობა -
საფრანგეთი	6	არაპირდაპირი	საბჭოს წევრთა კვალიფიციური უმრავლესობა
გერმანია	5-12	პირდაპირი	ამომრჩეველთა 50%+1
ირლანდია	1	არაპირდაპირი	საბჭოს წევრთა კვალიფიციური უმრავლესობა
იტალია	4	პირდაპირი	ამომრჩეველთა 50%+1**
ნორვეგია	4	არაპირდაპირი	საბჭოს წევრთა კვალიფიციური უმრავლესობა
რუმინეთი	4	პირდაპირი	ამომრჩეველთა 50%+1
სლოვაკეთი	4	პირდაპირი	ამომრჩეველთა 50%+1
ესპანეთი	4	არაპირდაპირი***	საბჭოს წევრთა კვალიფიციური უმრავლესობა
თურქეთი	5	პირდაპირი	უბრალო

წყარო: Local and regional authorities in Europe N60. Council of Europe Publishing 1998

\* ავსტრიაში არჩევნების წესი დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის სიდიდეზე, ორივე შემთხვევაში, არჩევა ხდება უბრალო უმრავლესობით

\*\* პატარა ერთეულებში საკმარისია კენჭისყრაში მონაწილეთა უბრალო უმრავლესობა

\*\*\* იმ ერთეულებში, სადაც ამომრჩეველი 100-ზე ნაკლებია, მერი აირჩევა სახალხო კრების მიერ უბრალო უმრავლესობით

**ცხრილი 3.** ადგილობრივი საბჭოების არჩევის წესი ევროპაში

ქვეყანა	ვადა	საარჩევნო სისტემა	პარტიული სია	გადასაცემი ხმა	საარჩევნო ბარიერი	სუბიექტი
ავსტრია	5-6	პროპორციული	დახურული და ნახევრად დახურული	დიახ	არა	პარტიები
ბელგია	6	პროპორციული	დახურული და ნახევრად დახურული	დიახ	არა	პარტიები და დამოუკიდებელი
ბულგარეთი	4	პროპორციული	დახურული	არა	არა	პარტიები
კვიპროსი	5	პროპორციული	დახურული და ნახევრად დახურული	დიახ	არა	პარტიები
ესტონეთი	3	პროპორციული	დახურული და ნახევრად დახურული	დიახ	5%	პარტიები და დამოუკიდებელი
საფრანგეთი	6	მაჟორიტარული (50%<)	დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის სიდიდეზე	დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის სიდიდეზე	5-10%	პარტიები და დამოუკიდებელი
ირლანდია	5	პროპორციული		ერთი გადასაცემი ხმა	არა	პარტიები და დამოუკიდებელი
იტალია	4	შერეული	დახურული და ნახევრად დახურული	დიახ	არა	პარტიები
ნორვეგია	4	პროპორციული	დიახ სია	დიახ	არა	პარტიები და დამოუკიდებელი
რუმინეთი	4	პროპორციული	დახურული	არა	არა	პარტიები და დამოუკიდებელი
სლოვაკეთი	4	მაჟორიტარული (უბრალო)	დახურული	არა	არა	პარტიები და დამოუკიდებელი
ესპანეთი	4	პროპორციული (გარდა პატარა ერთეულებისა)	დახურული	არა	3%	პარტიები
შვედეთი	4	პროპორციული	დახურული და ნახევრად დახურული	დიახ	არა	პარტიები და დამოუკიდებელი
თურქეთი	5	პროპორციული	დახურული	არა	10%	პარტიები და დამოუკიდებელი
გაერთიანებული სამეფო	4	მაჟორიტარული		ერთი გადასაცემი ხმა	არა	პარტიები და დამოუკიდებელი

წყარო: Local and regional authorities in Europe N60. Council of Europe Publishing 1998

ძალაუფლების დაყოფა - ეთნიკური  
კონფლიქტების მოგვარების გზა

ცხრილი 4. აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება ევროპაში

ქვეყანა	პასიური (ასაკი)	აქტიური (ასაკი)	ქვეყანა	პასიური (ასაკი)	აქტიური (ასაკი)
ალბანეთი	18	18	ლიტვა	18	18
ანდორა	18	18	ლუქსემბურგი	18	21
ავსტრია	18/20	18/20	მალტა	18	18
ბელგია	18	18	მოდღოვა	18	21
ბულგარეთი	18	18	ნიდერლანდები	18	18
ხორვატია	18	18	ნორვეგია	18	18
კვიპროსი	18	25	პოლონეთი	18	18
ჩეხეთი	18	18	პორტუგალია	18	18
დანია	18	18	რუმინეთი	18	23
ესტონეთი	18	18	რუსეთი	18	21
ფინეთი	18	18	სან მარინო	18	18
საფრანგეთი	18	18	სლოვაკეთი	18	18 (25 მე-რი)
გერმანია	16/18	18	სლოვენია	18	18
საბერძნეთი	18	18	ესპანეთი	18	18
უნგრეთი	18	18	შვედეთი	18	18
ისლანდია	18	18	შვეიცარია	18	18
ირლანდია	18	18	მაკედონია	18	18
იტალია	18	18	თურქეთი	18	25
ლატვია	18	18	უკრაინა	18	21
ლიხტენშტეინი	20	20	გაერთიანებული სამეფო	18	21

წყარო: Local and regional authorities in Europe N60. Council of Europe Publishing 1998

*სტატია მომზადებულია, ხატია ნადარაიას მიერ, Donald Rothild, Philip G. Roeder "Dilemmas of State-Building in Divided Societies", დონალდ როტჰილდისა და ფილიპ როდერის წიგნზე, "სახელმწიფოს მშენებლობის დილემა დაყოფილ საზოგადოებებში" დაყრდნობით.*

ქვეყანაში, სადაც ადრე ავტოკრატიული რეჟიმი არსებობდა, ახლა კი უწყესრიგო, დაულაგებელი პოლიტიკაა, დემოკრატიის წამახალისებელი სამთავრობო ინსტიტუტების მოწყობის მცდელობისას, ეთნიკური ჯგუფების ლიდერებმა ძალაუფლებით აღჭურვილი უმრავლესობის ტირანიისაგან დაცვა შეიძლება მოითხოვონ. უმცირესობის ლიდერები შიშობენ, რომ უმრავლესობის პოლიტიკური გადაწყვეტილებები და მათ მიერ მიღებული კანონები მათ მუდამ წამგებიან მდგომარეობაში ჩააყენებს. წმინდა მაჟორიტარული დემოკრატია, ამდენად, შესაძლოა არ იყოს მისაღები ეთნიკურად დანაწევრებული საზოგადოების პოლიტიკური კონსოლიდირებისთვის. უმრავლესობის ტირანიის შეზღუდვის პრინციპები ცნობილია კონსტიტუციონალიზმის თეორიასა და პრაქტიკაში, და მოცემულ სტატიაში ჩვენ განვიხილავთ ორი ამგვარი პრინციპის აკვარგიანობას ახალ დემოკრატიებში ეთნიკური კონფლიქტების სამართავად.

ძალაუფლების გაზიარების სტრატეგია<sup>16</sup>, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლის ჩართულობას გულისხმობს. ეს სტრატეგია გადაწყვეტილების მიღების პროცესში საყოველთაო ჩართულობის მისაღწევად, კონსტიტუციურ უზრუნველყოფას იყენებს და მანდატებს აწესებს ძირითად პოლიტიკურ პოსტებზე, როგორებიცაა პრეზიდენტი, პრემიერმინისტრი, მინისტრთა კაბინეტის წევრები, პარლამენტის თავმჯდომარე. წინასწარ განაწილებული მანდატები სარკისებურად უნდა ასახავდეს საზოგადოების ეთნიკურ კონფიგურაციას. ძალაუფლების გაზიარების სტრატეგია, ასევე მატერიალური და არამატერიალური რესურსების განაწილებისას პროპორციულობის პრინციპის დაცვასაც ითვალისწინებს.

<sup>16</sup>ძალაუფლების გაზიარება ტერმინოლოგიურად მოცემულ სტატიაში განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება ამავე კრებულში მ.მუსხელიშვილის სტატიისგან. ძალაუფლების გაზიარება ამ შემთხვევაში მოიცავს ვეტოს უფლებასაც.

ნებს. ძალაუფლების გაზიარება ამავედროულად, ეთნიკური ჯგუფებისათვის ძალაუფლების მინიჭებას გულისხმობს, რათა მართონ საკუთარი თავი.

გადაწყვეტილების მიღების ინკლუზიური ხერხი, რომლის მაგალითია, კოალიციური მთავრობები, დანაწევრებული გადაწყვეტილების მიღება, რომლის მაგალითია, ტერიტორიული დეცენტრალიზაცია, ეთნოფედერალიზმი, ან ფისკალური დეცენტრალიზაცია და ასევე, წინასწარგანსაზღვრული გადაწყვეტილებები, რომელშიც ბიუროკრატიული პოზიციებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროპორციული განაწილება იგულისხმება, ძალაუფლების გაზიარების უმთავრესი კომპონენტებია. გამომდინარე აქედან, შეიძლება გამოვყოთ ძალაუფლების გაზიარების სტრატეგიის ოთხი ძირითადი განზომილება: ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების ინკლუზიურობა, ტერიტორიული დეცენტრალიზაცია, შეიარაღებული ძალების კონტროლი და დაკომპლექტება და შიდა რესურსების კონტროლი და განაწილება. თუმცა, ხშირად ამ სტრატეგიის შედეგად ეთნიკური ჯგუფის ლიდერები საერთო სახელმწიფოს შიგნით, ცალკეულ ავტონომიურ ადმინისტრაციულ ერთეულებს ითხოვენ.

არსებობს მაჟორიტარული დემოკრატიისა და ძალაუფლების განაწილების ალტერნატივა, რომელსაც *ძალაუფლების დაყოფა* ეწოდება. ეს ალტერნატივა წარმართავს მშვიდობისა და დემოკრატიის კონსოლიდაციას იმ პირობებში, რომლებიც ჭარბობს სამოქალაქო ომის შემდეგ და ნაკლებად მოსალოდნელია, რომ დიდი ხნით შესანარჩუნებლად ექსტრაორდინალური ნაბიჯები მოითხოვოს, როგორებიცაა: პროტექტორატი ან სახელმწიფოს გაყოფა.

ძალაუფლების დაყოფა ძალაუფლების გაზიარების სტრატეგიის ალტერნატიულია და მისგან მკვეთრად განსხვავდება. ძალაუფლების დაყოფა ეფუძნება პრინციპს, რომ ადამიანებს აქვთ ნაციონალიზმის, ეროვნულობის, ერთი ერისადმი მიკუთვნებულობის გაზიარებული გრძნობა, ანუ ისინი არ აპროტესტებენ ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრებას. ძალაუფლების დაყოფის სტრატეგიის სამი ელემენტი არსებობს: სამოქალაქო თავისუფლება, მრავალრიცხოვანი უმრავლესობები და ძალაუფლების გადაანაწილება და დაბალანსება.

ძალაუფლების დაყოფის სტრატეგია დემოკრატიას მიიწვევს უმრავლესობის წესად, მაგრამ, ამავედროულად, ისწრაფვის მრავალფეროვანი (სხვადასხვანაირი) უმრავლესობების გამოაშკარავებისკენ. ძალაუფლების დაყოფის უმთავრესი მახასიათე-

ბელი არის ის, რომ ძალაუფლების დაყოფის ინსტიტუტები მისწრაფიან თავიდან აიცილონ ეთნიკური სხვადასხვაობების პრივილეგირება და ცდილობენ წაახალისონ ურთიერთგადამკვეთი სოციალური სხვადასხვაობები. ძალაუფლების დაყოფა პოლიტიკურ ძალაუფლებას მრავალფეროვან პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის ანაწილებს. ძალაუფლების დაყოფა უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების საკანონმდებლო ხელისუფლებისგან გამოყოფას და ასევე საკანონმდებლო ხელისუფლების დანაწილებას. ამ სტრატეგიის მომხრეები მიიხრევიან, რომ ნებისმიერ სტაბილურ რეჟიმს თითოეული წარმომადგენლობითი ორგანოსათვის განსხვავებული საარჩევნო წესი უნდა ჰქონდეს და მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ალტერნატიული უმრავლესობების ამსახველი ინსტიტუტების შექმნა შესაძლებელი.

რაზეა დამოკიდებული ერთი ან მეორე სტრატეგიის წარმატებულობა? ძალაუფლების გაზიარება ეთნიკურ ელიტათა შორის თანამშრომლობაზეა დამოკიდებული. ეთნიკურად ან რელიგიურად დაყოფილ საზოგადოებებში, პოლიტიკური სტაბილურობის ხელისშეწყობას ძალაუფლების გაზიარების რეჟიმი უზრუნველყოფს, რომლის შედეგია ხალხის ნაკლები მონაწილეობა და ნაკლები უთანხმოება ეთნიკურ ელიტებს შორის, ვიდრე ეს ზოგადად მაჟორიტარული დემოკრატიისათვისაა დამახასიათებელია. საშიშია, რომ ღია დემოკრატიულ პოლიტიკაში ლიდერობდნენ რადიკალები ნაირნაირი ეთნიკური ჯგუფებიდან - ეს გამოიწვევს პოპულისტური მოთხოვნების გააქტიურებას, ანუ ეკონომიკური რესურსების დანაწევრებას, მეტ პოლიტიკურ და სამოქალაქო დაპირისპირებას და უფრო მეტიც პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნასაც კი. ძალაუფლების გაზიარების წარმატება დამოკიდებულია ეთნიკური ჯგუფის ლიდერების მუდმივ ვალდებულებაზე, რომ შეარბილონ მათი მოთხოვნები და მათ უნარზე, რომ გაიმიჯნონ რადიკალიზმის ელემენტებისაგან თავიანთ საზოგადოებებში.

განსხვავებით სტაბილური მდგომარეობისგან, ასეთი შერბილება და კონტროლი თითქმის ვერ ხორციელდება სამოქალაქო ომის შემდეგ. უფრო მეტიც, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რადიკალიზმის წაქეზება თავად ძალაუფლების გამანაწილებელი ინსტიტუტების მიერ არის შექმნილი, ისინი აქეზებენ ეთნიკურ ელიტებს, მათ მოთხოვნების ესკალაციისაკენ უბიძგებენ და საშუალებას აძლევენ, რომ მათ მოთხოვნებს ომის ზღვარზე ბალანსირების პოლიტიკით დაუბრუნდნენ.

ამ მიზეზის გამო ძალაუფლების გაზიარებამ ეთნიკურ ლიდერებს თავიდან შეიძლება ბრძოლის ველი დაატოვებინოს, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ რაც ბრძოლის ეს ველი გადაიქცევა მორიგების ოთახად, ისინი ინაცვლებენ ბრძოლის ახალ ველზე. ეს არის სასტიკი ირონია, რომ ძალაუფლების განაწილების შეთანხმება შეიძლება იყოს მაიძულებელი, რომ გააადვილოს შეთანხმება მშვიდობის შესახებ საწყის ფაზაზე, მაგრამ დაემუქროს სტაბილური მშვიდობისა და დემოკრატიის დამკვიდრებას გრძელვადიან პერსპექტივაში ეთნიკურად დაყოფილ საზოგადოებებში კონსოლიდაციის ფაზაში. სწორედ ამიტომ, ქვეყანაში ეთნიკური კონფლიქტის დასასრულებლად ძალაუფლების გაზიარების არც ერთი გზა არ არის წინდახედული ნაბიჯი. მით უმეტეს, თუ ძალაუფლების გაზიარება გაბატონებული უმრავლესობის იძულებით და არა ნებით ხდება, უმცირესობები ცხად სიგნალს იღებენ, რომ უმრავლესობა იძულებულია უმცირესობათა უფლებები დაიცვას. ასეთ შემთხვევაში, უმცირესობები ძალაუფლების გაზიარების ინსტიტუტებს მათი უფლებების დაცვის გარანტორად ვერ აღიქვამენ. ძალაუფლების გაზიარებისას ორი პირობა, რომელიც აუცილებელია მშვიდობისა და დემოკრატიის კონსოლიდაციისათვის არის: იდენტობისა და რესურსებზე ზემოქმედება. იდენტობაზე ზემოქმედება ნიშნავს გაზიარებული ნაციონალურ იდენტობის არსებობას, ეს უკანასკნელი კი ძალაუფლების გაზიარების მნიშვნელოვანი ელემენტია. სადაც გაზიარებული ნაციონალური იდენტობა არსებობს, ეთნიკური ელიტები ურთიერთდაპირისპირებული ელიტები არ არიან. ურთიერთგადამკვეთი საერთო საკითხები მოქალაქეების ეთნიკურობის განცდას ამცირებს. რაც შეეხება რესურსებზე ზემოქმედებას, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ძლიერია, ანუ ის მინეულია ლეგიტიმურ ავტორიტეტად. ძალაუფლების გაზიარებისას მთავარი ნაციონალური უსაფრთხოების შიდა გამოწვევებისგან დაცვაა. თუნდაც იქ, სადაც ყველა პირობა არსებობს ძალაუფლების გაზიარებისათვის, ეს სტრატეგია გრძელვადიან პერსპექტივაში კონფლიქტის წამოწყებისკენაა მიდრეკილი.

ძალაუფლების გაზიარება სინამდვილეში დემოკრატიისათვის დამაბრკოლებელი შეიძლება იყოს. მისი გამოყენების სამი შესაძლო შედეგი არსებობს, ესენია: ინსტიტუციური არასტაბილურობა, კონფლიქტების ესკალაცია და შეფერხებული დემოკრატიული ტრანზიტი. ტერიტორიული დეცენტრალიზაციის მარცხს მეცნიერები ძალაუფლების გაზიარების შემდეგ

სამი დილემით ხსნიან: მმართველობის პრობლემა, რომელიც მაშინ წამოიჭრება, როდესაც ინსტიტუტები არასაკმარისადაა მხარდაჭერილი საზოგადოების მიერ, კონსტიტუციის არასრულყოფილება, რომელიც კანონების შესახებ დავის გადასაწყვეტად მოქმედების ცენტრალურ პოლიტიკას მოითხოვს. ძალაუფლების გაზიარება კონფლიქტს არ ამცირებს და პირიქითაც კია, მშვიდობას ფიტავს, იმიტომ რომ ის ეთნიკური ჯგუფის ლიდერების განზრახვებს კონფლიქტის ესკალაციის შესახებ ზრდის. როდესაც ძალაუფლების გაზიარების შესახებ შეთანხმება სამოქალაქო ომის ბოლოსაა მიღებული, ურთიერთდაპირისპირებული ეთნიკური ჯგუფის ლიდერები მთავრობის პოლიტიკის გადამწყვეტები ხდებიან. ასეთ შემთხვევაში ნებისმიერს, ვისაც გადაწყვეტილების მიმღები ცენტრალური ორგანოდან პოლიტიკაზე ზემოქმედება უნდა, პოლიტიკა ეთნიკური ჯგუფის ინტერესებისა და ძალაუფლებით აღჭურვილი ეთნიკური ჯგუფის ლიდერების ინტერესების გათვალისწინებით უნდა შეიმუშაოს. სწორედ ამიტომ ძალაუფლების გაზიარება ყველა პოლიტიკას ეთნიკურ პოლიტიკად აქცევს. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ეთნიკური დაყოფის გამომწვევი ურთიერთგანსხვავებული საკითხები მოლაპარაკების მაგილამდე ვერ მიაღწევს. ძალაუფლებით აღჭურვილი ეთნიკური ჯგუფის ლიდერები მიდრეკილი არიან განამტკიცონ საკუთარი ეთნიკური ჯგუფის ერთიანობა და მათში საკუთარი პრივილეგირებული მდგომარეობა. არც ერთ ეთნიკურ ჯგუფს არ უნდა, რომ დარჩეს უმწეო მდგომარეობაში, რომელიც ემორჩილება შეთანხმებას, მაშინ სანამ სხვა ეთნიკური ჯგუფები სახელმწიფოსგან სარგებელს იღებენ. ამ ყველაფრის შედეგად ძალაუფლების გაზიარებამ ეთნიკური უმცირესობების “განდგომების” ღომინოს ეფექტი შეიძლება გამოიწვიოს. ძალაუფლების გაზიარების სტრატეგია ზრდის ეთნიკური ჯგუფის ლიდერების განზრახვას რომ დაუბრუნდნენ კონფლიქტების ესკალაციას. ძალაუფლების განაწილების სტრატეგია ცალკეული ეთნიკური ჯგუფის ლიდერებისათვის მთავრობაში ადგილების გამოყოფით ინსტიტუციურ იარაღებს ეთნიკური უმცირესობის ხელში აქცევს. ამან კი ეთნიკური ჯგუფების მიერ ავტონომიური რეგიონებისა და საკუთარი შეიარაღებული ძალების გააქტიურების მოთხოვნა შეიძლება გამოიწვიოს. ამის შედეგი კი ის არის, რომ ეთნიკური ჯგუფების ხელში ინსტიტუციური იარაღები იყრის თავს, რომლებითაც ცენტრალურ მთავრობაზე ზემოქმედება შეიძლება. ძალაუფლების გაზიარების სტრატეგია ცენტრალური მთავრო-

ბის ლიდერებსა და ეთნიკური ჯგუფის ლიდერებს შორის ძალაუფლების დაბალანსებისკენ ისწრაფვის. ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები უნდა დაარწმუნონ, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი იარაღს დაყრიან, ცენტრალური მთავრობა მათ უხეშად არ მოექცევა. მოსალოდნელია, რომ ინსტიტუციური იარაღების ეთნიკური ჯგუფის ლიდერების ხელში თავმოყრა ცენტრალურ მთავრობაზე ეთნიკური ჯგუფის ბატონობასა და კონფლიქტის ესკალაციას გამოიწვევს. უფრო მეტიც, ძალაუფლების გაზიარების სტრატეგიამ სახელმწიფოს შიგნით ინტენსიური კონფლიქტი შეიძლება გამოიწვიოს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ძალაუფლების გაზიარების ინსტიტუტები ხელს უშლის დემოკრატიის კონსოლიდაციას, ეს ინსტიტუტები სახელმწიფოს ასუსტებს, იმიტომ რომ ისინი მიკროსახელმწიფოებს ქმნიან სახელმწიფოს შიგნით.

რეილი, ეთნიკურად დაყოფილ საზოგადოებებში ინკლუზიურობასა და დემოკრატიის კონსოლიდაციას შორის კორელაციას პოულობს, მაგრამ ის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ძალაუფლების გაზიარების სკოლის მტკიცებას, პროპორციული საარჩევნო სისტემის დემოკრატიულ შედეგებზე გავლენის შესახებ. ის აღნიშნავს, რომ ეთნიკურად დაყოფილ საზოგადოებებში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემები, როგორცაა პლურალური არჩევნები ერთმანდატიან ოლქებში, მოსალოდნელია, რომ ინკლუზიურ აღმასრულებლობას უზრუნველყოფს და ასევე მოსალოდნელია, რომ ასოცირებული იქნება დემოკრატიის წარმატებულ კონსოლიდაციასთან. რეილი ამბობს რომ, ნახევარზე მეტ ეთნიკურად დაყოფილ საზოგადოებებში, რომლებშიც უკვე სტაბილური დემოკრატიაა, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემებია.

ყოველივე ეს კი შემდეგ კითხვას წარმოშობს: რის გარანტიას იძლევა ძალაუფლების გაზიარება, თუ არა მშვიდობისა და დემოკრატიის? ძალაუფლების გაზიარება შეთანხმებაა ეთნიკური ჯგუფის ელიტებს შორის, რომ შეწყვიტონ პოლიტიკური კონფლიქტი.

მნიშვნელოვან ერთობებს თუ არ სურთ საერთო სახელმწიფოში ცხოვრება, დანაწევრება შეიძლება ერთადერთი გზა იყოს ინტენსიური კონფლიქტიდან სტაბილურ მშვიდობასა და დემოკრატიამდე წამატებული ტრანზიციისთვის. იქ, სადაც ერთობები არ უარყოფენ საერთო სახელმწიფოს, მაგრამ ერთობების ლიდერები არ ენდობიან სხვა ეთნიკური ჯგუფების ლიდერების ვალდებულებებს, დანაწევრება შეიძლება ერთადერთი

გზა იყოს მშვიდობისა და დემოკრატიისაკენ. გასული საუკუნის განმავლობაში ნორვეგიის, ირლანდიის, ფინეთის, ისრაელის, ინდოეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმატებული მაგალითები ამტკიცებენ, რომ შესაძლებელი იყო იმ წინაპირობების დაძლევა, რომელიც დემოკრატიის არსებობას არ მოასწავებდა. ამ მოვლენებმა დაუშვა სტაბილური დემოკრატიების განვითარება სხვა სახელმწიფოებში, სადაც ის შეიძლებოდა შეჩერებულიყო. გარე ძალებმა სცადეს შეენარჩუნებინათ გაერთიანებული სახელმწიფოები. შედარებით სწავლებებში ნიკოლას სამბანი აღნიშნავს, რომ ახლად დამოუკიდებლობამოპოვებულ სახელმწიფოებში, რომლებიც სამოქალაქო ომის შემდეგ დანაწევრებით შეიქმნა, დემოკრატია უფრო ძლიერია ვიდრე იმ სახელმწიფოებში, რომლებიც მთელი დარჩა სამოქალაქო ომის შემდეგ. მიუხედავად ამისა, გეგმებმა “ცივილიზებული გაყოფის” შესახებ შეიძლება სამი მოულოდნელი სირთულე გამოიწვიოს: შეიძლება საზღვრები არ არსებობდეს ეთნიკურ ჯგუფებს შორის და ამან მემკვიდრე სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო კონფლიქტი წარმოქმნას. დაყოფილი და მოდუნებული ბაზრის ეკონომიკური საფასური შეიძლება სარისკო იყოს. სახელმწიფოს დაყოფამ ახალი უმცირესობები შეიძლება წარმოშვას, საზღვრებთან ემიგრანტთა გაზრდილი რაოდენობა და მემკვიდრე სახელმწიფოებში ეთნიკური წმენდა წარმოშვას.

ამ სირთულეებმა შეიძლება გადაწონოს დაყოფის უპირატესობები, ამიტომ დანაწევრება ეთნიკურად დაყოფილ საზოგადოებაში სამოქალაქო ომებისა უმჯობესი გადაწყვეტა არ უნდა გახდეს. ის შეიძლება საუკეთესო არჩევანი იყოს, როდესაც ეთნიკური ჯგუფები იმდენად არ ენდობიან ერთმანეთს, რომ მათ ერთად ცხოვრება სტაბილურ დემოკრატიაში არ შეუძლიათ და ძალაუფლების განაწილების ინსტიტუციანალიზებას ითხოვენ, როგორც პირობას მათი შეთანხმებისათვის, რომ თავიანთ მოწინააღმდეგეებთან ერთად ერთ სახელმწიფოში იარსებონ. ამ შემთხვევაში სეპარატისტულ სახელმწიფოში მშვიდობისა და დემოკრატიის კონსოლიდირების ინიცირებისთვის დანაწილება შეიძლება ნაკლებად მისაღები გზა იყოს. ეთნიკურად დაყოფილ საზოგადოებებში სამოქალაქო ომის შემდეგ, საერთაშორისო საზოგადოება ახალი სახელმწიფოს შექმნის (როგორცაა ბოსნია) ან არსებული სახელმწიფოების გაერთიანებისკენ მიისწრაფვის (როგორცაა მაკედონია) გაერთიანება უნდა მოხდეს ისე, რომ სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილებმა ეროვნულობის საერთო განცდა უნდა გაიზიარონ, მინიმუმ საერთო სახელმწი-

ფოში თანაარსებობაზე უნდა შეთანხმდნენ, ეროვნულობის ეს გაზიარებული გრძნობა ეთნიკურად დაყოფილ საზოგადოებებში, როგორცაა ინდოეთი, სამხრეთ აფრიკა და ძალიან ბევრი უნიტარული პოსტკომუნისტური სახელმწიფო მნიშვნელოვანია დემოკრატიის წარმატებისათვის. ამიტომ როდის უნდა შევაკოწიწოთ არსებული სახელმწიფო ან პირიქით დავეყოთ ის დამოკიდებულია კონფლიქტში მონაწილე მხარეების მიზნებზე. არსებული სახელმწიფოს ერთიანად შენარჩუნება რელევანტური სტრატეგიაა, როდესაც ეთნიკური ჯგუფი იზიარებს საერთო სახელმწიფოს ვალდებულებებს. სახელმწიფოს შენარჩუნება შესაფერისი სტრატეგია არ არის მაშინ, როდესაც ერთი ან რამდენიმე ეთნიკური ჯგუფი გამოთქვამს საერთო სახელმწიფოსაგან გამოყოფის სურვილს. ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფოს ცალკეულ დამოუკიდებელ ერთეულებად დანაწევრება უკეთესიც კია, ასეთ შემთხვევაში თითოეულ ნაწილს შესაძლებლობა ექნება მისთვის სასურველი მმართველობა დაამკვიდროს. არსებული სახელმწიფოს დაყოფა შემდეგ საფრთხეებს წარმოშობს: ლტოლვილთა გაზრდილი რაოდენობა, ადმინისტრაციული გადასახადები და საერთაშორისო დაძაბულობა. თუმცადა, აღმოსავლეთ ტიმორის მაგალითი ინდონეზიიდან გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დანაწილება უმჯობესია, რათა თავიდან ავიცილოთ ერთად ცხოვრების გაურკვეველობები.

განსხვავებით ძალაუფლების გაზიარებისგან, ძალაუფლების დაყოფა გაცილებით უკეთ ესადაგება სტაბილურობისა და დემოკრატიის დამკვიდრების ამოცანებს. ერი-სახელმწიფოს მოწყობის სტრატეგიის შერჩევისას ცენტრალური სამთავრობო ორგანოები იმას უნდა ასახავდნენ, რაც ყველა ნაწილისათვის საერთოა, ანუ იმას, რაც ეროვნულობის საფუძველს შექმნის. შეზღუდული მმართველობა სამოქალაქო საზოგადოებისა და პრივატული ინიციატივებისადმი ნდობის გაზრდას ნიშნავს იმ საკითხებში, რომლებიც ჰყოფს მოწინააღმდეგე მხარეებს. საერთო კონსენსუსი ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის, რომ ისინი დარჩებიან ერთად ერთ სახელმწიფოში, გაიზიარებენ და შეინარჩუნებენ საშინაო კანონებს და ერთად იბრძობენ გარე მტრის წინააღმდეგ, აყალიბებს მოქალაქეობის გრძნობას, ამის შედეგად მიიღება თანამედროვე მინიმალური სახელმწიფო, სადაც ცენტრალური მთავრობა მოახდენს იმ იდეების რეპრეზენტაციას, რასაც ყველა ეთნიკური ჯგუფის მოქალაქეები იზიარებენ. ძალაუფლების დაყოფის სტრატეგია ეთნიკურ საზ-

ღვრებს ამცირებს - პოლიტიკის ყველაზე მწვავე, იდენტობისა და კულტურული საკითხების, მთავრობის განკარგვის სფეროდან ამოღებითა და მათი სამოქალაქო საზოგადოებისათვის მინდობის გზით. ეთნიკურად დაყოფილი საზოგადოების ლიდერებმა შეზღუდული მთავრობის ტექნიკა უნდა გამოიყენონ, რათა პოლიტიკა ნაკლებად ნულოვანჯამოვანად აქციონ. ძალაუფლების დაყოფის სტრატეგია ეთნიკური და სხვა სახის უმცირესობათა უფლებებს სამოქალაქო უფლებებით იცავს. უფლებები, რომლითაც სარგებლობენ კულტურული უმცირესობები იდენტური უნდა იყოს კულტურული უმრავლესობის წევრთა უფლებებისა. ასევე ეთნიკური უმცირესობების უფლებები იდენტური უნდა იყოს სხვა ტიპის უმრავლესობებისა და უმცირესობების უფლებებისა სამოქალაქო საზოგადოებაში. თუმცადა ეთნიკურობა არ არის პრივილეგია პოლიტიკური მონაწილეობისათვის. ძალაუფლების დაყოფა დემოკრატიას მიიხრევა უმრავლესობის წესად, რომელიც მიისწრაფის მრავალრიცხოვანი ალტერნატიული უმრავლესობების გამოაშკარავებისაკენ. პოლიტიკურ ინსტიტუტებს საზოგადოებაში არსებული სხვადასხვაობისათვის ფორმის მიცემა შეუძლია. *ძალაუფლების დაყოფის ინსტიტუტები მიისწრაფის ეთნიკური უმცირესობების პრივილეგირება თავიდან აიცილოს და ურთიერთგადამკვეთი სხვადასხვაობების განვითარებას შეუწყოს ხელი. ძალაუფლების განაწილებისა და მაჟორიტარული დემოკრატიის შეპირისპირებისას, ზევ გვჯერა ძალაუფლების დანაწილების უარყოფისადმი ადრეული ინსტიტუციონალური დამოკიდებულების, რომელიც უარყოფს ძალაუფლების დანაწილებას და ასოცირდება ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციასთან, ჯეიმს მედისონის მიხედვით, უმრავლესობის მმართველობის ერთი შეზღუდვა ის არის რომ, უმცირესობათა ჯგუფებს სამთავრობო ძალაუფლებაში მონაწილეობის საშუალებას არ აძლევენ, მაგრამ მთავრობის ხარჯზე, სხვადასხვა უმრავლესობებისთვის დამოუკიდებელ ორგანოებსა და მთავრობაში მუშაობის უფლების მინიჭებით, ინდივიდუალურ თავისუფლებასა და უფლებებს უზრდიათ. ძალაუფლების დაყოფის სტრატეგიის სამი ელემენტი არსებობს: სამოქალაქო თავისუფლება, მრავალრიცხოვანი უმრავლესობა და კონტროლი და ბალანსი. მოკლედ რომ ვთქვათ, ისეთ დემოკრატიებში, რომლებშიც ძალაუფლება დაყოფილია სახელმწიფო ძალაუფლება სამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოებას შორისა განაწილებული. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ეთნიკურ ჯგუფებს ჰყოფს, მთავრობის მიერ უნდა იყოს*

გადაწყვეტილი როგორც ყველა ეთნიკური ჯგუფისათვის საერთო, ძალაუფლების დანაწილების ინსტიტუტები გადაწყვეტილების მიმღებ ერთ ცენტრს აბალანსებს და უმრავლესობას აკონტროლებს.

გადაწყვეტილების მიღების უფლების კონსტიტუციურ განაწილებაში, ძალაუფლების განაწილების სტრატეგია და ინდივიდების ხელშია მთავრობაზე არ არის დამოკიდებული, ეს კერძო, (პრივატული) სფეროს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სამოქალაქო საზოგადოებას უტოვებს. მედისონი აღიარებს, რომ გადაწყვეტილების მიღების უფლებაზე შეზღუდვები ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მთავრობაში მყოფი ნებისმიერი უმრავლესობის შეზღუდვა. მაგალითად მედისონი მიიჩნევს, რომ ისეთ კულტურულ საკითხებში, როგორცაა რელიგია, მთავრობა არ უნდა ერეოდეს. სამოქალაქო საზოგადოებაში მთავარია ინტერესებისათვის ხელსაყრელი ინსტიტუციური პირობების შექმნა, რომ ისინი მოქნილად და თვითგანსაზღვრულად იქცნენ, ვიდრე შერეულ და მთავრობის მიერ განსაზღვრულ მოცემულობებად. იმიტომ, რომ ლიბერალური რეჟიმები მიდრეკილი არიან შეამსუბუქონ ბზარი, რომელიც დომინანტურ ეთნიკურ ჯგუფებში წარმოიშობა, ფართო მასშტაბიანი ინდივიდუალური თავისუფლებები ასევე ზრდის შესაძლებლობას, რომ უმრავლესობა ცალკეული ინტერესების მიხედვით დაიყოფა. იქ, სადაც ძალაუფლების გამყოფი ინსტიტუტები არსებობს, მოსალოდნელია, რომ ეთნიკური იდენტურობები სპეციფიკური პოლიტიკური საკითხებით შეიზღუდოს და ეთნიკური უმრავლესობებისთვის ძნელი გახდეს მათი ეთნიკური ჯგუფის პოლიტიკური ჰეგემონიის შენარჩუნება. შეჯიბრებითობა დომინანტურ ეთნიკურ ჯგუფს შორის წარმოშობს სუბჯგუფებს.

ეს არ წარმოადგენს ურთიერთგადაძვევით განსხვავებულობას, ის არ არის დამოკიდებული შეჯიბრებით ლოიალურობაზე, რომელიც ინდივიდებს ეთნიკურ ჯგუფებად კრავს, არამედ დამოკიდებულია უმრავლესობის ეთნიკურ ჯგუფს შორის არსებულ შეჯიბრებითობაზე.

ძალაუფლების დანაწილება სამთავრობო ძალაუფლების ყველა დონეზე უწყობს ხელს დაყოფას როგორც მთავრობის დამოუკიდებელ განმტოვებებს შორის, ასევე ცალკეულ სპეციალიზებულ ნაწილებს შორის, რომლებიც განსხვავებულ უმრავლესობებს წარმოადგენენ. მაგალითად, ბევრ ადგილას ქალაქის არჩეული მუნიციპალიტეტი, სკოლის გამგეობა და სხვა წარმოადგენს საზოგადოებას სხვადასხვანაირად, ანუ მთელ სა-

ზოგადოებას წარმოადგენს და თითოეულ განსხვავებულ უმრავლესობებს საჯაროდ გამოსვლის საშუალებას აძლევს. ძალაუფლების დაყოფის სამი უპირატესობაა: მეტი ეფექტურობა, მეტი დემოკრატია და უმცირესობებისგან შემდგარი უმრავლესობა. სტეფან პოლმსი აღნიშნავს, რომ ძალაუფლების დანაწილება “შრომის დანაწილების ეფექტური ფორმაა, ზოგიერთ შემთხვევაში სამთავრობო ფუნქციების ეფექტური განაწილებითა და ორგანიზაციით”. ამიტომაც “დამოუკიდებელი სასამართლო თავდაპირველად დამკვიდრდა არა ძალაუფლების შეზღუდვის მიზნით არამედ პირიქით, რომ გაეზარდა მთავრობის უნარი უკეთ შეესრულებინა მისი საქმე”. ბერნარდ მანინი, ადამ პრევეორსკი და სუზან სტოკი მიიჩნევენ, რომ ეს მოწყობა შეიძლება უფრო მეტად დემოკრატიული იყოს ვიდრე საპარლამენტო მოდელი, იმიტომ რომ შეთავსებული ძალაუფლება ამომრჩევლებს მხოლოდ ერთ ხმას აძლევს. ისინი აღნიშნავენ, რომ “მთავრობა ათასობით გადაწყვეტილებას იღებს, რომელიც ინდივიდების კეთილდღეობაზე მოქმედებს, მაგრამ მოქალაქეებს ამ გადაწყვეტილებების გაკონტროლების მხოლოდ ერთი მექანიზმი აქვთ”. ისინი სთავაზობენ ძალაუფლების დაყოფის გადაწყვეტას: “ამიტომ, მაგალითად, ფინანსური გადაწყვეტილებების გამოყოფა სხვა სახის პოლიტიკური გადაწყვეტილებებისაგან.” ასევე ეს არის წინდახედული პასუხი ეთნიკურად დაყოფილი საზოგადოების ცენტრალური პრობლემისადმი. ძალაუფლების დამყოფი ინსტიტუტები, რომლებიც საშუალებას აძლევენ უმრავლესობას, რომ გაზარდონ ალბათობა იმისა რომ ეთნიკური უმცირესობის წევრები პოლიტიკური უმრავლესობის წევრები იქნებიან და ეთნიკური უმრავლესობის წევრები ზოგ შემთხვევაში პოლიტიკური უმცირესობის წევრები იქნებიან.

ინსტიტუტებს შორის ძალაუფლების დანაწილება ეფუძნება ალტერნატიულ უმრავლესობებს. ვრცელი პერიოდის განმავლობაში უფრო ძნელი ხდება უმრავლესობის კონსენსუსის მიღწევა და რთულდება ასეთი უმრავლესობის შენარჩუნება. კონტროლისა და ბალანსის კარგად ჩამოყალიბებულ სისტემაში ერთი რომელიმე ორგანოსა და ერთი უმრავლესობის ძალაუფლების გაფართოება ეთნიკური უმცირესობების ხარჯზე სხვა ორგანოების წინააღმდეგობას გამოიწვევს. მოცემული ლოგიკის გამო, პრეზიდენტარში ძალაუფლების რეალური ბალანსით აღმასრულებელ და საკანონმდებლო ინსტიტუტებს შორის დემოკრატისა და ადამიანის უფლებების დამცველ პარლამენტარიზმს სჯობს; ორპალატიანი საკანონმდებლო ხელისუფლე-



ბა შეჯიბრებითობაზე დაფუძნებული წარმომადგენლობით, ერთპალატიან ორგანოებს სჯობს და ასევე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი სასამართლო - სუსტ სასამართლოს. დამოუკიდებელ ორგანოებს ძალაუფლების განაწილების დემოკრატიული წესი საშუალებას აძლევს გადაწყვეტილებები სხვა ორგანოებისაგან დამოუკიდებლად მიიღონ. ძალაუფლების განაწილების დემოკრატიული წესი მოითხოვს სხვადასხვა ორგანოები განსხვავებული უმრავლესობებისგან იყოს დაკომპლექტებული.

მოკლედ რომ ვთქვათ, ძველი ექსპერიმენტები, მაჟორიტარული დემოკრატიის დაყოფილ საზოგადოებებში ასამუშავებლად, როგორებიცაა აშშ-სა და შვეიცარიაში, მიზნად არ ისახავს ელიტის ძალაუფლებით აღჭურვას. მის ნაცვლად, ისინი ცდილობენ სამოქალაქო საზოგადოებისადმი ნდობის გაზრდასა და მთავრობის ძალაუფლების შემცირებას სამოქალაქო უფლებების გაზრდით. ისინი სამთავრობო ძალაუფლებას ცალკეულ დამოუკიდებელ ორგანოებს შორის ანაწილებენ და ეს დანაწილება ურთიერთგადამკვეთი, მრავალგვარი უმრავლესობის ნებას ეფუძნება.

საერთო პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნამდე ძირითადი ეთნიკური ჯგუფის ლიდერებს შორის, რომლებიც ერთად თავიანთი განსხვავებული მოსახლეობით ერს ქმნიან, კონსენსუსის არსებობა აუცილებელია, ეს იწვევს მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვას. მათ სურვილი უნდა ჰქონდეთ, რომ დაეთანხმონ პოლიტიკას, რომელიც ყველა ეთნიკური ჯგუფისათვის შემაკავშირებელია, მათ უნდა სურდეთ, რომ ერის, როგორც მთლიანის უმრავლესობის ხმების პოლიტიკას დაეთანხმონ. იქ, სადაც არ სურთ დაეთანხმონ უმრავლესობის ხმებს, ლიდერებს მიაჩნიათ რომ განსხვავებული ადამიანები არ არიან ერთი ერის ნაწილები. როცა არსებობს მნიშვნელოვანი საკითხები, რომლის დროსაც ეთნიკური უმცირესობის წევრები არ არიან პოლიტიკური უმრავლესობის წევრები და ეთნიკური უმრავლესობის წევრები არიან პოლიტიკური უმცირესობის წევრები. ეს შეიძლება იყოს სამხილი, რომ არ არსებობს ერთი ერი, რომელიც გააერთიანებს ეთნიკურ ჯგუფებს. ეს არის შემთხვევა, რომლის დროსაც გაყოფა უკეთესი გადაწყვეტაა დემოკრატიისათვის, ვიდრე ძალაუფლების განაწილება.

ძალაუფლების განაწილებამ შესაძლოა ეთნიკური ჯგუფის ლიდერების მიერ სხვადასხვა მოთხოვნების ესკალაცია გამოიწვიოს. ეთნიკური ჯგუფის ლიდერები შესაძლოა დაუბრუნ-

დნენ თავიანთ მოთხოვნებს ექსტრემალური საშუალებებით, ანუ ძალადობაც კი შეიძლება გამოიყენონ. ძალაუფლების ალტერნატიული დაყოფა ან მრავალჯერადი უმრავლესობების ინსტიტუტების მშენებლობის სტრატეგია ამცირებს ეთნიკურ კონფლიქტებს, აღწევს ეფექტური გადაწყვეტილების მიღებას უმრავლესობის ტირანიის ინსტიტუციონალიზაციის გარეშე და იცავს ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებს, უკავშირებს რა მათ სხვა ტიპის უმცირესობათა უფლებებს ეთნიკური უმრავლესობის ფარგლებში. ყველა მნიშვნელოვანი ჯგუფის წარმომადგენლებს შორის.

მაჟორიტარული დემოკრატია ინტერეთნიკური კონფლიქტების გაძლიერების წყაროდ მიიჩნევა, სწორედ ამიტომ მეცნიერები ამ დილემის გადაწყვეტას ძალაუფლების გაზიარების სტრატეგიის მეშვეობით ცდილობდნენ. მაგრამ ძალაუფლების გაზიარების შეთანხმება შეიძლება მაიძულებელი იყოს, რომ გააადვილოს შეთანხმება მშვიდობის შესახებ საწყის ფაზაზე, მაგრამ დაემუქროს სტაბილური მშვიდობისა და დემოკრატიის გრძელვადიან პერსპექტივას ეთნიკურად დაყოფილ საზოგადოებებში კონსოლიდაციის ფაზაში. როგორც უკვე ვთქვით არსებობს მაჟორიტარული დემოკრატიისა და ძალაუფლების განაწილების ალტერნატივაც, რომელსაც ძალაუფლების დაყოფა ეწოდება. ეს ალტერნატივა წარმართავს მშვიდობისა და დემოკრატიის კონსოლიდაციას. იმ პირობებში, რომლებიც ჭარბობს ეთნიკური კონფლიქტების შემდეგ.

**სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში**

საქართველოს დღევანდელი სოციალური მდგომარეობის ანალიზისას, ცალკეული პოლიტიკოსები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები ხშირად აღნიშნავენ, რომ უამრავი პრობლემა რომლის წინაშე ქვეყანა დგას, გამოწვეულია სამოქალაქო საზოგადოების არ არსებობით. ამიტომ სამოქალაქო საზოგადოებაზე საუბარი განზრახული გვაქვს სწორედ ამ ფუნქციონალური კუთხით და არა თავისთავად. სამოქალაქო საზოგადოება სამკაული როდია, რომელიც დაამშვენებდა საქართველოს და როგორც თავისთავადი ღირებულების მატარებელი ფენომენი, შესძენდა ქვეყანას პრესტიჟსა და საერთაშორისო რენომეს. მას გააჩნია სავსებით კონკრეტული სოციალური დატვირთვა, რომელიც ტიპურია დღევანდელი დასავლური დემოკრატიებისთვის. ამ თვალსაზრისით, საქართველოში არსებული მდგომარეობის მიმოხილვამ პასუხი უნდა გასცეს რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას. ჯერ ერთი გასარკვევია, თუ რა იმედებს ვამყარებთ სამოქალაქო საზოგადოებაზე და რისთვის გეჭირდება ის. შემდეგ, გასარკვევია თუ რა ტიპის სამოქალაქო გაერთიანებები არსებობს ქვეყანაში და როგორია მათი ფინანსური წყაროები, როგორია მათი დამოკიდებულება სახელმწიფო სტრუქტურებთან, როგორ გამოიყურება პერსპექტიული მომავალი და ა.შ.

**რისთვის სამოქალაქო საზოგადოება**

სამოქალაქო საზოგადოების არსებობა იმდენად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის, რომ ბევრი ავტორი სამოქალაქო საზოგადოების არსებობას ქვეყნის დემოკრატიულობის წინა პირობადაც კი მიიჩნევს. ტერმინი “სამოქალაქო საზოგადოება” ახალი დროის ფილოსოფოსებთან, ჰობსთან, ლოკთან, ფერგიუსონთან და სხვებთან პრაქტიკულად “პოლიტიკური საზოგადოების” ექვივალენტური იყო და ის აღნიშნავდა ქაოსსა და ძალადობაზე დამყარებული ყოფის ნაცვლად კანონის საფუძველზე მართულ ადამიანთა ერთიანობას. ჰობსი “ლევიათანში” პირდაპირ აიგივებდა პოლი-

ტიკურ და სამოქალაქო საზოგადოებებს, რაც ტერმინის დღეს გავრცელებული მნიშვნელობისათვის პრინციპულად მიუღებელია.

ერთ-ერთი პირველი, ვინც ტერმინს თანამედროვე მნიშვნელობა მისცა, ჰეგელი იყო. იგი “სამოქალაქო საზოგადოებით” აღნიშნავდა ადამიანთა არაპოლიტიკურ გაერთიანებებს, რომლებიც მიმართულია ინდივიდების მრავალფეროვანი ინტერესების დაკმაყოფილებაზე. ჰეგელის წარმოდგენით, სამოქალაქო საზოგადოება დგას ოჯახსა და სახელმწიფოს შორის. ის არის ორგანიზაციების ან ინსტიტუტების ერთიანობა, რომელიც ახორციელებს ისეთ სხვადასხვა სახის სამუშაოს ქვეყანაში, რომელსაც ვერ ან არ ასრულებს მთავრობა. აქედან გასაგებია, რომ სამოქალაქო საზოგადოების არსებობა მისი მოქალაქეების ისეთი მნიშვნელოვანი აქტიურობის მაჩვენებელია, რომელიც მთელ საზოგადოებას ძალზე დინამიურ და კრეატიულ ხასიათზე მეტყველებს. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს შორის ათავსებენ ისეთ ნებაყოფლობით გაერთიანებებს, როგორცაა საქველმოქმედო ორგანიზაციები, კომუნალური ფონდები, კოოპერატივები, გარემოს დაცვითი ორგანიზაციები, პროფესიული ასოციაციები, რელიგიური ჯგუფები, სამოქალაქო კლუბები, სამოქალაქო მილიცია, აკადემიური გაერთიანებები და ა.შ.

დასავლეთის დემოკრატიებს სამოქალაქო საზოგადოებების ფუნქციონირების დიდი და რაც მთავარია ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ. ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანებები დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში ნაციონალურ სახელმწიფოებამდე უფრო ადრე გაჩნდა და მნიშვნელოვანი სოციალური როლიც იტვირთა. ეს ვითარება ძალზე მნიშვნელოვნად გვეჩვენება საქართველოს გამოცდილებისათვის რომელსაც განსხვავებული ისტორიული წარსული ჰქონდა. საბუთად დავასახელებ ორი კარგად ცნობილი ავტორის გამოკვლევას - ტოკვილის “დემოკრატია ამერიკაში” და ჰეგელის “გერმანულ კონსტიტუციას”. როდესაც სამოქალაქო საზოგადოებაზე ვფიქრობთ, ეს ნაწარმოებები, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ წმინდა თეორიული თვალსაზრისით, არამედ როგორც ისტორიული წყაროები დასავლეთის სოციალური ისტორიიდან.

ტოკვილმა, რომელიც გაცემული იყო ამერიკაში დემოკრატიის აღმოცენებით, ამერიკული სახელმწიფოს საფუძველში აღმოაჩინა ნებაყოფლობითი სამოქალაქო გაერთიანებები თემის სახით და დიდი ადგილი დაუთმო მის წარმოშობის და ფუნქციონირების დეტალურ ანალიზს. თემი როგორც ამერიკელ

ახალმოსახლეთა გაერთიანება, ცხადია, ამერიკულ სახელმწიფოზე ადრე წარმოიშვა, მაგრამ რაც უფრო მნიშვნელოვანია, სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბების შემდეგ მას არ შეუწყვეტია არსებობა და ტოკვილის დროიდან არა მხოლოდ თანამშრომლობს და სოციალურ ფუნქციებს ინაწილებს სახელმწიფოსთან, არამედ ინდივიდუალური თავისუფლებების არსებითი დასაყრდენიცაა. დაახლოებით მსგავს ვითარებას აღწერს ჰეგელი, როდესაც გერმანული თანმიმდევრულობით ჩამოთვლის იმ ფუნქციებს, რომლისაგანაც სამოქალაქო საზოგადოებას (Bürgerliche Gesellschaft) შეუძლია გაათავისუფლოს სახელმწიფო. ჰეგელი ამ შრომას წერდა გერმანული ნაციონალისტების იმპერია პრაქტიკულად დაშლილი იყო და მისი პოლიტიკური აპარატი ვეღარ პასუხობდა ახალი ეპოქის გამოწვევებს. ასეთ პირობებში სამოქალაქო საზოგადოება როგორც ადამიანების სხვადასხვა სახის ნებაყოფლობითი გაერთიანებების ერთობლიობა იყო ერთადერთი ინსტანცია, რომელიც უზრუნველყოფდა სოციალური პრობლემების რეგულაციას. ამ ვითარების გათვალისწინებით, ჰეგელის ზემოთაღნიშნულ გამოკვლევას შეგვიძლია შევხედოთ როგორც პოლიტიკურ პროექტს, რომელიც სახელმწიფოსაგან მოითხოვდა იმ მინიმალური ფუნქციების შესრულებას (ჯარი და პოლიცია. სასამართლო. გადასახადები), რის გარეშეც არ არსებობს პოლიტიკური ორგანიზმი. რამდენადაც განხილვა პრინციპულ სიახლეს ჩვენს ინტერესებისათვის არ შეგვიძენს, შეგვიძლია უბრალოდ აღვნიშნოთ, რომ არსებობდა ამგვარი პროექტის ბრიტანული ნაირსახეობა ე.წ. ღამის დარაჯი სახელმწიფოს თეორიის სახით, რომელშიაც ასევე ნაგულისხმებია სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს ფუნქციების ნათელი გამიჯვნა და მათ შორის კოოპერაცია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი რომლის თაობაზე აღნიშნული ავტორები საკმარის ინფორმაციას გვაწვდიან სამოქალაქო საზოგადოების ეკონომიკური მხარეა. ჰანა არენდტი წიგნში “რევოლუციის შესახებ” ეხება რა ტოკვილის ეპოქის ამერიკას ერთგან შენიშნავს, რომ რევოლუციამდე ამერიკა მდიდარი ქვეყანა იყო. “ამერიკა მდიდარი ქვეყანა იყო” არ ნიშნავს ამერიკის სახელმწიფოს ეკონომიკურ ძლევამოსილებას. არენდტს მხოლოდ იმის აღნიშვნა სურს, რომ ამერიკელები ეკონომიკურად უზრუნველყოფილნი იყვნენ. როდესაც აქ საქმე

მიდგებოდა რაიმე სამოქალაქო წამოწყების ეკონომიკურ, ფინანსურ უზრუნველყოფაზე, მის წყაროს ისევე ხალხი, მოქალაქეები წარმოადგენდნენ. მსგავსი ვითარებაა გამოიკვეთება ჰეგელის დროინდელ გერმანიაშიც. შექმნილი მოქალაქეები ქვეყნის ძირითად ეკონომიკურ დასაყრდენს წარმოადგენდნენ. სიმდიდრე, საკუთრება, თუნდაც წოდებრივი უთანასწორობით დანაწილებული, მოქალაქეების ხელშია და არა სახელმწიფოსი. ჰეგელის პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა იმის გარკვევის მცდელობას თუ როგორაა შესაძლებელი საიმპერიო საგადასახადო სისტემის გამართვა, რაც სახელმწიფოსათვის სულის მოთქმის საშუალება გახდებოდა..

ამრიგად დასავლური სოციალური გამოცდილება გვასწავლის, რომ სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება წინ უსწრებდა ნაციონალური სახელმწიფოების წარმოშობას. სამოქალაქო გაერთიანებები, სამოქალაქო წამოწყებებისთვის აუცილებელი ფინანსურ წყაროს ისევე მოქალაქეების ნებაყოფლობითი შესაწირები წარმოადგენენ. შემდეგ, ნაციონალური სახელმწიფოების გაჩენა არ სპობს ადამიანების თავისუფალ კავშირებს. პირიქით, თანამშრომლობს მასთან. და ბოლოს, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ადგილი აქვს ფუნქციონალურ დივერსიფიკაციას. გადავაყოლოთ თვალი ახლა ამ პოზიციებიდან საქართველოს.

### პოსტსაბჭოური პერიოდი საქართველოში

ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, საქართველო ნამდვილად არ ყოფილა სამოქალაქო გაერთიანებების ოაზისი. წარსული ჯერ პატრონჟერი და შემდეგ ბატონჟერი ურთიერთობები მოსახლეობის უმეტეს ნაწილში ადგილს აღარ ტოვებდა ადამიანებს შორის თავისუფალი გაერთიანებებისათვის. თუმცა სოფლად არსებობდა სასოფლო თემი (გავისხენოთ ვაჟა ფშაველას “... თემს რაც სწადია მას იზამს თავის თემობის წესითა”), როგორც ლოკალური სოციალური რეგულატორი, მაგრამ ის უფრო ტრადიციულ და მყარებული სოციალური სტრუქტურა იყო, ვიდრე ადამიანებს შორის თავისუფალი კოოპერაციის გამოხატულება.

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული თბილისში არსებობდა ხელოსნებისა და ვაჭრების თავისუფალი გაერთიანებები, ამქარი და გილდიები. საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენ-

ლობაში შესვლის შემდეგ XIX საუკუნეში ქალაქში წარმოიშვა საქველმოქმედო ფონდების, თავისუფალი ჟურნალ-გაზეთების და საზოგადოებრივ-კულტურული დანიშნულების ორგანიზაციების შთამბეჭდავი რაოდენობა. ამ ორგანიზაციულმა სტრუქტურებმა ვერ პოვეს შესაბამისი განვითარება ქვეყანაში რუსული ბოლშევიზმის შემოსვლის გამო. საბჭოთა მთავრობამ ყველა თავისუფალი ორგანიზაცია დახურა და ადამიანთა შორის ურთიერთობებზე ტოტალური კონტროლი დაამყარა. რა თქმა უნდა, საბჭოთა საქართველოში არსებობდა სხვადასხვა სახის შემოქმედებითი ორგანიზაციები, ვთქვათ, მწერალთა კავშირი, კომპოზიტორთა კავშირი და ა.შ. მაგრამ ეს ორგანიზაციები სახელმწიფოს მკაცრი იდეოლოგიური ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ და ფინანსურად მთლიანად კონტროლდებოდნენ მის მიერ. იდეოლოგიური კონტროლი ამ ტიპის დაწესებულებებზე საბჭოთა რეჟიმის ტრანსფორმაციის კვლად მკაცრდებოდა ან მსუბუქდებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი ორგანიზაციები სახელმწიფო დაწესებულებებს წარმოადგენდნენ და ის ვითარება, რომ ცალკეული ინდივიდები ამგვარ პირობებშიაც ახერხებდნენ არასტანდარტული, ჭეშმარიტად შემოქმედებითი ნაწარმოებების პროდუცირებას, სულაც ვერ სცვლის საერთო სურათს. ტოტალიტარულ საზოგადოებაში სახელმწიფომ დაფარა ადამიანის აქტივობის თითქმის ყველა სფერო. მისი ძალისხმევით პეგელისეული სტრუქტურიდან, სახელმწიფო-კორპორაცია-ოჯახი, მეორე ელემენტი მთლიანად შთანთქმული იქნა სახელმწიფოს მიერ და ამ უკანასკნელის პირისპირ ინდივიდი, როგორც ატომიზირებული სოციალური სეგმენტი, სრულიად მარტო დარჩა. წინამდებარე წერილში ადგილი არ არის ამ თეზისის გაშლილი არგუმენტირებისთვის. მხედველობაში მაქვს, მტკიცება იმის შესახებ, რომ ტოტალიტარული საზოგადოება ინდივიდების ატომიზაციის წყაროა. ჩვეულებრივ, ამგვარ “დანაშაულს” ღია საბაზრო პრინციპებზე დამყარებულ საზოგადოებას მიაწერენ, რომელშიაც გამეფებულია მძაფრი კონკურენცია და არსებობისათვის ბრძოლა. მიუხედავად ამისა, სადავო არ არის, რომ ტოტალიტარული რეჟიმი ვერ დაუშვებს ადამიანების თავისუფალ კოოპერაციას და რაიმე სახის არაკონტროლირებად გაერთიანებებს. მართლაც და, თუ თვალს გადავაგვლებთ დღევანდელ ქართულ საზოგადოებას, რომელშიაც ზოგიერთი ექსპერტი ტოტალიტარიზმის ნიშნებს ეძებს, ძნელი შესამჩნევი როდია ინდივიდების მსგავსი სეგმენტაცია.

სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრები არიან ე.წ. NGO-ები, ანუ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებმაც საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლეთის ძალისხმევით დაიწვეს აღმოცენება. აღმოსავლეთ ევროპის გამოცდილების მსგავსად, იდეის მიხედვით, ეს ორგანიზაციები (ე.წ. “მესამე სექტორი”) ახალი საზოგადოების ფორმირების უმნიშვნელოვანესი ბერკეტები უნდა ყოფილიყო, რომლებიც არა მხოლოდ ტოტალიტარულ წარსულის მემკვიდრეობიდან გაათავისუფლებდა მოსახლეობას, არამედ მისცემდა მას თვითრეგულირებად სახეს. ამიტომ, ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიული საზოგადოებისაკენ გადასვლისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთიდან, განსაკუთრებით შეერთებული შტატებიდან ამ მიმართულებით გაწეულ ძალისხმევას. დემოკრატიული ცხოვრების დიდი გამოცდილების მქონე დასავლეთში კარგად იცოდნენ როგორ გაეღოთ თანხები რეფორმირებადი ქვეყანაში. დემოკრატიული სახელმწიფო არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოების, მაშასადამე სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი სოციალური სექტორის გარეშე. ამგვარი სექტორის არ არსებობის პირობებში მოქალაქე მთლიანად სახელმწიფოზე დამოკიდებული ხდება, რაც იმთავითვე ნოყიერი ნიადაგია ტოტალიტარული ან, უკეთეს შემთხვევაში ავტორიტარული საზოგადოების რეანიმაციისათვის. შესაბამისად, დასავლეთი დაინტერესებული იყო NGO-ების, ფართო ქსელის შექმნით მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე და მათ შორის საქართველოში. 2002-2003 წლების მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებული იყო 3000-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთაგან 500-დან 800-მდეს მიღებული ჰქონდა ერთზე მეტი გრანტი. ამ ორგანიზაციებიდან მხოლოდ 100 თუ იქნებოდა იმდენად აქტიური, რომ მისი წევრების საქმიანობა მთლიანად შემოფარგლული იყო ამ არასამთავრობო სფეროთი და მხოლოდ 20-30 არასამთავრობო ორგანიზაციას შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა სახელმწიფო გადაწყვეტილებაზე (4.55). ეს მონაცემები იმდენად საინტერესოა, რომ უპრიანი იქნება უფრო დეტალურად შევჩერდეთ მათზე.

**არასამთავრობო ორგანიზაციების პროფილი,  
პროექტების იმპლემენტაცია და დაფინანსება**

2004 წელს ISAR-ის პროგრამის მენეჯერი კავკასიაში, მაიკლ კლეიტონი აღფრთოვანებული წერდა არასამთავრობო ორგანიზაცია “ვარკეთილის” მოღვაწეობის შესახებ, რომლის წევრებმაც ქმედითი მონაწილეობა მიიღეს თბილისის ამ უბნის შუქით მომარაგების უზრუნველყოფაში (5). ამ ორგანიზაციის ნამდვილად სამოქალაქო ინიციატივების აღწერა დაინტერესებულ მკითხველს შესაბამის ვებ-გვერდზე შეუძლია იხილოს. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეს ორგანიზაცია მართალია ვერ მოხვდებოდა 20-30 ზემოთაღნიშნულ “რჩეულ” არასამთავრობოთა შორის, მაგრამ უთუოდ საპატიო ადგილს დაიკავებდა 100 NGO-ს შორის, რომლის წევრები არა მხოლოდ დაკავებულნი არიან შესაბამისი საქმიანობით, არამედ რეალურად აკეთებდნენ საქმეს იქ, სადაც სახელმწიფო უძლური იყო. სამოქალაქო ორგანიზაციების პროფილი საქართველოში საკმაოდ ფართოა და მოიცავს როგორც გარემოს დაცვით ორგანიზაციებს, ასევე ქალთა, ადამიანის უფლებათა დაცვით, პოლიტიკურ და სოციალური პრობლემებზე მომუშავე გაერთიანებებს. ასეთი მრავალფეროვნების მიუხედავად მათი მარტივი ქმედების კოეფიციენტი ძალზე დაბალია როგორც საზოგადოებრივი სარგებლიანობის თვალსაზრისით, ასევე უფრო ფართოდ, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრების კუთხით. ამ მიმართულებით არსებული პრობლემებიდან შევარჩევთ ორს, - დაფინანსებას და პროექტების იმპლემენტაციას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ამგვარ გაერთიანებებში კონცენტრირებულია ქვეყნის, სოციალურად აქტიური ინტელექტუალური ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის ძირითად ფინანსურ წყაროს საქართველოში დამკვიდრებული ისეთი უცხოური ფონდები შეადგენენ, როგორიცაა USAID, სოროსის ფონდი, ვერაზის ფონდი, ფონდი ჰორიზონტი, IREX-ი, ებერტის ფონდი და ა.შ. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ე.წ. მესამე სექტორის ფინანსური უზრუნველყოფა მთლიანად დასავლურ ორგანიზაციებს აქვთ მინდობილი, ზეგავლენას იქონიებს არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობის სპეციფიკაზე და მათი თავისუფლების ხარისხზე. მართლაც გრანტის გაცემამდე ფონდების უმეტესობა, აყალიბებს წლის პრიორიტეტებს, სხვადასხვა მიმართულებიდან, ვთქვათ განათლებიდან, მასმედიიდან, სოციალური სექტორიდან

და ა.შ. შეარჩევს რომელიმე ერთს. დაფინანსებას როგორც წესი მხოლოდ ის პროექტები იღებენ რომლებიც შესაბამის წლის პრიორიტეტებს აკმაყოფილებენ. თავისთავად სავსებით გამართლებულია, რომ ფონდმა განურჩევლად კი არ დაფინანსოს გრანტის მომლოდინე არასამთავრობო სექტორი, არამედ განახორციელოს ეს სწორედ აღწერილი, გეგმაზომიერი სახით, მაგრამ მეორე მხრივ, ვერც იმაზე დავხუჭავთ თვალს, რომ ასეთ პირობებში, გამოდის, ფონდმა უკეთ იცის ქვეყნის ეკონომიკის თუ სოციალური ყოფის რომელი უბანი საჭიროებს დახმარებას და სწორედ ამიტომ მისი პოლიტიკაა ქვეყნის განვითარების განმსაზღვრელი. საზოგადოება, რომელსაც საკმარისი რაციონალიზმი და ქვეყნისადმი პასუხისმგებლობა ახასიათებს, იოლად მოახდენდა ფონდების ასეთ პოლიტიკასთან ადაპტირებას და თავისუფალი მოღვაწეობის მაღალი ხარისხის შენარჩუნებას, რასაც სამწუხაროდ ვერ ვიტყვით ქართულ არასამთავრობო სექტორზე. ამიტომ ისინი აკეთებენ არა იმას რასაც საჭიროდ თვლიან, არამედ იმას რისი გაკეთებაც შესაძლებელია ქვეყნისათვის მათთვის გაურკვეველი პროექტის მიხედვით.

როდესაც არასამთავრობო სექტორის ფინანსურ უზრუნველყოფაზე ვფიქრობთ, უჭურადლებოდ ვერ დავტოვებთ კიდევ ერთ მომენტს. ისეთ უკიდურესად გაჭირვებულ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ქვეყანაში სადაც ყვავის კორუფცია, უმუშევრობა, ხოლო ხელფასს მხოლოდ ნომინალური მნიშვნელობა ჰქონდა, არა კრედიტების, არამედ გრანტების სახით დასავლური ფონდების მიერ გაცემული თანხები ნორმალური არსებობის ძირითად საშუალებად იქცა. სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგე, ელუარდ კოდუა, რომელიც საუკუნის დასაწყისში თავის ერთ-ერთ საგაზეთო წერილში ქართველ მკვლევართა შორის პირველად შეეხო ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქართული საზოგადოების სტრატეგიული პრობლემას, აღნიშნავდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებში მობილიზებული ადამიანების სახით საქართველოში ჩამოყალიბდა ახალი “კასტა” საკმაოდ ნორმალური შემოსავლებით და რიგით მოქალაქეზე გაცილებით უფრო უზრუნველყოფილი ცხოვრების წესით. ასეთ პირობებში, არასამთავრობო სექტორმა (მით უფრო ეს ითქმის ზემოთაღნიშნულ წარმატებულ 20-30 NGO-ზე), მიიღო უაღრესად დახურული, გაუმჭვირვალე სახე. უფრთხოდნენ რა შიდა კონკურენციას და შემოსავლიანი ადგილის დაკარგვას, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები ყოველმხრივ ცდილობდნენ თავიანთი საქმის უხმაურ

როდ წარმართვას<sup>1</sup>. წლების შემდგომ მესამე სექტორში შეიქმნა პარადოქსული ვითარება. თუ ორიენტირად ავიღებთ პოპერის ნეოლიბერალურ იდეას ღია საზოგადოების შესახებ და ამ იდეის საფუძველზე შექმნილ სოროსის ფონდს, მის მსგავსად არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა შეესრულებინათ რაღაც გამტარის ფუნქცია სახელმწიფოსა და ხალხის ინერტულ მასას შორის. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციებს ღია კარის პოლიტიკით უნდა მოეზიდათ მოსახლეობის მაქსიმალურად ფართო ფენები, გაეგრძელებინათ ახალი ინიციატივების გენერირების, კოოპერაციის და სოლიდარობის უნარჩვევა. სანაცვლოდ, ქვეყანაში ჩვენ მივიღეთ ერთ-ერთი ყველაზე უფრო გაუმჭვირვალე ორგანიზაციების სისტემა, რომელიც თავის ძირითად დეკლარირებულ ფუნქციას, თუკი ეს ფუნქცია სწორად მოვინიშნეთ, ვერ ასრულებდა<sup>2</sup>.

კიდევ ერთი დიდი პრობლემა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას ახლავს საქართველოში შეეხება რეალიზებული პროექტების პრაქტიკულ იმპლემენტაციას (თუკი ამგვარი რამ იგულისხმება პროექტით). გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც არასამთავრობო სექტორი ქართულ სახელმწიფოსთან ერთად იღვამდა ფეხს, მათი ურთიერთობა საკმაოდ რთულად აეწყო. შევარდნადის ხელისუფლება, მიუხედავად მისი ლიდერის ღრმა საბჭოური გამოცდილებისა, ხელს არ უშლიდა არასამთავრობო სექტორის მომძლავრებას. პირიქით, ქართული NGO-ების უდიდესი ნაწილი სწორედ შევარდნადის დროს დარეგისტრირდა და მომძლავრდა. მაგრამ როდესაც საქმე შეეხებოდა თანამშრომლობას არასამთავრობო სექტორსა და ხელისუფლებას შორის, ურთიერთობა შორის იყო სასურველი სგან. ალბათ უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ შევარ-

დნადის ხელისუფლება ანგარიშს უწევდა რა დასავლელი პარტნიორების პოლიტიკურ გემოვნებას, უბრალოდ ითმენდა არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობას. თუმცა ზუსტი რაოდენობა უცნობია, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ თითებზე ჩამოსათვლელია მესამე სექტორში მომზადებული ისეთი პროექტების რაოდენობა, რომლის რეკომენდაციებიც გაითვალისწინა ხელისუფლებამ, ხოლო ისეთ შემთხვევებში როდესაც საქმე შეეხებოდა კორუფციას ან პენიტენციულ სისტემას და ადამიანის უფლებების დაცვას, ხელისუფლება აშკარად აგრესიული ხდებოდა და კონფრონტაციაში შედიოდა არასამთავრობო სექტორთან. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ დაიკარგა ან განუხორციელებელი დარჩა არაერთი სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური ხასიათის სამოქმედო ღონისძიებათა ნუსხა და რომ ისეთ შემთხვევებში, როდესაც საჭირო იყო ხელისუფლების არათუ ყურადღება და თანადგომა, არამედ გარანტირებული ჩაურევლობა, ხელისუფლების ქცევა, იშვიათი გამონაკლისების გარდა, საერთო სარგებლიანობის პრინციპის საპირისპირო იყო.

კიდევ უფრო გართულდა ურთიერთობა სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორს შორის დღეს. სააკაშვილის რეფორმების ერთ-ერთი ძირითადი მოტივი ემყარებოდა სავსებით სწორ თეზისს ქართული სახელმწიფოს არაქმდითუნარიანობის შესახებ. სხვადასხვა საერთაშორისო გამოკითხვებით შევარდნადის დროინდელი საქართველო არაერთხელ აღმოჩენილა არშემდგარი სახელმწიფოების ნუსხაში. ამიტომ, სააკაშვილის მთავრობის ძალისხმევა, მცდელობა იმისა, რომ რეფორმების გზით მიგვეღწია სახელმწიფო სექტორის გაძლიერებისათვის, თავისთავად მისასალმებელია. აქ ადგილი არ არის გატარებული რეფორმების აკარგვიანობის შესაფასებლად. უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღნიშვნა იმისა, რომ რეფორმებმა თანდათანობით უაღრესად რადიკალური სახე მიიღო და სრულ სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარა სოციალური სფერო. განხორციელდა სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა მკვეთრი შეკვეცა და ადამიანების დიდი მასის სრული მარგინალიზაცია მას შემდეგ, რაც საცოდავ მდგომარეობაში მყოფმა ქართულმა ბიზნესმა ვერ მოახერხა იაფი გამოთავისუფლებული მუშახელის დასაქმება. ადამიანების ყოველდღიური არსებობა სერიოზულ პრობლემად იქცა, რამაც საზოგადოების ისეთივე ატომიზაცია გამოიწვია, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული. მართალია ხელისუფლებას ვერ დავაბრალებთ, რომ მან დასუ-

<sup>1</sup> რა თქმა უნდა, არასამთავრობო ორგანიზაციები თავიანთ ოფიციალურ ანგარიშებში დაწვრილებით აღწერდნენ გაწეულ სამუშაოს და ხარჯებს, ცდილობდნენ გრანტების გამცემებთან, ფონდების მიერ მოვლენილ მონიტორებთან საკუთარი აქტივობის გამართლებას და რეკლამირებას, მაგრამ ამგვარი ინფორმაცია, რომლის დიდი ნაწილი უცხო ენაზე იქმნებოდა, ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყო, გრანტების გამცემების და მიმღებების საშინაო საქმედ იქცა.

<sup>2</sup> ასეთი შეფასება შესაძლოა, ვინმეს მეტისმეტად მკაცრად მოეჩვენოს. სინამდვილეში ჩვენ სულაც არ გვსურს ე.წ. NGO-ების საქმიანობის უტრირება და მათი წევრების ოდენ "გრანტიელაპიებად" წარმოდგენა. NGO-ებმა საქართველოში გააკეთეს ბევრი ძალიან სასარგებლო რამ, როგორც მთლიანად ქვეყნისთვის, ასევე ცალკეული ინდივიდებისთვის, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების კუთხით, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ქვეყნის ძირითადი მოსახლეობა იყო საქმისთვის და არა საქმე იყო მათთვის.

რა რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, მაგრამ ასეთ სოციალურ ვითარებაში არასამთავრობო სექტორი სრულიად უფუნქციოდ არსებობს. მას სახელმწიფომ აღარ დაუტოვა რეალური სამოქმედო ველი. სხვაგვარად ეს იმას ნიშნავს, რომ ატომიზირებული ინდივიდი კვლავ სახელმწიფოს პირისპირ დგას თანაც იმის სრული შეგნებით, რომ ამგვარ დაპირისპირებაში ის ყოველთვის დამარცხებული იქნება. თუ ამ გადასახედოდან შევაფასებთ საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევას და გაღებულ დიდძალ ფინანსურ დახმარებას, რომლის მიზანი იყო საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, აშკარა გახდება, რომ ეს თანხები წყალშია გადაყრილი. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევა მთლად უკვალოდ არ გამქრალა მან გარკვეული შედეგები მოიტანა სხვა მიმართულებით.

### **არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობის ზოგიერთი შედეგის შესახებ**

როდესაც საუბარია არასამთავრობო სექტორში მომზადებული პროექტების შესახებ, რომელთა იმპლემენტაციას მნიშვნელოვანი შედეგი მოყვა არა მხოლოდ გარკვეული რეგიონის, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით, შეგვიძლია რამდენიმე იშვიათი გამონაკლისის დასახელება. განათლების რეფორმა, მაგალითად, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული პროექტი იყო დიდწილად მომზადდა სოროსის ფონდში. შეიძლება სულ მცირე ერთი ორგანიზაციის დასახელება (მხედველობაში მაქვს თავისუფლების ინსტიტუტი), რომლის პროექტები შევარდნაძის დროს მჭიდროდ იყო კოორდინირებული ხელისუფლების რეფორმატორულ ძალებთან. ამ ორგანიზაციის კავშირები დღევანდელ ქართულ ხელისუფლებასთან იმდენად მჭიდროდ გახდა, რომ ის უფრო ჩამოჰგავს სამთავრობო ინტელექტუალურ ცენტრს, ვიდრე არასამთავრობო ორგანიზაციას.

ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი რაც უცხოური ფონდებისა და NGO-ების მოღვაწეობას მოყვა საქართველოში, იყო ახალი პოლიტიკური კლასის, მომავალი მმართველი ელიტის ჩამოყალიბება. თავის დროზე, საქართველოში აკრედიტებულმა უცხოურმა ფონდებმა, ჩვენს ქვეყანაში დაფუძნებისა და უამრავი ბიუროკრატიული ბარიერების დასაძლევად, ცხადია პირველ რიგში ხელისუფლებას მიმართეს. მაშინ ხელისუფლებაში

მყოფმა, როგორც უწოდებდნენ, ახალგაზრდა რეფორმატორებმა (ჟვანია, სააკაშვილმა და სხვებმა) კარგად გათვალეს აღნიშნული ფინანსური წყაროს პოლიტიკური მომგებიანობა და როდესაც ხელისუფლების უფროსი თაობის წარმომადგენლები, “წითელი დირექტორები” საკუთარი ფინანსური ინტერესების დაკმაყოფილებას სხვადასხვა მაქინაციებით, ხშირად სახელმწიფოს მიერ აღებული უცხოური ვალების დატაცებით ცდილობდნენ, სრული კონტროლი დაამყარეს იმ ფონდებზე და ფონდების მიერ მსუყვედ დაფინანსებულ NGO-ებზე რომლების გრანტების სისტემაზე მუშაობდნენ. ამ კონტროლს ორმაგად მომგებიანი ხასიათი აღმოაჩნდა:

პირველი, ფონდების და NGO-ების მაღალანაზღაურებადი (პროგრამების დირექტორების, მენეჯერების, კოორდინატორების და ა.შ.) თანამდებობები ჟვანია-საკაშვილის პროტექციებმა დაიკავეს. გარკვეული პოლიტიკური, კერძოდ დეკლარირებულად ლიბერალური ღირებულებების და ინსტიტუტების განმტკიცებაზე ორიენტირებულ უცხოურ ფონდებში არსებულმა მაღალმა ფინანსურმა უზრუნველყოფამ განსაზღვრა, ერთი მხრივ ჟვანია-საკაშვილის პოლიტიკური პლატფორმა და ლტოლვა აშშ-სკენ, ხოლო მეორე მხრივ, კარგი შანსი მისცა მათ შეექმნათ ერთგული ბირთვი ფართო პოლიტიკური სპექტრისათვის.

მეორე, ფონდებში ძირითად თანამდებობებზე “თავისი ხალხის” გაყვანით, ჟვანია-საკაშვილმა საკმაოდ სოლიდური სახსრების საკუთარი შეხედულებებისამებრ რეგულირების მარჯვე მექანიზმი მოიპოვა. შედეგად, კონკრეტული მიმართულებით ანგაჟირებული და ერთგული ინტელექტუალების რიცხვმა უფრო იმატა. რეფორმატორების გუნდის მიერ არასამთავრობო სექტორის შესაქმნელად გამიზნული დასავლური სახსრების გონივრული და მარჯვე გამოყენების კიდევ ერთ ნიმუშად შეგვიძლია გავისხენოთ “რუსთავი 2”-ის დაარსების ისტორია, როდესაც ხელისუფლების მიერ დახურულმა და შერისხულმა პროვინციულმა ტელევიზიამ სათანადო საგრანტო დახმარების შედეგად არა მხოლოდ ადგილმდებარეობა შეიცვალა, არამედ თანდათან ჩამოყალიბდა აღნიშნული პოლიტიკური ჯგუფის მძლავრ PR მანქანად. აქ უთუოდ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მათი შევარდნაძის ხელისუფლებისაგან ჯერ განდგომისას, ხოლო შემდეგ რადიკალური დაპირისპირებისას, აღნიშნული ინფრასტრუქტურა ძალზე აქტიურად მონაწილეობდა. ის ჩამოყალიბდა და მომძლავრდა მმართველი წრეების თვალწინ ყო-

ველგვარი კანონდარღვევის გარეშე. რამდენადაც ეს ფონდებისა და NGO-ების სისტემა არასამთავრობო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების რეპუტაციით სარგებლობდა, ხელისუფლების ყოველი კონტრზომა ძალზე იოლად იყო ინტერპრეტირებული “სამოქალაქო საზოგადოების ხელყოფად”, “თავისუფალ ტელევიზიაზე თავდასხმად”, “კორუმპირებული ჩინოვნიკების და მაფიოზური კლანების თვითნებობად” და ა.შ. ცხადია შექმნილი ვითარება, პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმულ ხელისუფლებას იმთავითვე წამგებიან პოზიციაში აყენებდა, რადგან იქმნებოდა ხელისუფლების სამოქალაქო საზოგადოებასთან დაპირისპირების, ძალაუფლების თავისუფლებასთან ბრძოლის ვეპქტი.

რევოლუციის შემდეგ აღმოჩნდა, რომ “წარმატებულმა” არასამთავრობო ორგანიზაციებმა მათზე დაკისრებული ამოცანა, რომელიც დიდად განსხვავებული იყო მესამე სექტორის მომქალაქებისაგან, ამოწურა. ამიტომ ის ხალხი, ვინც რევოლუციამდე დაკავებული იყო პრივილეგირებულ არასამთავრობო სექტორში, დღეისათვის გაბნეულია იქ სადაც უნდა ყოფილიყო თავდაპირველი ჩანაფიქრით - შეადგენენ ძირითად სახელისუფლებო წრეებს.

#### ლიტერატურა:

1. Томас Гоббс – «Левиафан или материя, форма и власть государства церковного и гражданского», в кн. Томас Гоббс, Избранные произведения в двух томах. Изд. «Мысль». Москва 1965 год том 2.
2. Laurence Berns – Thomas Hobbes., in: “History of Political Philosophy”. Edited by Leo Strauss and Joseph Cropsey. Third Edition. The Univ. of Chicago Press, 1987
3. Гегель Конституция Германии. В кн. Политические произведения. Изд. «Наука», М. 1978.
4. გიგი თევზაძე დემოკრატიული პოლიტიკური საზოგადოების განვითარება: სამოქალაქო ორგანიზაციები. დემოკრატიული საზოგადოების განვითარება საქართველოში. სადისკუსიო მასალა №7. თბილისი, 2003 წლის მაისი.
5. <http://www.isar.org/pubs/ST/Gngomovement491.html>

#### ელგუჯა მექვაბიშვილი

### მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება როგორც საშუალო კლასის ფორმირების უმნიშვნელოვანესი პირობა

საზოგადოების სოციალურ-სტრატეგიული დიფერენციაცია რთული და სადისკუსიო პრობლემაა. მარქსისტული ეკონომიკურ-დეტერმინისტული თეორია სოციალური კლასების ბუნების ახსნას გთავაზობს მატერიალური წარმოების ხასიათზე დაყრდნობით და განმსაზღვრულ კრიტერიუმებად მიიჩნევს განსხვავებულ დამოკიდებულებას წარმოების საშუალებებისადმი და საზოგადოებრივი დოვლათის მითვისების წესს. არამარქსისტი სოციოლოგების აზრით, წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულება არ წარმოადგენს საზოგადოებრივი კლასების ჩამომყალიბებელ ნიშანს. განსხვავებული საზოგადოებრივი ჯგუფებისადმი ადამიანთა მიკუთვნებას ვებერი განსაზღვრავს სტატუსისა და პრესტიჟის, დარენდროფი – ძალაუფლების, უორნერი – სოციალური როლისა და რეპუტაციის ფაქტორებით. განიხილება აგრეთვე ისეთი არაეკონომიკური ფაქტორებიც, როგორცაა განათლება, პროფესიული დახელოვნება, პრივილეგიები და ა.შ.

პოსტკომუნისტურ გარდამავალ საზოგადოებაში სოციალური დიფერენციაცია, რომელიც ცვლის სოციალიზმის საბჭოური მოდელისათვის დამახასიათებელ სოციალურ ერთგვაროვნებას, კანონზომიერ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთანავე, თვალშისაცემია პოსტკომუნისტურ საქართველოში სოციალური დიფერენციაციის სიმწვავე და სიღრმე, რასაც მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი განაპირობებს. არასწორი პრივატიზების შედეგად მოსახლეობის მეტად მცირე ჯგუფმა თითქმის უსასყიდლოდ ხელში ჩაიგდო დიდადი სახელმწიფო ქონება. “ლიბერალური” ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, (რომელიც რეალურად კრედიტების უკონტროლო გაცემას ნიშნავდა), მოსახლეობის ანაბრების მითვისება, კონტრბანდული საქონლის მასობრივი შემოტანა და რეალიზაცია, შემოსავლების დამალვა – ის მოვლენებია, რომლებითაც ერთეულები ძალიან გამდიდრდნენ და უზარმაზარი ქონების მფლობელები გახდნენ. საქართველოში ჩამოყალიბდა სახელმწიფოსა და ფორმირების პროცესში მყოფი კერძო სექტორის ურთიერ-



თქმელების მანკიერი პრაქტიკა: პრეზიდენტის ბრძანებულებების, პარლამენტის გადაწყვეტილებების მიღება დაინტერესებული კერძო ჯგუფების სასარგებლოდ და ამ უკანასკნელთა ფინანსური რესურსების გამოყენება პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო კამპანიების დასაფინანსებლად.

საქართველოში 90-იანი წლებიდან დაწყებული ე.წ. “კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების” მეორე მხარეს წარმოადგენდა მოსახლეობის ღარიბი ნაწილის სწრაფი ზრდა, უპირველეს ყოვლისა, “ძველი ღარიბების” ჯგუფთან “ახალი ღარიბების” მიერთების გზით. მეცნიერების, ექიმების, მასწავლებლების, ხელოვნების და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლების მნიშვნელოვანი ნაწილი შემოსავლების დონით გაუთანაბრდნენ მარტოხელა დედებს და მრავალშვილიან ოჯახებს, პენსიონერებს, ინვალიდებს და სხვ. ღარიბთა ჯგუფი აგრეთვე შეივსო უმუშევრებით და იძულებით გადაადგილებული პირებით. რისკის ზონაში აღმოჩნდნენ “მომუშავე” ღარიბები, რომელთა შემოსავლებით შეუძლებელი იყო საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენა. ექსპერტების გაანგარიშებით, დეცილური კოეფიციენტი, ანუ მოსახლეობის ყველაზე მდიდარი 10%-ის შეფარდება ყველაზე ღარიბი 10%-ის შემოსავლებთან 1985 წლის 5:1-დან 1995 წელს 40:1-თან, 2005 წელს კი 22:1-თან შეიცვალა, რაც უკიდურესად შემაშფოთებელ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს.

ღარიბ-ღატაკთა მდგომარეობა საქართველოში ძალიან მძიმეა, რაზედაც სტატისტიკური მონაცემებიც ნათლად მეტყველებს. კერძოდ, 1996-2003 წლებში სიღარიბის დონე (ღარიბთა, ანუ საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლების მქონე მოსახლეობის ხვედრითი წილი მთლიან მოსახლეობაში) 46.2 %-დან 54.5 %-მდე გაიზარდა. ასევე გაიზარდა სიღარიბის სიღრმე (რომელიც ზომავს ღარიბთა გადახრას საარსებო მინიმუმიდან) 17.3 %-დან 21.1 %-მდე და სიღარიბის სიმწვავე (რომელიც გვიჩვენებს თვით ღარიბთა ცხოვრების დონეებს შორის არსებულ განსხვავებას) 8.9 %-დან 11.2 %-მდე.<sup>1</sup>

ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში ოფიციალური სტატისტიკა აფიქსირებს სიღარიბის დონის საგრძნობ შემცირებას – 2004 წელს - 35.7%-მდე, 2005 წელს კი – 35.5%-მდე. ეს ტენდენცია, სამწუხაროდ, წარმოადგენს ადამიანთა არა ეკონომიკური მდგომარეობის რეალური გაუმჯობესების, არამედ გარკვეული სტატისტიკური მანიპულირების შედეგს. კერძოდ,

საარსებო მინიმუმის გაანგარიშება წინათ ხდებოდა ნორმატიული სტატისტიკური მეთოდით, რომელიც ეფუძნებოდა 2500 კალორიის სასურსათო კალათის ღირებულებას და მინიმალურ არასასურსათო ხარჯებს. 2005 წლიდან კი საარსებო მინიმუმის გაანგარიშება ხდება სტატისტიკური მეთოდით, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის ყველაზე უქონელი 10%-ის ფაქტობრივ მინიმალურ მოხმარებას. გაანგარიშების მეთოდის ამ ცვლილების შედეგად საშუალო მოხმარებლის საარსებო მინიმუმი 138 ლარიდან 84 ლარამდე, ანუ 39%-ით შემცირდა. სინამდვილეში, ვარდების რევოლუციის შემდეგ ღარიბ-ღატაკთა ეკონომიკური მდგომარეობა კი არ გაუმჯობესებულა, არამედ გაუარესდა. ჩვენი აზრით, ეს ცვლილება განპირობებული იყო ორი გარემოებით: 1. ფასწარმოქმნაში მიმდინარე ცვლილებებით, რის შედეგადაც (მაგალითად, ელექტროენერჯის ტარიფი) 250%-ით გაიზარდა და მისი საშუალო თვიური ხარჯი საშუალო სტატისტიკური ოჯახის შემოსავლების 20-25%-ს აღემატება. გაზის ფასი რამდენიმე წლის მანძილზე გაოთხმაგდა, გაიზარდა ფასები კომუნალურ მომსახურებაზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, წყლით სარგებლობაზე და ა.შ.; 2. არახელსაყრელი ბიზნესგარემოსა და სახელმწიფო სექტორში გაუთავებელი ე.წ. სტრუქტურული გარდაქმნების გამო შემცირდა სამუშაო ადგილები და გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა. მსოფლიო ბანკის ექსპერტთა შეფასებით, თანამედროვე საქართველოში სიღარიბის ძირითადი მიზეზია “უმუშევრობა და საკმარისად კარგად ანაზღაურებადი სამსახურების ნაკლებობა”.

პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდში საქართველოში განვითარებული პროცესების შედეგად ქვეყნის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა დაახლოებით ასე გამოიყურება: მდიდრები – 5%, შეძლებულები -10%, საშუალოდ უზრუნველყოფილები – 10%, ნაკლებად უზრუნველყოფილები – 20% ღარიბები – 45% და ღატაკები – 10%.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, ღარიბთა, ღატაკთა და სიღარიბის რისკის ზონაში მყოფთა ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში შეადგენს დაახლოებით 85%-ს. ეს მდგომარეობა ეკონომიკური თვალსაზრისით არაეფექტიანია, სოციალურად - უსამართლო და პოლიტიკურად – ფრიად სახიფათო.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის სტრატე-

<sup>1</sup> ბ. გაბიაშვილი, ზ. შონია, ზ. კირვალიძე (2006). ღარიბს ართმევს, მდიდარს აძლევს? ჟურნ. “სოციალური ეკონომიკა”, №2.

<sup>1</sup> ჟურნ. “სოციალური ეკონომიკა” (2006), №2.

გიულ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს იმ ღონისძიებათა კომპლექსის გატარება, რომელიც გაზრდის საშუალო კლასს უპირატესად დაბალი კლასიდან გადმოსულთა ხარჯზე.

საშუალო კლასის ძირითად ნაწილს, მის “ხერხემალს” საშუალო და მცირე მეწარმეები წარმოადგენენ. საყოველთაოდ ცნობილია საშუალო კლასის როლი საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებულ დემოკრატიულ საზოგადოებაში, რაც შემდეგში გამოიხატება:

- საშუალო კლასი თავისუფლების გარანტია. მისი სასიცოცხლო ინტერესია თავისუფალი მოქმედების სივრცის გაფართოება და განმტკიცება. ეს, უპირველეს ყოვლისა, შეეხება თავისუფალ საბაზრო სივრცეს. შუა საუკუნეების თავდაპირველი დაგროვების ეპოქიდან დაწყებული მეწარმეები ყოველთვის იბრძოდნენ თავიანთი საქმიანობის თავისუფლებისათვის, ნებისმიერი საკუთრების საკუთარი შეხედულებებისამებრ განკარგვისთვის;

- საშუალო კლასი ქვეყნის სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის, სოციალური თანხმობის მიღწევის და სოციალური ინტერესების დაბალანსების საფუძველია;

- საშუალო კლასი ეკონომიკის მყარი და დინამიური ზრდის (განვითარების) წყაროა. ი. შუმპეტერის აზრით, “იყო მეწარმე, ნიშნავს აკეთო არა ის, რასაც სხვები აკეთებენ და არა ისე, როგორც სხვები აკეთებენ”.<sup>1</sup> მაშასადამე, მეწარმე არის გზაგამკვალავი (ინოვატორი) ეკონომიკაში, კომუნიკატორი, რომელიც იპყრობს ახალ ბაზრებს და ამყარებს ახალ კავშირებს. მეწარმისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოგების მიღება, არამედ მაღალი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა და კონკურენციაში გამარჯვება, რაც ეკონომიკის დინამიზმის აუცილებელი პირობაა;

- საშუალო კლასი განაპირობებს სამართლებრივი სახელმწიფოს აუცილებლობას, სადაც ყველა თანაბრად ემორჩილება და ასრულებს კანონებს. მცირე და საშუალო მეწარმეობა, როგორც საბაზრო სისტემის შემადგენელი ნაწილი, ემყარება პარტნიორთა შორის საკონტრაქტო სისტემას. კონტრაქტის გაფორმება და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება არ წარმოადგენს მხოლოდ მასში მონაწილე ორი მხარის იზოლირებულ აქტს. მასზე უდიდეს გავლენას ახდენს გარემო, სადაც მზადდება და იღება ეს გარიგება. გარიგების მონაწილეები კი

<sup>1</sup> ა. ხილაგაძე (2001). ეკონომიკური აზრის ისტორია.

დარწმუნებულები უნდა იყვნენ მათი შეთანხმების დაცულობაში ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი პარტნიორის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში. ეს ნიშნავს მიუკერძოებელი, სამართლიანი სასამართლოს არსებობას, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია.

საშუალო კლასის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის ღონისძიებათა ქმედითი სისტემის შექმნას და დანერგვას. განვიხილოთ ეს სისტემა.

თავისუფალი მეწარმეობის ჩამოყალიბება და განვითარება მცირე საწარმოების შექმნის გზით, გულისხმობს შესაბამისი ინსტიტუციონალური ბაზის არსებობას, რისთვისაც აუცილებელია:

1. მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის კონკრეტული და თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც, როგორც წესი, უნდა წარმოადგენდეს ზოგადად მეწარმეობის განვითარების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს;

2. მეწარმეობის განვითარებისათვის ხელისშემშლელი მიზეზების დადგენისა და აღმოფხვრის კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრა და კერძო მეწარმეობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;

3. პასუხისმგებლობისა და ფუნქციების გამიჯვნა ცენტრალურ სამთავრობო ორგანოებსა და რეგიონულ სტრუქტურებს შორის თავისუფალი მეწარმეობის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში;

4. სამეწარმეო სფეროს წარმომადგენელთა აქტიური და ეფექტიანი მონაწილეობა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების, რეალიზაციის და შედეგიანობის შეფასების პროცესში.

მეწარმეობის ინსტიტუციური ბაზას (ხარჩოს) განსაზღვრავს საქართველოს “კანონი მეწარმეობის შესახებ” და კანონი “მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ”. თავისუფალი მეწარმეობის ინსტიტუციური ბაზის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია მეწარმეობის *სამართლებრივი რეგულირება*, რომლის სრულყოფა უნდა წარმართოს შემდეგი მიმართულებებით:

1. კანონებისა და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ჰარმონიზაცია მცირე და საშუალო საწარმოების სტიმულირების, ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივების და ამ

პროცესში მონაწილე სახელმწიფო სტრუქტურების რაოდენობის შემცირების გზით;

2. კერძო საწარმოთა სარეგისტრაციო სალიცენზიო და ადმინისტრაციული პროცედურების სრულყოფა მათი გამარტივებისა და ხელმისაწვდომობის ამაღლების თვალსაზრისით;

3. კანონებისა და მარეგულირებელი წესების შემუშავებაში კერძო სექტორის წარმომადგენელთა მონაწილეობის ეფექტიანობის გაზრდა მათი მოთხოვნების უკეთ გათვალისწინების მიზნით.

ინსტიტუციური ბაზის ჩამოყალიბებასთან ერთად უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს თავისუფალი მეწარმეობის მხარდაჭერის *საკრედიტო ფინანსური მექანიზმების* სრულყოფა-განვითარება. დღევანდელ საქართველოში მრავალი მიზეზი არსებობს, რაც ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის ეკონომიკის რეალური სექტორისათვის, განსაკუთრებით კი მცირე საწარმოებისათვის, ფინანსურ რესურსებს. ამ მიზეზებს წარმოადგენს: კრედიტების აუცილებელი უზრუნველყოფის უქონლობა; სასესხო პროცენტის მაღალი განაკვეთები; გრძელვადიანი კრედიტების დაბალი ხვედრითი წილი; გარანტიებისა და გირაოს უქონლობა; პროექტების დაბალი ეფექტიანობა. შექმნილ სიტუაციაში აუცილებელია პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომა, რაც გულისხმობს დაფინანსება-დაკრედიტების ახალი პრინციპებისა და პოლიტიკის შემუშავებას შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

1. ეფექტიანი, ქმედითი და მოქნილი ფინანსური მომსახურების სექტორის ჩამოყალიბება და საფინანსო რესურსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

2. არასრულყოფილი (განუვითარებელი ფინანსური ბაზრების პირობებში) მეწარმეობის სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმების ამუშავება;

3. ვენჩურული კაპიტალის ფონდების შექმნა და სალიზინგო ოპერაციების დანერგვა. წარმოადგენს რა სასტარტო კაპიტალის ხშირ შემთხვევაში ერთადერთ წყაროს, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ბევრ ქვეყანაში ლიზინგმა გადამწყვეტი როლი ითამაშა, განსაკუთრებით მცირე მეწარმეობის განვითარების საქმეში;

მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს მისთვის *საგადასახადო პრეფერენციების* მინიჭება, რომლის მაღალეფექტიანობას ადასტურებს საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდი-

ლება, სადაც სპეციალურ ზომებს მიმართავენ მეწარმეობის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოთა ეკონომიკური და ტექნოლოგიური გარემოს გასაუმჯობესებლად. საგადასახადო სისტემის სრულყოფას საფუძველად უნდა დაედოს შემდეგი სამი პრინციპი: *სიმარტივე*, რომელიც უზრუნველყოფს საგადასახადო მოთხოვნათა შესრულების სიადვილეს, ამცირებს მეწარმის დროის დანახარჯებს საგადასახადო საკითხების მოგვარებაზე; *სიცხადე*, რომელიც გამორიცხავს გადასახადების დისკრიმინაციის მიზნით გამოყენებას; *სტაბილურობა*, რომელიც საშუალებას აძლევს მეწარმეებს სწორად დაგეგმონ თავიანთი საგადასახადო ვალდებულებები.

მეწარმეობის მხარდაჭერი საგადასახადო პოლიტიკა, ჩვენი აზრით, უნდა განხორციელდეს შემდეგი მიმართულებებით: მცირე მეწარმეებისათვის ხელსაყრელი კლიმატის შექმნა; საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებასა და სრულყოფაში მცირე მეწარმეებისა და მათი მხარდაჭერი ორგანიზაციების აქტიური ჩაბმა; მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის ფისკალური მხარდაჭერა, რომელიც საგადასახადო შედავათების მინიჭების გარდა, ითვალისწინებს სხვადასხვა სახის სუბსიდირებას. მეწარმეობის განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი კონკრეტული შედავათების დაწესება:

- ახლადშექმნილი მცირე საწარმოები ფუნქციონირების დაწყებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში გადაიხდიან მოგების გადასახადის 50%-ს;

- მცირე და საშუალო საწარმოები თავისუფლდებიან რეინვესტირებული მოგების გადასახადებისაგან;

- მცირე საწარმოებს უფლება ეძლევათ ისარგებლონ დანქარებული ამორტიზაციის ნორმებით;

- მცირდება გადასახადების რაოდენობა მათი აგრეგირების გზით;

- მცირე საწარმოთა მიმართ გამოყენებული იქნება გამარტივებული საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა.

მცირე და საშუალო საწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის მნიშვნელოვანი კომპონენტია *პრეფერენციები სახელმწიფოს შესყიდვების პროცესში მონაწილეობისას*, რომელიც, მსოფლიო მოწინავე გამოცდილების გათვალისწინებით, შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმებით:

- *სეტსაიდები*, რაც გულისხმობს სახელმწიფო კონტრაქტების მოტიან მოცულობაში მცირე საწარმოებისათვის გან-

სახდვრული კვლევის დადგენას. ჩვენი აზრით, ეს კვლევები შეიძლება მერყეობდეს 20-30%-ის ფარგლებში;

• *პრეფერენციული სქემები*, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: თანაბარი ხარისხის სატენდერო წინადადებებიდან (ფასი და სხვ. პირობები) კონტრაქტები ფორმდება იმ მცირე საწარმოებთან, რომლებიც განლაგებული არიან ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში. მაშასადამე, პრეფერენციული სქემების მეთოდები რეგიონალური პოლიტიკის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს.

შესყიდვებში მცირე საწარმოების მონაწილეობის გამართივების მიზნით შესაძლებელია გამოყენებული იქნას სახელმწიფო კონტრაქტების ლოტებად დანაწილებისა და ქვეკონტრაქტების დადების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ძირითადი კონტრაქტორის მიერ ქვეკონტრაქტების შესამე პირთან, ანუ მცირე საწარმოებთან კონტრაქტის დადებას შესასრულებელი სამუშაოს გარკვეულ ნაწილზე.

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო რესურსების უდიდესი ნაწილი უცხოური ინვესტიციების ხარჯზე ყალიბდება. შესაბამისად, მეწარმეობის განვითარებისათვის აუცილებელია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მეცნიერულად დასაბუთებული და ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება. პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს მყარი საინვესტიციო კანონმდებლობის შექმნას, რომელიც ინვესტორებისათვის უზრუნველყოფს თანაბრად ხელსაყრელ გარემოს და მინიმუმამდე დაიყვანს ბიუროკრატიულ პროცედურებს. სრულყოფას საჭიროებს უცხოური საინვესტიციო რესურსების მიღებისა და განაწილების მექანიზმი. უნდა განისაზღვროს ის ორგანოები და სტრუქტურები, რომლებიც უშუალოდ პასუხს აგებენ საინვესტიციო პროექტების შემუშავებისა და განხორციელების მთელ პროცესზე.

მეტად მნიშვნელოვანია აქტიური *სტრუქტურული პოლიტიკის* გატარება. იგი გულისხმობს იმ პრიორიტეტული დარგებისა და საწარმოების შერჩევას, რომლებიც სათანადო რესურსებით უზრუნველყოფის შემთხვევაში მოგვცემენ მაქსიმალურ ეკონომიკური უკუგებას. ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ეს პრიორიტეტული სფეროები შეიძლება შეიცვალოს, თუმცა შესაძლებელია მეტნაკლებად სტაბილური და მაღალი შედეგების მომცემი შემდეგი სფეროების გამოყოფა:

• სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება;

• მაღალტექნოლოგიური წარმოება და ინოვაციების სფერო;

• საექსპორტო პროდუქციის წარმოება;

• მცირე მეწარმეობა ტურიზმის, სატრანსპორტო, საწარმოო-საკონსულტაციო, ინჟინერინგის, ნოუ-ჰაუს და მომსახურების სხვა დარგებში.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევილუციის თანამედროვე ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ტექნოლოგიური ხელშეწყობა, რომელიც გულისხმობს:

• თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიღების წყაროებისა და საშუალებების განსაზღვრას;

• ტექნოლოგიების შემოტანის ისეთი ფორმების გამოყენებას, როგორცაა ლიცენზიები და ნოუ-ჰაუ; საწარმოთა კოოპერაცია, ერთობლივი მეწარმეობა და სხვ;

• ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემოტანის ინსტიტუციონალური სტრუქტურების ჩამოყალიბება: ტექნიკური და ტექნოლოგიური ცენტრების, ტექნოპარკების, სალიზინგო კომპანიების და სხვათა შექმნა;

• ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების სწავლება და კონსულტაციები;

• წახალისებისა და შედეგების სისტემის გამოყენება იმ მეწარმეთა მიმართ, რომლებიც მოწინავე ტექნოლოგიების იმპორტსა და დანერგვაზე არიან ორიენტირებულნი.

მცირე საწარმოთა ტექნოლოგიური მომსახურების უაღრესად პერსპექტიული ფორმაა *ფინანსური და ოპერატიული ლიზინგი*. ფინანსური ლიზინგი ტრადიციული საბანკო დაკრედიტებისგან განსხვავებით, მეწარმეებს საშუალებას აძლევს მიიღონ აუცილებელი ძირითადი საშუალებები ერთდროული დანახარჯების გაწვევის გარეშე. იგი ითვალისწინებს ძირითად საშუალებებზე საამორტიზაციო ღირებულების მთლიან ან ნაწილობრივ გადახდას, რის შემდეგაც ეს ქონება დამქირავებლის საკუთრებაში გადადის. ფინანსური ლიზინგის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტიანია ისეთი წარმოებებისათვის, რომლებიც სეზონურობასა და ციკლურობაზე მაღალი დამოკიდებულებით ხასიათდება. ფინანსური ლიზინგი მნიშვნელოვან საგადასახადო შედეგებს ანიჭებს მეწარმეებს. კერძოდ, იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები არ აღირიცხება საბალანსო ანგარიშებში აქტივების სახით; საარენდო შენატანები არ იბეგრება და საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, ლიზინგის

ფორმით შემოტანილი მოწვობილობები და დანადგარები თავისუფლდება საბაჟო გადასახადებისაგან. ასევე წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული ოპერატიული ღიზინგი, რომელიც გულისხმობს ძირითად საშუალებათა იჯარას მათ სამორტიზაციო ვადაზე მოკლე პერიოდით.

მეწარმეობის აქტიურ მხარდასაჭერად შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი ეფექტიანი მექანიზმი, როგორც არის *ბიზნეს-ინკუბატორები*, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდუალური ინიციატივების გამოვლენას და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების სწრაფად დანერგვას. ბიზნეს-ინკუბატორები არის სპეციალური ტერიტორია, სადაც თავმოყრილია ახლადშექმნილი საწარმოები. ისინი სარგებლობენ არსებული ინფრასტრუქტურით და აუცილებელი მომსახურებით. ბიზნეს-ინკუბატორებში აქტიურად ხდება როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის გამოშვება, ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოთა მხარდაჭერა, მეწარმეთა სწავლება, კოოპერაციული კავშირების დამყარება და ა.შ. ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა საკმაოდ რთული, შრომატევადი და კაპიტალტევადი პროცესია, რაც გულისხმობს წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას: ბიზნეს-ინკუბატორების სტატუსის განსაზღვრას და მართვის სტრუქტურისა და ფუნქციების დადგენას. ბიზნეს-ინკუბატორები არის დამოუკიდებელი და არაკომერციული ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა წარიმართება კოლექტიური ორგანოს (მაგალითად, საბჭოს მიერ). ამასთანავე, უზრუნველყოფილ უნდა იქნას მჭიდრო საქმიანი თანამშრომლობა მცირე მეწარმეობის განვითარებისა და ხელშეწყობის პოლიტიკის განმხორციელებელ ორგანოებთან და კონსულტაციური მომსახურების ცენტრებთან მოცემულ ტერიტორიაზე. ბიზნეს-ინკუბატორების საქმიანობა საქართველოში მიზანშეწონილია წარიმართოს მატერიალური წარმოების სფეროში მეწარმეობის მხარდასაჭერად და მომსახურების სფეროში – მეწარმეობის განსავითარებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიზნეს-ინკუბატორების ადგილმდებარეობის შერჩევა, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს სათანადო ინფრასტრუქტურების, განსაკუთრებით - თანამედროვე კომუნიკაციების გამოყენების შესაძლებლობა. აგრეთვე აუცილებელია მათი მიზმა რეგიონალურ პოლიტიკასთან და მართვის ადგილობრივი ორგანოების აქტიური ჩართვა ბიზნეს-ინკუბატორების ფუნქციონირების პროცესში. ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს მმართველი პერსონალის შერჩევას,

მენეჯმენტის ეფექტიანი პროცედურების შემუშავებას და მენეჯერთა საქმიანობის სწორ შეფასებას.

ამრიგად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება ის აუცილებელი პირობაა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანას, საშუალო კლასის ჩამოყალიბებას, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას, მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრას და ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობას.

**ნაციონალური იდენტობა  
და ნაციონალური ნარატივები**

1. **ნაციონალური იდენტობა** ესაა ნაციის მიერ საკუთარი თავის თვითაღქმა და თვითშეფასება. ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელი ფაქტორი ნაციონალური ნარატივია. **რას ნიშნავს ნაციონალური ნარატივი?** ის, რაც პიროვნებისათვის (ავტო) ბიოგრაფიაა, ფაქტობრივად, იგივეა ნაციისთვის ნაციონალური ნარატივი. ნაციონალური ნარატივების მეშვეობით ნაცია ახდენს საკუთარი თავის ფორმირებასა და კონსტიტუირებას. ნაციონალური ნარატივებს აყალიბებს ნაციონალური პოლიტიკურ-ინტელექტუალური ელიტა სკოლის, პრესის/მედიისა და უნივერსიტეტის მეშვეობით.

2. **რა არის ნაცია?** ნაცია ესაა ერთი ნაციონალური ნარატივი და ერთი ეკონომიკა ერთ მთლიან ტერიტორიაზე. ტერიტორიული მთლიანობის იდეა, საბაზრო ეკონომიკა და განათლების ერთიანი სისტემა ქმნის ნაციას, როგორც მთლიანობას, რომლის აუცილებელი თვისებაა “სუვერენულობა”. ამიტომაც, ლეგიტიმურობის წყაროს წარმოადგენს “ერთი ხალხი ერთი ტერიტორიაზე”.

3. **ნაციონალური იდენტობა და ნაციონალური ნარატივები** პირველად ჩნდება და ყალიბდება XVIII-XIX საუკუნეების ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში. პირველი ორი ნაცია ესაა – ამერიკული და ფრანგული ნაციები. ფრანგულ ნაციონალური იდენტობას აყალიბებს ფრანგული რევოლუცია (ბასტილის აღება) და ადამიანის უფლებათა დეკლარაცია. ამერიკულ ნაციონალურ ნარატივს აყალიბებს ამერიკული რევოლუცია და დამოუკიდებლობის დეკლარაცია თავისუფლების ქარტიასთან ერთად.

4. **ქართული ნაციონალიზმის თავისებურება:** ქართული ნაციონალიზმი იბადება XIX საუკუნის 60/70-იან წლებში რუსული იმპერიის წიაღში. ამ ნაციონალიზმის მთავარი სლოგანია **მამული** (ტერიტორია), **ენა** (ერთიანი განათლების სისტემა) და **სარწმუნოება** (ქრისტიანული ტრადიცია, როგორც “ნაციონალური მემკვიდრეობა”). სწორედ ეს უკანასკნელი პუნქტი გამოარჩევს ქართულ ნაციონალიზმს ნაციონალიზმის ევროპული მოდელისაგან, სადაც ნაციონალიზმი სწორედ მონარქიასა და

ეკლესიასთან დაპირისპირებაში ჩამოყალიბდა (ამის შესახებ იხ.: ქვემოთ). ამავე დროს, თუ ევროპაში ნაციონალიზმსა და ნაციონალურ იდენტობას ბურჟუაზია (იმდროინდელი სამოქალაქო საზოგადოება) აყალიბებს, საქართველოში ნაციონალური იდენტობას ძირითადად არისტოკრატიული წარმოშობის ინტელექტუალური ელიტა (ქართული ინტელიგენცია – “თერგდალეულები”) ქმნის. ამ აზრით, როგორც შენიშნავს თანამედროვე ამერიკელი ისტორიკოსი რონალდ სუნი (Ronald Suny), ქართული ნაცია ბოლომდე ჩამოყალიბებული დღემდე არ არის (*The Making of the Georgian Nation* (Indiana University Press, 1988, 1994)).

**ისტორიული ექსკურსი: “ბიზანტიური”  
ძალაუფლება და ქართული ნაციონალიზმი**

ძალაუფლება ქართულ კულტურაში ყოველთვის პიროვნებაზე იყო მიბმული და პიროვნებიდან მომდინარეობდა. “ქართული” ძალაუფლება ქარიზმული ფენომენია. თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის რევოლუციის შედეგები ჯერაც არ დამთავრებულა. მე კი ვიტყვოდი, რომ ჩვენთან ბიზანტიის იმპერიის დაშლა ჯერ არ დასრულებულა. გარკვეული აზრით, საქართველოში (და არა მხოლოდ – საქართველოში) პოსტბიზანტიური ეპოქა ჯერ კიდევ არ დამდგარა. სწორედ ამიტომაც ძალაუფლება საქართველოში ქარიზმული და პიროვნული – “ჩვენს” ძალაუფლებას “ბიზანტიური ტრადიცია” განსაზღვრავს.

“ბიზანტიზმი” ესაა იზოლაციისკენ და გამოყოფისაკენ სწრაფვა – ამ აზრით, საქართველოს რევოლუციური ხელისუფლება, რომელიც ჭეშმარიტი სახელმწიფოს აშენების სახელით თვითიზოლაციაზე საუბრობდა – მიხეილ კერულარიოსისა თუ პროტოპოპ აბაკუმის ჟესტებს იმეორებდა და სულაც არა აქვს მნიშვნელობა იმას, იცოდა თუ არა მან ეს სახელები, სწამდა თუ არა ღმერთი და მოსწონდა თუ არა, ვთქვათ, სამების ტაძარი და ა.შ.

“ბიზანტიზმის” მეორე ნიშანი ძალაუფლების საკრალიზაციის ის ტიპია, რომელიც საქართველოსა და რუსეთში (და არა მხოლოდ ამ კულტურებში!) გვხვდება. ესაა ძალაუფლების საკრალიზაციის ბიზანტიური ტიპი. ასეთი რამ ევროპაში არასდროს ყოფილა. ევროპაში იმპერატორი (ან მეფე) ლეგიტიმაციას ეკლესიისგან იღებდა. ბიზანტიაში კი განსაკუთრებული პოლიტიკური თეოლოგია შეიქმნა, რომელიც პირდაპირ აღიარებ-

და, რომ იმპერატორი ქრისტეს მსგავსია – ანუ იმპერატორის ძალაუფლება “თვითლევითური” გახლდათ! ამას, სამწუხაროდ ჩვენი ისტორიკოსები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას.

მიუხედავად ამისა, რედუცირებული, “შემოკლებული” სახით ეს “ბიზანტიზმი” ჩვენში მაინც იყო და ახლაც არის. ბიზანტიური გაგებით, იმპერატორი თავის თავში აერთიანებს ორივე მომენტს – Imperium-ს – ძალაუფლებას, და Sacerdotium-ს – სიწმინდეს – სწორედ აქედან წარმოიშვა “სამოდერუავეს” კონცეპტი და ფენომენი! დასავლურ კულტურაში კი ეს ორივე ფენომენი თავიდანვე გამოიწვეული იყო.

ამიტომაც, ძალაუფლების მატარებელი პერსონის მიმართ ჩვენთან არ არსებობს მშვიდი და კრიტიკული დამოკიდებულება. ის ან მსხნელია, ან – დამაქცეველი. ასეთი განწყობა იყო როგორც ზვიად გამსახურდიას, ისე – ედუარდ შევარდნაძის მიმართ. სულ სხვა ამბავია, რომ შევარდნაძემ, პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, “მშვიდად წასვლა” მოახერხა.

დღეს საქართველოში ინსტიტუციების კრიზისია, ვერ შეიქმნა თავისუფალი სასამართლო, დამოუკიდებელი პარლამენტი – ყველაფერი საპრეზიდენტო მმართველობაზეა მიბმული. ტიპოლოგიურად აბსოლუტურად ერთგვაროვნად ვითარდება მოვლენები რუსეთსა და საქართველოში. პუტინის ძალაუფლებაც მსგავსი ტიპის ძალაუფლებაა – პუტინი და სააკაშვილი შეიძლება უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ, გარკვეული აზრით, რუსეთი და საქართველო ერთმანეთს აირეკლავს და ეს ურთიერთმტრობა კიდევ უფრო ამყარებს ამ ძალაუფლებათა შინაგან სიღრმისეულ ერთიანობას. არსებობს თუ არა აქედან გამოსავალი, ძნელი სათქმელია. ხელისუფლება კი შეიცვლება, მაგრამ ჩვენ რამდენ ხანს ვართ დაზღვეული მსგავსი რეციდივებისაგან, ვერავინ იტყვის.

საქმე ისაა, რომ ჩვენი კულტურა გეტოს ტიპის კულტურაა, ჩვენი დღევანდელი ქრისტიანობაც ხომ “ტერიტორიულია”, იზოლაციისკენ მიდრეკილია, ორიენტირებული სულაც არაა გასვლაზე, მისიონერობაზე... და როცა ქართველებს ჩვენი საკუთარი ძალაუფლება გაგვიჩნდა, მას აშკარად “ბიზანტიური” თვისებები აღმოაჩნდა. ბიზანტიაც, მიუხედავად იმისა, რომ იმპერია იყო, გეტოსავით მოქმედება. მუსლიმური სამყაროს გაძლიერების შემდეგ სულ უფრო და უფრო პატარავდებოდა, დაბოლოს, მხოლოდ კონსტანტინოპოლიდა დარჩა. რუსეთიც თითქოს უზარმაზარი სივრცეა, მაგრამ მასაც იზოლაციისკენ აქვს მისწრაფება – ცენტრისკენულია. ჩვენც ეს გვახასიათებს. თა-

ნაც ორივენი, რუსებიც და ქართველებიც, ჩვენს განსაკუთრებულლობაზე ვსაუბრობთ.

ამათგან განსხვავებით, ევროპა ცენტრიდანულია, “ექსპანსიური” – ევროპა გადის და ნერგავს თავის ღირებულებებს. ასე იყო კოლონიურ ხანაში და ასეა ახლაც. XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსი მოაზროვნე პიოტრ ჩაადაევი რუსეთის შესახებ აღნიშნავდა, რომ რუსეთი ისტორიიდან ამოვარდნილია – რომ რუსეთი თეთრი ლაქაა ისტორიაში. მსგავსი რამ, გარკვეულწილად, საქართველოზეც შეიძლება ითქვას. არადა, იყო პერიოდი, როცა ჩვენ, რუსეთისაგან განსხვავებით, ერთი მთლიანი საქრისტიანოს ნაწილი ვიყავით. როცა იოანე საბანისძე წერდა – “ყურესა ამა ქვეყნისასა” – ეს ნიშნავდა, რომ ქრისტიანული ოიკუმენის საზღვარზე მეციხოვნეავეთ ვიდექით. ჩვენს მერე მუსლიმური სამყარო იყო. ეს არ ნიშნავდა იზოლირებულობას – პირიქით!

ჩვენ – ქართულ საზოგადოებას – არ გვესმის ნაციონალიზმის თავისებურება, ქართულისა კი არა – საზოგადოდ – ნაციონალიზმის ფენომენის თავისებურება. ჩვენ გგონია, რომ ნაციონალიზმი ოდითგანვე არსებობს. ამ დროს, ის XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში ისახება და მერე ვრცელდება. ჩვენ გგონია, რომ XIX საუკუნის ქართული ნაციონალიზმი შუა საუკუნეების ქართული სამეფოს გაგრძელებაა, სინამდვილეში ეს ასე არ არის. ერთია სამეფო, თავისი იერარქიულობით და სულ სხვა რამეა – ნაციონალიზმი. ნაცია გულისხმობს ევალიტარიზმს, თანასწორობას. მაშინ, როდესაც ის, რაც არის ნაციამდე – სამეფო – პრინციპულად სხვანაირია – იერარქიულია და სულ სხვა წესი აქვს ლეგიტიმურობისა.

დღეს ბევრი საუბარი და კამათია ლეგიტიმურობაზე. მნიშვნელოვანი ისაა, რომ საფრანგეთის რევოლუციამდე, ლეგიტიმაციის სულ სხვა წესი არსებობდა. ლეგიტიმურობის წყარო მანამდე იყო არა ხალხი, არამედ – ღმერთი. როგორც რუსთაველი ამბობს – “მისგან არს ყოველი ხელმწიფე, სახითა მისმიერთა”. მეფე ლეგიტიმურია იმდენად, რამდენადაც ეკლესია ადასტურებს მის ლეგიტიმურობას. მეფე ღვთისგანაა. ჯერ კიდევ წარმართ იმპერატორზე ამბობდა პავლე მოციქული – “დაემორჩილეთ, სანამდეც შეგიძლიათ”.

XVIII საუკუნის ბოლოს მეფეს თავს აჭრიან – საფრანგეთის რევოლუციას ვგულისხმობ. ეს რეალური აქციაა, მაგრამ დიდი სიმბოლური დატვირთვა აქვს. იბადება ახალი ფენომენი – ნაცია – და “ჯდება” ამ მოჭრილი თავის ადგილას. ნაცია

ახალ წესებს ნერგავს, რომელთა წინაშეც ყველა უნდა იყოს თანასწორი – აღარ არსებობს დინასტია, იერარქია, აღარ არსებობს არისტოკრატის პრივილეგიები. **ბურჟუაზია აცხადებს, რომ ის ნაციაა.** სწორედ აქედან იბადება ნაციონალიზმი – ერთი კლასი – თითქოსდა ერის ნაწილი – თავის თავს მთლიანობას – მთელ ერს უიგივებს. არისტოკრატია, მეფე და სამღვდელოება ნაციის მოღალატეებად შეირაცხა.

ქართული ნაციონალიზმი XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაფორმდა. ილია ჭავჭავაძე, მართლაც, ქართული ნაციონალიზმის მამაა. ის ერთ პირად წერილში წერდა – “ქართლის ცხოვრებას ვკითხულობდი და ხალხი ვერ დავინახე, ჩვენი ისტორია მეფეთა ისტორიააო”. ვახუშტი ბატონიშვილის წიგნს ჰქვია “აღწერა სამეფოსა საქართველოსა”, ივანე ჯავახიშვილისას – “ქართველი ერის ისტორია”. ამ ორ ტექსტს შორის 130 წელი და უზარმაზარი განსხვავებაა, სადაც მეფე და სამეფო იყო – იქ ერი, ნაცია გაჩნდა!

საფრანგეთის რევოლუციამ დაგვანახა, რომ მეფის მოჭრილი თავის ადგილი ნაციამ დაიკავა. მეფე იყო სუვერენი, რომელსაც ჰქონდა ნება, ის აღასრულებდა კანონებს, კანონს სჭირდება ნება, ეს მეფის ნებაა, მაგრამ მეფის ნება ღვთის ნებისაგან მომდინარეობს. მეტაფიზიკურად ძალიან გამართული მომენტია! კანონის უზენაესობა და ნაციის სუვერენულობა სწორედ მეფის სუვერენულობის ჩანაცვლებაა, და – იმ ლეგიტიმურობისა, რომლის წყაროც არის ღმერთი. ამიტომაც, საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ დღემდე ლეგიტიმურობის კრიზისის სიტუაციაში ვიმყოფებით. ფრაზა – “კანონის უზენაესობა” – მაღავეს გარკვეულ მელანქოლიასა და სევდას ნამდვილი ლეგიტიმურობის – მეფის ლეგიტიმურობის – მისამართით. ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ლეგიტიმურობა შემცირდა ან გაიზარდა. არადა, ლეგიტიმურობა ან არის, ან – არა, ის არაა თვლადი. თუ ის იცვლება და ითვლება, მაშინ ის უკვე რეიტინგია და არა – ლეგიტიმურობა. ეს პრობლემა ონტოლოგიურად საფუძველშივე უდევს დემოკრატიას – **ვეროპული დემოკრატია და ნაცია ხომ ერთი და იგივეა!**

ილია ჭავჭავაძე თავისი ცნობილი სლოგანით – “მამული, ენა, სარწმუნოება” – შეეცადა ამოეხსნა ის წყვეტა, რომელიც სამეფოსა და ნაციონალიზმს შორის არსებობდა. უფრო მეტიც – ილია შეეცადა მეფის ნაცვლად ერი გამოეცხადებინა საკრალურად! ამიტომაც მას “ერის მამა” და “საქართველოს უგვირ-

გვინო მეფე” უწოდეს. ეს კვაზიმონარქისტული ეპითეტები ძალიან სიმპტომურია!

სამეფოში ყველაფერი მეფისადმი ლოიალურობით იზომება. მაგალითად, ერეკლეს დროს ქართველები და სომხები რელიგიურად დაპირისპირებულები კი იყვნენ, მაგრამ ნაციონალური დაპირისპირება მათ შორის არ არსებობდა. იმიტომ, რომ არ არსებობდა ისეთი ხედვის კუთხე, როგორცაა ნაციონალიზმი. ეს დაპირისპირება XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა – რუსეთის იმპერიაში ჩვენი ყოფნისას, როცა ქართული არისტოკრატია და გლეხობა გაუუცხოვდა სომხურ ბურჟუაზიას. ეს ძალიან კარგად არის ნაჩვენები “ხანუმაში”, როცა ქეთოსა და კოტეს ქორწინების სახით ხდება ალქიმური ქორწინება სომხურ ბურჟუაზიასა (რომელსაც რეალური კაპიტალი აქვს) და ქართულ არისტოკრატიას (რომელსაც სიმბოლური კაპიტალი აქვს) შორის.

მამათა და შვილთა ბრძოლა იყო არა იმდენად თაობათა შორის ბრძოლა, რამდენადაც – ბრძოლა მონარქიზმსა და ლიბერალურ ნაციონალიზმს შორის. მონარქიზმი გულისხმობს იერარქიულობას, ლიბერალიზმი – თანასწორობას; მონარქიზმი აგებულია დინასტიზმის პრინციპზე, ის არ არის ტერიტორიაზე მიბმული – სადაც მეფეა, იქაა სამეფოც. ტერიტორიული პრობლემები მნიშვნელოვანია შუა საუკუნეებში, მაგრამ არ არის გადამწვევტი. ნაცია კი არის – ერთი ეკონომიკა და ერთი ნაციონალური ნარატივი ერთ ტერიტორიაზე. იმპერია თავისი არსით უპირისპირდება ნაციონალიზმს – ის გლობალ(ისტ)ური ფენომენია. იმპერიაში მთავარია, რომ ის ფართოვდება გარკვეული სამეფოების დინასტიურ პრინციპში “ჩართვით” – იმპერია გაფართოებადი მონარქიაა. ნაციონალიზმს კი სჭირდება კონკრეტული ტერიტორია და ბევრი სისხლიც იღვრება ამ ტერიტორიის დასაკავებლად. გარკვეული აზრით, ნაციონალიზმი სამოქალაქო ომსა და გენოციდს მოითხოვს. ფრანგებს დასჭირდათ საკუთარი ხალხის გენოციდი – ვანდუა, თურქებს – სომხების გენოციდი, იმიტომ, რომ ერთ ტერიტორიაზე ორ ერს ჰქონდა სხვადასხვა ნაციონალური პროექტი. არადა, სომხები საუკუნეების მანძილზე მშვიდად ცხოვრობდნენ თურქეთის იმპერიის ფარგლებში. იმისათვის რომ გაჩენილიყო თურქეთის სეკულარული ნაციონალური სახელმწიფო, თურქებს სომხების გენოციდი დასჭირდათ.

თუმცა, აქ სრულიად გარკვეულად უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ნაციონალიზმი მაინც განსხვავდება ევროპული ნაცი-



ონალიზმისაგან – საქმე სულაც არაა ის, რომ ჩვენ “ეთნიკური ნაციონალიზმი” გვაქვს, ხოლო ევროპული ნაციონალიზმი “სახელმწიფო ნაციონალიზმი”. საქმე ისაა, რომ XV საუკუნის შემდეგ ჩვენ “ბიზანტიურ გეტოს” წარმოვადგენთ... როგორ მოხდა ეს, ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ ქართული ნაციონალიზმი, რომელიც XIX საუკუნეში გაფორმდა, ევროპული ნაციონალიზმისაგან განსხვავებით, სეკულარიზაციის ანუ – ეკლესიასთან დაპირისპირების გზით არ ჩამოყალიბებულა – პირიქით! ქართული ნაციონალიზმი სხვა “აღმოსავლურ ნაციონალიზმებთან” ერთად (ვგულისხმობ სერბულ, ბულგარულ, რუმინულ, რუსულ და ა.შ. ნაციონალურ ნარატივებს) სეკულარიზაციის გზით არ ჩამოყალიბებულა (სეკულარიზაცია ესაა ეკლესიის “ამორთვა” ძალაუფლებიდან – ის აღარაა ძალაუფლების ლეგიტიმაციის წყარო – არადა, საფრანგეთის რევოლუციამდე ეკლესია ევროპაში ძალაუფლების ლეგიტიმაციას უზრუნველყოფდა!). ილიას ფორმულა – “მამული, ენა, სარწმუნოება” – გვიჩვენებს, რომ ეკლესია ქართული ნაციონალური პროექტის ნაწილია, როგორც “კულტურული მემკვიდრეობა”, ხოლო ფაქტობრივად, – როგორც ჩვენი “იზოლაციონიზმის”, “განსხვავებულობის” ნიშანი – ის, რომ ჩვენ “ბიზანტიურ გეტოს” წარმოვადგენთ... ეს განმასხვავებელი ნიშანი რჩება. საგულისხმოა, რომ ეკლესია თვით სტალინმაც კი ჩართო საბჭოთა “ნაციონალურ” პროექტში.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირი იმპერიულ პრინციპზე აგებული არ ყოფილა. ნუ დაგვავიწყდება, რომ საბჭოთა კავშირი იყო თანამედროვე გლობალიზაციის პირველი მცდელობა, გლობალიზაციის პირველი ტალღა – მოდერნიზებული გლობალიზაცია (განსხვავებით დღევანდელი პოსტმოდერნიზებული გლობალიზაციისაგან), რომელიც მარცხით დასრულდა. საბჭოთა კავშირი პერმანენტული რევოლუციის დამარცხების შედეგად წარმოშობილი იზოლაციონისტური ბასტიონია. XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს აღმოჩნდა, რომ პერმანენტული რევოლუცია არარეალურია (ის დამარცხდა ირანში, პოლონეთში, ფინეთში და ა.შ.). ამიტომაც, საბოლოოდ, საბჭოთა კავშირი ნაციონალურ-ტერიტორიული ნიშნით მოაწყვეს, და სწორედ აქ ჩაიდო “ნელი მოქმედების ჭურვი”. საბჭოთა კავშირიც ცენტრისკენული იყო, მუდმივად იყო ორიენტირებული შენარჩუნება-შენახვაზე და, ამიტომაც, არსებობდა რკინის ფარდა – საბჭოთა კავშირი რკინის ფარდის გარეშე წარმოუდგენელია! ეს იყო ნამდვილი გეტო, ესეც ბი-

ზანტიური მემკვიდრეობაა. ეთნოკონფლიქტებიც კი სინამდვილეში ნაციონალურ-ტერიტორიული კონფლიქტებია.

ჩვენც – ქართველები – აღმოვჩნდით იმ სიტუაციაში, როცა ჩვენ და აფხაზებს ერთ ტერიტორიაზე სხვადასხვა ნაციონალური პროექტი გვაქვს (ოსეთის სიტუაცია აფხაზეთის ანარეკლს წარმოადგენს) – ესაა სამოქალაქო ომის სიტუაცია! ამიტომ, “მძინვარე სიტყვა” გენოციდი, სრულიად ბუნებრივია – ნებისმიერი ნაციონალიზმი გენოციდით მკვიდრდება. სამწუხაროდ, ნებისმიერი ნაციონალიზმი თავისი არსით შინაგანად გულისხმობს გენოციდსა და სამოქალაქო ომს – ან საკუთარი ან სხვა ხალხის წინააღმდეგ!

აქვე უნდა ითქვას, რომ ნაციონალიზმი ქრისტიანული ისტორიის გადაწერაა, ნაციონალიზმი უპირისპირდება ქრისტიანულ პოზიციას. ნებისმიერი ნაციონალიზმი ქრისტიანობის ჩანაცვლების მცდელობაა – “ჩემი ხატია სამშობლო...” ამ აზრით, ნაციონალიზმი ერესია!

ამავე დროს, კიდევ ერთხელ მსურს აღვნიშნო, რომ ჩვენთან – საქართველოში – ბიზანტიის იმპერიის დაშლის პერიოდი ჯერ ბოლომდე არ დამთავრებულა. ქართული ნაციონალიზმის ჩაწერა ევროპულ კონტექსტში აი ახლა – ჩვენ თვალწინ ხდება. დღეს ევროპული ნაციონალიზმი ახალ ეტაპზე გადავიდა. პოსტმოდერნიზებული გლობალიზაცია – გლობალიზაციის II ტალღა – არის ევროპული ტიპის ეკონომიკის გლობალიზაცია ერთ ტერიტორიაზე კი არა – მთელ დედამიწაზე. გლობალიზმი ევროპული ნაციონალიზმის გაგრძელებაა. ჩვენ – საქართველოს მკვიდრნი – ჯერ ბოლომდე გაფორმებული არა ვართ როგორც ნაცია, და უკვე გვიწევს გლობალიზაციაში ჩართვა. ამიტომაც, რაც ახლა საქართველოში ხდება, ამას მხოლოდ ჩვენს ხელისუფლებას ვერ დავაბრალებთ – ესაა ნაციონალიზმის მუტაცია და “გადასვლა” გლობალური ფრაგმენტაციის მდგომარეობაში.

არადა, “ბიზანტიური ქრონოტოპოსი” მუდმივად იზოლაციისკენ მიისწრაფვის, რაც “ბუნებრივად ბადებს” ძალაუფლების საკრალიზაციის ფენომენს – “გეტო” საკრალურ ძალაუფლებას წარმოშობს. როგორც ჩანს, საქმე საგულისხმო ინვარიანტთან გვაქვს – აღმოსავლური სქიზმის შემოქმედი XI საუკუნის კონსტანტინოპოლის პატრიარქი მიხეილ კერულარიოსი, პროტოპოპი აბაკუმი (“სტაროობრიადელები”) სულიერი წინამძღოლი, რომელიც დაწვეს), რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I, სტალინი, ზვიად გამსახურდია, პუტინი, სააკაშვილი – სხვა-

დასსხვა დროსა და განსხვავებული პოლიტიკური კონიუნქტურებიდან გამომდინარე, ისწრაფვოდნენ თვითიზოლაციისკენ, რკინის ფარდისკენ და ამკვიდრებდნენ საკრალური (“ქარიზმული”) ძალაუფლების მოდელს.

### თანამედროვე ქართული კულტურის სამი ნაციონალური ნარატივი “ავისტოს ომამდე”: 2003 – 2008 წწ.

თანამედროვე ქართული კულტურის კონტექსტში საუბარი შეიძლება სამი ნაციონალური ნარატივის შესახებ. პირველი ნარატივი “ძველი” ანუ “კლასიკური” და “მონოლითური” ნარატივია, ესაა – ქართველი ერის ხსნისა და გადარჩენის ისტორია (history and story): თუ როგორ გადარჩა ქართველი ერი მრავალსაუკუნოვანი შემოსევებისა და იმპერიული აგრესიის მიუხედავად. ამავე დროს, მას ესქატოლოგიური განზომილება აქვს – აწმყო ყოველთვის ტრაგიკულია, ხოლო მომავალი – ნათელი. ამ ნარატივის სათავეებში ქართული ლიბერალური ნაციონალიზმის ფუძემდებელი მწერალი და პუბლიცისტი, “ერის მამა” ილია ჭავჭავაძე (1837-1907) და XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის პირველი მესამედის სხვა ქართველი ლიბერალი მწერლები და პუბლიცისტები დგანან.

ნარატივი I-ის ინსტიტუციონალიზაცია ლიტერატურის, ფილოლოგიისა და ისტორიის, როგორც საუნივერსიტეტო დისციპლინების, მეშვეობით XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა. ამ ნარატივის მატარებელი ინსტიტუცია ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველოლოგიის კათედრა იყო (XIX საუკუნის დასაწყისიდან 1917 წლამდე), ხოლო შემდეგ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ) – დღევანდელი ჯავახიშვილის უნივერსიტეტი – პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც 1918 წელს დაფუძნდა.

კლასიკური ნაციონალური ნარატივის “ოქროს ხანა” XX საუკუნის 60-80-იანი წლები იყო, როცა საქართველოს რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო “პერესტროიკის” მომავალი გმირი ედუარდ შევარდნაძე (დაბ. 1929) საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1972-1985) გახლდათ. ეს ნარატივი იმ წლებში განსაკუთრებულად ლიტერატურის, კინემატოგრაფიისა და თეატრის მეშვეობით წარმოჩინდა. მაგრამ მისი ნამდვილი ტრიუმფი 1988-1991 წლები იყო, როცა “პერესტროიკის” ტალღა-

ზე ქართულმა ნაციონალურმა მოძრაობამ 1990 წელის ოქტომბრის მაშინდელი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში შემავალი საქართველოს პარლამენტის (უფრო ზუსტად, უზენაესი საბჭოს) არჩევნებში კომუნისტები დაამარცხა, ხოლო 1991 წლის მაისში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად დისიდენტი მწერალი და ფილოლოგი ზვიად გამსახურდია (1939-1993 წწ.) გახდა. მაგრამ ეს ტრიუმფი არა მხოლოდ სამხედრო გადატრიალებითა და სამოქალაქო ომით დასრულდა (1991-1993 წწ.), არამედ ამ “კლასიკური” და “მონოლითური” ნარატივის ფრაგმენტაციითაც. დღეს მისი რამდენიმე “ლოკალური” ვერსია არსებობს: ერთი – “ძველ” (“საბჭოთა”) ინტელიგენციას ეკუთვნის, მეორე – ზვიად გამსახურდიას დაქსაქსულ მომხრეებს, ხოლო მესამე, ფაქტობრივად, იმ დანარჩენ ორ ნარატივშია გადახედილი, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

თუკი ნარატივი - I ხსნისა და გადარჩენის ნარატივია, II ნარატივის “ახალი ინტელექტუალები” მოგვითხრობდნენ. ესაა “ვარდების რევოლუცია” (“Rose Revolution”), რომელიც 2003 წლის ნოემბერში პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომითა და მიხეილ სააკაშვილის ეპოქის დასაწყისით აღინიშნა. “ვარდების რევოლუცია” “კოსმოგონიური” ნარატივია, რომელიც შევარდნაძის კორუფციული ქაოსიდან ახალი ნაციისა და “მღიერი ქართული სახელმწიფოს” შექმნის შესახებ გვესაუბრება.

ამ ნარატივის ინტელექტუალური ბაზა ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი (დაფუძნდა 2005 წელს) და განათლების სამინისტროა. ესაა, დღეს, არსებითად, ხელისუფლებისა და ხელისუფლების “შლეიფში” არსებული ინტელექტუალების ნარატივი. მისი ვიზუალური გამოხატულებად ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში წარმატებული ხელოვანის ზურაბ წერეთლის მიერ შექმნილი წმ. გიორგის მონუმენტი იქცა, სადაც ცხენზე ამხედრებული შუბოსანი ჭაბუკი, კოსმოგონიური მითოსის შესაბამისად, კოსმოსის დემიურგს (შემოქმედს) განასახიერებს, ხოლო განგმირული გველეშაპი – დასაბამიერ ქაოსს. მნიშვნელოვანია, რომ ეს მონუმენტი სწორედ იქ – დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე – აღიმართა, სადაც კომუნისტურ პერიოდში ლენინის ძეგლი იდგა (მოედანსაც ლენინის სახელი ერქვა). ეს ძეგლი 1990 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში დაანგრიეს, ხოლო მოედანს თავისუფლების მოედანი უწოდეს. 15 წლის განმავლობაში ამ მოედანზე არაფერი იდგა. 2006 წელს ახალმა ხელისუფლებამ წმ. გიორგის მონუმენტი აღმართა.

III ნარატივი – ესაა “მართლმადიდებლობა როგორც ქართველთა გენეტიკური” რელიგია. მისი ინსტიტუციური ბაზა, ცხადია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტებლიშმენტი – საპატრიარქოა. ნარატივი-III პრეტენზიას აცხადებს, რომ ისაა ქართული კულტურის ერთადერთი სრულფასოვანი რეპრეზენტატორი. ქართული ეკლესია დღეს ქართველი ერის ნაციონალური ეკლესიაა, ხოლო მის ნარატივი – ნაციონალური რელიგია. ამ ნარატივის ვიზუალური გამოხატულება თბილისის სამების ტაძარია. ტაძრის მშენებლობა 1996 წელს დაიწყო – ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში, მაგრამ “ვარდების რევოლუციის” შემდეგ დასრულდა.

სწორედ ამ სამი ნარატივის ურთიერთდიფუზია და ბრძოლა განსაზღვრავს დღევანდელ ქართულ ნაციონალიზმს. ბრძოლა მიმდინარეობს, ფაქტობრივად, I ნარატივის მემკვიდრეობის გარშემო. [საგულისხმოა, რომ საქართველოში დღემდე არ არსებობს, “მემარცხენე ინტელექტუალური დისკურსი”, უფრო სწორად, ის აბსოლუტურად მარგინალურია.]

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ მიმდინარეობდა I ნარატივისა და “ძველი” ინტელიგენციის მარგინალიზება, რაც “კონსპიროლოგიური რიტორიკის” მეშვეობით ხორციელდებოდა – “თქვენ საბჭოთა რელიქტები და რუსეთის აგენტები ხართ” (ე. ი. რუსული კულტურის ხალხი ხართ) – ეუბნებოდა ახალი ხელისუფლება “ძველ” ინტელიგენციას; II ნარატივისა და ახალი ინტელექტუალების (სახელისუფლებო ისტებლიშმენტის) წინააღმდეგ “ტიპოლოგიურ-ფენომენოლოგიური რიტორიკა” გამოიყენებოდა: “თქვენ, სამაგიეროდ, ნამდვილი ბოლშევიკები ხართ” – ეუბნებოდნენ “ძველები” “ახლებს”. III ნარატივის წინააღმდეგ “ახალი ინტელექტუალები” (ანუ – II ნარატივი) ასევე “კონსპიროლოგიურ რიტორიკას” მიმართავენ – “თქვენ რუსული ეკლესიის ფილიალი ხართ” – ეუბნებოდნენ ისინი საეკლესიო ისტებლიშმენტს. უნდა აღინიშნოს, რომ სამივე რიტორიკა ერთგვარი ამალგამაა, სადაც რაციონალური და კონსპიროლოგიური ელემენტები ერთმანეთში გადაზეულია.

თუკი შევარდნაძის მეორე – პოსტსაბჭოთა – ხელისუფლების პერიოდ (1992-2003) “ახალი ბიზნესის”, ძველი ნომენკლატურისა და “ძველი” ინტელიგენციის ურთიერთშერწყმას წარმოადგენდა, ახალი სახელისუფლებო ისტებლიშმენტი არასამთავრობო სექტორისა და “ახალი აკადემიის” ურთიერთშეზღვევის პროცესის შედეგად ყალიბდებოდა. ახალი ინტელექტუალური ელიტის თვითდამკვიდრება “ძველი” (საბჭოთა) ინტელი-

გენციის” ვიქტიმიზებისა და მისი ნარატივის მისაკუთრების გზით დაიწყო. “საბჭოთა” დღეს ნიშნავს როგორც ძველ სტრუქტურებს, ისე – “რუსულ კულტურას”.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, საზოგადოდ, “რუსული არგუმენტი” სამივე რიტორიკას განსაზღვრავს – “რუსულია” ინტელიგენცია, ხელისუფლება და “ახალი” ინტელექტუალები “ბოლშევიკები” არიან, ხოლო ეკლესია, ასევე, “რუსულია”, “რუსული ეკლესიის ფილიალია.” თუკი “ძველი ინტელიგენციის” მარგინალიზება, ვიქტიმიზება და, ამასთანავე, “ძველი ნარატივის” მისაკუთრება თანამედროვე კულტურული პროცესის საზრისს წარმოადგენს, მაშინ მთავარი კითხვა ამგვარია – ვის ეკუთვნის ქართველი ერის ისტორია და ილია ჭავჭავაძე როგორ “ერის მამა”?

რაც შეეხება წმ. გიორგის მონუმენტისა და სამების ტაძრის შერკინებას – “გიგანტომაქიას” – ეს ვიზუალური კულტურის სივრცეში ამგვარ კითხვას ბადებს: – ვინ დაეუფლება “თეთრ ტაძარს” – ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტს – ქართული “კლასიკური” ნაციონალური ნარატივის ვიზუალურ გამოხატულებასა და მესხიერების ადგილს?

### “ავგისტოს ომი” – ახალი ნაციონალური ნარატივი?

მოცემულ პოლიტიკურ კონტექსტში სახეზეა ქართული ნაციონალური იდენტობის სერიოზული კრიზისი. “ვარდების რევოლუციამ”, როგორც ახალმა ნაციონალურმა ნარატივმა ახალი ნაციის დაბადების შესახებ, მარცხი განიცადა. სწორედ ამიტომ გააქტიურდა ნარატივი-III – მართლმადიდებლობა, როგორც ქართული ნაციონალური იდენტობის საფუძველი. ამავე დროს, არსებულმა ხელისუფლებამ ნებსით თუ უნებლიედ ლიბერალური დემოკრატიის ღირებულებათა სერიოზული დისკრედიტაციაც მოახდინა.

ამიტომ, დღეს ხდება ის, რასაც შეიძლება ხელისუფლების მხრიდან “ვარდების რევოლუციის” ნარატივის “ავგისტოს ომის” ნარატივით ჩანაცვლება ვუწოდოთ. თუ ეს, საბოლოოდ, რამდენადმე ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებს, მაშინ შესაძლოა, რომ “ავგისტოს ომი” იქცეს ლიბერალური ნაციის დაბადების ახალ წერტილად – დაახლოებით ისე, როგორ ჰოლოკოსტის ტრავმულმა ნარატივმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა გერმანია ლიბერალურ ნაციად. მაგრამ ასეთ შემთხვევაში “ავგისტოს” ომი უნდა გააზრებულ იქნას ქართული ინტელექტუალური ელიტის

მიერ არა როგორც “რუსულ იმპერიალიზმთან ბრძოლა”, არამედ როგორც ქართული სამოქალაქო ომის ერთ-ერთი ეტაპი. “ქართულ სამოქალაქო ომში” მე ვგულისხმობ ქართული და აფხაზური ნაციონალური პროექტების დაპირისპირებას, რომელიც სიმბოლურად პავლე ინგოროყვას ნაშრომის “გიორგი მერჩულეს” პირველი ტომის პუბლიკაციითა და ლიხნის ცნობილი პირველი წერილით (XX საუკუნის 50-ანი წწ.) დაიწყო.

**შესაძლებელია თუ არა ახალი ქართული  
ნაციონალური იდენტობისა და ახალი  
ნაციონალური ნარატივის ფორმირება?**

დღეს ჩვენს წინაშეა იდენტობათა და ნაციონალური ნარატივთა ფრაგმენტები: **“ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი”** – აწ გარდაცვლილი პრემიერის ფრთოსანი ფრაზა – იდენტობის ერთ პოლუსს მოხაზავს: **“ჩვენ ევროპა ვართ”**. ამავე დროს, არსებობს იდენტობის ამგვარი ვექტორიც – **“ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ კავკასიელი”**. იდენტობის კიდევ ერთი ფორმა ესაა **“ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ – გენეტიკურად მართლმადიდებელი”**. არსებობს კიდევ ერთია იდენტობა, რომელიც დღეს საკმარისად მარგინალიზებულია და რომელიც XX საუკუნის 20-იან წლებში გალაკტიონმა ასე ჩამოაყალიბა: **“ჩვენ ახია ვართ!”**

“მართლმადიდებლური” იდენტობის გაძლიერება XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, რასაც საგულისხმო პრაქტიკული შედეგები მოჰყვა. ერთ-ერთი ასეთი შედეგი აჭარისა და მესხეთის მოსახლეობის **“გამართლმადიდებლბაა”** – პროცესი, რომელიც დღემდე არ დასრულებულა და რომელიც დროდადრო საკმაოდ კონფლიქტური ფორმებითაც მიმდინარეობს.

შეიძლება ითქვას, რომ იმავე XX საუკუნის 90-იანი წლების განმავლობაში ქართული ნაციის ჩამოყალიბების პროექტი ორი პარალელური გზით მიდიოდა – რელიგიურ განსხვავებათა წაშლისა და ტერიტორიული ჰეტეროგენულობის წაშლის მეშვეობით. მაგრამ სამოქალაქო ომის კატალიზატორი სწორედ ეთნოლინგვისტური ნიშნით შექმნილი ტერიტორიული ერთეულები (აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი) აღმოჩნდა და არა – რელიგიური ნიშნით შექმნილი ავტონომია (აჭარა). აქედან შეიძლება დავასკვნათ: ნაციონალური პროექტის შესაქმნელად აუცილებელია **“წარმოსახვითი გეოგრაფია”** – ტერიტორიის (ან –

ტერიტორიული) ხატი. ამგვარი ხატი საქართველოში შექმნეს მხოლოდ აფხაზებმა.

როგორი უნდა იყოს ახალი ქართული იდენტობა? შესაძლებელი თუ არა ახალი იდენტობის შექმნა? შესაძლებელია თუ არა ახალი კომპლექსური ნაციონალური ნარატივის ფორმირება?

ევროპული ქვეყნების თანამედროვე ისტორია გვეუბნება, რომ ეს საკვებით შესაძლებელია, მაგრამ ეს არაა მყისიერი და უცარი ხდომილება. ამას სჭირდება დრო და გარკვეული მაკრისტალიზებელი ფაქტორები. ერთი ძირითადი ფაქტორია ესაა – ტერიტორიის ხატი, მეორე – ერთიანი სალიტერატურო ენა და განათლების სისტემა, რომელიც ნერგავს ამ ენასა და შესაბამის ნაციონალურ ნარატივებს, მესამე ფაქტორი ესაა – ერთიანი ეკონომიკა. მაგრამ ამ ყველაფერს ესაჭიროება ნაციონალური ბურჟუაზია – ბიზნესი – მესამე წოდება, რომელიც დინასტიური და იერარქიული პრინციპების მაგივრად კაპიტალის დაგროვების ჰომოგენურ წესს ამკვიდრებს. არადა, დღეს ქართული ბიზნესი სწორედ იმ დროს ყალიბდება, როცა მსოფლიო კლასიკური კაპიტალიზმის პერიოდიდან გლობალური კაპიტალიზმის პერიოდში გადადის და როცა წამყვანი ძალა არა ნაციონალური ბურჟუაზიაა, არამედ – ტრანსნაციონალური კორპორაციები.

დაბოლოს, უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვე გამოწვევებს ადეკვატური პასუხი ესაჭიროება. საქართველოს საზოგადოებამ უნდა დაამტკიცოს, რომ ის მართლაც წარმოადგენს საზოგადოებას და უნდა **“შვას საკუთარი მყოფადი”**.

**ქალაქი და სოფელი: მოსახლეობის  
ღირებულებები და პოლიტიკური სიმათიები**

თანასწორობის მიღწევა თუ არა, მისადმი მიხედობა მაინც, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მრავალი საზოგადოების ამოცანას წარმოადგენდა და კვლავ წარმოადგენს. მაგრამ უთანასწორობა მაინც რჩება ნებისმიერი საზოგადოების დამახასიათებელ თვისებად. სტრატეგიკაცია, რომელიც საზოგადოების ერთერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს, ასახვას ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებულ სტრუქტურულ უთანასწორობას. საზოგადოების სტრატეგიკაცია შესაძლებელია მრავალი ნიშნის მიხედვით. ამ ნიშნების მნიშვნელობა იცვლება დროსთან და საზოგადოების განვითარების დონესთან ერთად. მონობა, კასტა, დიდგვაროვნება, წარმოების საშუალებების ფლობაზე დაფუძნებული კლასი წარმოადგენდა და ზოგიერთ საზოგადოებაში კვლავ წარმოადგენს. სტრატეგიკაციის შედეგს (Giddens, 1997). თუმცა თანამედროვე ეპოქაში სტრატეგიკაცია უფრო მეტად ეფუძნება მაქს ვებერის მიერ გამოყოფილ სამ მანიშნებელს: მატერიალურ შესაძლებლობებს, პრესტიჟს და ძალაუფლებას. ეკონომიკურმა განვითარებამ და დემოკრატიულმა მმართველობამ შეარბილა განსხვავებები ზემოთაღნიშნულ მანიშნებლების მიხედვით და განვითარებულ ქვეყნებთან მიმართებაში დღეს ლაპარაკია სტრატეგიკაციაზე სქესის, ეთნურობის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობებისა და ასაკის მიხედვით (Macionis & Plumer, 2008). თუმცა ზოგიერთი ავტორის აზრით (მაგ. Lipton, 1993) ღარიბ ქვეყნებში სტრატეგიკაცია რეალურად საცხოვრებელ ადგილს ემყარება და უთანასწორობა ყველაზე მეტად ვლინდება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შედარებისას.

ურბანიზმი, როგორც ამას ადრეული ქალაქის სოციოლოგები მიუთითებდნენ ცხოვრების სტილს წარმოადგენს (Wirth, 1938). მათივე განმარტებით ქალაქი ხასიათდება დიდი ზომით, მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით და სოციალური მრავალფეროვნებით. ქალაქის გარემოს საწინააღმდეგოდ, სოფლის სოციო-კულტურული გარემოსათვის მეტად არის დამახასიათებელი ტრადიციული ნორმებისა და კონსერვატული ღირებულებებისადმი ერთგულება. . სოფლის სოციალური გარემო “სუსტი

კავშირების” (Granovetter, 1973) დამყარების ნაკლებ შესაძლებლობებს იძლევა. სუსტი კავშირები კი არეკლავენ განსხვავებულ სხეებთან უფრო ზედაპირულ, ნაკლებად ინტიმურ ურთიერთობებს და შესაბამისად დახურულ, მხოლოდ მსგავსებათა შორის ყოფნიდან გამოსავალს. ურბანიზაცია ანუ მოსახლეობის ქალაქებში კონცენტრაცია გლობალურ პროცესს წარმოადგენს, რომელიც განსაკუთრებით დაჩქარდა XX საუკუნის მეორე ნახევარში. გაეროს პროგნოზის მიხედვით 2025 წელს მსოფლიოში ქალაქის მოსახლეობა 63 პროცენტს მიაღწევს.

სტრატეგიკაციას ქალაქსა და სოფელში ცხოვრების მიხედვით ყურადღება მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისიდან მიექცა (Giddens, 1997). სოფლიდან ქალაქად მიგრაცია ძირითადად განპირობებულია ქალაქად არსებული მეტი შესაძლებლობებით. ეს ეხება, როგორც ეკონომიკურ შესაძლებლობებს, კერძოდ დასაქმებას, ასევე განათლებასთან და კულტურასთან დაკავშირებულ, ასევე სხვადასხვა და სპეციფიური, ხარისხიანი სერვისის მიღების შესაძლებლობებს.

ქვეყნის შიგა მიგრაცია ქალაქში საქართველოსათვის დამახასიათებელ და მზარდ ტენდენციას წარმოადგენს. ოთხმოცდაათიან წლებში დაწყებული მოსახლეობის ქვეყნის გარეთ მიგრაცია აისახა მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაზე ქალაქად, ისევე როგორც სოფლად, მაგრამ უკანასკნელ წლებში სახეზეა დიდ ქალაქებში მოსახლეობის ზრდა. ასე მაგალითად თბილისის მოსახლეობა 2002 წლიდან 2008 წლამდე გაიზარდა 3.0, ქუთაისის 1.4, ბათუმის 0.3, რუსთავის 0.8, ზუგდიდის 4.4, გორის 1.7 და ფოთის 0.5 პროცენტით. დღეს დედაქალაქსა (1,106,500) და 6 დიდ ქალაქში - ქუთაისში (188,600), ბათუმში (122,200), რუსთავში (117,300), ზუგდიდში (72,100), გორში (50,400) და ფოთში (47,400) ცხოვრობს 1,704,500 ადამიანი, ანუ მათში საქართველოს მოსახლეობის მესამედზე მეტი არის კონცენტრირებული (<http://www.citypopulation.de/Georgia.html>)

სიღარიბე მიგრაციის ერთერთი გამაპირობებელი ფაქტორია. იგი ხშირად საცხოვრებელ ადგილთან არის დაკავშირებული. მიუხედავ რიგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის ზრდისა ქვეყნის მასშტაბში, ეკონომიკური ზრდა არანაირად არ აისახა მოსახლეობის კეთილდღეობაზე. ოფიციალური მონაცემები 2004 წლის შემდეგ ქვეყანაში არსებული სიღარიბის დონის თაობაზე არ გამოქვეყნებულა. 2004 წელს სიღარიბის მიღმა ცხოვრობდა საქართველოს მოსახლეობის 52 პროცენტი. საერთაშორისო სავალუტო ფონდი მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყ

რდნობით მიუთითებს აბსოლუტური სიღარიბის ზრდაზე 2004 წლიდან 2007 წლამდე (ადამიანის განვითარების ანგარიში, 2008). საქართველოს მოსახლეობის ერთი მესამედი თავს ღარიბად მიიჩნევს და რეგისტრირებულია სოციალურად მოწყვლად ოჯახთა მონაცემთა ბაზაში. ღარიბი მოსახლეობის 60.0 პროცენტი სოფლად ცხოვრობს.

სიღარიბის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს უმუშევრობა წარმოადგენს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით თვითდასაქმებულად ითვლება ყველა ის პირი, ვინც ფლობს მიწის ნაკვეთს. აქედან გამომდინარე, უმუშევრობის მანკენებელი ქვეყანაში არ არის მაღალი. იგი 2004 წელს შეადგენდა 11.5 პროცენტს, ხოლო 2007 წელს 13.3 პროცენტს. ექსპერტების მოსაზრებით რეალური უმუშევრობა ქვეყანაში 30.0 პროცენტს უნდა შეადგენდეს (UNDP, 2008).

საცხოვრებელი ადგილის ტიპი და ზომა გარკვეულწილად განაპირობებს ადამიანის ცხოვრების სტილს, განსაზღვრავს მის მსოფლმხედველობას უქმნის რა განსხვავებულ სხვებთან ურთიერთობის, სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოფლის მოსახლეობა, ქალაქის მოსახლეობაზე უფრო მეტად კონსერვატული დამოკიდებულებების გამო უფრო ლოიალური უნდა იყოს არსებული ხელისუფლების და უფრო ერთგული ტრადიციული ღირებულებების მიმართ. ამდენად, ხელისუფლებისადმი ერთგულების გაზრდას უნდა ველოდოთ დასახლების ზომის შემცირებასთან ერთად. ამ შემთხვევაში, ხელისუფლებისადმი ყველაზე მცირე კეთილგანწყობას გამოავლენს დედაქალაქის, უფრო მეტს დიდი ქალაქების და ყველაზე მეტს სოფლის მოსახლეობა. სოფლის მოსახლეობა ასევე უფრო მეტად უნდა უჭერდეს მხარს ტრადიციულ და მატერიალისტურ ღირებულებებს.

უკანასკნელ წლებში საქართველოში მიმდინარე პროცესებმა გამოაშკარავეს სოფლისა და ქალაქის, განსაკუთრებით კი თბილისის მაცხოვრებელთა განსხვავებული პოლიტიკური სიმპატიები და ღირებულებები. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ განსხვავებებს პოლიტიკური შეხედულებებისა და სიმპატიების მიხედვით თბილისის, საქართველოს ექვსი დიდი ქალაქის და მცირე ქალაქებისა და სოფლის მაცხოვრებელთა შორის, შევეცდებით გამოვყოთ მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ ამგვარ განსხვავებას. ანალიზისას ჩვენ დავეყრდნობით საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ 2008 წლის ნოემბერში ჩატარებულ საქართველოს მოსახლეობის რეპრეზენტაციულ

ლი გამოკითხვის შედეგებს (გამოკითხვა განხორციელდა ღია საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით). სამი ჯგუფი, რომლის მიხედვითაც არის განხილული შედეგები გამოყოფილ იქნა მაცხოვრებელი ადგილის ზომის მიხედვით. პირველ ჯგუფს შეადგენს თბილისის მოსახლეობა (გამოკითხულთა 22.4 პროცენტი), მეორე ჯგუფში (გამოკითხულთა 17.1 პროცენტი) გაერთიანდა იმ ქალაქების მოსახლეობა, რომლებშიც 45,000-ზე მეტი მაცხოვრებელია, ასეთია ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ზუგდიდი, გორი და ფოთი, ხოლო მესამე ჯგუფში გაერთიანდა მცირე ქალაქებისა და სოფლის მოსახლეობა (გამოკითხულთა 60.5 პროცენტი).

სულ გამოკითხული იყო 1156 ადამიანი (48.9 პროცენტი კაცი და 51.1 პროცენტი ქალი) საქართველოს ცხრავე რეგიონში და თბილისში. რესპონდენტები შერჩეულ იქნენ საქართველოში ქალაქად და სოფლად, სხვადასხვა ასაკისა და სქესის მიხედვით მოსახლეობის არსებული განაწილების შესაბამისად იერარქიული შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით. ამდენად გამოკითხვა რეპრეზენტაციული და მიღებული შედეგები შეიძლება გენერალიზებულ იქნენ საქართველოს მთელ მოსახლეობაზე. ყველგან, სადაც ლაპარაკია ჯგუფებს შორის განსხვავებებზე, განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (ჰი კვადრატი <0.05-ზე).

### ინტერესი პოლიტიკის მიმართ

მოსახლეობაში საკმაოდ დიდია ინტერესი პოლიტიკის მიმართ და ეს ინტერესი კლებულობს დასახლების ზომასთან ერთად. თბილისელთა 76.8 პროცენტი, დიდ ქალაქების მაცხოვრებელთა 66.5 პროცენტი და სოფლის მოსახლეობის 50.7 პროცენტი თვალყურს ადევნებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ამასთან მოსახლეობის ნახევარზე მეტი ტელევიზიით უყურებს ახალ ამბებს (64.4 პროცენტი თბილისში, 60.3 პროცენტი დიდ ქალაქებში და 54.0 პროცენტი სოფლებში).

ტელეარხების საინფორმაციო გადაცემებიდან ყველაზე მეტი ნდობით თბილისელთა შორის სარგებლობს “კავკასიის” (66.5 პროცენტი), დიდი ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებელთა შორის კი “იმედის” საინფორმაციო გადაცემები (72.0 პროცენტი).

ტაბულა 1

	საინფორმაციო გადაცემები	თბილისი პროცენტი	დიდი ქალაქები პროცენტი	სოფლები პროცენტი
1	მომბე (საზოგადოებრივი ტელევიზია)	39.1	36.6	42.7
2	კურიერი/პოსტ სკრიპტუმი (რუსთავი 2)	48.4	58.4	50.1
3	ქრონიკა/დროება (იმედი)	53.5	72.0	60.6
4	დღეს (კავკასია)	66.5	12.2	14.0
5	ახალი ამბები (აჭარა)	17.8	12.2	12.0
6	ადგილობრივი ტელევიზიის ახალი ამბები	8.1	34.5	21.6
7	რუსულ არხების საინფორმაციო პროგრამები	12.8	3.0	4.2
8	ევრონიუსი, ბი-ბი-სი ან სი-ენ-ენი	20.5	19.3	11.0


დასახლების ტიპის მიხედვით მევეთრი განსხვავება კავკასიასა და ადგილობრივ ტელეარხებთან მიმართებაში ამ არხების გავრცელების არეალით არის განპირობებული. კავკასიის გადაცემების ყურება თბილისის გარეთ ფაქტიურად შეუძლებელია.

**პოლიტიკური სიმპატიები**

მთლიანობაში საქართველოს მოსახლეობა უფრო მეტად ენდობა ხელისუფლებას (31.1 პროცენტი), ვიდრე ოპოზიციას (7.3 პროცენტი). განსხვავება ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების მიხედვით ძალზე დიდია დასახლების ზომის მიხედვით. გამოკვეთილია აშკარა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ყველაზე დიდ ნდობას და შესაბამისად ყველაზე ნაკლებ კრიტიკულ დამოკიდებულებას ხელისუფლებისადმი ავლენს დიდი ქალაქების მოსახლეობა, ხოლო ყველაზე ნაკლებად ხელისუფლებას თბილისის მოსახლეობა ენდობა.

ასე მაგალითად, ხელისუფლებას ნდობას უცხადებს თბილისელთა 14.0 პროცენტი, დიდი ქალაქის მოსახლეობის 42.1 პროცენტი და სოფლის მოსახლეობის 33.5 პროცენტი. ოპოზიციას ენდობა თბილისელთა 14.0 პროცენტი, დიდი ქალაქის მაცხოვრებელთა 4.6 პროცენტი და სოფლის მაცხოვრებელთა 5.6 პროცენტი. ქვეყანაში ძალზე დიდია პოლიტიკური ნიჰილიზმი, განსაკუთრებით დედაქალაქის მაცხოვრებლებს შორის, რომელთა ნახევარი (50.2 პროცენტი) აცხადებს, რომ არცერთ

პოლიტიკურ ძალას არ ენდობა, კიდევ 19.8 პროცენტს უჭირს არჩევანის გაკეთება.



ცხრილი 1

ნდობა ხელისუფლებასა და ოპოზიციის მიმართ

პარტიებიდან ყველაზე მეტი მხარდამჭერი ნაციონალურ მოძრაობას ყავს. კითხვაზე, ხვალ რომ ტარდებოდეს საპარლამენტო არჩევნები, რომელ პარტიას მისცემდით ხმას, 24.1 პროცენტმა უპასუხა, რომ ნაციონალურ მოძრაობას (თბილისელთა 12.4 პროცენტი, ქალაქის მოსახლეობის 28.4 პროცენტი და სოფლის მოსახლეობის 27.2 პროცენტი). ქრისტიან-დემოკრატიული პარტიისათვის მზად იყო ხმა მიეცა თბილისელთა 4.3 პროცენტს, ქალაქის მაცხოვრებელთა 11.2 პროცენტს და სოფლის მაცხოვრებელთა 11.7 პროცენტს. საქართველოს ლეიბორისტულ პარტიის მხარდამჭერთა ყველაზე დიდი ნაწილი თბილისში ცხოვრობს (8.1 პროცენტი). პარტიას მხარს უჭერს სოფლის მაცხოვრებელთა 6.7 პროცენტი და დიდი ქალაქების მოსახლეობის 2.5 პროცენტი. გამოკითხულთა ძალზე დიდი ნაწილს, თითქმის მესამედს (თბილისის მაცხოვრებელთა 26.0 პროცენტი, ქალაქის მაცხოვრებელთა 29.4 პროცენტი და სოფლის მაცხოვრებელთა 26.6 პროცენტი) ისევ და ისევ უჭირს არჩევანის გაკეთება.

პრეზიდენტის ყველაზე სასურველ თვისებებად მიჩნეულია სამართლიანობა, პრინციპულობა, მომავალზე ორიენტაცია, პიროვნული სიძლიერე და ქვეყნის ინტერესების ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებზე უფრო მაღლა დაყენება. ყველა ეს თვისება ორის გარდა, უფრო მნიშვნელოვნად არის აღქმული თბილისის

მოსახლეობის მიერ და მათი მნიშვნელობა კლებულობს დასახლებების სიდიდესთან ერთად. პიროვნული სიძლიერე ყველაზე მნიშვნელოვანია დიდი ქალაქების და ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი თბილისის მაცხოვრებლებისათვის, ხოლო სამართლიანობა ყველაზე მეტად მნიშვნელოვნად თბილისის მაცხოვრებლების მიერ არის შეფასებული. ამასთან, დიდი ქალაქების მაცხოვრებლებთან შედარებით, იგი უფრო მნიშვნელოვნად სოფლის მაცხოვრებლებს მიაჩნიათ.

თბილისის, დიდი ქალაქებისა და სოფლის მოსახლეობა განსხვავებულ სიმპატიებს ამჟღავნებს პოლიტიკური ლიდერების მიმართ.

ტაბულა 5

პოლიტიკურ ლიდერთა მოწონება (ცხრილში წარმოდგენილი არიან პოლიტიკოსები, რომლებიც გამოკითხულთა მეოთხედზე მეტის მოწონებას იმსახურებენ)

პიროვნება	თბილისი	დიდი ქალაქი	სოფელი	სულ
მისეილ სააკაშვილი	23.3	56.2	55.9	48.3
გიორგი თარგამაძე	22.6	53.8	52.7	45.2
ნინო ბურჯანაძე	38.1	39.9	47.4	43.9
გიგი უგულავა	41.2	51.8	41.1	42.8
ლევან ბერძენიშვილი	45.9	31.1	42.8	41.8
თინათინ ხიდაშელი	41.3	28.8	40.3	38.7
დავით გამყრელიძე	53.7	24.2	34.0	37.5
დავით უსუფაშვილი	46.3	31.2	33.5	36.4
ირაკლი ოქრუაშვილი	37.4	46.0	39.4	35.7
სალომე ზურაბიშვილი	42.8	18.4	35.1	34.4
კახა კუკავა	34.5	24.8	31.1	31.0
ლევან განჩინილაძე	43.6	9.8	30.6	30.9
ეკა ბესელია	36.6	25.0	29.4	30.4
დავით ბაქრაძე	37.4	52.1	37.6	29.9
კობა დავითაშვილი	33.9	19.5	31.1	29.9
შაღვა ნათელაშვილი	40.1	16.2	28.1	29.3

ოპოზიციის ლიდერებს ყველაზე მეტი მხარდამჭერი დედაქალაქში, შემდეგ კი სოფლად ყავთ. გამონაკლისს ხელისუფლების ყოფილი წევრები ნინო ბურჯანაძე და ირაკლი ოქრუაშვილი წარმოადგენენ. ნინო ბურჯანაძეს ყველაზე მეტი მხარდამჭერი სოფლად, ხოლო ყველაზე ნაკლები თბილისში ყავს. ოქრუაშვილს და გიორგი თარგამაძეს მხარს ყველაზე მეტად დიდი ქალაქის მოსახლეობა, ხოლო ყველაზე ნაკლებად თბილისელები უჭერენ. დიდი ქალაქები როგორც ჩანს ხელისუფლების ძირითად დასაყრდენს წარმოადგენენ და მათ წარმომადგენლებსაც სწორედ იქ უჭერენ ყველაზე მეტად მხარს.

პოლიტიკურ სიმპატიები უდაოდ მოსახლეობის მიერ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობის და ხელისუფლების მოქმედებების ეფექტურობის აღქმის შედეგია. აქაც მკვეთრად გამოკვეთილი განსხვავება დასახლების ტიპის მიხედვით. ყველაზე კრიტიკული ხელისუფლებისადმი ისევ დედაქალაქის, ხოლო ყველაზე ნაკლებ კრიტიკული დიდი ქალაქების მაცხოვრებლები არიან.

დიდი ქალაქების მოსახლეობის 36.5 პროცენტს, სოფლის მოსახლეობის 25.7 პროცენტს და თბილისის მოსახლეობის 13.6



პროცენტს მიაჩნია, რომ ხელისუფლება უსმენს და ითვალისწინებს ხალხის აზრს.

დიდი ქალაქების მოსახლეობის უფრო დიდ ნაწილს (48.7 პროცენტი), სოფლის (41.0 პროცენტი) და თბილისის მოსახლეობასთან (39.1 პროცენტი) შედარებით მიაჩნია, რომ ქვეყანა განვითარების სწორ გზაზე დგას.

თბილისის მოსახლეობის 64.5 პროცენტი ფიქრობს, რომ შესაძლებელი იყო აგვისტოს ომის თავიდან აცილება. ამ აზრს იზიარებს დიდი ქალაქების მოსახლეობის 55.7 პროცენტი და სოფლის მოსახლეობის 56.4 პროცენტი.

საქართველოში დემოკრატია და ლიბერალური დემოკრატის ღირებულებებისადმი ერთგულება ზოგადად კრიტიკულად არის შეფასებული. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოკვეთილია დედაქალაქის მაცხოვრებელთა პოზიცია. დღეს საქართველოში დემოკრატის არსებობა რეალობად მიაჩნია თბილისის მოსახლეობის მხოლოდ 8.5 პროცენტს, სოფლის მოსახლეობის 24.0 პროცენტს, დიდი ქალაქების მაცხოვრებელთა 34.0 პროცენტს. ადამიანის უფლებები დაცულად მიაჩნია თბილისის მოსახლეობის 9.3 პროცენტს, სოფლის მოსახლეობის 20.8 პროცენტს, დიდი ქალაქის მაცხოვრებელთა 31.4 პროცენტს. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი დაცულად მიაჩნია თბილისის მოსახლეობის 14.8 პროცენტს, სოფლის მოსახლეობის 22.7 პროცენტს, დიდი ქალაქების მაცხოვრებელთა 32.0 პროცენტს. თავს უსამართლობისგან დაცულად გრძნობს თბილისის მოსახლეობის 10.5 პროცენტი, სოფლის მოსახლეობის 26.7 პროცენტი, დიდი ქალაქების მოსახლეობის 30.5 პროცენტი. ქვეყანაში კერძო საკუთრება დაცულად მიაჩნია თბილისის მაცხოვრებელთა 7.4 პროცენტს, სოფლის მაცხოვრებელთა 26.2 პროცენტს და დიდი ქალაქების მაცხოვრებელთა 37.1 პროცენტს.

#### ღირებულებები

პოლიტიკური სიმპატიებისა და ლიბერალური დემოკრატის ღირებულებების დაცვასთან არსებული მდგომარეობის შეფასებებისგან განსხვავებული კანონზომიერება შეიმჩნევა დემოკრატიული უფლებების და ღირებულებების მნიშვნელობის შეფასებაში. სოფლის მოსახლეობა, თბილისისა და დიდი ქალაქების მოსახლეობაზე უფრო ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს დემოკრატიული უფლებების დაცვას. ასე მაგალითად, 7 ნოემბერს მიტინგის დარბევა მნიშვნელოვნად მიაჩნია თბილისელ რესპონდენტთა 90.6 პროცენტს, დიდი ქალაქების მოსახლეობის 80.6 პროცენტს და სოფლის მოსახლეობის 71.9 პროცენტს. შე-

საბამისი ციფრები ტელეკომპანია იმედში შეჭრის თაობაზე არის 91.0 პროცენტი, 78.1 პროცენტი და 71.5 პროცენტი. აგვისტოს ომს მნიშვნელოვან მოვლენად აფასებს თბილისელთა 98.0 პროცენტი, დიდ ქალაქების მაცხოვრებელთა 93.4 პროცენტი და სოფლის მოსახლეობის 85.0 პროცენტი.

დემოკრატია მმართველობის საუკეთესო ფორმად მიაჩნია უფრო მეტად ქალაქის (75.2 პროცენტი თბილისში, 75.3 პროცენტი დიდი ქალაქებში) ვიდრე სოფლის მოსახლეობას (65.1 პროცენტი).

სიტყვის თავისუფლება ბევრად უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ თბილისის (37.6 პროცენტი), ვიდრე სოფლის (27.6 პროცენტი) და დიდი ქალაქის მაცხოვრებლებს (21.8 პროცენტი).


ლიბერალური დემოკრატის არჩევითი დემოკრატისაგან ერთერთ განმასხვავებელ ნიშანს მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე ზეგავლენის ქონა წარმოადგენს. სწორედ მოსახლეობის მონაწილეობაა მინეული ეფექტური დემოკრატის მაჩვენებლად (Welzel & Inglehart, 2008). მონაწილეობა დაკავშირებულია ნდობასთან. საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ ერთ მესამედზე ოდნავ მეტს სჯერავს, რომ ადამიანთა უმრავლესობა ნდობას იმსახურებს. ნდობა უფრო დიდია თბილისის მაცხოვრებელთა შორის (42.8 პროცენტი), ვიდრე სოფლისა (38.6 პროცენტი) და დიდი ქალაქის მაცხოვრებლებში (30.8%).

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა ასევე განსხვავებულია აფასებს საზოგადოებრივ პროცესებში მოსახლეობის მონაწილეობის მნიშვნელობას. თბილისელებს იგი სოფლისა და დიდი ქალაქის მაცხოვრებლებზე ბევრად უფრო ღირებულად მიაჩნიათ. თბილისელთა 74.5 პროცენტი, სოფლის მოსახლეობის 68.1 პროცენტი და დიდი ქალაქის მოსახლეობის 56.4 პროცენტი ფიქრობს, რომ პრეზიდენტი უნდა უსმენდეს და აკეთებდეს იმას, რასაც ხალხი მოითხოვს და არა იმას, რაც მისი აზრით წარმატებას მოუტანს ქვეყანას. გამოკითხულთა ნახევარზე მეტს ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაჭრის აუცილებელ პირობად მოქალაქეთა მონაწილეობა მიაჩნია. ასე ფიქრობს თბილისელების უფრო დიდ ნაწილი (66.8 პროცენტი), ვიდრე დიდი ქალაქებისა (56.1 პროცენტი) და სოფლის მაცხოვრებლები (52.2 პროცენტი). მოქალაქეთა მონაწილეობის აუცილებლობის რწმენის ამ ფონზე ძალზე მცირეა მონაწილეობის შესაძლებლობის აღქმა. თბილისელთა ძალზე მცირე ოდენობას (19.5 პროცენტი) მიაჩნია შესაძლებლად ზემოქმედება მოახდინოს მთავრობის გადაწყვეტილებებზე. ამ შესაძლებლობას ცო-

ტა უფრო მეტად ხედავენ დიდი ქალაქის (27.2 პროცენტი) და სოფლის (24.5 პროცენტი) მაცხოვრებლები.

ძალზე უმნიშვნელოა მოსახლეობის მონაწილეობის გამოცდილება. გამოკითხულთა მხოლოდ 2.8 პროცენტმა აღნიშნა, რომ 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის ნოემბრამდე მონაწილეობა მიიღო რაიმე კოლექტიურ აქციაში. რაც შეეხება იმ ფორმებს, რომელსაც, მოსახლეობა შესაძლებლად თვლის გამოიყენოს ხელისუფლების მიერ მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ყველა ჩამოთვლილი თოთხმეტი სახის აქტივობის განხორციელების მიმართ მზაობა უფრო დიდია თბილისელების, შემდეგ დიდი ქალაქების მაცხოვრებლების და ყველაზე მცირე სოფლის მოსახლეობის შორის. უფრო ხშირად რესპონდენტები არჩევენ მონაწილეობის ნაკლებ აქტიურ ფორმებს, როგორცაა მაგ. მოთხოვნაზე ხელმოწერა, შეხვედრებზე და მიტინგებზე დასწრება, აზრის გამოთქმა. ამის საწინააღმდეგოდ ხელისუფლებაზე მოსახლეობის ზემოქმედების ეფექტურობის შეფასებისას უპირატესობას უფრო აქტიურ ფორმებს ანიჭებენ, ისეთებს როგორცაა გაფიცვა, ხალხმრავალი მიტინგების მოწყობა, პრობლემის მოგვარებაში პრესისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა. აქაც ყველაზე დიდი აქტივობა თბილისის მაცხოვრებელთა შორის აღინიშნება.

საქართველოს მოსახლეობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არ განსხვავდება იმ პრობლემების იდენტიფიკაციაში, რომელიც მათ საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. ესენია, ადამიანების უფლებების დაცვა, სამუშაო ადგილების შექმნა და ფასების ზრდის შეჩერება. განსხვავება არის ამ პრიორიტეტული სფეროების შედარებით მნიშვნელობაში.



ყველაზე მკვეთრი განსხვავება პრობლემების მნიშვნელობის შეფასებაში იკვეთება ადამიანის უფლებების დაცვის საკითხთან მიმართებაში, რომელიც პრიორიტეტულია თბილისის მოსახლეობისათვის და რომლის მნიშვნელობას მკვეთრად კლებულობს დასახლების ტიპსა და ზომის შემცირებასთან ერთად. დიდი ქალაქებისა და სოფლის მაცხოვრებლები უპირატესობას სამუშაო ადგილების შექმნას ანიჭებენ.

მსგავსი კანონზომიერება ვლინდება ქვეყნის პრეზიდენტის ფუნქციების მნიშვნელობის შეფასებისას. სამი ჩამოთვლილი ფუნქციიდან:

1. იცავდეს ადამიანის უფლებებს და იდგეს სამართლიანობის სადარაჯოზე;
2. იცავდეს მოსახლეობას საგარეო და საშინაო საფრთხეებისაგან;
3. უზრუნველყოფდეს ნორმალური ცხოვრებისათვის აუცილებელ პირობებს.

თბილისელები უპირატესობას ადამიანის უფლებების დაცვას (38.3 პროცენტი) დიდი ქალაქისა (44.6 პროცენტი) და სოფლის მაცხოვრებლები (55.7 პროცენტი) კი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ანიჭებენ.

გამოკითხულთა უმრავლესობა (58.6 პროცენტი) დასახელებული ოთხი ღირებულებიდან, რომლიდანაც 2 მატერიალის-

ტურია (ქვეყანაში წესრიგის დამყარება და ფასების ზრდის შეჩერება) და 2 პოსტ-მატერიალისტური (ადამიანებს ჰქონდეთ მეტი საშუალება ზეგავლენა მოახდინონ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე და სიტყვის თავისუფლება) არჩევანს ერთ მატერიალისტურ (უფრო ხშირად ქვეყანაში წესრიგის დამყარებაზე და ერთ პოსტ-მატერიალისტურ (უფრო ხშირად მონაწილეობის შესაძლებლობაზე) აკეთებენ.

ზოგადად ორ მატერიალურ ღირებულებებს ბევრად უფრო მეტი რესპონდენტი (35.6 პროცენტი) ირჩევს, ვიდრე ორ პოსტ-მატერიალურს (4.8 პროცენტი). ამასთან, მატერიალურ ღირებულებას ყველაზე მეტად სოფლის მაცხოვრებლები ირჩევენ (38.4 პროცენტი), შემდეგ კი დიდი ქალაქებისა (34.0 პროცენტი) და თბილისის (33.7 პროცენტი) მაცხოვრებლები. შესაბამისად პოსტ-მატერიალისტურ ღირებულებებზე არჩევანს უფრო მეტად თბილისელები აკეთებენ (7.0 პროცენტი), ვიდრე დიდი ქალაქის (6.6 პროცენტი) და სოფლის (3.6 პროცენტი) მაცხოვრებლები.

ამდენად პოსტ-მატერიალური და ლიბერალური დემოკრატიისათვის დამახასიათებელი ღირებულებების მნიშვნელობა ზოგადად კლებულობს დასახლების ზომასთან ერთად.

### შეჯამება

გამოკითხვის მონაცემთა განხილვამ რესპონდენტთა საცხოვრებელი ადგილის ტიპისა და ზომის მიხედვით დაადასტურა ამ პარამეტრის მიხედვით მოსახლეობის სტრატეგიკაციის ღირებულება იმდენად, რამდენადაც ასახა მოსახლეობის პოლიტიკურ სიმპატიებსა და ღირებულებებში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებები.

ინფორმატული და ღირებული აღმოჩნდა ქალაქსოფლის პარამეტრის დეტალიზაცია და თბილისის სხვა ქალაქებიდან გამოყოფა. გარდა ქვეყნის დედაქალაქის ფუნქციონალური დატვირთვისა, თბილისის ზომით ბევრად აღემატება ქვეყნის ყველა სხვა ქალაქს. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით იგი თითქმის ექვსჯერ დიდია ქუთაისზე, საქართველოს ზომით მეორე ქალაქზე. მას ვერცერთი ქალაქი ვერ შეედრება ადამიანებთან კონტაქტის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, განსხვავებული აზრისა თუ ცხოვრების სტილის ექსპონირების, განათლების, კულტურის და სხვადასხვა სერვისების ხელმისაწვდომობის მიხედვით. მონაცემები ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნებენ არსებულ განსხვავებებზე თბილისელებსა, დიდი ქალაქების და ასე-

ვე სოფლის მაცხოვრებლებს შორის მათ შეფასებებში, დამოკიდებულებებსა, ღირებულებებსა და პოლიტიკურ სიმპატიებში..

ხელისუფლებისადმი ლოიალობის გაცილებით მეტი ხარისხი დადასტურდა დიდი ქალაქების მოსახლეობას, ვიდრე სოფლისა და მით უფრო დედაქალაქის მაცხოვრებელთა შორის. გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან, შეიძლება დაეუშვათ, რომ განსხვავების მიზეზი შეიძლება მოსახლეობის კეთილდღეობის ხარისხი იყოს. მაგრამ გამოკითხვის მონაცემები არ ადასტურებენ ამ ფაქტორის მნიშვნელობას პოლიტიკური სიმპატიების ჩამოყალიბებაში. დასახლების ტიპის მიხედვით რესპონდენტები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან საკუთარი ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის შეფასებაში, თუმცა არის განსხვავება თბილისელ და დანარჩენ რესპონდენტებს შორის ყოველთვიური შემოსავლის ოდენობაში. თბილისელთა ყველაზე დიდი ნაწილი (20.8 პროცენტი) მიუთითებს საოჯახო თვიური შემოსავლის 500-დან-1000 ლარამდე ოდენობაზე, მაშინ როდესაც ქალაქებისა (19.0 პროცენტი) და სოფლის მაცხოვრებლები (21.1 პროცენტი) ყველაზე ხშირად ასახელებენ 200-300 ლარს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსხვავება შეიძლება არ არეკლავდეს რეალურ განსხვავებას კეთილდღეობის დონეში, რადგან ცნობილია რომ ქვეყანაში საშუალოდ მოსახლეობის შემოსავლის ნახევარი სასურსათო პროდუქტების შეძენაზე იხარჯება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სოფლის და ასევე ქალაქების მოსახლეობას დედაქალაქის მოსახლეობაზე ბევრად უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ სურსათის უსასყიდლოდ მიღებისა, შეიძლება განსხვავება ეკონომიკურ კეთილდღეობაში დედაქალაქის მაცხოვრებელთა და სხვა ადგილებში დასახლებულ პირთა შორის არც არსებობდეს.

მნიშვნელოვანი და საინტერესოა ეკონომიკური მდგომარეობის ერთგვაროვნების ფონზე განსხვავება ეკონომიკურ ოპტიმიზმში. ქალაქის მაცხოვრებელთა ბევრად უფრო დიდი ნაწილი (30.6 პროცენტი), დედაქალაქის (11.2 პროცენტი) ან სოფლის (17.9 პროცენტი) მაცხოვრებლებთან შედარებით მიიჩნევს, რომ მისი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა გასულ წელთან შედარებით გაუმჯობესდა. ამასთან ქალაქების მოსახლეობის 59.0 პროცენტით, სოფლის მაცხოვრებელთა 44.7 და თბილისის მოსახლეობის 44.3 პროცენტი მოელის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას ერთ წელიწადში. კიდევ უფრო დიდი ოპტიმიზმი სამ წლიან პერიოდთან მიმართებაში (78.5, 58.4 და 55.4 პროცენ-

ტი ქალაქის, თბილისის და სოფლის მოსახლეობაში შესაბამისად ელის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას).

ეკონომიკური ოპტიმიზმით თანმიმდევრულად ვერ აიხსნება ხელისუფლებისადმი ქალაქების მაცხოვრებელთა გამოკვეთილად დადებითი დამოკიდებულება, რადგან ეს რომ ასე იყოს ადგილი არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვან განსხვავებას მსგავსი ეკონომიკური ოპტიმიზმის მაჩვენებლების მქონე თბილისის და სოფლის მაცხოვრებელთა შეფასებებს შორის. უფრო მეტად დამაჯერებლად მიმაჩნია განსხვავების ახსნა იმ სახელმწიფო პოლიტიკით, რომელსაც ხელისუფლება ბოლო პერიოდში ახორციელებს საქართველოს დიდ ქალაქებში. ჩანს მოხდა პოლიტიკური ფოკუსის გადანაცვლება თბილისიდან სხვა ქალაქებზე. ამის დასტურად გამოდგება ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულების თბილისიდან ქუთაისსა თუ ბათუმში გადატანის გადაწყვეტილება, ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა, მთავრობის სხდომების სხვადასხვა ქალაქებში ჩატარება, ინფრასტრუქტურისა და შენობების რეაბილიტაციის პროექტები და პრეზიდენტის ხშირი სტუმრობა საქართველოს ქალაქებში. ამდენად ხელისუფლების პოლიტიკა ქალაქებში მხარდამჭერთა მოსაპოვებლად საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა.

გამოკითხვის მონაცემებმა გვიჩვენეს, რომ პოლიტიკური სიმპატიებისგან განსხვავებით ღირებულებების გაზიარება შეესატყვისება მოლოდინს სოფლად უფრო ტრადიციული და მატერიალისტური, ხოლო ქალაქად უფრო კოსმოპოლიტური და პოსტ-მატერიალისტური ღირებულებების სიჭარბისა. ეს როგორც ზემოთ აღვნიშნეთ განპირობებული უნდა იყოს ქალაქში და განსაკუთრებით დიდ ქალაქში არსებულ სხვადასხვა შესაძლებლობების, სუსტი კავშირების, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, განსხვავებულ იდეებთან თუ ადამიანებთან ექსპონირების შესაძლებლობებთან, ასევე მოსახლეობის განათლების დონესთან, რომელიც ბევრად მაღალია ქალაქად (თბილისში უმაღლესი განათლება აქვს 49.6 პროცენტს ქალაქებში 46.4 პროცენტს), ვიდრე სოფლად, სადაც მოსახლეობის 29.3 პროცენტს აქვს უმაღლესი განათლება.

თუ ჩვენ შეფასებითი კუთხიდან შევხედავთ მოსახლეობის ღირებულებით ორიენტირებს და დავეთანხმებით აზრს იმის შესახებ, რომ დემოკრატია მმართველობის საუკეთესო ფორმას წარმოადგენს, ჩვენი საზრუნავი გახდება თვითგამოხატვის, პოსტ-მატერიალისტური ღირებულებების დამკვიდრება. პოსტ-მატერიალისტური ღირებულებები და ზოგადად ლიბერა-

ლური დემოკრატის მხარდაჭერა დაკავშირებულია თვითგამოხატვის ღირებულებასთან, რომელიც ეყრდნობა რა ნდობას სხვა ადამიანების მიმართ, ხაზს უსვავს მოსახლეობის მონაწილეობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში, გენდერულ თანასწორობას, სხვა ჯგუფების მიმართ ტოლერანტობას. წარმოადგენს რა სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელ ნაწილს თვითგამოხატვის ღირებულება გადამწყვეტ როლს თამაშობს დემოკრატიზაციის პროცესში (Wenzel & Ingelhart, 2008; Welzel, Ingelhart, & Deutch, 2005). ამდენად ქვეყნის პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ნდობისა და მონაწილეობის გაზრდაზე, და ამ მხრივ დედაქალაქი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ქვეყნის მასშტაბით არსებულ საუკეთესო მაგალითი და ასევე დემოკრატის მხარდამჭერი პოლიტიკის განხორციელების პოლიგონი.

## ბიბლიოგრაფია

- Giddens, A. (1997), *Sociology*. 3-rd ed. Cambridge: Polity Press
- Granovetter, M. (1973). The strength of weak ties. *American Journal of Sociology*. Vol.78. No.6. 1360-1380
- Human Development Report (2008). <http://www.citypopulation.de/Georgia.html>
- Lipton, M. (1993). In Varshney, A. (Ed.). *Beyond Urban Bias*. London: Frank Cass.
- Macionis, J.J., & Plumer, K. (2008). *Sociology*. 4<sup>th</sup> ed. Harlow, UK: Prentice Hall
- UNDP. (2008). *National Human Development Report 2008: The Reforms and Beyond*. UNDP, Georgia
- Welzel, Ch., & Inglehart, R. (2008). The role of ordinary people in democratization. *Journal of Democracy*. Vol.19, No1.126-140.
- Welzel, Ch., Ingelhart, R., and Deutch, F. (2005). Social Capital, Voluntary Associations and Collective Action: "Which Aspects of Social Capital Have the Greatest "Civic Payoff"? *Journal of Civic Society*, Vol.1, No.2, 121-146.
- Wirth, L. (1938). Urbanism as a way of life. *American Journal of Sociology*. 44.

იოსებ არჩვაძე

**საქართველოს მოსახლეობის  
კეთილდღეობისა და სოციალურ-ეკონომიკური  
სტრატეგიკაციის ზოგიერთი ასპექტის შესახებ**

საქართველო მოსახლეობის კეთილდღეობის, მათი შემოსავლებისა და ხარჯების განაწილების მხრივ, არასდროს წარმოადგენდა “ეკალიტარულ სამოთხეს”, თუმცა შესაბამისი დეცილური კოეფიციენტის სიდიდე<sup>1</sup> 1980-იანი წლების ბოლოსათვისაც კი არ აღემატებოდა თანაფარდობას 4:1-თან. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შედეგად არა მარტო ზოგადად გაიზარდა ზემოხსენებული კოეფიციენტის სიდიდე (დღეისათვის იგი მთლიანი ხარჯების მიხედვით აღწევს 16.3-ს, ხოლო ფულადი ხარჯების მიხედვით 17.1-ს)<sup>2</sup>, არამედ არსებითი ცვლილება განიცადა ათვლის სიდიდეებმაც. კეთილდღეობის საერთო დონით ამჟამინდელი საშუალო შემოსავლები და ხარჯები, ქართული ლარისა და 1980-იანი წლების ბოლოს საბჭოთა მანეთის მსყიდველობითი უნარიანობის თანაფარდობის გათვალისწინებით (1 ლარი = დაახლოებით 0.50 მანეთს), მნიშვნელოვნად დაუახლოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის წინა პერიოდს (2008 წ. 1990 წ.-თან – დაახლოებით 90%), მაშინ როდესაც 2008 წლის უდაბლესი, პირველი დეცილური ჯგუფის მთელი შემოსავლების მსყიდველობითი უნარიანობა 1990 წლის შესაბამის ჯგუფის მხოლოდ 64 პროცენტია, უმაღლესი, მეათე ჯგუფის მიხედვით თანაფარდობა შეადგენს, შესაბამისად, 115 პროცენტს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ამჟამინდელი დარიბები საქართველოში ორი ათეული წლის წინანდელ დარიბებზე ხელმოკლენი არიან, ხოლო ამჟამინდელი მდიდრები მაშინდელებთან შედარებით, უფრო მდიდრები.** ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დიფერენცირების ზემოხსენებული დეცილური კოეფიციენტი საქართველოში ყველაზე მაღალია და აღემატება:

<sup>1</sup> მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური უთანაბრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი. დაიანგარიშება მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი მეათე ჯგუფის შემოსავლების/ხარჯების თანაფარდობით ყველაზე დაბალშემოსავლიანი, პირველი ჯგუფის შემოსავლებთან/ხარჯებთან.

<sup>2</sup> იხ.: საქართველო შინამეურნეობები 2008, გვ. 61.

უკრაინის ანალოგიურ მაჩვენებელს – 2.5-ჯერ, სომხეთისას – 1.9-ჯერ, აზერბაიჯანისას – 1.6-ჯერ, რუსეთისას – 1.3-ჯერ.

საქართველო, მთელი რიგი მიზეზების გამო, პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც აბსოლუტური მოცულობით ჯერაც ვერ მიუღწევია დამოუკიდებლობის მოპოვებამდე არსებული მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების პიკური დონისათვის. დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე დაახლოებით 3 ათასი აშშ დოლარის მთლიანი შიდა პროდუქტი მოდის - აშშ დონის მხოლოდ 8 პროცენტი და საშუალო მსოფლიო დონის 35 პროცენტი<sup>1</sup>. აღნიშნული გარემოებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიკაცია ჯერადად განსხვავდება იმ ოპტიმიზაციასთან, რაზეც დიდი ხანია არსებობს კონსენსუსი შესაბამის სამეცნიერო და პრაქტიკულ წრეებში (დარიბებისა და მდიდრების წილი - 15-20 პროცენტი თითოეული, საშუალო კლასი - დაახლოებით 60-65 პროცენტი).

შესაბამისად, ქვეყნისათვის სიღარიბის არსებული დონის შემცირება და მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ქვაკუთხედს უნდა წარმოადგენდეს. ამ მიმართულებით, ძირითადი ინსტრუმენტებია *დასაქმების ზრდა, დასაქმების სტრუქტურის ოპტიმიზაცია, დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობის*, ამის საფუძველზე კი - *მთლიანი შიდა პროდუქტისა* და მასთან მაღალ კორელაციაში - *მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება*.

მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას ვერ უზრუნველყოფს *საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონეთა მასობრივი გასვლა ქვეყნის ფარგლებს გარეთ*. ერთი შეხედვით, რაც მეტი დარიბი ტოვებს ქვეყანას, დარჩენილთა ცხოვრების დონე, საშუალო მოხმარება, კეთილდღეობა უფრო მაღალი უნდა იყოს. მაგრამ, როგორც წესი, მიგრანტთა დიდი ნაწილი შედარებით ახალგაზრდა - ეკონომიკურად და დემოგრაფიულად ყველაზე აქტიურ ასაკში მყოფი მოსახლეობაა, რის გამოც მათი მიგრაცია ზრდის ადგილზე დარჩენილი მოსახლეობის საშუალო ასაკს, რითაც აუარესებს ქვეყნის დემო-ეკონომიკურ პოტენციალს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ.: Human Development Report 2007/2008, p. 277-280.

<sup>2</sup> ჩვენი განგარიშებით, მოსახლეობის საშუალო ასაკის ერთი წლით შემცირება სხვა თანაბარ პირობებში ქმნის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 2.2 პროცენტით ზრდის პოტენციალს. აქ განმსაზღვრელი მარტო ის კი არ არის,

საქართველოში კეთილდღეობის დაბალი დონის (თითქმის სამჯერადი ჩამორჩენა მსოფლიოს საშუალო დონისაგან) უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საზოგადოებაში საშუალო კლასის დაბალი დონეა. თავის მხრივ, საშუალო კლასის დაბალ წილს განაპირობებს დასაქმების დაბალი დონე, დასაქმების დაბალ დონეს კი, შესაბამისად – მცირე და საშუალო ბიზნესის დაბალი წილი ქვეყნის ეკონომიკაში, დამატებული ღირებულების შექმნაში. - საქართველოში საშუალო ბიზნესის წილად მოდის მთელი გამოშვების მხოლოდ 15 პროცენტი, მაშინ როდესაც - 27-ში - დაახლოებით 2/5. **მსხვილი ბიზნესის წილი საქართველოში ევროკავშირისას თითქმის 2-ჯერ აღემატება, სამაგიეროდ, საშუალო ბიზნესის წილი 2-ჯერ, ხოლო მცირე ბიზნესის წილი თითქმის 3-ჯერ ჩამორჩება შესაბამის ევროპულ დონეს.** ამასთან, ბოლო წლებში არა თუ გაზრდილა ასეთი ბიზნესის წილი, არამედ რამდენადმე შემცირდა კიდევ. არადა, **მცირე და საშუალო ბიზნესი – ეს არის ახალი სამუშაო ადგილები, მასობრივი დასაქმება, სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობა, კეთილდღეობის განსაზღვრული დონე...** ასეთი ბიზნესის განვითარების გარეშე რეალურ პროგრესზე და კეთილდღეობის არსებით ზრდაზე საუბარი წარმოუდგენელია. **საქართველოში ასევე მცირერიცხოვანია იმ მეწარმეთა რაოდენობა, რომლებიც**

რომ მოსახლეობის დაბერებით უარესდება დემოგრაფიული სტრუქტურა და ეკონომიკურად აქტიურ ერთსა და იმავე რაოდენობის მოსახლეობას მეტი რაოდენობის ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის შენახვა უწევს. აქ დიდ როლს თამაშობს ის გარემოებაც, რომ მაღალი ტექნოლოგიების, მაღალი მწარმოებლურობის მქონე საქმიანობის სფეროებში ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები უფრო აქტიურად ებმებიან და მათი წილი დამატებული ღირებულების შექმნაში მნიშვნელოვნად აღემატება მოსახლეობის რიცხოვნობაში მათსავე წილს. ის უპირატესობა, რაც ჯერ კიდევ ამ 15-20 წლის წინ ჰქონდა დასაქმებულთა შორის ანაზღაურებისა (და შრომის მწარმოებლურობის) მიხედვით ასაკოვან მოსახლეობას (მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულამდე 45-55 წლიანთა შრომის საშუალო ანაზღაურება 20-25-წლიანების შრომის ანაზღაურებას 4-ჯერ და მეტად აღემატებოდა. – იხ.: იოსებ არჩვაძე. ეკონომიკა და დრო, თბილისი, 2000, გვ. 114) ამჟამად თითქმის მთლიანად ნიველირებულია მოწინავე ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ნოუ-ჰაუს ელემენტების ახალგაზრდათა მიერ უკეთ და უფრო სწრაფად ათვისებისა და გამოყენების შესაძლებლობების გამო. უფრო მეტიც, საშუალო და უფროსი ასაკის მოსახლეობის პოზიციების შესუსტების ობიექტურ გარემოებებს “ვარდების რევოლუციის” შემდეგ სუბიექტური ფაქტორებიც დაემატა, როდესაც მათი თანამდებობიდან განთავისუფლების, ჩანაცვლების, პროფესიული დისკრიმინაციის განმსაზღვრელ ფაქტორად არა ამ უკანასკნელთა საქმიანი თვისებები და პროფესიონალიზმი, არამედ ასაკი იქცა. აღნიშნული ასაკობრივი დისკრიმინაცია სამეცნიერო ლტერატურაში მეოცე საუკუნის სამოციანი წლების ბოლოდან ეიჯიზმის (ინგლ. – Ageism) სახელითაა ცნობილი.

**დაქირავებული პირების შრომას იყენებენ.** დღეისათვის, ოფიციალური სტატისტიკით, მათი რაოდენობა 25 ათას კაცს – თვითდასაქმებულთა 2 პროცენტს არ აღემატება. ყოველივე ამის მიზეზი ჯერ კიდევ არასაკმარისად ლიბერალური საინვესტიციო გარემოა. - მიუხედავად ბოლო წლებში საგადასახადო რეჟიმის ლიბერალიზაციისა, ექსპერტების შეფასებით, **საგადასახადო წნეხი საქართველოში ჯერ კიდევ აღემატება ოპტიმალურს დაახლოებით 1.5-ჯერ<sup>1</sup>.**

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა საქართველოში უადრესად დრამატულ ვითარებაში წარიმართა. 1990-იანი წლების პირველ ნახევარში არასრული ოთხი წლის მანძილზე საქართველომ გადაიტანა ოთხი სამხედრო კონფლიქტი და სამოქალაქო დაპირისპირება. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის 28 სახელმწიფოს შორის საქართველოს ჰქონდა ეკონომიკის ყველაზე მასშტაბური დაცემა. – 1994 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 1988 წლის დონის მხოლოდ 22 პროცენტს შეადგენდა. კიდევ უფრო საგრძნობლად იყო შემცირებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობა – დაახლოებით 6.1-ჯერ. დღეისათვის **სამუშაო ადგილები მარტო საქართველოს მრეწველობაში 20 წლის წინანდელთან შედარებით 6-ჯერ და მეტად - დაახლოებით 400 ათასითაა შემცირებული.** ეკონომიკის ვარდნამ, ეკონომიკურ საქმიანობათა და მთელი რიგი დარგების კვლამამ მრავალი ასეული ათასი ადამიანი უმუშევრად დატოვა. **1980-იანი წლების ბოლოსთან შედარებით 2009 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 21 პროცენტით, მაშინ როდესაც დასაქმებულთა რაოდენობა – 1.5-ჯერ, მათ შორის დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა - თითქმის 3.7-ჯერ - 1700 ათასი კაცით.** საკმარისია ითქვას, რომ ამ პერიოდში დაქირავებით დასაქმებულთა საერთო რაოდენობის შემცირება 1.5-ჯერ და მეტად აღემატებოდა

<sup>1</sup> ბოლო პერიოდში ადგილი აქვს ორ, ურთიერთგამომრიცხავ ტენდენციას ფისკალური პოლიტიკაში. ერთს მხრივ, საქართველოში იქმნება თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, მეორეს მხრივ კი მკაცრდება საბაჟო კონტროლი, იმპორტის განხორციელების შესაძლებლობა განუზღვრელი საქონლის შემოტანის სიხშირის ლიმიტირებით (- არა უმეტეს თვეში ერთხელ) და ღირებულების შემცირებით (არაუმეტეს 500 ლარი თვეში). ამის გარდა, ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული ცირკულარით, საგადასახადო იმსპექტორებს ეძლევათ უფლება, ვაჭრობისა და სასტუმრობის ბიზნესის წარმომადგენლებს მიმდინარე წლის ბრუნვითა და გადასახადებით დაუნგარიშონ შარშანდელი გადასახადები და სხვაობის აღმოჩენის შემთხვევაში მათ დაფარვასთან ერთად დააკისრონ ჯარიმების გადახდაც.

ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის შემცირებას. ბევრი ადრინდელი დაქირავებით დასაქმებული - თვითდასაქმებული გახდა (ძირითადად - სოფლის მეურნეობაში). მრავალი ათეული ათასი ადამიანი კი სხვა ქვეყნებში გავიდა შრომით მიგრაციაში. დღეისათვის საქართველოდან შრომით მიგრანტთა რაოდენობა დაახლოებით 14-ჯერ აღემატება საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა მთლიან რიცხოვნობას.<sup>1</sup>

თავად საქართველოში უმუშევრობის დონე 2008 წლის ბოლოს მდგომარეობით, ოფიციალური სტატისტიკით, 16.5 პროცენტია. ამასთან, დასაქმებულთაგან მხოლოდ 1/3-ზე ოდნავ მეტია (35.7%) დაქირავებით დასაქმებული; დანარჩენი დასაქმებულები (64.3%) - თვითდასაქმებულები არიან.

საქართველოში, ოფიციალური სტატისტიკით, 14 მილიონზე მეტი შინამეურნეობაა.<sup>2</sup> შესაბამისად, დღეისათვის, უკეთეს შემთხვევაში, ქვეყანაში ყოველი 5 შინამეურნეობიდან მხოლოდ 2-შია დაქირავებით დასაქმებული.

#### რა გამოდის?

საქართველოში დღეისათვის ოფიციალურად დაფიქსირებულ 1918 ათასი ეკონომიკურად აქტიურ ადამიანს უნდა დაემატოს ქვეყნიდან გასული 800 ათასი შრომითი მიგრანტი, რომლებიც ადგილზე სათანადო სამუშაო ადგილების არსებობის პირობებში საქართველოში დარჩებოდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, 2008 წლის ბოლოსათვის საქართველოს პოტენციური სამუშაო ძალის რიცხოვნობა უნდა იყოს (შეიძლება ყოფილიყოს) 2718 ათასი ადამიანი. აქედან საქართველოში სამუშაო ვერ ნახა 1116 ათასმა ადამიანმა (316 ათასი - საქართველოში დაფიქსირებული უმუშევარი და 800 ათასი - შრომითი მიგრანტი), რის გამოც ქვეყანაში ბრუტო უმუშევრობის დონე საქართველოს მთელი შრომითი პოტენციალის - ქვეყანაში მყოფთა და ქვეყნიდან გასულთა ერთობლივი რიცხოვნობის - გათვალისწინებით, 41 პროცენტს აღემატება. შესაბამისად, საქართველოში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 59 პროცენტი, ხოლო დაქირავებით დასაქმებულთა წილი ქვეყანაში საქართველოს მთელ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეო-

<sup>1</sup> 1990-იანი წლების დასაწყისიდან მხოლოდ ეკონომიკური გარემოებებით საქართველოდან დაახლოებით 800 ათასი ადამიანი გავიდა, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გახდა შრომითი მიგრანტი. 2009 წლის მეორე კვარტალში საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა კი 572 ათას ადამიანს არ აღემატებოდა

<sup>2</sup> 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით, საქართველოში 1442 ათასი შინამეურნეობა იყო.

ბაში (შრომითი მიგრანტების გათვალისწინებით) მხოლოდ 21 პროცენტია. გამოდის, რომ საქართველოს შრომისუნარიანი ასაკის მოქალაქეთაგან ანაზღაურებით შრომით საქმიანობას საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე დღეისათვის ახერხებს მხოლოდ ყოველი მეხუთე (21%).

სტატისტიკური გათვლებით დასტურდება, რომ შინამეურნეობაში დაქირავებით დასაქმებულ წევრთა ერთით გაზრდა გამოიწვევს შინამეურნეობათა შემოსავლებისა და კეთილდღეობის ზრდას დაახლოებით 9/10-ით, ანუ ამ შინამეურნეობათა თითოეული წევრის შემოსავლებისა და კეთილდღეობის მატებას დაახლოებით ერთი მეოთხედით (24-25%-ით). ამასთან, იმ შემთხვევაში, თუკი ყველა შინამეურნეობაში იქნებოდა თითო-თითო დაქირავებით დასაქმებული მაინც, ეს გაზრდიდა ამ შინამეურნეობათა მთლიან შემოსავლებს და დაქირავებულთა რიცხოვნობას არანაკლებ 1.5-ჯერ თითოეულს, ხოლო თვითდასაქმებულთა წილს დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში შეამცირებდა 6-ჯერ და მეტად - 64 პროცენტიდან 10.4 პროცენტამდე.

დასაქმების პრობლემა იმდენად ფუნდამენტური პრობლემაა საქართველოს მოსახლეობისათვის, რომ მის სიმწვავეს ვერ ხსნის თვით ის გარემოებაც, რომ ბოლო წლებში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი დაახლოებით სამჯერ უფრო სწრაფად იზრდებოდა მშპ-ის ნომინალურ ზრდასთან შედარებით. იმდენად არა აქვს დაქირავებით დასაქმებას ქვეყანაში საყოველთაო ხასიათი, რომ ხელფასის ზრდის ეკონომიკური ეფექტი ფერმკრთალებოდა მოსახლეობის მთლიან შემოსავლებში მათი დაბალი წილისა და პერმანენტულად მზარდი მოთხოვნების ფონზე. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასები (განსაკუთრებით საბიუჯეტო სექტორში) სიმბოლურ ხასიათს ატარებდა და მათმა საშუალო სიდიდემ შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის მაჩვენებელს პირველად მხოლოდ 2003 წელს - ქვეყანაში სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის ლარის შემოღებიდან მხოლოდ მეცხრე წელს მოახერხა.<sup>1</sup>

<sup>1</sup> 1996-2003 წლებში სახელმწიფო სექტორში დასაქმებულების ხელფასები საარსებო მინიმუმის დონეზე მაინც რომ ყოფილიყო, ამ დასაქმებულებს სახელმწიფოსაგან ხელფასის სახით უნდა მიეღოთ (ჯამში) 1.6 მლრდ. ლარი. შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ, ამ წლებში სახელმწიფო სექტორში დასაქმებულებმა სახელმწიფოს გაუწიეს სუბსიდირება აღნიშნული თანხით. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ სწორედ ასეთი დაბალი ხელფასები იყო ძირითადი

2009 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, საქართველოში საშუალო ხელფასი დაახლოებით 330 აშშ დოლარის ექვივალენტია. ეს 2003 წლის შესაბამის მაჩვენებელს 5.5-ჯერ აღემატება. შედარებისათვის: იმავე პერიოდში შინამეურნეობათა მთლიანი ხარჯების ფაქტობრივი მოცულობა მხოლოდ 1.5-ჯერ არის გაზრდილი, რეალურ განზომილებაში კი, სამომხმარებლო ფასების იმავე პროპორციით ზრდის გამო, ფაქტობრივად არ შეცვლილა. ამგვარი განსხვავება საშუალო ხელფასების ზრდასა და შინამეურნეობათა რეალურ კეთილდღეობას შორის ძირითადად გამოწვეულია, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელფასების მიმღებთა დაბალი წილით, აგრეთვე ლარის კურსის აშშ დოლართან მნიშვნელოვნად გამყარებით.<sup>1</sup>

ბოლო წლებში, ერთის მხრივ, საშუალო ხელფასის სწრაფი ზრდის, ხოლო მეორეს მხრივ, დაქირავებით დასაქმებულთა დაბალი წილის გამო<sup>2</sup> საშუალო ხელფასის დონით საქართველოს შედარებამ სხვა ქვეყნებთან მნიშვნელოვანწილად დაკარგა თავისი ეკონომიკური შინაარსი. მაგალითად, ნომინალურად 2008 წლის მიხედვით საქართველოში საშუალო ხელფასი აშშ დონის 11.2 პროცენტია (შესაბამისად, 37.5 ათასი აშშ დოლარი და 4.2 ათასი აშშ დოლარი). მაგრამ მოსახლეობის ერთსა და იმავე რაოდენობაზე გაანგარიშებით აშშ-ში 3.4-ჯერ მეტი დაქირავებით დასაქმებულია საქართველოსთან შედარებით.

იგივეს თქმა შეიძლება აღნიშნული ინდიკატორით საქართველო-რუსეთის შედარებაზე. საშუალო ხელფასი საქართველოში რუსეთის ფედერაციის ანალოგიური მაჩვენებლის დაახლოებით 3/5-ის დონეზეა (57%), რაც საგრძნობლად აღემატება საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონის თანაფარდობას რუსეთის ფედერაციის ანალოგიურ მაჩვენებელთან (- დაახლოებით 1.5-ჯერ), მაგრამ მოსახლეობის ერთსა და იმავე რიც-

მიხეიბი იმ წლებში ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული მასობრივი კორუფციისა და ფართომასშტაბიანი ჩრდილოეთი ეკონომიკისა.

<sup>1</sup> 2009 წლის ივლისში ლარისა და აშშ დოლარის კურსი შეადგენდა: 1 შშ დოლარი = 1.675 ლარი, მაშინ როდესაც 2003 წლის ბოლოს - 2.11-ს, ხოლო 1999 წლის 8 მარტს (ამ თანაფარდობის აშშ დოლარისათვის მაქსიმალური კურსის დროს) - 2.45 ლარს. შედარებისათვის: 2009 წლის ივლისში ინფლაციამ 2003 წლის დეკემბერთან შეადგინა 51 პროცენტი, ხოლო 1999 წლის მარტთან - 117 პროცენტი. გამოდის, რომ იმ საქონლის შესაძენად, რასაც 1999 წლის მარტში საქართველოს შიდა სამომხმარებლო ბაზარზე 100 აშშ დოლარი ეყოფოდა, 2009 წლის ივლისში თითქმის 320 აშშ დოლარი გახდა საჭირო.

<sup>2</sup> საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა წილი მთელს მოსახლეობაში 14 პროცენტს შეადგენს, მაშინ როდესაც აშშ-ში იგი 47 პროცენტი, ხოლო რუსეთის ფედერაციაში - 42 პროცენტი.

ხოვნობაზე დაქირავებით დასაქმებულების რაოდენობა საქართველოში სამჯერ ნაკლებია. ამიტომაც, საქართველოსა და ნებისმიერი სხვა ქვეყნის (აშშ-ის, რუსეთის ფედერაციის, ეტკ.) მოსახლეობის კეთილდღეობის შრომითი საქმიანობით მიღებული შემოსავლებით შესადარებლად საჭიროა საშუალო ხელფასების სიდიდეთა მოსწორება მოსახლეობის თანაბარ რიცხოვნობაში დასაქმებულთა წილით.

ფორმულის სახით მაგალითად, საქართველო-აშშ-ის ამგვარმა შედარებამ შეიძლება შემდეგი სახე მიიღოს:

$$S_{p(Geo/USA)} = S_{geo}/S_{USA} * L_{geo}/L_{USA},$$

სადაც

$S_{p(Geo/USA)}$  - ხელფასის მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტი საქართველოში აშშ-თან შედარებით;

$S_{geo}$  - საშუალო ხელფასი საქართველოში;

$S_{USA}$  - საშუალო ხელფასი აშშ-ში;

$L_{geo}$  - დაქირავებით დასაქმებულთა წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში;

$L_{USA}$  - დაქირავებით დასაქმებულთა წილი აშშ-ის მთელ მოსახლეობაში.

აღნიშნული ფორმულის მიხედვით,

$$S_p = 4.2/37.5 * 14\%/47\% = 3.3 (\%).$$

სხვაგვარად რომ ვთქვათ, რომ მოსახლეობის ერთსა და იმავე რაოდენობაზე, საქართველოში ხელფასების ჯამური სიდიდე აშშ-ის მხოლოდ 3.3 პროცენტია.<sup>1</sup>

იმ არგუმენტს, რომ საქართველოში ფასების საშუალო დონე ამერიკისას მნიშვნელოვნად ჩამორჩება და ქართული ვალუტის კურსი მის პარიტეტთან რამდენადმე დაბალია, თანდათანობით ყავლი გასდის. - რიგი სამომხმარებლო საქონლის მიხედვით (ფრინველის ხორცი, კვერცხი, ბანანი, ბენზინი, სატელეფონო საუბრის ტარიფი, etc.) საქართველოში ფასები საგრძნობლად აღემატებიან აშშ-ის დონეს. აღნიშნულ დასკვნას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ ბიგ-მაკის ინდექსის მიხედვით, საქართველომ 2009 წლის ზაფხულიდან უკვე გადაუსწრო აშშ-ის დონეს.<sup>2</sup>

<sup>1</sup> იგივე პრინციპით, საქართველოში ხელფასების ჯამური მსყიდველობითი უნარიანობა რუსეთის ფედერაციის დონის 19.4 პროცენტია.

<sup>2</sup> 2009 წლის ივლისში ბიგ-მაკი ნიუ იორკში ღირდა 3.57 დოლარი, თბილისში - 6.80 ლარი, ანუ, ლარის აშშ დოლართან ოფიციალური კურსის (1 დოლარი = 1.665 ლარი) გათვალისწინებით - 4.08 დოლარი - ამერიკის დონის 114.6 პროცენტი. შედარებისათვის: 2 წლის წინ - 2007 წლის ივლისში ბიგ-მაკის ინდექსი



მოსახლეობის კეთილდღეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორი გარემოება: *მაკროეკონომიკის დონეზე მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების სტრატეგია და შემოსავლების სახეების დივერსიფიკაცია*. 2003 წლის შემდეგ საქართველოში მშპ-ის სულ უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი წარმართა საზოგადოების კოლექტიური მოხმარების, ინსტიტუციური აღმშენებლობისათვის. მაგალითად, 2008 წელს 2003 წელთან შედარებით მშპ-ის ყოველი ერთი ლარის მატებაზე (მიმდინარე ფასებში) შინამეურნეობათა ფაქტობრივი ხარჯების მოცულობა გაიზარდა 27.8 თეთრით, მაშინ როდესაც წინა ხუთი წლის მანძილზე (2003 წელს 1998 წელთან შედარებით) შესაბამისი მაჩვენებელი შეადგენდა 42.8 თეთრს, ანუ 54 პროცენტით მეტს. 2008 წელს 2003 წელთან მშპ ნომინალურად გაიზარდა 2-ჯერ და მეტად, რეალურ განზომილებაში – დაახლოებით 1.5-ჯერ, მაშინ, როდესაც ერთი შინამეურნეობის ხარჯებმა ნომინალურად 1.5-ჯერ მოიმატა, ხოლო რეალურ განზომილებაში – უცვლელი დარჩა. შესაბამისად, საქართველოს შინამეურნეობათა მთლიანი ხარჯების მოცულობის თანაფარდობა ქვეყნის მშპ-სთან შემცირდა 2003 წლის 62.2 პროცენტიდან 2008 წლის 49.1 პროცენტამდე.<sup>1</sup> გზების, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციამ, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საკითხებმა მოითხოვეს მნიშვნელოვანი რესურსების მობილიზაცია<sup>2</sup>, რაც პირდაპირ არ აისახება შინამეურნეობათა შემოსავლებზე. - *გზების დაგება, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება, ჯარის ყოფითი და კვების პირობების გაუმჯობესება* - საერთო კეთილდღეობის ზრდაზე მიუთითებს, ამ დროს უშუალოდ ოჯახურ ბიუჯეტში შესული თანხები უცვლელიც რომ რჩებოდეს. ყოველივე ეს ხელს უწყობს სამუშაო ძალის უკეთ ფორმირებას, კვლავწარმოების პირობების გაუმჯობესე-

საქართველოში შეადგენდა აშშ დონის 80.5 პროცენტს, 2006 წლის დასაწყისში – 67.3 პროცენტს, 2002 წლის – დასაწყისში – 64.0 პროცენტს, ხოლო 1999 წლის დასაწყისში – 59.0 პროცენტს.

<sup>1</sup> შედარებისათვის: შინამეურნეობათა მთლიანი ხარჯების თანაფარდობა მშპ-სთან სსრკ-ში, 1985 წელს შეადგენდა 48 პროცენტს და პერესტროიკის დასასრულისათვის, 1990 წლისათვის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კონვერსიისა და რიგი სხვა მიზეზების გამო მისი წილი 50.1 პროცენტამდე გაიზარდა.

<sup>2</sup> საბიუჯეტო დაფინანსება თავდაცვაზე 2007 წელს 2003 წელთან შედარებით საქართველოში გაიზარდა თითქმის 25-ჯერ, მაშინ როდესაც სოციალური ხარჯები – მხოლოდ 3.2-ჯერ.

ბას, საბოლოო ჯამში კი ზრდის მისი მობილურობისა და გამოყენების ეფექტურობას.<sup>1</sup>

მიუხედავად საშუალო ხელფასის ზემოხსენებული საგრძობი ზრდისა, საზოგადოებაში დაქირავებით დასაქმებულთა დაბალი წილის გამო შინამეურნეობათა მთლიან სახსრებში შრომის ანაზღაურების წილი არ აღემატება 30.9 პროცენტს, მათ შორის ფულად სახსრებში – 36.9 პროცენტს. შედარებისათვის – 1990-იანი წლების დასაწყისში დაქირავებით დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე მოდიოდა შინამეურნეობათა საერთო შემოსავლების თითქმის 3/4.

მოსახლეობის კეთილდღეობის განმსაზღვრელი კრიტერიუმებიდან<sup>2</sup> ჩვენთან ძირითადადში *სტატისტიკურ-ნორმატიული მე-*

<sup>1</sup> თუმცა, აღნიშნული მიზნებით უზარმაზარი თანხების გამოყოფამ, ტენდერების არც თუ მთლად გამჭვირვალე სისტემამ და მათში საეჭვო რეპუტაციის მქონე ფირმების გამარჯვებამ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში წარმოშვა ეჭვი აღნიშნული დანიშნულებით ფინანსური რესურსების მოძრაობის კანონიერებასა და კორუფციის შესაძლო კვალის თაობაზე.

<sup>2</sup> მოსახლეობის კეთილდღეობის განსაზღვრის რამდენიმე კრიტერიუმში არსებობს: 1. **სტატისტიკურ- ნორმატიული** – როდესაც დგინდება ღარიბთა, საშუალო ან მდიდართა კლასისადმი მიკუთვნების კონკრეტული რაოდენობრივი პარამეტრები, განისაზღვრება საზოგადოებაში მდიდრების, ღარიბების თუ საშუალო კლასის წარმომადგენლების რაოდენობა. გამოიყენება აგრეთვე სიღარიბის განსაზღვრის განსხვავებული ნორმატიული მეთოდებიც. მაგალითად, ერთგან ღარიბია შინამეურნეობა, თუ იგი შემოსავლების მესამედზე მეტს ხარჯავს სურსათზე, მეორეგან - თუ მისი შემოსავლები მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულების ოთხმაგ ოდენობაზე ნაკლებია; ზოგან საარსებო მინიმუმი იანგარიშება, როგორც საშუალო ხელფასის ნახევარი, ან როგორც მედიანური მოხმარების 60 პროცენტი...

განვითარების დონით საქართველოსგან ისეთ განსხვავებულ ქვეყანაში, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია, საარსებო მინიმუმის შეფასება ეფუძნება იმ შემოსავლის ოდენობას, რომელიც აუცილებელია ადამიანის მინიმალურ სასიცოცხლო დონეზე არსებობის შესანარჩუნებლად. ასეთი ანალიზისათვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ გაანგარიშებული მინიმალური სასურსათო კალათა. აღნიშნული კალათის ღირებულება იანგარიშება ცალკეული პროდუქტის მიხედვით არსებულ ფასებს შორის ყველაზე დაბალი ფასით. ოჯახის სხვა არასასურსათო მოთხოვნების გასათვალისწინებლად დგინდება შემოსავლის ზღვრული დონე, რომელიც ოთხჯერ აღემატება სასურსათო კალათის ღირებულებას (სოციალური სტანდარტი შეადგენს 1:4). 2. **სოციალური სტატუსის მიხედვით** – როდესაც ამა თუ იმ საქმიანობის სფეროს ან პროფესიის წამომადგენლები აპირირი მიეკუთვნებიან განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფს, მაგალითად, «ღარიბებს» ან «არაღარიბებს». როგორც ცნობილია, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში აპირირი არ ითვლებიან ღარიბებად იურისტები, ექიმები, მოდელები და ა.შ. 3. **სუბიექტური თვითშეფასება**, როდესაც ინდივიდი თავად განსაზღვრავს მისი ან საკუთარი შინამეურნეობის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს. ამ დროს დიდ როლს ასრულებს ის კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური

თლი გამოიყენება. შესაბამისად, შემოსავლებს დასაქმებიდან უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიკაციისათვის.

შრომის მიხედვით შემოსავლების დაბალი წილი შინამეურნეობათა საერთო შემოსავლებში, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილის დასაქმების არასტაბილური ხასიათი განაპირობებს იმას, რომ გარდამავალი ტიპის ქვეყნების უმრავლესობაში მოსახლეობის კეთილდღეობის დახასიათება<sup>1</sup>, ისევე როგორც მათი სოციალური დიფერენცირება მიმდინარე შემოსავლებისა და ხარჯების მიხედვით, საკმარისი აღარაა. ამის მიზეზი ისაა, რომ გარდამავალ, სწრაფი, რევოლუციური ცვლილებების მქონე საზოგადოებაში ვეღარ მუშაობს ხანგრძლივი ევოლუციური გზით განვითარების მქონე საზოგადოების წევრთა სოციალურ-ეკონომიკური იდენტიფიკაციის ის სქემა, რომლითაც ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისადმი შინამეურნეობის მიკუთვნება აპრიორი იმთავითვე მაღალ კორელაციურ კავშირშია მათსავე შესაბამის ქონებრივ სტატუსთან, როდესაც ადგილი აქვს მატერიალურ-ქონებრივი, საშემოსავლო მდგომარეობის, სოციალურ-პროფესიული სტატუსისა და თვითიდენტიფიკაციის გარკვეულ თანხვედრას. – საბაზრო ეკონომიკაზე ყველა გარდამავალ ქვეყანაში გამოიკვეთა დიდი რაოდენობა შინამეურნეობებისა, რომელთა მიმდინარე შემოსავლები ვეღარ აკმაყოფილებს მიმდინარე მინიმალურ მოთხოვნილებებს, მაშინ, როდესაც მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხი ადრე შექმნილი ხანგრძლივი მოხმარების საგნებით გაცილებით მაღალია. ხატონად, ეს შეიძლება ასე ითქვას: *ოჯახს აქვს (ადრე შექმნილი) ფერადი ტელევიზორი, მაგრამ არა აქვს საკმარისი ფული (ამჟამად) მოხმარებული ელექტროენერჯის დასაფარავად.* საქართველოს შინამეურნეობათა შემოსავლებში ქონების

ფონი, მოხმარების კულტურა, ტრადიციები, რომელშიც მას უხდება ცხოვრება, მისი მოლოდინი და წარმოდგენები. სუბიექტურ მიდგომას საფუძვლად უდევს პასუხი კითხვაზე. მაგალითად: “შემოსავლის რა დონეს ჩათვლიდით იმ აბსოლუტურ მინიმუმად, რომლის ქვემოთ თქვენი არსებობა შეუძლებელი იქნებოდა?”

<sup>1</sup> კეთილდღეობა არის ნაკადების (შემოსავლებისა) და მარაგების (დაგროვილი ქონების ელემენტების, სიმდიდრის) რაციონალური თანაფარდობა, თუმცა, ფართო გაგებით, კეთილდღეობის ფორმირებაში მონაწილეობენ აგრეთვე სოციალური და ეკოლოგიური გარემო, საბინაო პირობები, საცხოვრისის ადგილმდებარეობა და ა.შ., რომელთა ღირებულებითი შეფასება რამდენადმე გაძნელებულია. ამიტომ კეთილდღეობის აღნიშნული კომპონენტებიდან სტატისტიკის თანამედროვე შესაძლებლობებიდან გამომდინარე მის შეფასებაში მონაწილეობას ჯერჯერობით დებულობს მხოლოდ დაგროვილი ქონება.

ელემენტების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს სტაბილური, საგრძნობი წილი უკავიათ. განსაკუთრებით მაღალი წილი 1990-იან წლებში ეკავათ. მაგალითად, 1996 წელს ქალაქის მოსახლეობის ფულადი შემოსავლების 9.9 პროცენტი საშინაო ქონების ელემენტების რეალიზაციის ხარჯზე ყალიბდებოდა.<sup>1</sup> ამჟამად ეს მაჩვენებელი 3 პროცენტს არ აღემატება. ეს მიანიშნებს არა მარტო იმას, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არ ჰყოფნის მიმდინარე შემოსავლები ხარჯების დასაფარავად, არამედ იმასაც, რომ საზოგადოებაში ეროვნული სიმდიდრის ელემენტების პერმანენტული გადანაწილების პროცესი მიმდინარეობს არა მარტო საწარმოო და ფინანსური აქტივების გადანაწილების ხარჯზე, არამედ საოჯახო ქონების – ბინებისა და სხვა სამომხმარებლო დანიშნულების ელემენტების გადანაწილებითაც. 1990-იანი წლების პირველ ნახევარში მიმდინარე შემოსავლებით მრავალი ადამიანი, შინამეურნეობათითქმის ერთბაშად იქცა ღარიბად, რადგან მათი შემოსავალი საარსებო მინიმუმსაც ვერ ფარავდა, დაგროვილი ქონების ელემენტებით კი ისინი ჯერ ისევე შეძლებულად რჩებოდნენ. ეს გარემოება ხელოვნურად ზრდიდა საშინაო ქონების ელემენტების ლიკვიდურობის პრობლემას და, შესაბამისად, ამ ელემენტების გაცვლითი პროპორციის გაუარესებას, განსაკუთრებით სურსათთან მიმართებაში.<sup>2</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადგილი ჰქონდა მოსახლეობაში კეთილდღეობის განმაპირობებელი მარაგებითა (ქონებით) და ნაკადებით (შემოსავლებით) არათანაბარ, ასიმეტრიულ უზრუნველყოფას, რისი დაძლევის (- სურსათზე მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილების) ძირითად გზად იქცა შინამეურნეობების საშინაო ქონების ელემენტების, საცხოვრისის მასობრივი ყიდვა-გაყიდვა. 1990-იანი წლების შუა ხანებში საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 20 პროცენტი იყო ისეთი, ვისაც ქონებაც და შემოსავლებიც საარსებო მინიმუმის ზღვარზე მეტი ჰქონდა, დაახლოებით ამდენივე იყო ისეთი, ვისაც არც ერთი პარამეტრით არ ჰქონდა დაძლეული საარსებო მინიმუმის ზღვარი; დანარჩენ 60 პროცენტს ერთერთი

<sup>1</sup> იხ.: საქთველოს შინამეურნეობები:1996-2001. სტატისტიკური წელიწადური თბილისი, 2002, გვ. 194. უფრო ადრეული, 1992-1995 წლების სტატისტიკა, სამწუხაროდ, არ არსებობს, თუმცა ემპირიულად კარგად ჩანდა, რომ სწორედ იმ წლებში იყო განსაკუთრებით მაღალი ქონების ელემენტების რეალიზაცია შინამეურნეობების შემოსავლებში.

<sup>2</sup> ჩვენი განგარიშებით, დღეისათვის 1993 წლის აპრილთან შედარებით საშუალო სამოთახიანი ბინის ფასის თანაფარდობა საქონლის ხორცის ფასთან დაახლოებით 2.5-ჯერაა გაზრდილი.

ინდიკატორით (შემოსავლებით ან ქონებით) სიღარიბეში ჰქონდა ფეხი ჩადგმული<sup>1</sup>. სხვადასხვა ექსპერტული შეფასებით, მოსახლეობა თავის მიმდინარე შემოსავლებს ქონებრივ მდგომარეობაზე დაახლოებით 25 პროცენტით უფრო ცუდად აფასებს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 3/4-ის საბინაო პირობები მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია. ამ კონტინგენტის 80 პროცენტს მიმდინარე შემოსავლები ასევე საარსებო მინიმუმზე მაღალი აქვთ; მათგან, ვისაც მიმდინარე შემოსავლები საარსებო მინიმუმზე დაბალი აქვს, მხოლოდ 1/3-ზე ოდნავ მეტს აქვს არადამაკმაყოფილებელი საბინაო პირობები. აღნიშნული პროპორციები შემდეგნაირად წარმოდგება:

**საქართველოს შინამეურნეობათა განაწილება საარსებო მინიმუმისადმი მიმდინარე შემოსავლებითა და დაგროვილი ქონებით (ბინებით) 1995 და 2009 წლებში**

<sup>1</sup> სამამულო სტატისტიკა და ქართველ მეკლევართა უმრავლესობა ტოლობის ნიშანს სვამს საარსებო მინიმუმისა და სიღარიბის ცნებებს შორის, მაშინ როდესაც პირველი უფრო ტექნიკურ-ეკონომიკური, ნორმატიული მაჩვენებელია, მეორე კი სოციალურ-ეკონომიკური. საარსებო მინიმუმი და სიღარიბის ზღვარი არ არიან იდენტური ცნებები. **საარსებო მინიმუმი სიღარიბის, როგორც სოციალური მოვლენის მახასიათებელი ქვედა ზღვრის მაჩვენებელია. მაშინ როცა თავად სიღარიბის ზღვარი ღარიბი და საშუალო კლასის (ფენის) წყაღვამოფს წარმოადგენს.** მარტივად რომ ვთქვათ, შეიძლება პიროვნებას, შინამეურნეობას დაძლეული ჰქონდეს საარსებო მინიმუმი, მაგრამ ის მაინც ღარიბად ითვლებოდეს. სიღარიბის დონის თასმის სიმაღლეზე გავლენას ახდენს მოცემული ქვეყნის განვითარების დონე და სამომხმარებლო კულტურა. - ბევრი სამომხმარებლო ეფექტის მატარებელი მატერიალური და არამატერიალური ხასიათის დოვლათი, რაც განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანაში ითვლება ნორმალური ცხოვრების ჩვეულებრივ ატრიბუტად, ეკონომიკური განვითარების დონით ჩამორჩენილ ქვეყანაში ხშირად მიიჩნევა არაძირითადი მოხმარების, ზოგჯერ კი ფუფუნების საგნადაც კი. სამოქალაქო დაპირისპირებისა და ეკონომიკური კოლაფსის დროს, 1993-1994 წლების ცალკეულ თვეებში ცხელი წყალი, გათბობა და მუდმივი დენი ბინებში თბილისში თითქმის ფუფუნების ტოლფას დოვლათად მიიჩნეოდა. დღეისათვის კი მობილურმა ტელეფონმაც კი ისეთი საქმიანი აქსესუარის ფუნქცია შეიძინა, რაც ამ ორი ათეული წლის წინ, მაგალითად, ბლოკნოტსა და ავტოკალამს გააჩნდათ. იმისათვის, რომ საარსებო მინიმუმისა და სიღარიბის ზღვრის ცნებებმა ერთნაირი დანერგვა შეიძინონ, აუცილებელია არსებითად გაიზარდოს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტი, გაიზარდოს და გამრავლდეს ამის საფუძველზე საარსებო მინიმუმის მფორმირებელი დოვლათის წამონათვალი (ნომენკლატურა). ეს აუცილებლად გამოიწვევს საარსებო მინიმუმის ღირებულების გაცილებით სწრაფ ზრდას ფასების საერთო ზრდასთან შედარებით.

**(პროცენტობით)**

	1995	2009
შინამეურნეობათა რაოდენობა, რომელთაც:		
- შემოსავლები და ქონება ოფიციალურ საარსებო მინიმუმის შესაბამის პარამეტრებზე მეტი აქვთ	20	60
- საარსებო მინიმუმის შესაბამის პარამეტრებთან შედარებით შემოსავლები ნაკლებია, ქონება კი – მეტი	50	10
- საარსებო მინიმუმის შესაბამის პარამეტრებთან შედარებით შემოსავლები მეტია, ქონება კი – ნაკლები	10	5
- შემოსავლები და ქონება ნაკლებია საარსებო მინიმუმის შესაბამის პარამეტრებზე	20	25

როგორც წესი, მოსახლეობის კეთილდღეობის ფორმირებას, მიმდინარე მოხმარების დონეს ეკონომიკური აღმავლობის პირობებში უპირატესად განსაზღვრავენ მიმდინარე შემოსავლები, ხოლო კრიზისისა და რეცესიის პირობებში კი – ადრე დაგროვილი ქონების ელემენტები. დღეისათვის “ქონებრივ-საშემოსავლო ასიმეტრიის” ხარისხი 1990-იანი წლების შუახანებთან შედარებით 3-ჯერ და მეტადაა შემცირებული.

შემოსავლების დივერსიფიცირება, საშემოსავლო და ქონებრივი მდგომარეობის ასიმეტრია და რიგი სხვა მომენტები განაპირობებენ საზოგადოების უფრო სიღრმისეული სოციალური კლასტერიზაციის აუცილებლობას. კერძოდ, დღეისათვის აღარაა საკმარისი საზოგადოების სამდონიან “ქრესტომატიულ” ჯგუფებად (*მდიდრები, ღარიბები, საშუალო კლასი*) დაყოფა. *მდიდრებსა და საშუალო კლასს* შორის უნდა გამოიყოს *შეძლებულების* კატეგორია, ხოლო *ღარიბებში* – *ღატაკები*.<sup>1</sup> თუ როგორი შემოსავლების პარამეტრი უნდა დაედოს თითოეულ მათგანს, ეს ჯერაც განსჯის საგანია.<sup>2</sup> ამასთან, *საარსებო მინიმუმი* და *სიღარიბის ზღვარი* რეალურად საკმაოდ დაშორებულ

<sup>1</sup> ჩვენის აზრით, შესაძლებელია მოსახლეობის დივერსიფიცირება მოხდეს შემდეგ ჯგუფებად: **ღარიბები** (ღატაკები, უქონელები, საშუალოდ ღარიბები, ხელმოკლენი – სოციალური ღარიბები...), **საშუალო კლასი** (დაბალი ფენა, მაღალი ფენა), **მდიდრები** (შეძლებულები და საკუთრივ მდიდრები).

<sup>2</sup> მაგალითად, თუკი ექსპერტთა უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ღატაკთა კატეგორიისათვის მისაკუთვნებლად აუცილებელია, რომ შინამეურნეობის ხარჯების მოცულობა საარსებო მინიმუმის ნახევარზე ნაკლები იყოს, მდიდართა კატეგორიისათვის შინამეურნეობის მისაკუთვნებლად ქვედა ზღვარზე შეხედულებები მერყეობს საარსებო მინიმუმის 10-30 ჯერადთა შორის.

ლი, განსხვავებული მოცულობის, ღირებულების ინდიკატორები.<sup>1</sup>

ბუნებრივია, რომ საბოლოო ჯამში კეთილდღეობაზე არსებით გავლენას ახდენენ არა მარტო დასაქმებულთა საქმიანობის სახეები, შემოსავლების სიდიდე და პროფილი, არამედ შინამეურნეობათა დემოგრაფიულ-ასაკობრივი სტრუქტურა. დღეისათვის დასაქმებული მოსახლეობის მიერ შექმნილი დოვლათის, შემოსავლების დაახლოებით 35 პროცენტი გადანაწილდება შინამეურნეობათა დაუსაქმებელ და სამუშაო ძალის კატეგორიის მიღმა მყოფი ოჯახის წევრების სასარგებლოდ. მთელი მოსახლეობის მიხედვით კი “მიდოღჯახური ტრანსფერების” ხარჯზე დასაქმებულთა ფაქტობრივი მოხმარების სიდიდე მათსავე პირველად შემოსავალზე დაახლოებით 2.5-ჯერ ნაკლებია. მაგალითად, საქართველოს პენსიონერთა 9/10-ზე მეტი ცხოვრობს შინამეურნეობაში თავის ეკონომიკურად აქტიურ და დასაქმებულ ოჯახის წევრებთან ერთად. პენსიონერები მონაწილეობენ შინამეურნეობათა საბოლოო ერთობლივ მოხმარებაში, ანუ ამის გარეშე მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაცილებით დრამატული იქნებოდა. ჯერ ერთი, საშუალო პენსია საარსებო მინიმუმის მხოლოდ 2/3-ს ფარავს. მეორეც, ფასები სურსათზე, რომელიც ძირითადი სამომხმარებლო საქონელია პენსიონერებისათვის, როგორც წესი, გაცილებით სწრაფად იზრდება ინფლაციასთან შედარებით (დაახლოებით 12-13-ჯერ უფრო სწრაფად).

მიუხედავად ზემოხსენებული პოზიტიური ტენდენციებისა, მთლიანობაში საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პროცესი არადამაკმაყოფილებელია. – მართალია, 1990-იანი წლების შუახანებთან შედარებით

<sup>1</sup> მაგალითად, თუ ოფიციალური სტატისტიკით საარსებო მინიმუმი 200 ლარია, 201-ლარიანი შემოსავლის მქონე რეალურად ჯერ კიდევ ღარიბია, რადგანაც საარსებო მინიმუმის თანხა ჩვენს სინამდვილეში (განსაკუთრებით 2006 წლის გაზაფხულზე სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საარსებო მინიმუმის 30-პროცენტისანი “სეკესტრის” საფუძველზე) იმდენად დაბლა დაწვეული, რომ მის ზემოთ საკმაოდ მაღალ დონეზეც კი (საარსებო მინიმუმზე რამდენიმეჯერ მეტი შემოსავლის შემთხვევაშიც კი) ადამიანი და შინამეურნეობა ღარიბადაა მისაჩვენებელი. ღარიბებში, მაგალითად, უნდა განვასხვავოთ ისინი, ვისაც სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემა აქვთ და ისინი, ვისაც კვების პრობლემა კი აქვთ გადაწყვეტილი, მაგრამ არა აქვთ საკმარისი სახსრები წიგნების შესაძენად, თეატრში, კონცერტზე წასასვლელად და ა.შ. ჩვენი შეფასებით, ღარიბია ყველა, ვისი მიმდინარე შემოსავალი არ აღემატება საარსებო მინიმუმს სამჯერ მაინც. ანუ, თუ საარსებო მინიმუმი საშუალოდ ერთ შინამეურნეობაზე, მაგალითად, 200 ლარია, ღარიბია ყველა ის შინამეურნეობა, ვისი შემოსავალიც არ აღემატება 600 ლარს.

მნიშვნელოვნად შემცირდა საარსებო მინიმუმს მიღმა მყოფთა რაოდენობა, მაგრამ შედარებით ნელა იზრდება საშუალო კლასის წარმომადგენელთა რაოდენობა. ბოლო წლებში, საშუალო კლასის წილი შინამეურნეობათა საერთო რიცხოვნობაში საქართველოში ყოველწლიურად მხოლოდ 0.4 პროცენტული პუნქტით იზრდებოდა (ასეთი ტემპით საშუალო კლასის წილის შინამეურნეობათა საერთო რიცხოვნობის 3/5-ის დონეზე გასასვლელად 125 წელზე მეტი დასჭირდება). ეკონომიკური ზრდა თავის გამოხატულებას ჰპოვებდა არა ღარიბთა აბსოლუტური რიცხვის შემცირებაში, არამედ ღარიბთა შიგნით მდგომარეობის რამდენადმე გაუმჯობესებაში – უმნიშვნელოდ მცირდებოდა ლატაკთა და რაოდენობა და შესაბამისი პროპორციით იზრდებოდა ხელმოკლე შინამეურნეობების (სოციალური ღარიბების) რაოდენობა. თუ მივიჩნევთ, რომ სიღარიბე დაძლევადა საარსებო მინიმუმის 3-ჯერადი მეტობის შემთხვევაში, აღმოჩნდება, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება შინამეურნეობათა 86 პროცენტი, საშუალო კლასს მიეკუთვნება შინამეურნეობათა 9 პროცენტი, ხოლო შეძლებული და მდიდარია მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტი.<sup>1</sup>

<sup>1</sup> 2004 წლისთვის საქართველოში საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავალი ჰქონდა შინამეურნეობათა ნახევარზე მეტს. ამიტომ 2006 წლის გაზაფხულზე შეიცვალა მისი გაანგარიშების მეთოდოლოგია – ღირებულებითი ფორმით დაახლოებით 30 პროცენტით (ერთ საშუალო მომხმარებელზე – 120.3 ლარიდან 84.3 ლარამდე, აგრეთვე საარსებო მინიმუმის შესაბამისი კილოკალორიების რაოდენობა – დღეღამური 2500-დან 2250-მდე). ამის საფუძველზე ღარიბთა შინამეურნეობების რაოდენობა ერთი ხელის მოსმით შემცირდა 52-დან 35.7 პროცენტამდე. ანუ ფორმალურად, მეთოდოლოგიური “გამჭირახობის” წყალობით 200 ათასზე მეტი შინამეურნეობა (- დაახლოებით 750 ათასი ადამიანი, ქვეყნის ყოველი მეოთხე მცხოვრები) ხელაღწერილად გამოყვანილ იქნა ღარიბთა რაოდენობიდან. მიუხედავად ამ ახალი, შემსუბუქებული საარსებო მინიმუმისა, ღარიბთა რაოდენობა ქვეყანაში მაინც იზრდებოდა – 2005 წელს მათი რაოდენობა, სულ ცოტა, 160 ათასით გაიზარდა და პროცენტულად შინამეურნეობათა 39.4 პროცენტს მიაღწია (ძველი მეთოდოლოგიით – 57.7 პროცენტს). იმისათვის, რომ დამალულიყო შინამეურნეობათა თითქმის 40 პროცენტისათვის სიღარიბის ახალ, “სეკესტრირებულ” სტატუსზე ნაკლები შემოსავლები, სტატისტიკის დეპარტამენტმა 2006 წლიდან დააწესა სხვებზე მაჩვენებლის ჩანაცვლება ამორფული ინდიკატორით “მედიანური მოხმარების 60%-იანი ზღვარს მიღმა მყოფი შინამეურნეობების რაოდენობა”, რომელიც დაახლოებით 1.7-1.8-ჯერ ამცირებს საარსებო მინიმუმის ქვემოთ მყოფ შინამეურნეობათა რაოდენობას. იმავდროულად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საარსებო მინიმუმის მიღმა ღარიბნილი შინამეურნეობების მაჩვენებლის პუბლიკაციაზე უარის თქმაზე. ამჟამად, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ღარიბი მხოლოდ 21.3 პროცენტია – თუმცა ამ ციფრის ქვეშ მოიაზრება ოფიციალური სტატისტიკური წყაროებით გაანგარიშებული მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ზღვარს

საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის აუცილებელია ეკონომიკური რეფორმების უფრო თანმიმდევრული და კომპლექსური გატარება, საგადასახადო წნეხის მნიშვნელოვანი შემცირება და დიფერენცირება საქმიანობათა და ინვესტიციათა სახეების, რეგიონების, ბიზნესის სიდიდისა და რიგი სხვა ნიშნის მიხედვით, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. სწორედ ამით იქნება შესაძლებელი ეკონომიკის ზრდის ტემპების ამაღლება და ქვეყნის მსოფლიო და რეგიონული ჩამორჩენის თანდათან დაძლევა.

ბრძოლა საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისათვის, დასაქმების ოპტიმიზაციისა და სოციალური სტაბილურობისათვის უაღრესად საინტერესო და საყურადღებო სტადიაში შედის...

---

მიღმა მყოფი შინამეურნეობები. მედიანური მოხმარების მაჩვენებელი, საქართველოს შინამეურნეობათა ფაქტობრივი განაწილების მიხედვით, საშუალო მოხმარების დაახლოებით 80-85 პროცენტს შეესაბამება, რის გამოც ზემოხსენებული მედიანური მოხმარების 60 პროცენტი საშუალო მოხმარების მაჩვენებლის ნახევარს არ აღემატება. რეალურად ოფიციალური საარსებო მინიმუმის მაჩვენებელზე დაბალი შემოსავალი აქვს შინამეურნეობათა თითქმის 40 პროცენტს, ხოლო არაკორექტირებული, ძველი მეთოდოლოგიით – შინამეურნეობათა თითქმის ნახევარს.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, : 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge